

პანი

III

არქეოლოგიური
გათხრები

«მეცნიერება»

თბილისი

1977

„უანი III“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგი ტომია. აქ წარმოდგენილია ძველი კოლხეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-აღმშენებარებელი ერთეულის „უანის ქვეუნი“ არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის შედეგები: ცოცხელოვანი ნაქალაქის, საყანაის ველზე ახალაღმოჩენილი ნაქალაქის, მონასტრისა და დაბლაგომის არქეოლოგიური გათხრების მეცნიერულ-დოკუმენტური ანგარიშები. ცალკეული გამოკვლევები ეძღვნება უანის ნაქალაქარზე სხვადასხვა წლებში აღმოჩენილი ძველი კოლხეთის საიუველირო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს — ოქროს საყურეებს, ელინისტური ტორეტიკის ნაირსახოვან ძეგლებს (ქედური გამოსახულებებით შორეული ევრატის ფიალები, პერაკეს გამოსახულებიანი ბრინჯაოს მუდლიონი, ლითონის ქურქელი), საქართველოში პირველად აღმოჩენილ ბერძნული ერაზმის ერთ-ერთ იმეათ სახეობას (ე. წ. St-Valentin-ის ქვეფი). საგაოდ შრავალფეროვან ნუმიზმატიკურ მონეტაჲს (კოლხური თეთრი, პონტოს სამეფოსა და სხვა ელინისტური სახელმწიფოების მონეტები). მოცემულია ამ ძეგლების ქრონოლოგიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, განსაზღვრულია საწარმოო ცენტრები. ექსპედიციის ხელმძღვანელის წერილში კი „უანის ნაქალაქარი: გათხრები, ისტორია, პრობლემები“ განზოგადებულია უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მოცემულია ქალაქის ისტორიის ას-ლებური პერიოდიზაცია.

რედაქტორი ო. თ. ლორთქიფანიძე
 Редактор О. Д. Лордкипанидз
 Ed, Prof, Othar D. Lordkipanidze



ნინო ხოშტარია
Нино Хоштария

წინასიტყვაობა

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მესამე ტომი ეძღვნება ექსპედიციის პირველი ხელმძღვანელის ნინო ხოშტარიას ხსოვნას, მისი დაბადების 75-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამასთან ნინო ხოშტარიას საკმაოდ ერცელი და ჭერ კიდე დაუმუშაებელი არქივიდან იბეჭდება ნაშრომი კოლხური მონეტების შესახებ, რომელიც წარმოადგენს საკანდიდატო დისერტაციის ერთ პარაგრაფს. თუმცა მისი დაწერიდან უკვე 35 წელი გავიდა, განოკლებვას მაინც არ დაუქარავებს მნიშვნელობა და გარკვეულ ინტერესს იწვევს, ამიტომ ვაჭვევანებთ მას უცვლელად.

ნინო ხოშტარიას გამოუქვეყნებელი ნაშრომების ბეჭდვა გაგრძელდება მომავალშიც როგორც ცალკე გამოცემების, ისე წერილების სახით.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის შედეგები, აგრეთვე . გამოკვლევები ოქრომქედლობის, ტორევეტიკის, კერამიკისა და ნუმიზმატიკური ძეგლების შესახებ, განზოგადებულია უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.

ამჟამად გამოსაცემად მზადდება IV ტომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ვანის ნაქალაქარზე 1972—1975 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დოკუმენტური ანგარიშები, აგრეთვე ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხური კერამიკის კატალოგი.

კრებულში მოთავსებული ანაზომები და ჩანახატები შეასრულეს არქიტექტორებმა გ. ლუფაემ, გ. ყიფიანმა და მ. კასრაძემ, ხოლო ფოტოები — გ. ყიფიანმა და ე. სალნიერმა.

ნიწო ხოშტარია

(1901—1989)

ნიწო ხოშტარია იყო პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი და ერთი პირველთაგანი მათ შორის, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ არქეოლოგიას. მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ანტიკური ხანისა და უფრო ადრეული კოლხეთის მატერიალური კულტურის შესწავლაში. ნიწო ხოშტარიას თავდადებული და უანგარო შრომის შედეგი საფუძვლად უდევს დღევანდელ მიღწევებს საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეში.

ნიწო ბესარიონის ასული ხოშტარია დაიბადა 1901 წელს ქალაქ სოქვი, იქვე დაამთავრა ხუთწლიანი სასწავლებელი, ხოლო 1918 წელს — სოხუმის გიმნაზია. ამავე წელს შევიდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1924 წელს დაამთავრა. 1926 წელს მიიღო ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი. 1920 წლიდან მუშაობდა თბილისში სტატისტიკოსად და სტატისტიკოს-ეკონომისტად ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტში და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, შემდეგ საეკვმო კომისიაში და სახალხო მეურნეობის კომისიარატში (1929—1936 წწ.).

1936 წელს, პირველ აპრილს, მისაღები ვაშლიების ჩაბარების შემდეგ, ჩაირიცხა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოლოს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში და იმათივე აქტიურად ჩაება ინსტიტუტის არქეოლოგიურ სამუშაოებში. მან კონაწილობით მიიღო ამავე წელს დაბალკომპი მოწყობილ არქეოლოგიური ექსპედიციის ორ კამპანიაში.

საკანდიდატო დისერტაცია ნიწო ხოშტარიამ დაიცვა 1941 წლის 9 ივნისს თემაზე — „დაბლაგომის ძველი მოსახლეობა“. ნაშრომი მრავალ-

მზრევია საყურადღებო და მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი თავის დროზე არ გამოქვეყნებულა.

დაბლაგომის სიძველეები 1929 წელს გახდა ცნობილი, როდესაც ნიწო ბერძენიშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოიტანა იქ შემთხვევით აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა, 109 კოლხური მონეტა და ოქროსა და ვერცხლის წერილი ნივთები, რომლებიც ვერცხლის ფიალაში იყო მოთავსებული. 1933 წელს მცირე გათხრები ჩაატარა დაბლაგომში ს. მაკალათიამ. აქ აღმოჩენილი მასალა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. 1936 წლის ივლისში ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით დაბლაგომში გაემგზავრა ექსპედიცია, რომელშიც ბ. კუფტინი (ხელმძღვანელი) და ნიწო ხოშტარია მონაწილეობდნენ. ექსპედიციამ ივლისში მხოლოდ 7 დღეს იმუშავა. მაგრამ ამავე წელს ოქტომბერში იგი მეორედ გაემგზავრა და ეელზე 26 დღე დაჰყო. ამჯერად ბ. კუფტინის ავადმყოფობის გამო საველე სამუშაოებს ფაქტიურად ნიწო ხოშტარია ხელმძღვანელობდა. სულ ექსპედიციამ 35 ქვეყნისამარხი აღმოაჩინა და ზიაკელა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისა და ძვ. წ. II—I ათასწლეულების კულტურულ ფენებს. ნიწო ხოშტარიას სადისერტაციო ნაშრომში სწორედ ეს მასალებია შესწავლილი. ძველი კულტურული ფენები, რომლებიც ძირითადად ეკრამიკითა წარმოდგენილი, ნაშრომში აღწერილი და სათანადო პარალელების მოტანითაა დათარიღებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თიხის „რქებს“, რომელთაც ავტორი ხარის კულტურთან დაკავშირებულ საგნებად მიიჩნევს, როგორც

1 Н. В. Хоштария. Древнее поселение в Даблагоми, Тезисы к диссертационной работе, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1941.

ცნობილია, შემდეგში ვერა ბარდაველიძემაც დაა-
დასტურა მათი საყუბრო დანიშნულება.

ჭვერჭვამარხების 35 კომპლექსი საღისერატიო
ნაშრომში სრულად და დაწერილებითაა აღწერი-
ლი. ინვენტარის შესწავლის შედეგად სამი ქრო-
ნოლოგიური ჯგუფია გამოყოფილი. თუმცა, აქა-
მად წინო ხოშტარას მიერ მოცემული ამ ჯგუფე-
ბის ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი — ძვ. წ. VI—V საუკუნე, უარყოფილია, მაგრამ ზედა ქრო-
ნოლოგიური საზღვარი — ძვ. წ. III ს. და სამარ-
ხების შედარებითი ქრონოლოგია დღესაც ძალაში
რჩება.

ერთნაირი ყურადღებითაა ნაშრომში შესწავ-
ლილი კერამიკა და ლითონის სამკაულო, კულტთან
დაკავშირებული ნივთები თუ შრომისა და ბრძო-
ლის იარაღი. საინტერესოდ ჩერდება ავტორი კერა-
მიკის წარმოების ტექნოლოგიაზე, იშველებს ეთ-
ნოგრაფიულ მასალებს, იყენებს ბოტანიკოსების
დასკვნებს და არკვევს, რომ კოლხური პითოსების
ზედაპირის დამუშავება ხებდობდა ფიჭვის ხისაგან
დამზადებული ინსტრუმენტით. იძლევა ორნამენ-
ტის აღწერას, სწავლობს სამარხ ჭურჭელზე
გამობატულ ნიშნებს და გამოყოფს მათში უფრო
ძველსა და შედარებით ახალ საგნებს. მსკლეობს
პათ დანიშნულებაზე და სათანადო საბუთების მო-
ტანით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ისინი არ უნ-
და წარმოადგენდნენ ცალკეული ხელოსნის ან
ცალკე საგვარეულო ნიშანს.

ნაშრომში მოცემულია დაკვირვება ქსოვილე-
ბის ნაშთებზე, რომლებიც დაზღავანის მასალებში
ანახატვლებითა და მონეტების განხილვითაა ნა-
ვლადი სახითაა წარმოდგენილი, შემჩნეულია მათი
ქსოვის სახეობა და ხარისხი.

სამარხებში აღმოჩენილი ლითონის სამაჭურე-
ში გამოყოფილია სამი ჯგუფი. აღრიცხულია სა-
ქართველოში მოპოვებული და სხვადასხვა მუზე-
უმებში დაცული მსგავსი სამაჭურეები და მათ შო-
რის უძველესად არის მიჩნეული სწორკუთხაგანი-
ვითიანი, წრიულკალიანი სამაჭურეები, ხოლო
ზურგმდრეკილი სამაჭურეები დათარიღებულია ძვ.
წ. IV ს-ით.

ცალკე განხილული დაზღავანში აღმოჩენი-
ლი იმპორტული კერამიკა, და სამეცნიერო ლიტე-
რატურის გათვალისწინებით, აღნიშნულია მათში
სინოპური, თასოსური და როდოსული ამფორების
არსებობა, აგრეთვე ატიკური და იონური შევლა-
ნი კერამიკის იმპორტი. საუბარია სავაჭრო კუ-
შირებზე და გამოთქმულია ვარაუდი, რომ დაზღა-

ვანში სინოპიდან უნდა შემოეტანათ ზეთის
ზეთი, როდოსიდან და თასოსიდან — მაღალი ზა-
რისხის ლენი, ხოლო ბისფორიდან — პური.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეკლე-
ური დაზღავანში აღმოჩენილი მონეტებს — კოლ-
ხურ თეთის. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტ-
ყვით, რომ სწორედ ამ ნაშრომშია მოცემული პირ-
ველად დაწერილებით მათზე მსჯელობა. დაზღა-
ვანის მასალებზე განხილვა შესაძლებელი კოლხური
თეთის დათარიღება და ეს სამუშაო ნინო ხოშტა-
რამ შესრულდა თავის საკანდიდატო ნაშრომში.

ნინო ხოშტარია იმავეთვე საგანგებოდ სწავ-
ლობდა დასავლეთ საქართველოს მუზეუმებში
თავმოყრილ არქეოლოგიურ მასალებს. 1941 წელს
წინ გამოაქვეყნა ფოტოს მუზეუმში დაცული ჩხო-
როწყუში შემთხვევით აღმოჩენილი კრემპიკული
სამარხები და იქვე მის მიერ ჩატარებული არქეო-
ლოგიური დაზვერვებით მოპოვებული მასალები.²

იღბალი მასალები მოიპოვა ნინო ხოშტარამ
დასავლეთ საქართველოში ძველი ნაოსახლარების
დაზვერვებით. ასეთ დაზვერვებში ის 1938 წლიდან
მონაწილეობდა ჯერ ა. იესენის ხელმძღვანელობით
(კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია), ხოლო
შემდეგ დამოუკიდებლად. ამ სამუშაოთა შედეგად
დაწერა რამდენიმე გამოკვლევა დიზავუტობას სა-
მოსახლოზე, ყუღუბის არქეოლოგიურ კვლევა-
ძიებაზე³ და კოლხეთის დაბლობის ძველ მოსახ-
ლობათა შესწავლის პრობლემებზე⁴, სადაც შემ-
დეგი დასკვნებითაა გამოტანილი:

1. კოლხეთში უძველესი დროიდან მოსახ-
ლობები ფართოდ ყოფილა გავრცელებული რო-
გორც დაბლობზე. ისე შიშთან პერიფერიაში.

2. დაბლობში ძველი მოსახლეობა თავის სა-
ცხოვრებლად ხელოვნურ ბორცვებს აგებდა და ეს
ბორცვები — მოსახლობები განიციდინდნენ უწყვეტ
განეთიარებას ძვ. წ. III ათასწლიდან ახ. წ. პირ-
ველ საუკუნეებამდე.

² Н. В. Хостариа. Чхороцку, могильник с
трупокожежем (захоронение в урнах) и остатк
поселения, Археологические разведки. Мასალები საქარ-
ველისა და კავკასიის ისტორიისათვის. 1941. ნაკვ. II.

³ Н. В. Хостариа. Диха-Гулазба, древнее по-
селение в Колхидском низменности.

⁴ Нинო Хостариа. Археологические иссле-
дования в сел. Кулеви, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბ. ტ.
VII, № 1—2, 1946.

⁵ ნ. ხოშტარია. კოლხეთის დაბლობის ძველი მო-
სახლობანი და მათი შესწავლის პრობლემა. საქ. სსრ მეც.
აკად. მოამბ. ტ. VI, № 6, 1945.

3. ხელოვნური ბორცვები კოლხეთის დაბლობში აშკარად მეტწილად დაძირულია მიწის ზედაპირიდან 3-5 მ სიღრმეზე, რაც უშთავრესად დაბლობის უწყვეტი დაძირვით უნდა აიხსნებოდეს.

4. ძველ მოსახლობებს კოლხეთის დაბლობში ახასიათებდა თავისებურება, რაც დამოკიდებულია ვრუნტების სუბსტრატზე, რომელზედაც ვითარდებოდა ადამიანის ცხოვრება (სუსტპაობიან თუ მყარ გრუნტებზე).

5. კოლხეთის ძველ მოსახლობის არსებობის გრძელი პერიოდის განმავლობაში ადამიანს უხდებოდა ანჯარიზის გაწევა იმისათვის, თუ რა გრუნტების სუბსტრატზე იყო მოსახლობა განლაგებული. ზემოაღნიშნულის გამო, კოლხეთის ძველ მოსახლობათა შეწვავლის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება კოლხეთის მეოთხეულის გეოლოგიისა და გრუნტების შესწავლას.

მდინარე ხობის აუზში მიკვლეული ძველი მოსახლობების შესახებ ნინო ხოშტარია მოხსენებს კიბუხლოს არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში, ამ მოხსენების მოკლე შინაარსი ქვეყნდება 1948 წელს⁸, თვითონ მოხსენება კი 1949 წელს⁹.

კოლხეთის უძველესი და ანტიკური ხანის მოსახლობები შემდეგ ხანებშიც არ გამოსულა ნინო ხოშტარიას ცვლელის არედან, თუმცა, 1947 წლიდან მის მუშაობაში ძირითად ადგილს ეწიას არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა იჭერს. ვანის ნაქალაქარს იგი აღარც იცნობდა, 1936 წელს მონაწილეობდა მის დახვეწვაში, 1947 წელს კი ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით ვანში გათხრებს იწყება ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია.

ვანის ექსპედიციის პირველი წლის მუშაობის შედეგები 1949 წელს გამოქვეყნდა¹⁰. ამ ნაშრომში ნინო ხოშტარიამ თავი მოუყარა ყველა ცნობას, რაც კი არსებობდა მანამდე ვანის სიძველეებზე დაწეული 1848 წლიდან, როდესაც მარი ბროსე თავის ნაშრომში პირველად ახსენა ვანში აღმოჩენილი თიხის ბიუსტი. ნინო ხოშტარიას მოჰყავს ვრცელი ამონაწერი გახუთ „დრეიბაში“ მოთავსებული სხვიტორელის წერილიდან და სათანადოდ აღნიშნავს ექვთიმე თაყაიშვილის ლეაქლს ვანის

სიძველეთა შესწავლაში, აღწესსავს, აგრეთვე, იმ ნივთებს. რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა ვანიდან სხვადასხვა დროს.

გათხრების პირველივე წელმა მეტად საინტერესო შედეგები მოუტანა მეცნიერებს. ამ წელს ნაქალაქარის სხვა ნაშთებთან ერთად სამი სამარხიც აღმოჩნდა, რომელთა შესახებაც საუბარია ნაშრომში. თიხის ორ ქუტუკლში დაკრძალული ძალი და მამაკაცი, ნინო ხოშტარიას ვარაუდით, კელტის მსახურები უნდა იყვნენ, ხოლო მათ შორის მამაკაცის რკინის ფიგურის დასაფლავებით რაღაც რიტუალთა შესრულებული. ეს სამარხები ავტორმა ძე. ე. III საუკუნით დაათარი.

საველე სამუშაოების პარალელურად ნინო ხოშტარია განაგრძობდა მატერიალური კულტურის ცალკეულ ძეგლთა შესწავლას. მან საინტერესო გამოკვლევა უძღვნა კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო იარაღს¹¹ (ე. წ. სემენტივის იარაღი) და იგი ტყე-სავან ნახევარ-საოლქისთვის გასანაოვიდუმეგელი ადგილების დასამუშავებელ თიხად განსაზღვრა.

ნინო ხოშტარიას აინტერესებდა კოლხეთის სანაპიროს გეოლოგიური წარსულიც, აღსანიშნავია მისი გამოკვლევა პალიოსტომის ტბაზე, რომელიც ეურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში“ გამოქვეყნდა 1953 წელს¹².

1949—1950 წლებში ნინო ხოშტარია არქეოლოგიური სამუშაოებს ატარებს ურეკში, ამ კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მეკლევარის დასკვნა, რომ ქსოვილიანი ჭერამიკა, რომელიც ესოლდე დამახასიათებელია ვანი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროსათვის, გამოიყენებოდა ქვიშებიდან მანგნეტის მოსაპოვებლად, ამგვარად მტკიცდება ფსევდო არისტოტელეს ცნობა, რომ ხალიბებისად და ამისოს რკინა მიიღებოდა მდინარეებით ჩამოტანილი ქვიშიდან¹³.

1959 წელს გამოიკა საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელო, სადაც დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ პარაგრაფი ნინო ხოშტარიამ დაწერა¹⁴.

⁸ ВДИ, 1948, № 3, ст. 177.

⁹ Дрепше поселение в бассейне р. Хобии, Краткие сообщения ИИМК АН СССР, XXIV, 1949.

¹⁰ ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს, „მომზობილება“, № 1, 1949.

¹¹ Н. В. Хостария. Археологическое исследование Уреки, Заслуженный науч. и выс. археологический сотрудник, Тбилиси, 1955.

¹² ნ. ხოშტარია, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, თავი IV, § 11, თბილისი, 1959.

⁸ ВДИ, 1948, № 3, ст. 177.

⁹ Дрепше поселение в бассейне р. Хобии, Краткие сообщения ИИМК АН СССР, XXIV, 1949.

¹⁰ ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს, „მომზობილება“, № 1, 1949.

НИНО ВИССАРИОНОВНА ХОШТАРИА

(1901—1969 гг.)

Н. В. Хоштариа — первая женщина-археолог в Грузии — была одна из основоположников грузинской археологии. Особые ее заслуги надо отметить в изучении материальной культуры Колхиды античного и более раннего периодов. Результат ее самоотверженного и бескорыстного труда лежит в основе сегодняшних достижений изучения прошлого Грузии.

Нино Виссариевна Хоштариа родилась в г. Сочи в 1901 г. Здесь же окончила пятилетнее учебное заведение, а в 1918 г. — Сухумскую гимназию. В том же году поступила в Тбилисский политехнический институт на экономический факультет, который окончила в 1924 г. В 1926 г. получила диплом кандидата экономических наук. С 1920 г. работала статистиком и статистиком-экономистом в Центральном статистическом комитете и Центральном статистическом управлении, затем, в Плановой комиссии и Народной хозяйственной комиссарате (1929—1936 гг.).

1 апреля 1936 г. после вступительных экзаменов была зачислена в аспирантуру Института языка, истории и материальной культуры филиала Академии наук СССР и тогда же активно включилась в археологические работы института — приняла участие в двух кампаниях экспедиции в Даблагоми.

9 июня 1941 г. Н. В. Хоштариа защитила кандидатскую диссертацию на тему: «Древнее поселение в Даблагоми»¹, которая представляет большой интерес, но, к сожалению, не была опубликована своевременно.

Древности Даблагоми стали известны в 1929 г., когда Н. А. Бердзенишвили привез в Гос. музей Грузии случайно обнаруженные 109 колхидских монет, серебряную пиаалу с

мелкими золотыми и серебряными предметами. Небольшие раскопки провел в Даблагоми С. Макалатия. Обнаруженный им материал также хранится в Гос. музее Грузии. В июле 1936 г. по инициативе Н. А. Бердзенишвили была создана экспедиция под руководством Б. М. Куфтина, в которой участвовала Н. В. Хоштариа. Экспедиция работала семь дней, а в октябре того же года она проработала 26 дней. Из-за болезни Б. М. Куфтина полевые работы фактически были проведены Н. В. Хоштариа. Экспедиция раскопала 35 кувшинных погребений и обнаружила культурные слои начала II тысячелетия и II—I тысячелетий до н. э. Этот материал изучен в диссертационной работе Н. В. Хоштариа. Древние культурные слои, представленные в основном керамикой, описаны и датированы при ведении соответствующих параллелей. Особое внимание уделяется глиняным «рожкам», которые автор связывает с культом быка. Как известно, позже проф. И. В. Бардавелидзе подтвердила их культовое назначение.

Комплекс 35 кувшинных захоронений описан полностью и подробно. В результате изучения инвентаря выделены 3 хронологические группы: Хотя в общей датировке Даблагомского могильника внесена поправка (VI—III в. в. до н. э. заменены IV—III в. в. до н. э.), сравнительная хронология и сегодня остается в силе.

Подробно изучены керамика и металлические украшения, предметы, связанные с культом; орудия труда и оружие. Автор особое внимание уделяет технологии производства керамики, используя этнографический материал и выводы ботаников, выясняет, что обработка поверхности колхидских сосудов осуществлялась инструментом, изготовленным из древесины сосны; дает описание орнамента и изучает знаки на погребальных сосудах, выделяя сравнительно древние и более

¹ Н. В. Хоштариа. Древнее поселение в Даблагоми. Тезисы к диссертационной работе, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси, 1941 г.

поздние среди них и, приводя соответствующие доказательства, высказывает предположение, что они не являются знаками одного ремесленника или отдельного рода.

В труде изучены остатки тканей, которые представлены в материалах Даблагоми лоскутами вместе с монетным кладом и отпечатками на керамике.

В металлических браслетах, найденных а погребениях, выделены 3 группы: ранняя — с углошной спишкой; средняя — с вогнутой спишкой и группа с утолщением в виде бу-сипок, датируемая III в. до н. э.

Отдельно рассмотрены импортная керамика. Выделены амфоры из Синопа, Фасоса, Родоса, а также черпалоковая керамика из Аттики и Ионии. Выказано предположение о торговых связях о доставке оливкового масла из Синопа, высококачественных вин из Родоса и Фасоса и т. д.

Автор особое внимание уделяет монетам — «коллидкам». Материалы Даблагоми дали возможность датировать «коллидки» и это впервые представлено в кандидатской диссертации Н. В. Хоштариа.

Она тщательно изучала археологический материал музеев Западной Грузии. В частности, материалы Чхороцкойского могильника (Потийский музей) опубликованы в 1941 г.²

Н. В. Хоштариа собрала большой археологический материал при разведках древних поселений Западной Грузии, в начале под руководством А. Иессена (Колхидская археологическая экспедиция), затем самостоятельно. В результате этих работ были опубликованы исследования о поселениях Диха-Гудзубы³, села Кулеви⁴. В работе о проблемах изучения древнего поселения низменности Колхиды⁵ были даны следующие заключения:

² Н. В. Хоштариа. Чхороцку, Могильник с трупопожжением (захоронение в урнах) и остатки поселений. Археологические разведки. Материалы для истории Кавказа и Грузии 1941 г. отд. II.

³ Н. В. Хоштариа. Диха-Гудзуба, Древнее поселение в Колхидской низменности, Вестник Академии наук Груз. ССР, т. V, № 2, 1944 г.

⁴ Н. В. Хоштариа. Археологические исследования в селе Кулеви. Вестник Академии наук ГССР, т. VII, № 1—2, 1946 г.

⁵ Н. В. Хоштариа. Древнее поселение низменности Колхиды и проблема их изучения. Вестник Акад. наук ГССР, т. VI, № 6, 1945 г. (на груз. яз.).

1. Поселения в Колхиде издревле были распространены как на низменных, так и в горных районах.

2. Древнее население низменности соорудило искусственные холмы для жилища с III тыс. до н. э. по I в. до н. э.

3. Искусственные холмы на низменностях Колхиды в настоящее время погружены от поверхности земли на 3—5 м, что объясняется в основном непрерывным погружением самой низменности.

4. Древнее поселение низменности Колхиды характеризуется своеобразием, что зависит от грунтового субстрата, на котором развивалась жизнь человека (слабо заболоченный или твердый грунт).

5. За долгий период существования древнего населения Колхиды человек должен был приспосабливаться к грунтовому субстрату, на котором располагалось поселение, поэтому история поселения тесно связана с изучением четвертичной геологии и грунтов Колхиды.

В Ленинградском отделе Института археологии АН СССР Н. В. Хоштариа читает доклад о древнем поселении бассейна р. Хопс. Краткое содержание доклада публикуется в 1948 г.⁶ и в 1949 г.⁷

II. В. Хоштариа не прекращает исследования поселений Колхиды древнейших и античного времени, хотя с 1947 г. в ее работе основное место занимает изучение археологических памятников с. Вани. Она ранее была знакома с Ванским городищем (археологические разведки 1936 года).

В 1947 г. начались планомерные раскопки Вани археологической экспедицией Института истории под ее руководством.

Результаты работ первой кампании экспедиции были опубликованы в 1949 г.⁸ В этом труде Н. В. Хоштариа собрала все существующие тогда сведения о Вани, начиная с 1848 г., когда М. Броссе впервые упомянул об обнаруженном здесь глиняном бюсте; привела обширную запись из письма Схвиторели (газета «Дробэз»), заслуженно отметила вклад Э. С. Таканшвили в изучения древностей Вани и описала предметы поступившие из Вани в разное время в музей Грузии.

⁶ ВДП, 1948 г. № 3, стр. 177.

⁷ Краткие сообщения, ИИМК АН СССР, XXIV, 1949 г., стр. 11 и сл.

⁸ II. В. Хоштариа. Археологические раскопки с. Вани 1947 г.; «Мшномхилели», № 1, 1949 (на груз. яз.).

Первый же год раскопок принес интересные результаты. Вместе с остатками городища были обнаружены 3 погребения. В двух глиняных сосудах были захоронены женщина и мужчина, а между ними железная фигура человека. По предположениям Н. В. Хоштариа, это, видимо, служители культа, а железная фигура мужчины, погребенная между ними — исполнение какого-то ритуала. Этот погребальный комплекс автор датирует III в. до н. э.

Наряду с полевыми работами Н. В. Хоштариа продолжала изучать отдельные памятники материальной культуры. Она опубликовала интересное исследование о характерных сельскохозяйственных орудиях Колхидской культуры⁹, предполагая, что при сельском хозяйстве Колхиды подсеченного типа для первоначальной обработки использовались «цалди» (лесной топор), а затем для перекапывания золы — орудия, так называемого, сегментного типа — мотыжки.

В 1949—1950 гг. Н. В. Хоштариа проводила раскопки в Уреки. Значительным результатом экспедиции было заключение, что текстильная керамика, характерная для причерноморской полосы Грузии, применялась при добычании магнетита из песка. Таким образом, устанавливается достоверность сведения Псевдо-Аристотеля о получении халибского и амисского железа из песка, нанесенного рекой¹⁰.

В 1959 г. был издан учебник по археологии Грузии, в котором Н. В. Хоштариа написала параграф о археологических памятниках Западной Грузии античной эпохи¹¹. Здесь впервые опубликованы материалы античного поселения Кобулет-Пичвнари, которую изучала археологическая экспедиция под ее руководством в 1953 и 1956 гг. Н. В. Хоштариа считает, что в VI—IV вв. до н. э. Кобулет-Пичвнари было поселением городского типа, которое имело торгово-экономические и культурные взаимоотношения с античным миром.

Продолжалось изучение Ванского городища и накапливались новые факты об этом древнем городе. В 1959 г. Н. В. Хоштариа

публикует статью об археологических исследованиях 1952 г. в Ване и его окрестностях¹², в котором впервые описывается погребальный комплекс раннеантичной эпохи села Мтсхедзир.

Ежегодно Н. В. Хоштариа читает доклады, как в Тбилиси, так и на всесоюзных сессиях, о результатах проведенных ею полевых работах в Ване.

Особое значение имело открытие в 1961 г. богатого ранне-античного погребения. Доклад об этих открытиях в Тбилиси, а затем в Москве, вызвал огромный интерес специалистов. Стало ясно особое значение древностей Вани.

Предварительно этот комплекс был опубликован в 1962 г.¹³ более подробно в 1972 г.¹⁴.

Н. В. Хоштариа с большим вниманием относилась к археологическим памятникам из Грузии, хранящихся в различных музеях. Она посвятила монографическое исследование одному позднеантичному комплексу Эрмитажа, происхождение которого из Цихидзир доказала в результате исследования архивного материала¹⁵.

Основным предметом ее исследований все-таки было Ванское городище и до конца своей жизни, прикованная тяжелой болезнью к постели, она не теряла интерес к новым открытиям в Ване.

30 лет своей жизни Н. В. Хоштариа посвятила изучению грузинской археологии и результаты бескорыстного труда оставила будущему поколению. Свою библиотеку, содержащую множество с большой любовью и глубоким знанием подобранных книг, она подарила Институту истории.

Вместе с научными трудами она оставила нам светлую память о себе как о человеке, влюбленном в свое дело, целеустремленном исследователе, который всегда будет примером для будущих поколений археологов.

¹² Н. В. Хоштариа. Археологические исследования в Ване и в Ванском районе. Материалы по археологии Грузии и Кавказа, т. II, 1959.

¹³ Н. В. Хоштариа. Археологические раскопки в Ване, Кавказско-Ближневосточный сборник, II, Тбилиси, 1962, стр. 64—80.

¹⁴ Н. В. Хоштариа. Р. Путурндзе, А. Чкониа. Результаты археологических раскопок, проводимых в 1961—1963 гг. в северо-восточной части Ванского городища. Сборник «Ван I», Тбилиси, 1972.

¹⁵ Н. В. Хоштариа. Цихидзир в первом веке э., Тбилиси, 1962. (на груз. яз.).

ვანის ნაქალაქარო

გაზრბები, ისტორია, პრობლემები
(წერილი შერე)

0,1.1972 წელს კრებულში „ვანი I“ გამოქვეყნებულ წერილში „ვანის ნაქალაქარი“ ჩვენ შევეცადეთ 1947—1969 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე განვესაზღვრა ვანის ძველი ქალაქის ისტორიის ძირითადი ეტაპები, მოგვეცა უშთაერესი არქეოლოგიური ძეგლების (ხუროთმოძღვრება, ოქრომქედლობა, ტორეტიკა, კერამიკა) ქრონოლოგია, მხატვრულ-ტიპოლოგიური ანალიზი... მას შემდეგ (1970—1975 წწ.) ვანსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე („ვანის ქვეყანა“) კელაე გრძელდება ფართო საეკლ-არქეოლოგიური ეკლევადიება, აღმოჩენილი ახალი არქეოლოგიური ძეგლები, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა; კერძოდ: ვ ა ნ ი ს ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი ს ა ქვედატერასაზე — კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოსავლეთი ნაწილისა და ძველი ქალაქის ჩრდ.-აღმოსავლეთი სასიმაგრო სისტემის ახალი კომპონენტები: ვალენის ეკლესიის ორი რიგი, კომპლექსი და სამხედრო-თავდაცვითი დანიშნულების სხვ. ნაგებობანი (1970—1971 წწ.), ხოლო ამ კომპლექსიდან ასიოდე მეტრის დაცილებით გამოვლენილია და ამჟამად მიმდინარეობს არქეოლოგიური შესწავლა ძვ. წ. III—I საუკუნეების საკმაოდ გრანდიოზული სატაძრო-საკულტო ნაგებობათა კომპლექსისა (სამსხვერპლო მოედანი, „სკეტების დარბაზი“, საზეღაშე შეწირულობათათვის განკუთვნილი სათაფსო, ხუთსაფეხურიანი სამსხვერპლო, კოშკისებური ნაგებობა...); ბ) ცენტ-

რალურ ტერასაზე: 1970—1971 წლებში გაითხარა ძვ. წ. III—I სს-ის ორ იარუსად განლაგებული საზოგადოებრივი და საეკლტო დანიშნულების ნაგებობანი, ძვ. წ. V—IV სს-ის ქვისა და ხის ნაგებობათა ნაშთები, ხოლო მომდევნო წლებში — ელინისტური ხანის სარიტუალო არხები და მოედნები, ძვ. წ. IV—III სს-ის დაბურული კომპლექსი, აღრე- და წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები. გ) ზედა ტერასაზე — ბორცვის წერტილზე აღმოჩენილია: ძვ. წ. V—IV სს. ხის ნაგებობანი და კულტურული ფენები, ძვ. წ. IV—III სს-ის სამარხები, ძვ. წ. III—I სს-ის სასიმაგრო ნაგებობანი და კულტურული ფენები².

უქანასტელ წლებში ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია ახორციელებს აგრეთვე ძველი ქალაქის ირგვლივ მდებარე სასოფლო ტერიტორიის („ვანის ქვეყნის“) გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას, რომლის უშთაერესი მიზანია, ერთი მხრივ, არქეოლოგიური რუკის შედგენა, „ქვეყნის“ ისტორიულ-კულტურული განვითარების უშთაერესი ეტაპების დადგენა, მეორე მხრივ, ვანის ძველი ქალაქის გავლენის ზონის (ე. წ. ურბანიზირებული ტერიტორიის) განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით მიმ-

² ვანის ნაქალაქარზე 1970—1971 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური ეკლევადიების შესახებ დაწერ. ოს. კრებულში: ვანი II (არქეოლოგიური გათხრები), თბილისი, 1975 (ოთ. ლორთქიფანიძის რედაქციით), გვ. 7—31; აგრეთვე ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები 1970 წელს, „მატენ“, ისტორიის... სერია, 1971, № 1, გვ. 175—177; 1971—1975 წლებში ჩატარებულ სამუშაოების წინასწარი ანგარიშები ოს. კრებულში „საეკლ-არქეოლოგიური ეკლევადიება“ 1972 წელს, გვ. 65—69; 1973 წელს, გვ. 45—52; 1974 წელს, გვ. 41—46, AO № 1975 r, გვ. 467—468.

¹ ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი I (არქეოლოგიური გათხრები 1947—1969 წწ.), თბილისი, 1972, გვ. 7—42.

დინარობს არქეოლოგიური სამუშაოები ციხესუ-
ლორის ნაციხარზე (სადაც საშუალო საუკუნეების
ნაციხართან ერთად აღმოჩენილია ელნისტური
და ადრეანტიკური პერიოდის სამშენებლო ნაშთე-
ბი და ეკრანია). დაბა ვანის დაბლობ ნაწილში —
საყანჩის ველზე (ელნისტური ხანის ნაქალაქარი),
სოფ. შთისძირში (ანტიკური და ადრესაშუალო
საუკუნეების ნაგებობანი და კულტურული ფენე-
ბი). დაბლაიომბა და დაფნარში (წინარეანტიკური,
ადრეანტიკური და ელნისტური ხანის ნამოსახლარ-
ები და სამაროვნები).

ახლადამოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები
არა მხოლოდ ახსენებენ ან კიდევ ზოგიერთ შემ-
თხვეუაში რამდენიმე ცვლიან კიდევაც უკვე გა-
მოთქმულ დებულებებს თუ მოსაზრებებს, არამედ
ადრე მოპოვებულ მასალებთან ერთად ქნანა მტ-
დელ მნიშვნელოვან წყაროს საერთოდ საქართვე-
ლის ძველი ისტორიის მთელი რიგი საკვანძო
პრობლემების კვლევისათვის. ვანის ნაქალაქარზე
მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების ამ თვალ-
საზრბით ინტერპრეტაციის ცდას ისახავს მიზნად
სწორედ წინამდებარე წერილი. ამას გარდა, უკა-
ნასყელ წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრო-
მი, რომლებშიც განხილულია ვანის ძველი ისტო-
რიისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ახლე-
ბურად და საინტერესოდ და დასმული რიგი პრობ-
ლემებისა, რომელთა შესახებ დამოკიდებულება-
საც აგრეთვე ნაწილობრივ მიიღო გამოთქვამთ ამ
წერილში.

1.1. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი უძველე-
სი მასალა ჩერკრობით კვლავინდებურად ფრაგ-
მენტულია და ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თა-
რილდება (ეპირატესად ესაა კერამიკა და ჩერკ-
რობით ერთდერთი ბრინჯაოს ისრისპირა)³. სა-
განგებო ინტერესს იწვევს 1975 წელს ცენტრა-
ლურ ტერასაზე აღმოჩენილი ვერტიკალურად
მდგარი კვის ფილაბით შედგენილი „საკულტო კე-
რამი“, რომლის შიგნითა და ირგვლივ ნაპოვანია სა-

განგებოდ ჩალწილი საკმაოდ დიდი რაოდენობით
თისის კუბელები (კოთხეები, დერგები), უპირატე-
სად ძვ. წ. VII—VI საუკუნეებისა. მაინც ეს მასა-
ლები ჩერკ კიდევ არაა საკმარისი ამ ხანის სამოსახ-
ლის ტიპის და ფუნქციის განსასაზღვრავად.

საკუთრივ ქალაქობის პერიოდში ჩვენ ადრე
ორ ეტაპს გამოვყოფდით და პირველს ძვ. წ. VI—
IV საუკუნეებით ვათარილებდით, ხოლო მეორეს —
ძვ. წ. III დასაწყისიდან ძვ. წ. I ს-ის შუა ხანე-
ბამდე⁴. ამჭერად, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ვა-
ნის ძველი ქალაქის განვითარების ქრონოლოგიუ-
რი ეტაპების კიდევ უფრო დანაწევრება; კერძოდ,
როგორც კვეთილ დავინახათ, პირველი ეტაპის ძვ.
წ. VI—V სს და IV საუკუნის პირველი ნახევრით
შემოთარგვლა. ცალკე საფეხურად უნდა გამოი-
ყოს, როგორც ჩანს, ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევა-
რი — III ს-ის დასაწყისი, და ბოლის ძვ. წ. III—
I სს.

1,2. ქალაქის ისტორიის პირველი ეტაპი (ძვ. წ.
VI—V სს და IV ს-ის პირველი ნახევარი) ვანის ნა-
ქალაქარზე წარმოდგენილია მდიდრული სამარხე-
ბით (№№ 6—8, 11), კულტურული ფენებითა და
1973—74 წწ. აღმოჩენილი ხით ნაგები საკულტო
შენობისა და აგრეთვე კლდობად დღესამაშში ამოკ-
ვეთილი საირტუალო ნაშთებით⁵. „ვანი I“—ში გა-
მოქვეყნებულ წერილში ჩვენ გამოთქვით მოსაზ-
რება: „ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ. წ. VI—
IV სს-ის მდიდრული სამარხები მოწმობენ, რომ
ამ დროს ეს ბორცვი ადგილობრივი ზედაფენის
(საგვარეულო არისტოკრატიის) ადგილსამყოფე-
ლია და კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნე-
ლოვანეს პოლიტიკურ (და აგრეთვე ეკონომიურ)
ცენტრს წარმოადგენს“⁶. ამჟამად, სამარხული ინ-
ვენტარის შემდგომი დეტალური (და პირველ რიგ-
ში შედარებით) შესწავლის, აქ აღმოჩენილი ნივ-
თების სოციოლოგიური ატრიბუციისა და აგრეთ-
ვე ახლადამოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების

³ დაწერლებით იხ. მ. შიფიშვილი. ციხესულორის
ნაციხარის ობიის შედეგები, (ვანი II, გვ. 32 და შემდ.),
ვ. თორღ და ე. ა. არქეოლოგიური ვახიბები დალა-
გოში, ვანი II, გვ. 48 და შემდ.; ვ. თორღ და ე. ა.
შიფიშვილი. სამარხი დაბლაიომბან, ვანი II, გვ. 68 და
შემდ., H. Ш. Киргурадзе. Памятники и материалы, Тбилиси,
1976; საქ 1975 წელს, გვ. 45—46; იხ. აგრეთვე ამავე კრე-
ბულში მ. შიფიშვილი, ვ. თორღრდასი, ვ. ლიხეისა და
კ. ვაშაყვანიძის წერილები.

⁴ საქ 1973 წელს, გვ.

⁵ საინვენტარია, რომ მომდევნო პერიოდში (ძვ. წ.
IV ს. შესამე მეთხედში) იქვე ახლოს იქნა დაკრძალული
წარჩინებული კოლხი მეომარი (ვანი I, გვ. 202 და შემდ.),
ხოლო IV—III საუკუნეებში კი აღმართული იქნა თეთრი
ქვით ნაგები საკურობე.

⁶ იხ. თ. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარ...
გვ. 8 (შტრ. აგრეთვე შენიშვნა 3), გვ. 25.

⁷ იხ. საქ 1973 წელს, გვ. 49—50, ტბ. XI; 1974
წელს — გვ. 43—44, ტბ. XXVIII—XXIX.

⁸ იხ. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარ...
გვ. 25.

საფუძვლზე, გვაქვს შესაძლებლობა ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს შემდგომი განვითარებისა და ამ დროს ვანის საშოსახლოს ფუნქციის თუ კოლხეთის ერთიან სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრისა.

ამ თვალსაზრისით უნდა აღვნიშნავთ იქცევის სტრატეგიის ცნობა (XI, 2,18): „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (ე. ი. კოლხეთი — ო. ლ.) ცხადყოფენ ამას მითხები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის დაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქუსის (ლაშქრობაზე). ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაუყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ხელისუფლება“⁸.

ჩვენ ვიზიარებთ მ. იმასის მოსაზრებას, რომ სტრატონის ცნობა აიგობს მემკვიდრე მეფეების მიერ კოლხეთის „სკეპტუხიებად“ დაყოფის შესახებ გულისხმობს ქვეყნის დანაწილებას გარკვეულ ტერიტორიულ-საგამგეო ერთეულებად, რაც უნდა იყოფილიყო შემდეგ სამეფო ხელისუფლების აღმონისტრაციული ღონისძიებასა და მიზნად ისახავდა ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწესრიგებას¹⁰.

სტრატონის ცნობაში სკეპტუხიებად დანაწილება არგონავთა ლაშქრობისა და, შესაბამისად, აიგობს მემკვიდრე მეფეების ღონისძიებადაა მიჩნეული. ამიტომ მართებელი ჩანს მ. იმასის მოსაზრება, რომლის თანახმადაც სკეპტუხიებად დაყოფა განხორციელდა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე, ხოლო სტრატონის ცნობა უნდა გავიხილოთ, როგორც მოწმობა სამეფოს მართვაში გარკვეული პოლიტიკური ცენტრალიზაციისა, თუცე სხვა მკვლევარები იმ აზრისა არიან, რომ სკეპტუხიებად დაყოფა გვიანდელი (ძვ. წ. II სს.) მოუვლანაა, ხოლო სტრატონის ცნობაში ასახულია თითქმის მეფის ხელისუფლების შეზღუდვა-სისუსტე და ცალკეული ოლქების გამგებელთა დამოუკიდებლობის აღიარება¹¹. როგორც არ

უნდა გადწეულად სტრატონის ამ ძალზე საინტერესო და მრავალმხრივ საყურარებლო ცნობის ინტერპრეტაციის საკითხი, ის მაინც საეჭვოა, რომ იტ კაქე-ე ხეხეა კოლხეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაწილებას¹², ე. ი. სახელმწიფოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს მისი ფორმირების ადრინდელ ეტაპზე¹³.

სტრატონის ცნობის საფუძველზე სიმ. ქანაშია ეარაუდობდა, რომ სკეპტუხისა წარმოადგენდა ტერიტორიულ-სატომო ორგანიზაციას, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა¹⁴.

К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970, стр. 13: „...сведения Страбона восходят к середине II в. до. н. э., когда Колхида была раздроблена на отдельные полуавтономные провинции—скептухи“.

12 სიმ. ქანაშია შენიშნავდა „...შესაძლოა აქ პირდაპირ აღმინისტრაციული დაყოფა იგულისხმებოდეს...“ (სიმ. ქანაშია. ფეოდალური უნტიკარიზმის წარმოშობისათვის საქართველოში, „შრომები“, II, თბ., 1952, გვ. 156—157). თუმცე სხვა ნაშრომში აღნიშნული აქვს, რომ „...სკეპტუხიებად დაყოფა ნიშნავს არა ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ დანაწილებას (სხვა დანაწილება არ შეიძლება ვაპირაყოფო მეფეთა დასტულების მიზნით), არამედ მონაწიფეს უნტრარეული ხელისუფლების დაქვემდებარება და დაქვემდებარება სკეპტუხის ფუნქციონირებისა. სტრატონის ცნობა უნდა მიუთითებდეს კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებაზე“ („შრომები“, I, გვ. 210).

13 შტრ. ძველ ბერძენულ ტრადიციას კლასიკურს მიერ ატიკის ტერიტორიულ ფილებად არ ჩიზნულ ტრადიციის სხვათა ტრელებს მიერ რომის ტერიტორიულ ტრელებად დაყოფის შესახებ. ანალოგიური ძველ ქართული ტრადიციული შემინახულია აგრეთვე ღვთინი შროველის ცნობებში ჰართლის (იბერიის) პირველი მეფის — ფარნავაზის მიერ ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად — ხაერისთაუებად დაყოფის შესახებ: იმ. ღ. ო. რ. თ. ე. ა. ნ. 5 ნ. 5 ძ. ე. ანტიკური სამყარო და ჰართლის სამეფო, თბილისი, 1968, გვ. 20 და შემდეგ.

14 ჩვენს ისტორიოგრაფიაში თითქმის დამკვიდრებულა აზრი, რომ ძვ. წ. VI—IV სსს კოლხეთის სამეფო ცალკეულ ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა: სახელმწიფო ხელისუფლებასა და მმართველობის ორგანიზებისაში დამორჩილების ვადის ქვეშ ტომობრივი სტრუქტურისა და ორგანიზაციის შენარჩუნება კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ არსებით ნიშანდაა მიჩნეული. ამ დებულების საფუძვლად იგულისხმავს ჩვეულებრივ მიუთითებენ ტომობრივი ორგანიზაციის ცხოველყოფილობისა და ცალკეულ ტომის მეთაურთა პოლიტიკური დამოუკიდებლობისაგან მისწრაფების ძლიერ ტენდენციებზე. რაც თვალსაჩინოდ გამოიღწეა რომის ექვანასისის ჰერიოდოტე, როგორც კოლხეთის კოლხური ტომები და მათი მკვლევარი აქტივიზის ასრულებდნენ რომელ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ურთიერთობაში. ამ მხრივ ნიშანდობლივადაა მიჩნეული არა-

⁸ თ. ყ. უ. ხ. ი. ო. ლ. სტრატონის „ავგარათა“, თბილისი, 1957, გვ. 24.

⁹ ბერძნული ტერმინი „სკეპტუხი“ (σκηπτουχοι, -οι) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სკიპტორის მპარობელ“; „გამაბებელს“ იმ. Δ. Δουκισσοπουλου. Μύθεα ζελεῖται τῆς ἑλληνιστικῆς γλώσσης, τ. 8. „Μητριά“, 1952, გვ. 656-1. ამ ტერმინის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესახებ კოლხეთის მიზნის დარწმ. იმ. 2. ი. ნ. 5 ძ. ე. კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიების საკითხისათვის, სმპ, XXVI, № 3, 1961, გვ. 783—789 (იქვე დასახ. ლიტ.).

¹¹ დარწმ. იმ. 2. ი. ნ. 5 ძ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 788—789 (იქვე, დასახ. ლიტ.) შტრ. Г. А. Лордкипаниძე.

სკეპტუხია, ჩვენი აზრით. ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულია (სხვე როგორც ქართლში ფარნავაზის მიერ დაწესებული საერისთავოები). რომელსაც საფუძვლად ისტორიულად ჩამოყალიბებული ფიზიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნი დაედო საფუძვლად¹⁵. მის სათავეშიც უფრო ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატის წარმომადგენელი იდგა, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და მით სამეფო მოხელედ აქცია. სკეპტუხი, ამრიგად, ერთ-ერთი საფეხურია ქვეყნის მართვის იერარქიულ სისტემაში, რომლის

უმაღლეს საფეხურზე იდგა კოლხთა მეფე¹⁶. ჩვენი აზრით, კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (სტრაბონის სეული გამოქმნით, სკეპტუხის) ცენტრი ძვ. წ. VI—IV სს-ში ძველი ვანია იყო.

1,3. ადგილობრივი გვიარეული არისტოკრატის აღჭურვა ადმინისტრაციული უფლებებით წამნდა მტკიცე საუფლებო სიოიკალით განცალკევებისა და კოლხ წარჩინებულთა კიდევ უფრო გამდიდრებისათვის, რამდენადაც სამეფო ხელისუფლებამ მიერ ბოძებულ ახალ ფუნქციას მოჰქონდა ახალი შემოსავალი ხარკის სახით, რომელიც განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, არამედ ოქროს, ვერცხლისა თუ სხვა ძვირფასი ნივთების სახით, რაც თვალსაჩინოდაა ასახული სწორედ ვანის არქეოლოგიურ მონაპოვში.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო იქცეულ ძვ. წ. IV და IV სს-ის პირველი ნახევრის სამარხული ინვენტარის არაჩვეულებრივი სიმდიდრე. ძვ. წ. V სს-ის შუახანებით დათარიღებულ წარჩინებულ კოლხთა ქალის სამარხში (№ 11), როგორც ცნობილია¹⁷, ნაპოვნია: ცხოველთა ბროზის კუდურე გამოსახულებებით მორთული ოქროს დიადემა, ასევე ოქროს სხივანა სასაფუთქლები და ქვირუბლურთულიანი საყურეები, ორი წყვილი სამაჭური (ტახისა და ვერის თავის სეკულტურული გამოსახულებებით დამშვენებული), ხუთი ყელსაბამი (ყუს, ხბოსა და სხვ. გამოსახულებიანი საყილებით შედგენილი), ხუთი ფარკიანი ბეჭეტი, ფრთავაშლილი არწივის გამოსახულებანი (პერალდიური სიმბოლოები),

15 ნ. ცნობები (შტრ. სმ. ქანაშია „პროშემა“, I, გვ. 19, 26 და სხვ., შ. ანაქაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 783—789; ით. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამართალი და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1986, გვ. 35; ნ. ცნობები. ვანისის სეულის ისტორია, თბილისი, 1968, გვ. 5—23; ნ. ბერძენიძე. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 1975, გვ. 245, გვ. 251; Г. А. Лордкипანიანი. Древняя Колхиды в VI—II вв. до н. э. Автореферат докторской диссертации. Тбилиси, 1975, стр. 10. მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო შიდადგენილია გ. კლდიაშვილის მოსაზრება, რომ აბ. წ. პირველ საუკუნეებში გაქცეულ ტომთა აქტიუზისკა აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში პოლიტიკური ძრებით გამოწვეულ სხვადასხვა ტომთა (მათ შორის მთელ ტომთა) შიგარტეებისა და მოძალბების შედეგია (დაწერ. Г. А. Меллишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, стр. 87—88, 307—308, 363 и след.) უფრო აღრინდელ ხანაში ძვ. წ. VI სს—IV სს-ის პირველი ნახევარი) მთელ დღევანდელ საქართველოს მიწა-წყალზე, როგორც ენობრილი ბერძენულ წყაროებში (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქსი) შილილ კოლხთა პოლიტიკური გაერთიანებას ასახელებს, ხოლო არქეოლოგიური მონაცემები (ძვე-ჯვანური ბრინჯაოს ხანისა და ვანსაყურეთის ძვ. წ. VI—IV სს-ში) თვალსაჩინოდ მოწმობენ ამ ტერიტორიის მეტყველტურულ და ვკონოშიური ერთიანობას (დაწერ. აბ. ით. ლორთქიფანიძე. ანტიკოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „პეტენ“, ისტორიის... სეგნა, 1976, № 2), რაც ველსიმონ პოლიტიკური კონსოლიდაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ტომობრივი ორგანიზაციის საფუძვლებს უკვე დაძლეულა და წაწლილა. საინტერესოა ასევე აღინიშნოს, რომ აბ. წ. პირველ საუკუნეებშიან შრავატომონაშო შილილ ზღვისპირა კოლხეთისთვისად დამასათავებელ (ც. ი. ბ. ტერიტორიისათვის, რომელიც უფრო პოლიტიკური გაქუნის ვეორჩილება), შიშინ რომესაც ჩიონის აუზში ლხთა მტდორე ტომმა, რომელიც ძველი კოლხების შემკიდრევე აცხადებს თავს (ეს საკითხები ჩვენ სხვა ნაშრომში გვიქვენა ვგანხილეთ).

16 ნ. ბერძენიძე. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 1975, გვ. 140—141, 150, 151 და ვეძღვ., შტრ. ი. ლორთქიფანიძე. ანტიკური სიმართალი და ქართლის სამეფო, გვ. 15, 22.

17 ძვ. წ. V სს-ი კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ ცნობა მკრონოფრესტოსთანა შემოხმულია: ფსალისების ქვეყანაში (კოლხეთი — ი. ლ.) ახლა (ც. ი. ძვ. წ. 401 წლისათვის — ი. ლ.) აიებენ შოამოშოალი მეფობს („ანაბასისი“, V, 6, 36—37). პლინუსის ცნობითაც „კოლხეთში“ მეფობს აიებენ შოამოშოალი საელაქი („ბუნების ისტორია“, VI.). უნდა იფიქროს, რომ კოლხეთის მეფის მოხსენიება აიებენ შოამოშოალ კოლხეთის სამეფო კარზე შემუშავებულა შეხებულბა, რომელიც მისი უფლების თვორიან დასახულებასა და ხელისუფლების უზენაესობის რწმენის განმტკიცებას ისახებდა მზნად. საინტერესოა იმის აღნიშნაი, რომ სტრაბონის ცნობით: აიებენ რომ კოლხეთზე მეფობდა, საწრფელად მიჩნეულია: იქებრებნეს ეს სასული ადგილობრივთა“ (I, 2, 39). შარალაქი აბ. წ. VI საუკუნეში კოლხეთში ცნობილია ისტორიულ პირთვნება, პოლიტიკური მიღევანი, რომელსაც აიებენ ერქვა (ავაშია, იბერიანის მეფობის შესახებ, VII, 8—11. სიმ. აუხიჩიშვილი, „გეოგრაფია“, III, გვ. 63 და შემდეგ).

17 დაწერ. აუანი I, გვ. 211 და ვეძღვ.

ათეულობით მიძევები, ღილაკები და ნატეფირი ფორფიები, ასეულობით ვერცხლის მიძევები, საკოდები და ტანისამოსის მოსართავები, სამი დიდი ზომის კოლხური ბრინჯაოს ქვაბი, ოცამდე თიხის ჭურჭელი (ღოჭები, ლანჩაკები, იაყურა დერაგები, ჩაშები), აგრეთვე ბერძნული იმპორტული ვერცხლისა და თიხის საღებავ ფალები (ცილიკი), ბრინჯაოს სარიტუალო სურა და პატერა, ვერცხლის სკულპტურული გამოსახულებებით მორთული ქვაბი და კოჭი, თიხის, „ფინიკური მინისა“ და ვერცხლის სანელასტებლები და სხვ. ამასთან ისიცაა ხაზგასმელი, რომ სამარხის ყველა ნივთი გამოირჩევა სინატიფთა და მალაშხატურული გემოვნებით.

სამარხული ინვენტარის სიმდიდრითა და სინატიფით თითქმის ზუსტად ისეთივეა რამდენადაც უფრო გვიანდელი ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევართი დათარიღებული № 6 სამარხი:¹⁸ ოქროს ქედური გამოსახულებებით მორთული დიადემა და საქისრე რკალი, საყურები და სასაფეთქლები („სხივანა“, ბიპირამიდულსაკიდიანი, ნავისებურსაკიდიანი და მხედრის გამოსახულებიანი), ორი წყვილი სამაჭური (ცხოვეთა თავებით დამუყვნულნი), 5 ყელსაბამი, 4 ბეჭედი, არწივის ჰერალდიკური გამოსახულებანი, ათეულობით მიძევები, საკოდები და ბლთები, ომფალოსიანი თხები და დიდებული გულსაკიდი, ვერცხლის სამაყურები, სარწყულა და გედის თავის გამოსახულებიანი კოჭი, ფინიკური მინის სანელასტებლები და სხვ. მთლიანად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. V—IV სს-ის ეს ორი სამარხი, რომელიც თითქმის ერთგვაროვანსა და დაახლოებით ტოლფასოვან ინვენტარს შეიცავს, კეთუნიან არა მხოლოდ ქონებრივად ერთი და იგივე შეძლების, არამედ სოციალურადაც ერთსა და იმავე ფენის წარმომადგენლებს, კოლხეთის მმართველ წრის (წარჩინებულთა) ყველაზე უფრო მდიდართა და შეძლებულთა ფენის. სამწუბაროდ, აქის გამო, რომ ვანსა და მის მიდამოებში სოციალურ-ქონებრივად განსხვავებული წრის კეთენილი სინარხული და საიმედოდ დოკუმენტირებული სამარხები წერ არაა აღმოჩენილი, ამქამოდ ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ვუჩვენოთ ქონებრივი დიფერენციაციის დონე თუ ხარისხი ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის, ვთქვათ, „ვანის ქვეყნის“ ფარგლებში.¹⁹ მაგრამ ვანის № 6 და № 11 სამარ-

ხელი ინვენტარის შედარებას კოლხეთის სხვა ცენტრებიდან მომდინარე მასალებთან შეუძლია შეგვიქმნას დაახლოებითი წარმოდგენა კოლხეთის საზოგადოებრივი ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ ძვ. წ. VI და განსაკუთრებით V—VI სს-ში.

კოლხეთის წარჩინებულთა წრეში არსებულთა ღრმა ქინძრის რიგი დიფერენციაციისა²⁰ და შესაბამისად, შესაძლოა, იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფების არსებობის მოწმობაა მდ. ყვირილის ხეობაში სოფ. ითხვისში აღმოჩენილი მდიდრულად მიწნული სამარხიანი.²¹ დაკრძალვის წესი ისეთივეა როგორც ვანში: მიცვალებული დაკრძალულია რკინის ლურსნებით შეკრულ ხით ნაგებ ქვაყრილიან სამარხში და ახლავს შეწირული ცხენი. მაგრამ სამარხული ინვენტარი მკვეთრად განსხვავდება ვანის მდიდრული სამარხებისაგან ოქროს ნივთების მინიმალური ოდენობით. ასე მაგ., № 1 სამარხში, რომელიც ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს, აღმოჩნდა: ვერცხლის დიადემა, რკინის ცალმარა დასა და სამომარე ცული, რკინისა და ბრინჯაოს ისრისპირები, ვერცხლის სასმისი და ომფალოსიანი ფილა, ბრინჯაო-მარხები მჭერად შედარებისათვის არ გამოგადგება, რადგან ისინი ჩამდენად გვიანდელია (ძვ. წ. IV—III სს) და მათი გაერყება, ჩვენ ართი, უკავშირდება პოლიტიკური და ეთნიკური განვითარების სხვა რიგის ძვრებს— შერ. ე. თ. ს. ო. რ. დ. ა. ე. არქეოლოგიურ დაზარები დაზარაობში. გვ. 65, ეჭვეა დასას. ლტ.

20 ვანის მდიდრულ სამარხებში დაკრძალულ პირთა ქონებრივი ავსაღიდუმბს აბსოლუტური ოდენობის საილუსტრაციოდ იბრუნებს მოკლებული არ ჩანს მათი შედარება მონღულ-თუმიანის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მგრანდ ქობალშენთა თანადრულ სამარხულ ინვენტართან. სამაგალიოდ დაეახლოვება ყველაზე მდიდარი მგრანდი ვაქარ-მოქალქისად მიწნული სამარხი (1967 წ. № 1 სამარხი) აღმოჩენილი ნივთები: ოქროსა და ვერცხლის წერისა მავთულს მჭერე ზომის სადა რკოდები, ბრინჯაოს თიხობოთა და ჩაშა, საწური და სტრატეი, 4 ქითურე ამფორა, შეკადანი ქამები, თასები, კოლეგები, კოჩოლები, სამარხულ და ამფორისკი (სულ 9 ჭურჭელი), წიფელფიჯურული დიდებულ კრატერი და ასეთ; ან კიდევ 1967 წელს გათხარული № 6 სამარხის ინვენტარი: ოქროს 1 ფარკიანი ბეჭედი და ქალქ ქიხიოს 1 სტატეი, 1 ვერცხლის თასი, 2 ამფორა, ხოლო სადასავე მონღულანზე—თიხის კოჭები, წიფელფიჯურიანი ლეკიანი, ასოქი, შეკადანი სამარხლები, ვაშები, ლანჩაკები, კოლეგები. საერთოდ სხვა სამარხებშიც ოქროსა და ვერცხლის მხოლოდ თითო-ორსა სამაყურა და სამარხულ ინვენტარულ ძირითადად კრამპითაა წარმოდგენილი— დოქრ. ობ. ა. კ. ო. ნ. ძ. ფიქნარის ბერძნული წარმოშობი, თბისილი, 1975.

21 ი. გ. ა. გ. ო. შ. ძ. ითხვისის სამარხი, სსმ, XIX-B, 1968, გვ. 31—45.

¹⁸ დოქრ. ანი 1, გვ. 113 და შემდგ.

¹⁹ ვანსა და მის მიდამოებში და საერთოდ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ოლქებში აღმოჩენილი ქვეყნისა-
2. ვანი III

ნაკვებელს სპარსი³⁸ გვხვდება მთელი რიგი სიახლე-
ნი: ბერძნული ყოფისათვის დამახასიათებელი ამ-
ფორები, მონეტის ჩატანება³⁹, სკეითურ-ირანული
სამაიროსაშენის ჩვეული მსახურთა თუ მონეტის
მსხვერპლშეწირვა და სხვ.⁴⁰ ამასთან, დარქმული
წესის მკვეთრი ცვლილება აღინიშნება მთელს „ვა-
ნის ქვეყანაში“ (და საერთოდ, ძველ კოლხეთის
აზოისაველი ოლქებში): ვრცელდება ქვევრსამარ-
ხები⁴¹; მკვეთრი ცვლილება შეინიშნება მატერიალ-
ური კულტურის ცალკეული კომპონენტების გან-
ვითარებაში: თუმცა ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მე-
ოთხეულში (და იქნებ უფრო გვიან — ამ საუკუნის
დასასრულამდე) ჭერ კიდევ შენარჩუნებულია ძვ. წ.
VI—V საუკუნისათვის დამახასიათებელი კერამიკის
ზოგიერთი ფორმა (ქვევრები, ყურმილიანი დო-
ქები, ირიკალიანი ბრტეკულია ვაშები და
სხვ)⁴², მაგრამ მასთან ერთად თანდათანობით ჩნდებ-
და ახალი ფორმები (რომელთა ტიპური ნიმუშები
წარმოდგენილია ვანის № 10 სამარხსა⁴³ და ვანსა-
კუთრებით მრავლად — ქვევრსამარხებში⁴⁴), შე-
მოდის აგრეთვე მოხატული კერამიკა: მოყვითლო
ფერის ანგობზე წითელი საღებავით მოხატული
ოლქები, რომლებშიც გვხვდება არა მხოლოდ სამარ-
ხებში⁴⁵. არამედ კულტურულ ფენებშიც⁴⁶. ანა-

³⁸ უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ძვ. წ. III ს-ის
სამარხები თარის ქვეშეთა „გადახურულ“ (დაწერ. საქ.
1974 წ., გვ. 44.

³⁹ „ვანი I“, გვ. 208, 212 (ამავე კრებულში მონეტების
კატალოგი № 10, № 1). როგორც ჩანს, სამარხეული ინვენ-
ტარის ნაწილს წარმოადგენს 1975 წელს ნაპოვნი ჰიერონ II
საიკულტურო ოქროს მონეტები AO № 1975., გვ. 488, სურ. 1
„მონეტების კატალოგი.“ № 31).

⁴⁰ თუ „წარჩენილი კოლხა მეომრის სამარხში“ ორი
მონა-მსახურა ჩატანებულა („ვანი I“, გვ. 203), № 12 სა-
მარხში 7 „მსახურის“ ჩონჩხი აღმოჩნდა (საქ 1974 წელს,
გვ. 44). სინტეზისა, რომ „მონა-მსახურთა“ ჩატანება ამ
დროს რაიეთი მოსახლეობის სამარხებშია ნაკლებად
ხშირი: დაბლაგოშია და ნიქალაქეის ქვევრსამარხებთან
გვხვდება უივენტაროდ დამარხული ანაბანის ჩონჩხი
(ცნობა მოვეუროდეს ვ. თორიერავამ და ს. ზაქარაიამ).

⁴¹ „ვანის ქვეყნის“ ქვევრსამარხების შესახებ დაწერ.
ვ. თორიერავა დ. აბუკალოვიერის გახსენებით დაბლა-
გოში 1970—71 წწ., ვანი II, გვ. 48—67; Н. Ш. Кнгу-
рдзე. Дипнарский могильник. Тбилиси, 1976,
(მავე ნაშრომებში დასახელებულია მთელი ლიტერატურა).

⁴² საქ 1974 წელს, გვ. 100.

⁴³ „ვანი I“, გვ. 212 (№ 12 სამარხის ინვენტარი:
№ 10—11, 14—16).

⁴⁴ დაწერ. ვ. თორიერავასა და ნ. კიდურაძის დასაბ.
ნაწრ.

⁴⁵ ვანი I, გვ. 208, 212, სურ. 176.

⁴⁶ ვანი II, გვ. 25.

ლოგიური მოხატული დოქები გვხვდება აღმ. კოლ-
ხეთის სხვა ცენტრებშიც (მაგ. თბილისი⁴⁷), ასევე
აღმოსავლეთ საქართველოსა (თბილისში, კუმურსი⁴⁸
და ასურეთის სამაროვნებზე)⁴⁹ და სომხეთში⁵⁰.
ამასთან ერთად, თვით ვურჯლის ფორმა (მსხლისე-
ბურტანაინი პირგადაშლილი დოქი) ხდება ერთ-
ერთი წამყვანი ტიპი ამ ხანის კერამიკაში (ქვევრ-
სამარხებში წარმოდგენილი სამარხეული ინვენტარ-
ის მიხედვით), რაც თვალსაჩინო მოწმობაა ახალი
კულტურული იმპულსებისა (და იქნებ ეთნიკური
ინფლუენციისა).

ასეთვე სიახლე ჩნდება ოქრომჭედლობაშიც:
თანდათანობით ქრება ძვ. წ. VI—V და IV ს-ის პირ-
ველი ნახევრისათვის ავტო ტრადიციული და კონ-
სერვატიული ფორმების (გრეხილკალიანი 'რომ-
ბისებურფორმებიანი დიადემები, სტივანა საუკუნე-
ები და სხვ.) ნაცვლად, ჩნდება ტიპოლოგიურად
ახალი სახეობანი, რომელთაც ახლა უკვე აშკარად
გავნიციანი ბერძნულ-ელენისტური მხატვრული
კულტურის გავლენას (№ 9 სამარხში აღმოჩენილი
თავსაბურავი, რომელიც შედრის, ცხენისა და
ფრინველის „ელარუნებიანი“ გამოსახულებებითაა
შეღვენილი⁵¹; № 12 სამარხის ოქროს ყელსაბამი—
წნული ძეწკვი, რომელიც სერდოლიკის მძივებითა
და რქოსანი ლომის თავებითაა დამშვენებული⁵²)
და სხვ.

⁴⁷ ნაპოვნია № 2 სამარხში (იხ. რ. აბრამიშვილი.
თბილისი... გვ. 7).

⁴⁸ დ. კოტიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები.
II, თბილისი, 1958, გვ. 47, სურ. 13; Б. А. Кудачин,
Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе,
Тбилиси, 1948, стр. 8, табл. III; К. Д. Квнжинадзе,
Памятники раннеантичного периода юго-восточной Грү-
зии, автореферат кандидатской диссертации, 1975, стр.
32—33.

⁴⁹ Г. А. Трпачян. О расписной керамике древ-
ней Армении, «Историко-филологический журнал», 1965,
№ 3 (30), стр. 272.

⁵⁰ ვანი I, გვ. 203—204, სურ. 166; პირდაპირი ინალო-
გიები ჩვენ ვერ მოვიძიეთ. შედარებით ახლოსა ირანში-
ტის აღმოჩენილი ოქროს ფიგურები (შდრ. Б. А. Кудачин,
1951, стр. 272, табл. 73/4).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ძვ. წ. IV ს-ის
ბერძნულ საუკუნეობის ნაწარში გვხვდება ჩვენ სხვადასხვა
„ელარუნებიანი“ ფიგურები.

შდრ. ა. კვიციანის დასაბ. ნაწრ., ამავე კრებულში.

⁵¹ AO № 1975 გ., გვ. 488, სურ. 1. ანალოგიური
სამკალი ფართობა გავრცელებულია ძვ. წ. III საუკუნე-
ში—I. С. Сиапат'яვა. Некрополь Нишфея, МИА,
69, 1959, стр. 91 (იქვე, დასაბ. ლტ).

მთელი რიგი სიახლეებისა შეიმჩნევა გარე ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროშიც. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია: ა) მაკედონური ოქროს მონეტის გამოშვება (ფოლიკე მაკედონელის ოქროს სტატერი)⁵² და ბ) სინოპეს ეკონომიური გაყვანა, რაც აისახება სინოპური იმპერიის გავრცელებას⁵³ და სინოპური ტიპის ადგილობრივი ამფორების დამზადებაში. ამასთან ვანის ნაქალაქარზე სწორედ ძვ. წ. IV—III საუკუნეების კულტურულ ფენებში (მათ შორის ე. წ. დახურულ კომპლექსებში)⁵⁴ მრავლად აღმოჩენილი კრამიტები მოწმობენ ამ ახალ ეტაპზე ბერძნული ურბანისტიული არქიტექტურული ელემენტების გავრცელებას (სანტერგესოა, რომ ეს ელემენტები თითქოს თავს იჩენს აგრეთვე სასოფლო თემებშიც: ამას უნდა მოწმობდეს აბლაგოვში აღმოჩენილი სინოპური კრამიტით გაღაზებული მდიდრული სამარხი)⁵⁵.

ვეფირობთ, უკვე ზემოთქმული გააძღვეს გარკვეულ საფუძველს, რომ ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი და III საუკუნის პირველი ნახევარი (ყოველ შემთხვევაში დასაწყისი მაინც) გამოყოფთ ცალკე ეტაპად ვანის ქალაქის ისტორიაში. ამას მხარს უჭერს სტრატეგიაული მონაცემებიც: ერთის მხრივ, ცენტრალურ ტერასაზე წარჩინებული მეომრის სამარხი⁵⁶ სრულიად აშკარად წინაზე ხანის საკულტო ადგილზეა გამართლი⁵⁷ და ზედა ტერასაც (ბორცვის წვერი) — ძვ. წ. VI—V სს. და IV ს-ის პირველი ნახევრის საკულტო ადგილი ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III-ში სამარხების ზონადაა ქცეული⁵⁷, ხოლო ძველი ც.

წ. „კოლხური პერიოდის“) საკულტო ნაგებობანი განადგურებულ-განადწმარია და აღარ ფუნქციონირებენ. მეორეს მხრივ, იგივე სამარხები (ძვ. წ. III ს-ის დასაწყისისა) ქალაქის ისტორიის მომდევნო ეტაპის ვალენის კედლებითა და სხვ. ნაგებობებითაა განადგურებული და დაფარული.

ვანის ძველი ქალაქისა და ვანის ქვეყნის (და საერთოდ ძველი კოლხეთის) ისტორიაში ეს ახალი ეტაპი, რომელიც აგრე მკათიფი იჩენს თავს უკანასკნელი წლების არქეოლოგიურ მონაპოვარში, შესაძლოა, დაკავშირებული იმ დიდ პოლიტიკურ ძვებთან, რომელიც მკვეთრად აღინიშნება მეფის მახლობელ აღმოსავლეთში და აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სწორედ ამ დროისათვის⁵⁸ ჩვენ ვხედავთ ნამდვილ „ურბანისტიულ აფეთქებას“ (სამადლო⁵⁹, ნასტავისი, ციხე-ავრთა⁶⁰), ამასთან ერთად „საზხრეთული“ წარმოშობის აშკარა ელემენტებს, როგორცია, მაგალითად, ზრწყინვალე მონატული კერამიკა, რომელთაც აღინიშნება აღმოსავლურ-ანატოლიური (ცერძოდ, გვიანფორიული სტილის) გავლენა⁶¹, ან კიდევ ადგილობრივი წარმოების კრამიტებზე ბერძნული ასოები, რომლებიც კაპადოკიის ბერძნულ დამწერლობასთან ავლენენ მსგავსებას⁶². ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვანში აღმოჩენილი „წარჩინებული კოლხი მეომრის სახელიც „დედატის“ (რომელიც მის პირად უფლებრივ ოქროს საბეჭდავ-ბეჭედზეა წარწერილი) ახლო მსგავსებას მცირეაზიურ, კერძოდ, კა-

52 ვანი III, გვ. 70, „მონეტების კატალოგი“, № 25. ეს ფაქტი ძიოთაა საინტერესო, რომ იგი თითქოს მოასწავებს კოლხეთის ბაზარზე მაკედონის მეფეების ოქროს გამოჩენას, რომელიც აღნიშნულია როდესაც შესაძლებელია ძვ. წ. III ს-იდან კოლხეთისა და იბერიის ბაზრებზე (იგულისხმებოდა ალ. მაკედონელისა და ლიზიმაქის მონეტებისა და მათი ადგილობრივი მიზამაქების უფროდ გავრცელება — დ. კ. ანანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 32, და შემდეგ: იო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, გვ. 56 და შემდეგ: იო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 120—122; გ. უ. დ. უ. ა. საქართველოში გავრცელებული არქანდრე მაკედონელისა და ლიზიმაქის სახელით მოჭრილი მონეტები, „მაკენ“, ისტორიის... სერია, № 1, 1973, გვ. 51—65).

57 ნ. ბ. შ. ბ. ა. ი. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, ვანი I, გვ. 88—90; საქმე 1974 წელს, გვ. 44.
58 სწორედ ძვ. წ. IV ს-იდან, ისევე როგორც ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში, აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება დარქოპლის ახალი წესი — ქვევრისამარხები — მაგ. ქვემო ქართლი (К. Д. Внжвинадзе. Памятники раннеантичного периода юго-восточной Грузии (авторфегеда кандидатской диссертации). Тбилиси, 1975, стр. 8—9). აგრეთვე მტკვრის ხეობაში — ციხეაგორაზე (იხ. საქმე 1975 წ.).
59 იხ. იუ. გ. ა. გ. შ. ბ. ი. ს. ანგარიშები კრებულში „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური არქივები“, II, 1957, გვ. 53—62; III, 1974, გვ. 79—91.
60 ნასტავისისა და ციხეაგორის არქეოლოგიური გათხრების შესახებ იხ. ალ. ბოროძისა და გ. ციციტიელის ინფორმაცია კრებულში საქმე 1972—1975 წწ.
61 იხ. გ. ა. გ. შ. ბ. ი. ს. საშალო მონატული კერამიკა, „ქეგლის მუზეუმი“, № 23, 1970, გვ. 41 და შემდეგ.
62 იხ. დავითაშვილი ე. უ. თ. ანანაძე, ს. ხაზარაძე.

53 რ. უ. თ. უ. რ. ი. ძ. ამფორები... გვ. 82 და შემდეგ.
54 საქმე 1975 წელს.
55 ე. თ. ო. ლ. ო. რ. ა. ე. მდიდრული სამარხი... გვ. 77.
56 საქმე 1975 წელს.

პალოკურ საკუთარ სახელთან პოულობს⁶³. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ პალოკური გავლენა აღინიშნება აგრეთვე ვანშივე აღმოჩენილ ძვ. წ. IV ს. ს. გლიტიკურ ძეგლებზეც⁶⁴.

3.1. ვანის ძველი ქალაქის განვითარების შემდგომი პერიოდი ძვ. წ. III—I სს-ებს ეთხებება და ამ დროს იგი, ჩვენი აზრით, ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით საბარძო ქალაქს წარმოადგენს. უკანასკნელი წლების აღმოჩენები თითქოს ადასტურებს ამ მოსაზრებას და ამჟამად ყველა უბანზე ძვ. წ. III—I საუკუნეებისათვის მხოლოდ სატაძრო-საკულტო და საზოგადოებრივი დაწესებულების ნაგებობანია წარმოდგენილი⁶⁵: სულ ქვედა ტერასაზე, ჩრდ. მხრიდან, როგორც ცნობილია, მშენებლობის ქალაქის კარბქის არქიტექტურული კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშია პატარა ტაძარი — სამლოცველო საკრთხებელითურთ (ლუდის კარი)⁶⁶. ამ კომპლექსიდან ასიოდ მეტრის დაცილებით, 1972 წლიდან გამოვლინდა და ამჟამად თახრება ძვ. წ. III—I სს-ის საკმაოდ რთული და გრანდიოზული საკულტო-სატაძრო კომპლექსი, რომელსაც თითქმის 700 კვადრატული მეტრი ფართობი უყავია. ახლად აღმოჩენილი კომპლექსი, რომელიც სამხრეთი მხრიდან გალავნის კედლით ყოფილა შემოზღუდული, რადენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ნაგებობისაგანაა შედგენილი: კოშკისებრი შენობა და მის წინ გამართული სამსხვერპლო მოედანი, ორილიბიანი სვეტებიანი დარბაზი, ქვითნაგები ხუთსაფეხურიანი კიბე და მონოლითში ამოკეთილი საკრთხებელები, საზღავე შეწირულბოთათილი განკუთვნილი მოზრდილი დარბაზი, რომელშიც აღმოჩენილია დიდი ზომის ქვერები, ამფორები და სხვ. კურჩეული, რომელითაც ზოგიერთი სხვადასხვა ჭრის მარცვლეული იყო სავსე. „სამსხვერპლო მოედანზე“ დადასტურებული რიტუალი ემსავსება ჩვენს

მთიანეთში ქართველი ეთნოგრაფების მიერ აგრეთვე აღმოჩენილ წარმართულ რელიგიურ დღესასწაულს „ხატობას“. აღსანიშნავია აქ აღმოჩენილი კოლხური ამფორების სიმრავლე. ამასთან ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ზოგიერთი ტიპოლოგიური დეტალითა და კეციით, რაც იმის მუშაყებელია, რომ ეს კურჩეული (და მასში მთავისებელი ღვინო თუ მარცვლეული) ძველი კოლხების სხვადასხვა ცენტრშია დამზადებული და მერქა აქ შეწირული. ასევე მსხვერპლად შეწირულ საქონელსა და ცხოველთა შორის უკრძალვებას იქცევს მთიანი ფუნისათვის დამახასიათებელი ჭიხვის რქები და კიდევ მრავალი სხვა დეტალი⁶⁷.

ამ ახლად აღმოჩენილი კომპლექსისაგან დასავლეთით, 50-მდე მეტრის დაცილებით, როგორც ცნობილია, გამოვლენილია „კონტრფორსებიანი ნაგებობის“ ნაშთები⁶⁸ და „პოზიტიური ტაძარი“⁶⁹, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ისახება კიდევ ერთი გრანდიოზული ნაგებობა: ჩეჩეჩრობით აღმოჩენილია დიდი ზომის კარგად დამუშავებული ქვათილები, კედლის ნაშთები, მშლავი კრამლეული და ქალღვთების პირე-ლიეფური გამოსახულებებით მართული სვეტისთავი⁷⁰. ე. ი. აშკარაა, რომ აქაც საქმე გვაქვს საკულტო-სატაძრო ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობასთან.

ცენტრალურ ტერასაზეც, როგორც ცნობილია, ჩეჩეჩრობით აღმოჩენილია მხოლოდ საკულტო („მარკული ტაძარი“, „ხატის ბუდელი“, „აბსი-დიანი ნაგებობა“) და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები⁷¹.

დაბოლოს, სულ ზედა ტერასაზე — ბორცვის წვერზეც, როგორც უკანასკნელ წლებში დაზუსტდა, გალავნიანი შემოზღუდული ფართობზე საკულტო ნაგებობათა შორის მთავარი იყო შეიღსაფხეზურიანი მონუმენტური ღია ტიპის საკურთხეველი⁷².

ამრიგად, ძველი ქალაქის ყველა უბანზე საკულტო-სატაძრო ნაგებობანია და ძვ. წ. III—I საუკუნეებისათვის არსად არაა დადასტურებული ისა-

⁶³ დ. წყნ. მარჯ. ლ. რ. თ. ი. ვ. ა. ძვ. არქაული და „არქაოლოგიური“ საბუქნავები ვანდან, ვანი 11, გვ. 134—146.

⁶⁴ მარჯ. ლ. რ. თ. ი. ვ. ა. ძვ. არქაული..., გვ. 163.

⁶⁵ მეტად რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო ეს მშენებლობა. არქეოლოგიური მასალები მიწინააღმდეგობას, რომ ძვ. წ. III საუკუნის დასაბრუნეს ეს კედლები უკვე არსებობენ (მდრ. ვანი 1, გვ. 170); მეორე მხრივ, ისინი ფარკენ ძვ. წ. III სს-ის დასაწყისის სამარხებს (საქმე 1974 წელს, გვ. 44—45). ასე, რომ დიდი მშენებლობის დასაწყისი სალკა ძვ. წ. III სს-ის შუა ნაწილშია უფრო სავარაუდოებელი.

⁶⁶ დ. წყნ. ვანი 1, გვ. 28—30, 148 და შემო.

⁶⁷ სრული ანგარიში გამოკვეყნდება ამ კომპლექსის დასრულების შემდეგ. წინასწარი შედეგები იხ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ყოველწლიური ანგარიშები: საქმე 1973 წელს, გვ. 45—48, ტაბ. VII—X; 1974 წელს, გვ. 100—101, ტაბ. X—XI; AO № 1975 რ. გვ. 487—488.

⁶⁸ ვანი 1, გვ. 190 და შემო.

⁶⁹ ვანი 1, გვ. 176 და შემო.

⁷⁰ ვანი 11, გვ. 20—23.

⁷¹ ვანი 1, გვ. 198 და შემო.; ვანი 11, გვ. 23—31.

⁷² საქმე 1974 წელს, გვ. 41—43.

ცხოვრებელი კულტურული ფენები, რის საფუძველზეც ჩვენ კვლავინდებურად ვვარაუდობთ, რომ აქ ამ დროს სატაპრო ცენტრთან, სატაპრო ქალაქთან გვაქვს საქმე⁷². ეს თუ აეროპოლისია, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს⁷⁴, მაშინ აქ უნდა ყოფილიყო ძველბერძენი ზედაფენის საცხოვრებელი (როგორც ეს წინამორბედ ეპოქაში, ე. ი. ძვ. წ. V—IV სს-ისთვისაა დადასტურებული), ხოლო საქალაქო დასახლება მის ფერადობებზე და ბორცვის ძირში, ან მის უშუალო მიმდებარე ფართობზე უნდა ყოფილიყო განლაგებული. ასეთი „საერო“ ტიპის ნაქალაქარი ამჟამად აღმოჩენილია მდ. რიონისა და სულორის შესართავთან (საყანჩის ველს რომ უწოდებს ადგილობრივი მო-

73 ეს მოსახრება ვახიარებს ჩიგმა სვეციანსტებმა ეან-1-ის შესახებ გამოკვლევებულ რეკონსტრუქციას: იხ. ი. ბრა-ზონსკის (ბაიანე, ისტორიულ... სტრია, 1973, № 3, გვ. 170), ალ. შჩეგოლის (ВДИ, 1975, № 2, გვ. 145) და კ. შავესკის („Archaeologia“, Warszawa, 1972, XXIII, стр. 106—107) რეკონსტრუქციას.

74 შტრ. Г. А. Лордкипანიძე. К истории древней Колхиды. Тбилиси, 1970, стр. 41, прим. 2: «...палатки нескольких храмов на акрополе не может служить доказательством того, что там был храмовый город. На акрополе Присны, Афиш и Пантикапсы также открыты разрозненные несколько храмов...». ყ რ ე რ ა თ ი: დასახლებული ქალაქების შედარება ძვ. წ. III—I საუკუნეების ენის ქალაქთან უკვლად გაუმართლებელია საყოველთაოდაა ცნობილი, რომ პერიელს დროიდან ათენის აეროპოლისმა დაყარა გამაგრებული ციტიადლის მნიშვნელობა და პოლიტიკური ბატონობის ფუნქციას აეროპოლისის არქიტექტურულ ანსამბლს ბერძენულ სამყაროში ათენის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული პეიზაჟის სიმბოლის წარმოადგენდა. ქალაქი ყველა თავისი ატრიბუტით აეროპოლისის ძირში იწყობდა და ერეკელი ტერცტორია საუბრით გალავნის კედლებით იყო გარშემოტყობილი. პრინციპი აეროპოლისის ნაგებობანი კი (რომელთა შესახებ აგრე უკუყვანოლ შესვლობა) იერ გამოყვნილი არაა, ხოლო ქალაქში ტარტებს გარდა იყო აგრე, პარტანეიონი, სტე. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი და, რაც მთავარია — საცხოვრებელი კვარტალები და ეს ყველაფერი ენის ქალაქთან განსაკუთრებით არაბოლოდანი ერთად ერთად თავდაკეთი სისტემაში იყო მოქცეული (იხ. ლუნდელ. Vseобщая история архитектуры. 2. Москва, 1973, გვ. 304—306). დაახლოებით ასეთია პანტიკაპონიში (შტრ. В. Д. Блаватский. Античная археология Северного Причерноморья, Москва, 1961, стр. 191 и сл.) მ ე რ ა რ ე: მეცნიერული ნაპირების ელემენტარული წესები მოითხოვს საინტისპირა დებულებათა არგუმენტაციის ზუსტად გადმოცემას: შე რომ ქალაქში რამდენიმე ტრანს არსებობით არ ემპტივება ენის „სატაპრო ქალაქობას“ (თავისი წარმოშობის სხვა ადგილს, გვ. 35, გ. ლორტიჟანძე მოვითხოვს... „...святнища могли находиться в городе.

სახლებობა). უკვე ზედაპირული დაზვერვებისას⁷⁵ კრამიტების სიმრავლე და საკმაოდ დიდი ფართობი (20—25 ჰექტარი) მოუთითებდნენ, რომ აქ საქმე გვაქვს საქალაქო ტიპის დასახლებასთან, რომელიც ენის ძველ ქალაქთან (სახელოდანიენის გარის) სახელით ცნობილ ბორცვზე რომ ითხრება) იყო მკიდროდ დაკავშირებული (სურ. X). თუმცე ახლადმოთხრნილი ნაქალაქარის ტერიტორია ხანგრძლივი სამალბატაე სამუშაოებითაა ცდიერ დაზინებული, მაინც უკვე პირველივე გათხრითი სამუშაოებისას აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი ნაგებო-

ხო от этого город не становился „храмовым городом“). არამედ იმით, რომ ძვ. წ. III—I სს-ში ქალაქის ყველა უბანზე მ ბ ი რ დ და სულტო-სატაპრო ნაგებობება და არსად ჩანს საშობსლოსათვის დამახასიათებელი კულტურული ფენები. ეს სასტუმო სწორად შენაშენს რეკონსტრუქციას: „...в пользу своей точки зрения О. Д. Лордкипанидзе приводит два наиболее веских аргумента: 1) отсутствие на территории городища сооружений жилого характера, а также культурных слоев, характерных для городских поселений обычного типа; 2) обилие культовых зданий на всех трех основных террасах городища (А. Н. Шерлов. Рецензия на книгу „Вани I“. ВДИ, 1975, № 2, стр. 145).

რაც შეეხება სტრაბონთან მოხსენიებულ ლავიოტის სპლიტეკის ენის ქალაქთან იდენტიფიკაციას, რომელსაც აგრეთვე უარყოფს ლორტიჟანძე, ამ საკითხზე ჩვენ სანაგებობა წერილი გამოკვლევების და იქ მოთხრად არგუმენტაციას აქ აღარ ვაიჭიერებთ (იხ. О. Д. Лордкипანიძე, К локализации... ВДИ, 1972, №, стр. 106—125). აღვინაშენო მოლოდ (გ. ლორტიჟანძის შენიშვნების პასუხად. შტრ. შის დასახ. ნაშრ. გვ. 35): 1. სტრაბონის ტექსტიდან არსადან არ ჩანს, რომ ლავიოტის სპლიტეკის მთებში მდებარეობდა (იხ. ჩვენი დასახ. წერილი, გვ. 111, შენიშვნა 32); 2. ტერცმითი თუ სერბო სატაპრო ქალაქის მოხსენიების არაფერი შემთხვევითაა ცნობილი (იხ. ჩვენი დასახ. წერილი, გვ. 107, შენიშვნა 1). 3. გ. ლორტიჟანძეც წერს: „Храмовые города имели специальное название — птерополис. Иногда они называются храмовыми государствами или храмовыми общинами“. აგრეთვე უნდა მოხსენსებოდეს, რომ სერბოლსც ამ ქალაქების ზოგადი სახელწოდებაა, ხოლო თითოეული მათგანი მთავარი ტაპროს ამ სხვა სახელით იწოდებოდა. ასეთე „храмово государство“, „храмовая община“ თანამედროვე მეცნიერების შემუშაებულ ტერცმინება და სტრაბონთან მის ნაცვლად გვაქვს თუ სერბო. ამას გარდა არ შეიძლება არ აღინიშნოს მხინია წინააღმდეგობება, რომელიც ახლავს გ. ლორტიჟანძის შესვლობას: ერთის მხრივ: „святнище, храмовую общину Аполлона нельзя отнести к разряду храмовых городов“; მეორეგან: „храмовые города иногда называются храмовыми общинами“.

75 იხ. გ. ლიქელს წერილი ამავე კვლევაში.

ბა (რომლის ნაშთები თითქმის 400 კვადრატულ მეტრ ფართობზეა უკვე ფიქსირებული). იგი რიყის ქვით შედგენილ საძირკველზე ამოყვანილი ალიზ-ავერუბის ნაგებობა, ვაძახურული ყოფილი ვანური ტაძრის დიდი კრამიტებით და შედგებოდა რამდენიმე სათაესისაგან. გათხრებისას აღმოჩენილი მასალა — კლხური ქვევრები, ამფორები, დოქები და ქაშები. ევტრაქლური საქილო დაწვისათვის განკუთვნილი პირამიდული ფორმის სწაფები, ბერძნული ევრაქია (როდოსის, სინოპეს, კოსის ამფორები, მცირეზიული შავ-და წითელკლავიანი ევრაქია, საფეხე ლანგრები), ტერაკოტული პლასტიკის ფრაგმენტები და სხვ. ძვ. წ. III—I სს-ებით თარიღდება და თითქმის ანალოგიურია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალების⁷⁶. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ეს საქალაქო დასახლებაც დაზარეული და გადამწვარია.

3.2. ვანის ძველი ქალაქის ფუნქციის საკითხს მჭიდროდ უკავშირდება ძვ. წ. II—I სს-ში მისი პოლიტიკური სტატუსის საკითხზე გამოთქმული ძალზე საინტერესო მოსაზრებანი. ჭერ კიდეც ნ. ხოშტარიამ გამოთქვა ვარაუდი ენში მითრიდატე VI ევპატორის საომარი სამზადისის შესახებ⁷⁷. შემდგომ გ. ლორთქიფანიძემ ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი პონტოს სამეფოს მონეტების საფუძველზე დაასკვნა, რომ მითრიდატე VI ევპატორი, კოლხეთის ზღვის სანაპირო ზოლის ძვ. წ. 111—110 წლებში დაპყრობის შემდეგ, უკვე 105—99 წლებში იპყრობს კოლხეთის შიდა რაიონებსაც და იქ აყენებს თავის გარნიზონებს, რის შედეგადაც უნაიშვებლოვანესი სტრატეგიული პუნქტი — ციხე-ქალაქი⁷⁸. ამ მოსაზრებებს საყრდენი იზიარებს გ. დუნდუა და თავის მხრივ გამაერთიანებს კიდევ ერთ ახალ ჰიპოთეზას: ძვ. წ. 83—80 წლებში ენში იქნა კოლხეთის სამეფოს გააგებლად მითრიდატე VI ევპატორის ვაჟი მითრიდატე უმცროსი⁷⁹. ეს მოსაზრებანი უთუოდ ანგარიშგასაწევი,

მაგრამ ჩვენ მაინც ჭეჭრებით გვიძიძის მათი უყოყმანოდ ვაზიარება. პირველ რიგში უნდა დასაბუთდეს, რომ ძვ. წ. 105—90 წლებს შორის ვანის ქალაქი ნამდვილად დაიპყრო მითრიდატე VI ევპატორმა და ამ დროიდან წარმოადგენდა იგი პონტოს სამეფოს პლაკდარმს რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ არც ერთი წერილობითი წყარო არ აღნიშნავს მითრიდატეს მიერ კოლხეთის შიდა ქალაქების დაპყრობას და იქ გარნიზონების ჩაყენებას⁸⁰. მეორე მხრივ, არც ვანის აჩქეოლოგიური მასალა მოწმობს II—I საუკუნეების მიჯნაზე ჩაიმე დიდი ბრძოლის კვალს (თუმცა, ის თქმა უნდა, მითრიდატე VI ევპატორის შექმნილ ქალაქის უბრძოლველად აღება).

მეორე მხრივ, თვით ვანის ქალაქი (საუღვინეების გორაზე რომაა აღმოჩენილი) აბეჭვია, რომ რაიმე მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდეს. აქ ქალაქის დაწინაურება მდიდარი სასოფლო-სამეურნეო პირობებითა და საუკურო მაგისტრატლთან ახლოს მდებარეობით იყო უფრო გაპირობებული.

ერთადერთ ყველაზე უფრო დამაჩერებელ არგუმენტად ზემოაღნიშნული მოსაზრებისათვის მართლაც შეიძლება მივუვინჩნა⁸¹ პონტოს მონეტების ხშირი აღმოჩენების ვანის ძველ ქალაქში⁸², მაგრამ ამ აღმოჩენების ტროპოგრაფია ისევ საკუთრივ ნაგებობებს უკავშირდება და გამორიცხული არაა, რომ ისინი შესივლობა წარ-

⁸⁰ გ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს აქცია ისახლება სტრაბონის ერთ-ერთ ცნობაში (XI, 3, 28): „ხოლო როდესაც გაძლიერდა მითრიდატე ევპატორი, ის გახდა კოლხიისა და ყველა ამათი ბატონი, რომლებიც დაუმთო მას ატიატრისა და სისილის ძემ, ისე ზრუნავდა ამ ადგილნებისათვის, რომ იქ 75 ციხესიმაგრე ააგო, რომლებიც მოათავსა მეტი წილი ვანისა“. მიუხედავად იმისა, რომ სტრაბონის ცნობით მითრიდატეს ენსა ზღვის სანაპირო (ახ. XI, 3, 2), ხოლო ზემოთ მოხსენილი ცნობა ენმა ვანის სავად სიმაგრეების შემგებლობას პარიადრის მხარეში, გ. ლორთქიფანიძემ აბტყობს: Ясно, что здесь преувеличенные данные. И среди 75 крепостей были и старые укрепления, которые Митридат просто восстановил. Правда, Страбон говорит, что самые значительные из этих укреплений были сооружены в Париадрской горной области, но не исключено наличие таковых и в Колхиде. К числу таких крепостей мы относим и Вани* (Г. А. Лордкипанидзе. К истории... стр. 25—26). პარიადრის მხარეში მდებარეობდა აბუგუმეტაციის ლავა და სტობი (დუდუა და დუნდუა).

⁸¹ Г. А. Лордкипанидзе. К истории... стр. 20—21, 108.

⁸² დანერ. აბუგუმეტაციის მონეტების კატალოგი.

⁷⁶ დანერ. საქ 1975 წელს.

⁷⁷ Н. В. Хостария. Археологические раскопки в Вани в 1959 г., საქართველოს მეც. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიღწეული 1959 წლის სავად-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, მისწავლათა შედეგ შემაჯავრო, იბლ. სიბი, 1960, გვ. 50; ზღ. რ. Г. А. Лордкипанидзе. К истории..., стр. 27.

⁷⁸ Г. А. Лордкипанидзе. К истории..., стр. 20—21.

⁷⁹ გ. დუნდუა. იტრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მეცნ.“ (ისტორიის... სერია), 1974, № 2 გვ. 157.

მოადგენდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მიერ შესწავლილ ტერიტორიაზე ხომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც საბაზრო მოედნებია და არც საცხოვრებლები, რაც ჩვენი აზრით, არ გვაძლევს უფლებას, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მონეტების მიხედვით ვილაპარაკოთ მათ მიმოქცევაზე ამ ქალაქში, მაგრამ ისინი შესაძლოა ასახევენ ქვეყნის საერთო პოლიტიკურსა და ეკონომიურ სიტუაციას⁸². ასევე ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჭერ არც ერთ ნაგებობა და საერთოდ მთელი ქალაქის იერი არ მიგვანიშნებს, რომ აქ ეივარაუდოთ კოლხეთის მიყვლ დანიშნული მითრი-ლატე უმკროსის ადგილამყოფელი, როგორც ამას გ. ლუნდუა ვარაუდობს⁸⁴. შესაბამისად, ვერც გ. ლორთქიფანიძისა და გ. ლუნდუას ახალ მონაზრებაზე ვაიხიარებთ, რომ 80 წლის ქალაქის დანგრევა განხორციელდა ძვ. წ. 80 წელს მითრიდატე VI პონტოელის მიერ, როგორც ურჩი ვაყის რეზიდენციის⁸⁵, მით უფრო რომ ნაქალაქარზე აღმოჩენილი მონეტები (პართული რაქაშა, მითრიდატე VI პონტოელის მონეტა, ეპისტოფოროსი)⁸⁶ მოწმობენ ქალაქის არსებობას ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. 49 წლამდე მაინც⁸⁷.

3,3. ჩვენს ადრე ვიკვ აღვნიშნეთ ელინისტური კულტურის ძლიერი გავლენა ვანის ძველ ქალაქში, რაც სხვადასხვა სახით მკვლავდება (ხუროთმოძღვრებაში, კერამიკაში თუ ოქრომქვედლო-

ბაში, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში)⁸⁸. ამ თვალსაზრისით უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1975 წელს აღმოჩენილი ტიფური ჰერაკლეს გამოსახულებით⁸⁹, რომელიც იმეორებს იმ სახეს, რომელიც უფრო ადრე ვანშივე აღმოჩენილ ჰერაკლეს ძირნაქოს გამოსახულებაზეა წარმოდგენილი (სურ. 110)⁹⁰. საესეთი აშკარაა, რომ ჰერაკლეს გამოსახულებები ვანშივე აშხადგნდნენ. ეს ფაქტი კი სასრულიად გაკვეცილი მნიშვნელობისაა: დასტურდება ანტიკური წერილობითი წყაროების ცნობები ჰერაკლეს ემულტის კოლხეთში პაპულარობის შესახებ, რაც იქნოთ აიხსნება, რომ ბერძნული მითოლოგიური ვადმოცემების თანახმად, ჰერაკლემ გაათავისუფლა სწორად კავკასიონს მიჯავჭული პრომეთე (ჩვენი ამირანის ორული). ბერძენი ისტორიკოსის დურისის (ძვ. წ. 340—275 წწ.) ცნობით: „...კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსს და ათენას არ სწირავენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყენებ პრომეთეს დასვის მიზნში, ჰერაკლეს კი იმის გამო, რომ პრომეთეს მჭივრავი არწივი განგმირა, განსაკუთრებულად სცემენ თაყვანს“⁹¹. ახლადაღმოჩენილი ტიფურის ამ ცნობის თვალსაჩინო და დასატყურება და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უადრესად ღირსშესანიშნავი ფაქტი...

აქ ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ დგება უადრესად რთული საკითხი ელინისტური კულტურის გავრცელების შესახებ. ჩვენს უკვე გამოთქმით მოსაზრებაზე, რომ ელინისტური კულტურა კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში (და ეგრძოდ, ეგვიპტეში) და აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად მკითრე აზიიდან ვრცელდებოდა და იგი აღმოსავლურ ქართული ტომების — მესხების საკოლონიზაციო მოძრაობასთან უნდა იყოს დაკავშირებული (საინტერესოა, რომ თვით სატაძრო ქალაქის ორგანიზაციული ფორმა დამახასიათებელია კაპადოკი-

⁸² ზღ. კ. Голенко. Понтийская монета времён Митридата VI на Боспоре, «Klio», В. 46, 1965, стр. 307—322. თოთხი გ. ლორთქიფანიძე შენიშნავს: «...возможно эти монеты принадлежат войнам понтийского гарнизона, но не исключено, что они могли превратиться в настоящее средство обращения, служа разменной монетой, как это было в Северном Причерноморье (Г. А. Лордкипанидзе, К истории... стр. 108—109)».

⁸⁴ ზენის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სპილენძის ანონიმური მონეტების ემისიის შესახებ.

⁸⁵ იხ. აჰვე კრებულები, გვ. 130. აჰვე უნდა შეენიშნოთ, რომ ამ პირობების ერთ-ერთი თანადატრია ადრე იმ მონაზრებას ავითარებდა, რომ ვანი, რომელიც თოთქის მითრიდატე VI ეგვატორის სიმაგრეს წარმოადგენდა, ძვ. წ. 66 წელს დაანგრა პომპეუსმა და ჩვენთან პოლემიასის დაწერილებით „აღდგენდა“ ბრძოლის დეტალებს იხ. Г. А. Лордкипанидзе, К истории... стр. 32—33: «Примлете с ожесточением штурмовали город, бросая бныла урону».

⁸⁶ იხ. აჰვე კრებულები „მონეტების კატალოგი“.

⁸⁷ ვანის ძველ ქალაქის დანგრევის შესახებ ჩვენს მოსაზრებანი იხ. ვანი I, გვ. 42, აგრეთვე, К докладу... 147.

⁸⁸ დაწვრ. ით. ლორთქიფანიძე. ელინისტური კოლხეთი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, წ. № 2, № 9; 1971, № 8, ვანი I, გვ. 39.

⁸⁹ სურ. 1975 წელს; АО в 1975 г., გვ. 488.

⁹⁰ იხ. მათივე სტ. ვანში აღმოჩენილი ჰერაკლეს გამოსახულებანი მედალიონი, „ძველს მეგობარი“, № 33, თბილისი, 1973, გვ. 46—49.

⁹¹ იხ. ა. ს. ურბანიძე. ძველი კოლხეთი არქანოების თქმულებაში. თბილისი, 1964, გვ. 343, ით. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 146—147.

ისა და ფრიგიისათვის⁹², ე. ი. ამ ტერიტორიისათვის სადაც მესხური ტომების უძველესი საცხოვრისი აკრალედება). თუმცა, როგორც სმართლიანად შენიშნავს ა. შიგელოვი⁹³, მთლიანად არ შეიძლება გამოირჩეოს ელინისტური კულტურის ცალკეული ელემენტების გავრცელება და გავლენა ზღვისპირეთიდანა⁹⁴, საიდანაც ხორციელდებოდა სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ბერძნულ სამართანთან. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზარებთ იმ თვალსაზრისს, რომელიც წამოაყენა გ. ლორთქიფანიძემ. მისი მტკიცებით ელინისტური კულტურა კოლხეთში წარმოიშვა თითქოს ადგილობრივი ნიადაგზე — ზღვისპირა ბერძნული ქალაქებისა და კოლხური კულტურების სინთეზის შედეგად⁹⁵. პირველ რიგში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელინურისა და ადგილობრივის ყოველგვარი ურთიერთობა როდია ელინიზმი: დიდი ბერძნული კოლონიზაციის ხანაში (ძვ. წ. VII—VI სს.) ელინური და ადგილობრივი ელტურებთან ურთიერთობის პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში, მაგრამ მაშინ არ განვითარებულა ის მოვლენები. რომელიც აგრე დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის და ამასთან სრულიად გარკვეული რაიონისათვის. ელინური და ადგილობრივი (უპირატესად აღმოსავლური) ელემენტების შერწყმისა და ურთიერთშემუქმედების ის პროცესი, ელინისტური კულტურის განმსაზღვრელი რომაა, გაპრობებული იყო იმ მოვლენებით, რომელიც გამოიწვია მაკედონელთა ექსპანსიამ და წინა აზიაში ბერძენთა ახალი კოლონიზაციის პროცესმა. ელინისტური კულტურა სწორედ ამ დროს

წარმოიშვა⁹⁶ და ნიშანდობლივია, რომ კოლხეთში სწორედ ელინისტური კულტურის ელემენტებია წარმოდგენილი (განსაკუთრებით არქიტექტურასა და რელიგიისში⁹⁷. ამიტომაც არ შეიძლება მათი გავრცელება ბერძნული კოლონიზაციის შედეგად კოლხეთში დაარსებულ სამოსახლოებისა და ადგილობრივი კულტურის სინთეზის შედეგად მივიჩნიოთ; მით უფრო, რომ ეს სამოსახლოები არასდროს არ წარმოადგენდნენ ბერძნული კულტურის რამდენადმე მნიშვნელოვან კერებს⁹⁸. შე-

прежде всего затронуло правящую верхушку страны, а в эллинистическую эпоху проникло в сравнительно широкие круги средних слоев населения Колхиды, оказавших как социально-экономическую, так и идеологическую сферу. Эллинистическая эпоха в Колхиде ознаменовалась: широким распространением эллинистической строительной техники, а также архитектурных форм, появлением греческих форм в керамике, изменением отдельных элементов погребальных обрядов, широким распространением греческого языка и письменности, синкретизмом греческих и колхидских религиозных верований и пр.» (Г. А. Лордкипанидзе, Древняя Колхида в VI—II вв. до н. э., автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1975, стр. 11, 63—64).

⁹⁶ დაწერ. იმ. ლორთქიფანიძე, ელინიზმი..., ასპექტის ხელნაწილი, 1970, №2, გვ. 34 და შემდგ.

⁹⁷ ამ თაყის თემა გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს (მდრ. Г. А. Лордкипанидзе, Древняя Колхида, გვ. 27, 53).

⁹⁸ ამ დავაზე უკვე სხვა საკითხები, კერძოდ, კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის პრობლემა. გ. ლორთქიფანიძის დიდი ბერძნული კოლონიზაციის ხანაში (ძვ. წ. VII—VI სს.) წარმოქმნილი სამოსახლოები პოლისებდ და ბერძნული კულტურის მნიშვნელოვან კერებად მოჩანს (იხ. დასაბ. ნაშრომ., გვ. 10—11). მაგრამ არქეოლოგიური მასალა არ უშვებს მხარს ამ დებულებას, ვინაიდან კოლხეთის სანაპიროებზე არაა დადასტურებული ის მოვლენები, რომელიც თან ახლდა ე. წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესს — სახელდობრ, ადგილობრივი მოსახლეობის იყრა ან დამორჩილება და მასთან დაკავშირებული დემოგრაფიული ძვრები, აგრარული პოლისების წარმოქმნა და მასთან დაკავშირებული მიწის ირგინიზაცია, ფართო ელინიზაცია და სხვ. (მდრ.

О. Д. Лордкипанидзе, Античный мир и восточное Причерноморье (Всесоюзная конференция «Античные, византийские и местные традиции в странах восточного Причерноморья»), Тбилиси, 1975, стр. 18—19.

⁹⁵ «Накопившийся археологический материал не оставляет сомнений в том, что города Восточного Причерноморья являлись значительными очагами греческой культуры; именно оттуда шло греческое влияние на внутренние районы страны. Естественно, это влияние не проявилось сразу же с приходом греков, в VI в. до н. э. Оно распространялось постепенно и

⁹² დაწერ. В. Тарн, Эллинистическая цивилизация, М., 1949, стр. 139; А. Г. Перихания, Храмовые объединения Малой Азии в Армении, М., 1950, стр. 6 и след.; W. M. Ramsay, The Cities and Bishoprics of Phrygia, Oxford, 1895.

⁹³ იხ. დასაბ. რეცენზია, გვ. 145.

⁹⁴ О. Д. Лордкипанидзе, Античный мир и восточное Причерноморье (Всесоюзная конференция «Античные, византийские и местные традиции в странах восточного Причерноморья»), Тбилиси, 1975, стр. 18—19.

⁹⁵ «Накопившийся археологический материал не оставляет сомнений в том, что города Восточного Причерноморья являлись значительными очагами греческой культуры; именно оттуда шло греческое влияние на внутренние районы страны. Естественно, это влияние не проявилось сразу же с приходом греков, в VI в. до н. э. Оно распространялось постепенно и

ორე მხრივ, გ. ლორთქიფანიძის მიერ დასახელებული ნიშნები (ელენის სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული ფორმების თითქოსდა ფართოდ გავრცელება, ბერძნული ფორმების გაჩენა კერამიკაში, ზოგიერთი ელენობა დაკარგვის წესებში, ბერძნული ენისა და დამწერლობის ფართოდ გავრცელება, კოლხური და ბერძნული რელიგიური წარმოდგენების სინკრეტისაცა და სხვ), რომელსაც იგი მთელი კლბეთისათვის საყოველთაოდ მიიჩნევს⁹⁹, დამახასიათებელია არა იმდენად კოლხური ზღვისპირეთისათვის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო თუ უყოყმანოდ დაეუწყებდით ელენური გველების გავრცელებას ზღვისპირა ცენტრებიდან, არამედ ჩრქვრობით, ყოველ შემთხვევაში, ძველი კოლხეთის აღმოსავლეთი ოლქებისათვის (ძირითადად კი მხოლოდ ვანისათვის). ამასთან ძვ. წ. IV—III სს-ებთან ელენისტური კულტურა თითქმის იმავე ტიპოლოგიური ნიშნებით (სამშენებლო წესები, არქიტექტურული ფორმები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები) ეკრძოდ, დიონისური კულტები და სხვ.¹⁰⁰) კიდევ უფრო შეათვლი (ვიდრე ზღვისპირა კოლხეთში) ელენობა ისეთ ღრმად კონტინენტურ ქვეყანაში, როგორცაა მეზობელი იბერია (ქართლის სამეფო), სადაც (ისევე როგორც, ვთქვათ, მეზობელ არმენიაში) კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების გავლენა ძნელად წარმოსადგენია. ამიტომ ჩვენ კვლავინდებურად იმ აზრისა ვართ, რომ ძველი კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში (ვანი), ისევე როგორც მეზობელ იბერიაში, ელენისტური კულტურის იმპულსები მომდინარეობდნენ ერთი უპარო-

დან — მკორე აზიიდან¹⁰¹. და ამაში გარკვეული როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ ოლქებში აღმოსავლურ-ქართული ტომების კოლონიზაციამ¹⁰². ძველი კოლხეთის აღმოსავლეთი ოლქების ქართობისა და სპეციფიკური უფორმა დიდ როლს ასრულებდა იბერიის დიდი ექსპანსია დასავლეთით, რაც თვალსაჩინოდ აისახა ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციებში, ლეონტი მროველთან რომაა შერონახული: ფარსანი, მეფე იქნა ყოველსა ქართლსა და ეგრესსა ზედა... განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გავაზვნა მარგვეის ერისთავად, და მისცა მკითხი მითითვან, რომელ არს ლიხი, ვიღრე ზეულ-/რ/ადმდე (ეგრისისა), რიონს ზემოთ. და ამანვე ფარსავაზ ალაშენნა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა¹⁰³.

იბერიის პირველი მეფის მიერ კოლხეთის საზღვარზე ორი ციხის აგება, რომელთაგან ერთი — დიმნა — უშუალოდ ვანის ქვეყანას ემეზობლებოდა¹⁰⁴, და მხრივ პოლიტიკური გაბატონების უშუალოდ ერთგორი უნდა ყოფილიყო¹⁰⁵.

¹⁰¹ აქვე უნდა აღენიშნოდ, რომ ვანი აღმოჩენილი არქიტექტურული ელენობების მხატვრული გაფორმება უცხოა ი. წ. არსებულ-ბერძნულ ელენობისათვისა და ექვეა „აღმოსავლური ელენობის“ წრეში, მაგ. ანათის ფოტოებს შორის ქალღვთავის პირველივე მართლად კონსტანტინე ტაძრის კაპიტელ (კვანა I¹, სურ. 19—21. შტრ. A. Muxtarov. Новые находки каменных капителей кушанского времени из Шалхрикуა. «Центральная Азия в кушанскую эпоху», 11. М., 1975.

¹⁰² დწვრ. О. Д. Лордкипанидзе. К локализации...
¹⁰³ „ქართლის ცხოვრება“, I, (სმ. ეუხუჩიშვილის რედაქციით) თბილისი, 1955, გვ. 24.

¹⁰⁴ დიმა დღევანდელ შააკუტის რაიონში დიშის ციხესთანაა ინტენსივობით ც. ცქირიძის ციხე.

¹⁰⁵ როგორც ფიქრობენ, ძველი კოლხეთის ძლიერი საზღვრული ელენისტური ხანის დასაწყისისათვის (ჩვენ აზრით, უკვე ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან) თანდათან დასუსტდა, მისი აღმოსავლეთი ოლქები იბერიის პოლიტიკურ გავლენის დაქვემდებარება. ნიშანდობლივია, ერისთავის მხრე, სტამბონის ციხე: „ხოლო დანარჩენი კოლხეთი მეტწილად სუბსაჲსან მდებარეობს“ (XI, 2, 17), მეორე მხრე, ნუმიზმატიკური მონაგორები: ზღვის სანაპირო ზონში მხოლოდ იქცევიან ლიზიაქის სტატეის ოქროს მონაბეჭები, რომელნიც კოლხურ მონეტებზეა დაზნეული, ხოლო აღმოსავლეთ ოლქებზე და იბერიაში — აღქსანდრე მაკედონელის ოქროს სტატეების მონაბეჭები, რომელნიც იბერიაში იჭრებოდნენ. ანაწი დღევანდელი მონეტა დადასტურებულია (მხ. აკატოლოგი“).

ისტორიის... სერია, 1975, № 1, გვ. 43—63). დიდი ბერძნული კოლონიზაცია და ათენის კოლონიზაცია ტიპოლოგიურად (და ქრონოლოგიურად) სხვადასხვა პრაცესებში და შიდა ერთმანეთს ადრევე არ შეიძლება (შტრ. Cl. Mossé. La colonisation dans l'antiquité, Paris, 1970).

⁹⁹ შტრ. G. A. Лордкипанидзе. Древняя Колхида..., стр. 11; შტრ., იქვე, გვ. 63—64: «эллинистическая эпоха в Колхиде ознаменовалась повсеместными (?) — о. л.) внедрением эллинической строительной техники и архитектуры, появлением греческих форм в керамике, изменением отдельных элементов погребальных обрядов, широкого распространением греческого языка и письменности, синкретизмом греческих и колхидских культов, религиозных верований».

¹⁰⁰ ვანი I, გვ. 39 და შემდ.

ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან¹

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული, საჩინო და სალომინიანი, იყო განლაგებული. საჩინო მოიცავდა² მდ. ყუმურისა და სულორის ხეობებს, ხოლო მდ. კვინისწყალის ხეობა და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია მდ. კორისწყალამდე სალომინიანოს ეკავა. ორივე ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს სამხრეთით ფერსათის ქედი მიჯნავდა, ხოლო ჩრდილოეთით — მდ. რიონი³ (რუკა 1).

XVIII ს-ის ოციან წლებში იმერეთის მეფე ალექსანდრემ რაჭის ერისთავებს მათი გვერდითი შტო დაუპირისპირა, რომლის წარბომადგენელს, ველევანს, მეფემ „მისცა საერისთაო მამული იმერეთის შინაინა და უწოდეს ბარის ერისთავად“⁴. როგორც ირკვევა, ბარის ერისთავებს მეფისაგან სალომინიანო მიუღლიათ, ამიტომ ამის შემდეგ ამ მხარეს ჩვეულებრივ საერისთო ეწოდებოდა⁵.

¹ 1973 წლის 7 თვისიდან 6 აგვისტომდე ვანის არქეოლოგიკ ექსპედიციაში შეუძობდა რაჭში შემდეგი შემადგენლობით: ბ. ბერაძე (უფრ. მეცნ. თანამშ.), რაჭმის ხელმძღვანელი, გ. მამულა (უფრ. მეცნ. თანამშ.) და რ. ზუკარაშვილი (ფილოლოგი). რაჭმა ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვებს ატარებდა ვანის რაიონში. ეს წერაილი, შესაბამისი წერტილობით წყაროებით შეესწავლა, ამ შედეგების ანგარიშს წარმოადგენს.

² საჩინოსა და სალომინიანოს საზღვრები მოცემულია ვახუშტისთან, იმ. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 751 და 772—773; ტექსტის მხედველობით ჭირს საჩინოსა და სალომინიანოს საზღვრების ზუსტს ლოკალიზება. ვახუშტის შესაბამის რუკებზე, სადაც ეს ორი ქვეყანა განსხვავებული ფერითაა აღნიშნული, კარგად ჩანს, რომ საჩინო მოიცავს ტერიტორიას საქაბახოსა და ამაღლებს ხევის შორის (ვახუშტის ამაღლებს ხევი მდინარე კვინის წყალია), ხოლო მის აღმოსავლეთით, ნოღის ხეამდე (ვახუშტისეული ნოღის ხევი მდ. კორის წყალია), უპირავეს სალომინიანოს.

³ ვახუშტი, აღწერა, გვ. 886.

⁴ საერისთო პირველად XVIII ს-ის 30-იან წლებშია წერილობით წყაროებში დამოწმებული. ბევან ჩიქავაძის ვა-

შარის სახელის, სალომინიანოს საერისთოთა შეცვლის შემდეგ, სახელწოდება სალომინიანო მხოლოდ ერთ სოფელს შემორჩა. ჩვენს საუკუნის 30-იან წლებში სალომინიანოს ერთ ნაწილს (პირველ სალომინიანოს) ფერეთა ეწოდა, ხოლო მეორეს (მეორე სალომინიანოს) — კიროვი. სახელწოდება ფერეთა ამ სოფლის ტერიტორიაზე მომდინარე მდ. ფერეთას სახელიდან მოდის. შესაბამისად, ვახუშტისეული „სალომინიანოს ხევი, გამომდინარე ფერსათისა“⁶, მდინარე ფერეთა უნდა იყოს. დღეს სოფელ კიროვი (მდებარეობს ვანში) შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. იგი ნაგები ყოფილა კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ლოდებით. დღემდე მხოლოდ ჩრდილოეთის კედელმა და აღმოსავლეთის კედლის მცირე ნაწილმა მოაღწია. საკურთხეველში შემორჩენილია შეისრული ნიში, რომელზედაც მოხატულობის კვალი შემინჩნევა. 1819 წელს შედგენილ ქვემო იმერეთის ეკლესიათა ნუსხაში, სოფელ სალომინიანოში აღნიშნულია „ღეთის მშობლის სახელობის ეკლესია, ქვის, 1600 წ. აგებული“⁷, რომელშიც სოფელ კიროვი შემორჩენილი ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს, ასე რომ, იგი გვიანფეროდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული.

ცნობილი ერთ საბუთში, რომელიც 1735 წ. უფრო გვიანი ხანით ვერ თარიღდება, ვკითხებით: „ერთობით საჩინოეცს, დღესა და მცირეს, ასე რომ, საქაბახოს და საერისთოს შუარომ რაც კაცი არის...“. ქეთლისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (ქიზ) ს.ბ. № 45. საერისთო, რომ სალომინიანოს ტერიტორიას უპირავეს, ეს კარგად ჩანს ვიუღლენშტედტის თხზულებიდან. იხ. ვიუღლენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 305; 1839 წლის ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ „ამაღლებს საზღვრადამ ვაჩივისის სახელმწიფო საზღვრამდე ერისთაეთა ძველი მიწაწყალია“⁸ ქიზ. ს.ბ. № 674. საერისთო ამ საზღვრებში აქვს მოცემული კრავიანისკა.

⁵ Гордеев Д. М. Материалы к описанию иллюстрациям древностей. „სასტორიო მამულები“, თბ., 1924, I, გვ. 214.

ბარის ერისთავებმა თავის სამფლობელოში მკვიდრად მოიკიდეს ფეხი. მათ საძეაღეს ამალგების ეკლესია წარმოადგენდა. ამას, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის ეზოში შემორჩენილი საფლავის ქვები და წარწერები მოწმობს. გარდა ამისა პირდაპირი ცნობაც მოგვეპოვება: როდესაც XIX საუკუნის ოციან წლებში რაჭის ერისთავთა ძირითადი შტოს შთამომავალი პოდპოლკოვნიკი ანტონ ერისთავი გარდაიცვალა, პირისუფლებას მისი, საგვარეულო ეკლესიაში, ბარაკონში, დაკრძალვა არ უხერხდებოდა და თხოვნით მიმართეს ბარის ერისთავთა შთამომავლებს, როგორც ნათესაებს; „შეუვალი და მეფეთავან დამტკიცებელი ეკლესია გაქუსთ, თქვენი სამარხი ამალგებას, იმ ეკლესიაზედ განსჯევაებული სამარხი მოგვეკითო“⁶.

ამალგების ეკლესია დღას მდინარე კვირისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ამალგებში. იგი წარმოადგენს სამაფსიდან ნაგებობას, რომელსაც გუმბათოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით, კარზე, რომელიც ნაწილობრივ ქვის თლილი ლოდებითაა მოპირკეთებული და უმეტესად კი აგურით. ამჟამად გუმბათი ჩამონგრეულია და მხოლოდ აფსიდებსა შემორჩათ თაღოვანი გადახურვა.

ამალგების ეკლესია, უფრო ზუსტად მონასტერი, პირველად აღეჭაო იველევის საანგარიშო აღწერილობაშია დამოწმებული (1650—1652 წწ.) მას ამ დროს თურმე იღუმენი სვიმონი განაგებდა⁷. ვახუშტისაც იგი მონასტრად აქვს მოხსენიებული: „მოურთვის რიონს, სამხრდიამ, ამალგების ხევი. გამოსდის ფერსათს. ამასზედ არს მონასტერი ამალგებას, დიდი გუმბათიანი, არს შუენიერს აღგიოს და აწ ხუცის აპარად“⁸. როგორც შემოთ აღწერიწმეთ, ვახუშტისეული „ამალგების ხევი“ არის კვირის წყალი. სხვა მხრივ, სახელოვან ისტორიკოსს ზუსტად აქვს აღწერილი მონასტრის და მისი მდებარეობა. ოლონდ, მონასტერს, უნდა ვიფიქროთ, ვახუშტი ძველი ტრადიციის მიხედვით უწოდებს, თორემ იმ დროისათვის, საექვეო, იქ ბერთა სადგომი ყოფილიყო. 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე, რომელიც უფრო სარწმუნოა (რუკა, იმერეთის სამეფო კარზე შედ-

გენილი, იმერეთის მეფის დაულებით), „ამალგების საყარაო“ აღნიშნული⁹. ამალგების ეკლესია XVII ს-ის დასაწყისში უნდა იყოს აგებული, მას 1819 წელს შედგენილი ეკლესიათა ნუსხა 1615 წლით ათარიღებს¹⁰. უნდა ვიფიქროთ, რომ სოფელს, სადაც ეს ეკლესია დგას, ამ ხანამდე სხვა სახელი ეწოდებოდა და მხოლოდ ქრისტეს ამალგების სახელობაზე საყარის აგების შემდეგ ეწოდა ამალგება.

ბარის ერისთავთა ერთი ციხე-დარბაზი (სასახლე) სოფელ ზეინდარში იდგა¹¹. აქ მდინარე ფერეთას მარცხენა ნაპირზე, სერზე, ჩვენის საუკუნის დასაწყისში, ამ ერისთავთა შთამომავალთა სასახლე იდგა, უკვე XIX საუკუნეში აგებული, რომლის სიბალოვეს, როგორც ჩაგვაწიჩინებს, შენობარჩენილი ყოფილა ძველი კოშკი და გალავანი (დღეისათვის ამ ადგილზე უსხარა ნანგრევებილა შეიმჩნევა). ეს უნდა ყოფილიყო ბარის ერისთავთა XVIII ს-ის ციხე-დარბაზის კვალი.

გვიანყოფილადური ხანის საერისთოს (სალომინაოს) ტერიტორიაზე ჩვენამდე რამდენიმე ციხემ და ეკლესიამ მოაღწია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ორი ციხე სოფელ გორაში. ეს სოფელი წერილობით წყაროებში პირველად არქანჯელო ლამბერტის რუკაზეა დამოწმებული გორასოფლის სახელობებით. ერთი ციხე დგას ზემო გორაში მაგლოლიშვილების გორაზე. ციხეს ნახევარ ჰექტარამდე ფართობი უკავია. მას მოსახლეობა „თამარის ციხეს“, ან კიდევ „თათრის ნა-ციხეზას“ უწოდებს. ციხის ტერიტორია ეკალბარ-ციხეთაა დაფარული და გაწვედამდე მის გვეგმაზე რაიმეს თქმა ჰერს. „თამარის ციხე“ ნაგებია რაიყის ქვით, კარზე და მოპირკეთებულია კარვად დამუშაებულ ექვს ლოდებით. ზოგადად, ეს ციხე შეუაფეოდალური ხანისაა და რომელიც დიდი ფეოდალის ციხე-დარბაზს უნდა წარმოადგენდეს.

„თამარის ციხიდან“ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, დასავლეთით, ქვედა გორაში, სოფელ ინსაურის საზღვარზე, გიორგი კაშიას ეზოსთან ახლოს, შემორჩენილა მეორე ციხის ნანგრევები. იგი დგას ტაბაყურის ლეუეს მარცხენა ნაპირზე, მაღალ გორაკზე. ციხე შედარებით ადვილად

⁶ კიშ № 652.

⁷ ი. ციციკაძე. აღეჭაო იველევი 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969, გვ. 87, 167.

⁸ ბატონიშვილი ე. ხ. უ. ტ. ო. დასახ. ნაწილობა, გვ. 751.

⁹ შ. ბურჯანაძე. ლახთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწარმო, ხელნაწერია ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1957.

¹⁰ Гордеев, Д. М. დასახ. ნაწილობა, გვ. 214.

¹¹ იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, ტომი მეორე, თბ., 1948, გვ. 60.

მისადგომა სამხრეთ-დასავლეთიდან. ამიტომ ამ მხარეს, ციხიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, ღრმა და ფართო თხრილია გაკრილი. ციხე აგებულია ღლიდ, კარგად დამუშავებული კვარცხანით, რაც მას ადრეფეოდალური ხანით ათარიღებს.

მდინარე ძულუხურას ზემო წელში, სოფლებს, რომანთისა და ძულუხის საზღვარზე, მდინარეების, ძულუხურასა და თაყარულის შესაყარების დასილედ მეტრის დაშორებით, სამხრეთით, გორაზე, შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომელსაც, მასთან ახლო მდებარე ნიხელარი მულოურის მიხედვით, მელოურის ციხესაც უწოდებენ¹² (ამ ნასოფლარს მეორე სახელიც აქვს — გორმალი. სოფელი აქ ძალზე გვიანა მოშლილი. ყოველ შემთხვევაში, გორმალი, როგორც საერისთოს სოფელი, გუდუნდნებდა მოხსენიებული აქვს)¹³.

მელოურის ციხე სამი მხრიდან ძალზე ძნელი მისადგომა. შედარებით ადვილ მისადგომ ადრე-მოსავლეთ მხარეს, ციხიდან სამოცდაათი მეტრის დაშორებით, ოთხი მეტრის სიგანის თხრილი გადაჭრის გორაკს მთელ სიგრძეზე. უშუალოდ ციხესთან მეორე თხრილიცაა, რომელიც პირველზე ბევრად უფრო ღრმაა და განიერიც. მელოურის ციხის ტერიტორია ეკალ-ბარდებით ისეა დაფარული, რომ ციხის დაწერილობითი აღწერა გაუმწამლად შეუძლებელია. ციხეში ადრე-მოსავლეთ მხარეს შემორჩენილია სიცილე ზომის ეკლესია 2,5X1,5 მ-ზე. ეკლესიის ამსიდა ოდნავ მომრგვალებულია და თითქმის არ გამოიყოფა. ადრე-მოსავლეთ მხარეს ერთი სარკმელია, რომელიც გარკვეული ხანიდან სათოფურის ფუნქციას ასრულებდა. ეკლესიას თაღოვანი გადახურვა აქვს, რომელიც თოლი ქვეშისა გადაყარულია. ციხის კედლებიდან ყველაზე კარგად ჩრდილოეთის 4მ-იანი კედელია შემორჩენილი. აქ, კედელში, მარტვი სათოფურებია მთელ სიგრძეზე დატანილი, ერთმანეთისაგან, დაახლოებით, ორი მეტრის დაშორებით. აქვე, კედლიდან რამდენიმე მეტრის იქით, ქვევრებია შემორჩენილი, ხოლო ციხის ადრე-მოსავლეთ მხარეს, ეკლესიის ქვემოთ — დილეგი.

„მელოურის“ ციხე ნაგებია კარგად დამუშავებული ქვის დიდი კვადრებით, რაც ამ ნაგებობას ადრეფეოდალური ხანით ათარიღებს. ციხე გვიანფეოდალურ ხანაშიც გამოუყენებიათ, XVII

საუკუნეში მაინც (ასე თარიღდება ჩვეულებრივ მარტივი სათოფურები). იგი, უკვეყალად, ერთ-ერთი ფეოდალური საგვარეულოს რეზიდენციას წარმოადგენდა. კონკრეტულად კი ვისი — ამაზე რაიმეს თქმა ჭირს.

საერისთოს — სალომინას ტერიტორიაზე, ამაღლების ეკლესიის გარდა, ჩვენამდე სულ ორმა ეკლესიამ მოაღწია. ერთი დგას სოფელ ინაშურში. იგი, ჩვენი აზრით, გასულ საუკუნეში უნდა იყოს აგებული. ამავე სოფელში, გრიგოლ-შვილის გორაზე არის ნანგრევები, რომელსაც მოსახლეობა „ნაიხევის“ უწოდებს. ამ გორაზე ამჟამად სასაფლაოა. „ნაიხევის“ წარმოადგენს ოთხკუთხა შენობის ნაშთს, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი. შესასვლელი ორი ჩანს, სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ჩვენი აზრით, ეს ეკლესიის ნაშთია და არა, ციხის.

სოფელ უხუთში დგას წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც ამჟამად კლებად და გამოყენებული. იგი ზუსტად იმეორებს ერთ-ნაეიანი ქვის ეკლესიის გეგმას. გადმოცემით ეს ეკლესია ქერცხეთიდანაა გადმოტანილი დაახლოებით ასი წლის წინათ. ცერცხეთი დღეს უხუთის ერთ უბანს წარმოადგენს, სოფ. გორას საზღვარზე. იგი ძველად ცალკე სოფელი იყო და მოხსენიებულია 1762 წლის ერთ დავთარში¹⁴. გადმოცემა, უნდა ვიფიქროთ, სწორია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1819 წლისათვის უხუთში ორი ხის ეკლესია იდგა, XVIII საუკუნეში აგებული. საერთოდ კი დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე 1819 წელს 33 მიქმედი ეკლესია იყო როგორც სამრევლო, ისე თავდაზნაურთა კარის ეკლესია. აქედან მხოლოდ ათი იყო ქვის, დანარჩენი აგებული იყო ხისაგან. ეს, ჩვენი აზრით, ამ მხარეში ხით ზურრობის განვითარების შედეგია ქვეთ ზურრობასთან შედარებით. შესაძლებელია, ამგვარ მოვლენას უფრო ადრეულ ხანაშიც ჰქონდა ადგილი.

დღევანდელი მიხედულია, რომ საჩინო (მხარე) მთელი დღევანდელი ვანის რაიონს მოიცავდა. ამ ერთეულის ასე ფართოდ შემოხზავს პირველად ექვთ. თაყაიშვილთან ვხვდებით¹⁵. მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. ჩვენ ზემოთ აღვნიშ-

¹² ე. დ. გოგობერიძე. მელოურის ციხე, ძეგლის მეგობარი, № 36, თბილისი, 1974 წ.

¹³ გ. დ. დენდნებელი. დასაბ. ნაშრომი, გვ. 305.

¹⁴ ი. დ. დ. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 847.

¹⁵ ექვთ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, ტფ., 1907, გვ. 1.

ნეთ, რომ ებუშტი საჩინოს აღმოსავლეთ საზღვრად მდ. კვირისწყალს დებს, დასავლეთ საზღვრად — საყავახოს მხარეს. საჩინოს საზღვრები ასეთივე ფარგლებში აქვს მოცემული კრავიჩის¹⁶ და გიულდენშტედტს¹⁷. ასე რომ, ვახუშტის ლოკალიზაცია აშკარად დასტურდება. აღმოსავლეთიდან, როგორც აღინიშნა, საჩინო საერისთოს (სალორიანის) ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთით — საყავახოს. ამ უკანასკნელიდან მას საყავახოს მთების აღმოსავლეთ კალთები გამოყოფდა, ხოლო დაბლობის ვიწრო ზოლში — კაპიტონის ლევა, რომელიც ღღეს სოფლებს — გომსა და მთისძირს ერთმანეთისაგან მიჯნავს¹⁸.

საჩინო ეწოდებოდა არა მარტო მთელ მხარეს, არამედ ერთ პუნქტსაც. ამ უკანასკნელი მნიშვნელობითაა მოხსენიებული იგი რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იველევის ანგარიშში, მაგრამ აქ აღრეეთ რაჟა და ლეჩხუმიცაა მოცემული როგორც პუნქტები. ამიტომ შესაძლებელი იყო დაგვევა, რომ საჩინოს შემთხვევაში ამგვარ აღრევას აქვს ადგილი. ძნელია დაბეჭდვით მტკიცება, რომ ზოგიერთ საეკლესიო საბუთში საჩინო სოფლის მნიშვნელობითაა მოხსენიებული და არა მხარის. საბედნიერად, შემორჩენილია ერთი საეკლესიო საბუთი, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ საჩინო, როგორც პუნქტი, სინამდვილეში არსებობდა. ერთი საეკლესიო დოკუმენტის მიხედვით, რომელიც არა უგვიანეს 1788 წელსაა შედგენილი, ვანის მონასტრისათვის აზნაურ ქაინოსორ აბულაძეს შეუწირავს „საბეკის უჩასტკას სოფელს, საჩინოს მოსახლე ვაიოზ და იესა რატკეები“¹⁹. ეს საბუთი შემოკლებული პირია, ვანის მონასტერში დატული ერთი

დოკუმენტისა, რომელიც 1823 წ. შესრულდა მთავრობის დაავლებით, ასე რომ, სოფელი საჩინო ამ დროისათვისაც არსებობდა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „მოერთვის ჩიონს სამხრდიამ, საჩინოს ზევი, გამოსდის ფერსათს. ამ ზევის ეკრების სებეკას ქუეთი, სხვა ზევი გამოსდის ფერსათსავე, ხოლო სებეკას არს ციხე შენი კარგ ადგოს“²⁰. სახელოვანი ისტორიკოსის შესაბამის რუკებზე მდ. საჩინოს ზევის²¹ ნაპირას დატანილია დაბა და ციხე საჩინო, ხოლო ცოტა მოშორებით — სებეკას ციხე.

ვანის მიდამოებში, მდ. სულორის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. „შეიღობის გორაკი“ შემორჩენილია ციხესიმაგრის ნაშთები. კარგად გაირჩევა კოშკის საფუძველი, რომელიც რიყის ქვითაა ნაგები. მისი ზომებია 10 X 5 მ-ზე. მის სიახლოვეს სხვა ნაგებობათა კვალი შეიძინევა. გადმოცემით, აქ იღვა ციხე, რომელიც ჩიქვაძეებს ეკუთვნოდა. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს საჩინოს ციხე, ხოლო ვახუშტისეული „საჩინოს ზევი“ კი მდინარე სულორია.

ტოპონიმი საბეკა დღესაც შემორჩენილია. იგი ეწოდება ვრცელ ფარგლებს, რომელიც ღღეს სარაიონო ცენტრის ვანის შეზღვევლობაში შემოდის და მდებარეობს სარაიონო საავადმყოფოს ახლოს. საბეკას ციხეც აქვეა (ვახუშტის ციხეა, როდესაც მას სებეკას უწოდებს), შოშალეო ბორცვზე, იქ, საიდანაც ღღეს გზატკეცილს დიდი პანი გადაჰყურებს. საბეკას ციხე ძალზე დანგრეულია და დღისათვის ცალკეული კედლის ფრაგმენტებშია შემორჩა. იგი ნაგები კოფილა რიყის ქვით, კირზე. აქვე შეიძინევა მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები. ჩვენი აზრით, უნდა იყოს 1804 წ. ნიკოპრს ჩიქვაძის აგებული ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესია, რომელიც ქვემო იმერეთის 1819 წლის ეკლესიათა ნუსხაშია მოხსენიებული²².

საბეკას ციხეს ვახუშტი თავის თხზულებაში 1590 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს²³, ხოლო საჩინოს ციხეს კი — 1619 წლის ამბებთან დაკავშირებით²⁴. რუსი ელჩების ტოლოჩანოვის

²⁰ ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 751.

²¹ Д. М. Гордеев. დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

²² ვახუშტის ცნობით, 1590 წ. გიორგი გურიელი იმერეთის ვახოს როსტომის წინააღმდეგ გამოეძა და ქუთაისს დაიკავა. შედეგად ამიღდა საჩინოს, მოიყვანა ოსმალთა სანაღ, განდევნა ჩიქვაძე, აღიღო ციხე სებეკა“²⁵. ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 821.

²³ ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 428—429.

¹⁶ «Страна к востоку от Саджавахо до верхних частей р. Романиети и Дулауухи. Известно под именем Сачино; далее востока до Перстских гор и р. Корис Шхали лежит Свэрнст»: Краевич, Военный обзор рлонского края, СПб, 1870, гл. 53.

¹⁷ გიულდენშტედტს ჩამოეღილი აქვს საჩინოს 14 სოფელი, რომლებიც თავსდებიან საყავახოსს და კვირისწყალს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. იხ. გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

¹⁸ სოლომონ II ერთ სივლეში ევითხლებოთ: „საყავახოს სასაზღვროს კატრონის ღღეს შუა... ს. კ. ა. ბ. ა. მ. ე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921, გვ. 164.

¹⁹ საქართველოს სსრ ცისია ფონდი 1451, დეოთარი, 16.

და იველევის ცნობებში ორივე დამოწმებულია. 1703 წელს საბუჯას ციხე თურქებს დაუნგრეთათ²⁴ და შემდეგ, როგორც ჩანს, კვლავ აღუდგენიათ. 1735 წ. ალექსანდრე იმერეთა მეფის ძმამ ბეჟა ჩიჯავაძეს ეს ორივე ციხე წაართვა²⁵. 1765—1767 წლებში საჩინოს ციხე დროებით თურქებმა დაიკავეს²⁶. მათ ხელში იგი ეტყობა ძალზე დაზიანდა და აღარც აღუდგენიათ. რაც შეეხება საბუჯას ციხე-დარბაზს, იგი 1791 წელს დაუბრუნდა ჩიჯავაძეთა საგვარეულოს.

ვანი. როგორც დასახლებული პუნქტი, წერილობით წყაროებში XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან ვახვდება²⁷. ამ ხანიდან მოიხსენიება ვანის მთავარანგელოზის ეკლესიაც. იგი გვიანფორმალურ ხანაში ჩიჯავაძეთა საგვარეულოს დაზიანეს წარმოადგენდა. დღეს ეკლესია ძალზე დაზიანებულია, სახურავი აღარ აქვს. ფრესკები თითქმის მთლიანად ჩამორყეცილია²⁸.

²⁴ ტუა-ამა ჭორიონოსა ჩამოვიდა აზრუხის ფაშა, საბუჯას ციხე, შორასის ციხე დაქოცეს... ქ. ო. ო. 2 ვ. ლ. მ. იურ. ჭორიონო, თბ., 1958, გვ. 69—70.

²⁵ მოლაგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისა და შობარეთი ადილი ციხე სხევისა. აღილი ციხე მეფანისა. დაიპყრა საჩივაძეთა მამუკამ. ვახუშტი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 889, ბეჟან ჩიჯავაძის ციხეში, რომლის საბუჯას ვახუშტი არ ასახელებს, საჩინოს ციხე უნდა იგულისხმებოდეს.

²⁶ აღუგანოსილმა ლაქვარმა (თურქების — თ. ბ.). ჭართველიის სამფლო დასაყრდელი საჩინოს ციხეც დაიპყრო. მისი დაეკა აჩიკაშის მეფედ დანიშნულ თეიმურაზს შიანდევს². ნ. შვიცელია. ომალა ოსტორიების აქმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, 111, თბილისი, 1971, გვ. 303.

²⁷ ტოლინანოვი (1650—1652 წწ.) იმერეთის სხვა პუნქტებს შორის ვანსაც ასახელებს. თბ. ო. ო. 2 ვ. ტოლინანოვის იმერეთში ვლჩიხის მუსლიმური აღწერილობა, თბ., 1970, გვ. 152, 256; მაგარა იმერეთში ასეთი სახელწოდების რამდენიმე პუნქტია. ამიტომ არ შეიძლება გადაიჭროთ მისი მტკიცება, თთქონის რუსი ვლჩის ზეგრ დასახლებულ ვანში ჩვეთვის საინტერესო პუნქტია იგულისხმება. ვანის პირველი უწყვე დამოწმება წერილობით წყაროებში 1770 წელს თარიღდება. ამ წელს შეწყობა აფხაზეთის კათალიკოსმა ვანის საწინამძებრო ეკლესიის მისეოვარს ბერიკლა მერაბიშვილმა... ქიმ 16 912. ვანის მოსვენებულად გულდენ-შტედტმა, თბ. გულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 305. ვანის ობოხაობი 1776 წ. მაშინვენი ეკითხვობით: „... გამოყოფილთა და საჩინოს ვანს მთავარანგელოზის ეკლესიასთვის შეწყობულ ყოფილყო და ახლაც... საჩინოს მთავარანგელოზის ეკლესიასთვის შემეჩარავს“. ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

²⁸ ექვთ. თაყაიშვილი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 7—8; ვანის მონასტრის პირველი აღწერილობა 1819 წ. ეკლესიათა ნუსხისაში მოცემულია „В селении Вань, монастырь, во имя

XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში და XIX საუკუნის დასაწყისში ვანის „მთავარანგელოზი“ მონასტრის წარმოადგენდა, რომელსაც წინამძღვარი განავებდა. დღემდე მოაღწია ამ მონასტრის დარბი შეწყობებისათვის ათზე მეტმა დოკუმენტმა, მათ შორის საკუთრივ სოფელ ვანიდან. აქედან შეწყობილი მიწები: ტური, ქიზობური, კანთითი და სხვა²⁹ დღეს სოფელ ზედა ვანის ტერიტორიაზეა, აქვე დგას ვანის მთავარანგელოზის ეკლესია. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ვანი (სოფელი) ძირითადად ზედა ვანს მოიცავდა.

ამრიგად, გვიანფორმალურ ხანაში დღევანდელი დაბა ვანის ადგილის ორი პუნქტი — საჩინო და საბუჯა იყო განლაგებული, ხოლო დაბის ერთი ნაწილი საკუთრივ სოფელ ვანის (დღევანდელ ზემო ვანს) ეკუთვნოდა. შედიოდა თუ არა ამ უკანასკნელი სოფლის შემადგენლობაში „ახვლედიანების გორა“, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, — ძნელი სათქვლია. ახვლედიანი ნუსხაში, რომელიც ჩვენ არაერთგზის ვაქვებს მითითებული, ვანის გვერდით მოხსენიებულია „ვანი-შემობავალი“, სადაც იდგა აზნაური რამაზ ახვლედიანის ქარის ხის ეკლესია³⁰. ახვლედიანის მოხსენიება თითქოს დღევანდელ ახვლედიანების გორაზე უნდა მიგვიითეთებდეს. მისი დასახლება არა საკუთრივ ვანის ტერიტორიაზე, არამედ ვანის შემავალი, გვერდობინების, რომ დღევანდელი „ახვლედიანების გორა“ უშუალოდ ვანის ტერიტორიაზე არ იგულისხმებოდა და ცალკე სახელად ჰქონდა, თუ რა იყო ეს სახელი, ამის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება.

საჩინოსა და საბუჯას ციხე-დარბაზთა გარდა, ჩიჯავაძეთა გვარეულობა საჩინოში (მხარე) კიდევ რამდენიმე სასახლეს (ციხე-დარბაზს) ფლობდა. ამ გვარეულობის ერთი სასახლე სოფელ ვანში იდგა³¹, დღეს აქ ციხე-დარბაზი არ ჩანს. შეიძ-

სა. архангелов Михаила и Гавриила, из дикого тесанного плитнику без купола, покрыты драпью, построены в 1500 году; при нем предел во имя рождения пресвятой богородицы“. Гордеев, Дм. დას. ნაშ., გვ. 219.

²⁹ საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი ფ. 1451, ფოლ. 16.

³⁰ «В селении Вань-Шемонавля, у доорыишиа Романа Ахвледиани царь во имя Святого великомученишиа и победоношиа Георгия»... Гордеев დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

³¹ 1791 წ. ჩიჯავაძე ვახუშტიმ ჩიჯავაძე ჭაბისროს დღემოდ „ვანს სასახლე“ ქიმ. 1791.

ლება იგი მდგარიყო „ნაიხვარზე“ ზედა ვანში. რომელიც ვანის მთავარანგელოზის ეკლესიიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული. აქ ყველაზე მაღალ ადგილას შემორჩენილია ციხის ნაშთი. რომელიც აგებული ყოფილა კირკვით.

ზედა ვანის „ნაიხვარის“ ჩრდილოეთით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, შენარჩენილია ეკლესიის ნანგრევები, რომელთაც „ეკლესკვანს“ ან კიდევ სოსელიების ეკლესიას უწოდებენ. ეკლესიიდან მხოლოდ ბაგვარის ქვები: „შემორჩენილი. აქვეა გალაენის კვალი, რომელსაც საკმაოდ არქაული იგრი აქვს. ეკლესიის ახლოს, ფერდობზე ჩვენ ავკრიფეთ აღდგანტიკური ხანის კოლხური პითოსის რამდენიმე ფრაგმენტი.

ვანის მთავარანგელოზის ეკლესიიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, დასავლეთით, აღმართულია უზარმაზარი გორა, რომელსაც „უეანას გორას“ უწოდებენ. მას ორი მხრიდან ძალზე დიქანებული ხრამი მიუყვება, რომელსაც „ლუპირის“ უწოდებენ, ხოლო აღმოსავლეთ მხარეს, მთელ მანძილზე (ამ მხრიდან გორა აღვიდად მისადგომია), შეიმჩნევა ქვის წყობის ნაშთი. ამ მხარეს გორას, როგორც ჩანს, გალავანი მიუყვებოდა. გორაზე ეპოქით ქვეყნის პირის ფრაგმენტები, რომელიც არქეოლოგმა რ. ფუტურჩიძემ აღრეანტიკური ხანით დავეთაროდა.

ჩიკავაძეთა საგვარეულოს ერთი სასახლე სოფელ ისრითში იღვა³². ამ ციხე-დარბაზის ნანგრევებმა დღემდე მოაღწია. იგი დანაწილას, ჩრდილოეთის სერზე, რომელიც რიონს გადასყურებს. ჩვენამდე მოაღწია ოთხკუთხა კოშკმა, რომლის ზომებია 5,5 X 2 მ. ნაგებია ფლეთილი ქვით, კირზე. წყობა საკმაოდ სწორია. დასავლეთის კედელი დიდ სიმაღლეზეა შემორჩენილი. აღმოსავლეთის კედელი უფრო დაწვრიულია (ორი სხვა კედელი თითქმის არ შემორჩა). ამ კედელთა ერთი მარტივი სათოფურია შემორჩენილი, რაც ციხეს XVI—XVII სს-ის მიჯნით ათარიღებს.

საინიშნო ქვეყანა ორად იყოფოდა: ზემო და ქვემო საინიშოდ. ამ უკანასკნელში მდ. ყუმურის ხეობის სოფლები საპაიჭო, ტომანიერი, შუამთა და ჭყვიში შედიოდნენ³³.

მომინარეს სახელი ყუმური მეგრული სიტყვა „ყუმურიდან (ტყემალი) მომდინარეობს. თავდა-

პირველად ეს სიტყვა მსახდგრელის როლს ასრულებდა რთულფუძიან გეოგრაფიულ სახელში ყუმურიშეწყარი (ტყემლის წყალი) ან კიდევ, ყომურიშედალი (ტყემლის დეღე). შემდეგ გეოგრაფიული სახლის შინაარსი დაიწყებას მიეცა, ტომონიშის მერვე ნაწილ დიაცარგა და მივიღეთ ყომური, ხოლო აქედან კი ყუმური. საერთოდ, ზანურენოვანი ტომონიშები ვანის რაიონის ტომონიშის ერთ ჭაფუს წარმოადგენს. ასეთებია გა-ლიდი (გორა ღიდი ანუ ღიდი გორა, გა მეგრულად გორას ნიშნავს), დუცხუნი — ცაცხუნარი (დუცხუ ჰანურად ცაცხს ნიშნავს)³⁴. დიხაშო — მსუყე, ნოყიერი მიწა (დიხა მეგრულად მიწას აღნიშნავს შო/შხუ კი — მსუყე, ნოყიერს)³⁵, ტომანიერი — ტბეთი (ტბა მეგრულად ტბას ნიშნავს³⁶), ჭყვიში, ოწკიხეთი — საყვიარი (ჭოხ ჰანურსა და მეგრულში ზმნის ფუძეა, რომელიც ქართულად ძახებას ნიშნავს)³⁷ და ოჭყეფ — დასაჭერი ადგილი (მეგრული ჭოფ — ქართულ ჰერას შეესაბამება)³⁸. ზემოთ მოხსენიებული ადგილის სახელები, უკანასკნელის გარდა, სოფელთა სახელებია (ოჭყეფ ვრცელ ფართობს ყოფილება ყოფილი საბუკას ტერიტორიაზე). ასე რომ, ზანუშები ვანის რაიონის ტომონიშაკში (ძირითადად საინიშის ტერიტორიაზე) ძირითადად მაკროტომონიშაკშია შემორჩენილი, რაც ამ ტომონიშთა განსაკუთრებულ სიმკვლეზე მეტყველებს.

მდ. ყუმურის ხეობის ზემო წელში სოფელი საპაიჭოა. დღეს ასეთი სახელწოდების სოფელი აღარაა. არსებობს ყუმურის სასოფლო საბჭო, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებს: საკუთრივ ყუმური (ძველად საპაიჭო) მისილორი, დუცხუნი, გაილოური, მუქედ კაესუბანი, ნიქოური, ევგანისი და ნახევარი თბილოვანი. ძველად ყველა ეს სოფელი, თბილოვანის გამოკლებით, საპაიჭოს წარმოადგენდა. ეს ტერიტორია გეოგრაფიულად კარგად ინახება. აღმოსავლეთით ძველ საპაიჭოს ესაზღვრებოდა მთაწმინდის გორა, ჩრდილო-აღმოსავლეთით მუქედის გორა, ჩრდილოეთით — ქენიანის ქედი, დასავლეთით — საყავასო ქედის აღმ. კალთები, ხოლო სამხრ-

34 ა. დ. ნ. ი. კ. ბ. ა. ე. კანურ-მეგრულ-ქართული უღრამიანი ლექსიკონი, ტფ., 1938. გვ. 129.

35 И. Кнпшндзе, Грамматика мингрельского (Иверского) языка СПб., 1914.

36 ა. დ. ნ. ი. კ. ბ. ა. ე. კ. დასახ.; ნაშრომი, გვ.

37 ი. ქ. ე. გვ. 437.

38 ი. ქ. ე. გვ. 418.

32 1797 წ. ჩიკავაძე ვახუშტომ თაყის ბიძაშვილის კაცოს დუთომ „ისრითის სასახლე მისი სამართლიანის საზღვრით“. ქმ. № 10.

33 ქმ. № 292.

თით — მდინარეების ყუბურისა და სუფის წყალგამყოფი ქედი.

სააიკავოს ერთ სოფელში, მაისოურში, მდინარე ყუბურის მარცხენა ნაპირას, მდინარიდან კლომეტრზე მეტი მანძილის დაშორებით, დგას ციხე, რომელსაც სააიკავოს ციხეს უწოდებენ. იგი აგებულია განმარტოებულ კონცხზე, რომელსაც ციხის გორას ან კიდევ მჭვარძის უწოდებენ. ჩრდილოეთი მხრიდან ციხეს ჩამოვლის დედაციხე. რომელსაც სახელი არ გააჩნია, ხოლო სამხრეთიდან კი — ციხის დედა. ეს დედაციხე ერთმანეთს ერთვებიან და შემდეგ — ყუბურს. ამ ორივე მხრიდან ციხე პრაქტიკულად მიუვალია. დასავლეთის მხრიდან კონცხი, რომელზეც ციხე დგას, შთის სხვა ნაწილებიდან ორა ერთმანეთს თითქმის პარალელური თხრილებითაა გამოყოფილი. (პირველი თხრილის სიგანე სამეტრამდეა, ხოლო მეორესი — ხუთ მეტრზე მეტი). ციხე, როგორც ირკვევა, შედგებოდა დედაციხისა და ორი კოშკისაგან. დედაციხის ფართობი დაახლოებით 600 მ²-ია. კარგადაა შემორჩენილი დედაციხის სამხრეთი კედელი, რომლის სიმაღლე ძირითად 20 მეტრზე მეტია. კედლის თავზე მრგვალი სვეტებია (უნდა ვიფიქროთ, ეს სვეტები სახარბაზნის ნაშის წარმოდგენს. სააიკავოს ციხიდან ერთი ქვეშეხი ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული). სამხრეთის კედელზე ორი მარტივი სათოფურია შემორჩენილი. დედაციხე რამდენიმე სართულიანი ყოფილა. დედაციხის აღმოსავლეთით კიდევ ერთი კოშკი მდგარა. ამჟამად ნანგრევებილია შემორჩენილი. აღმოსავლეთ მხარეს ციხე შედარებით ადვილი მისადგომია. ამიტომ ამ კოშკის აღმოსავლეთით თხრილი გაუჭირათ, რომლის აღმოსავლეთით კიდევ ერთი კოშკი მდგარა, რომელმაც ნანგრევების სახით პოაღწია დღემდე. ციხეს შესასვლელი ჩრდილოდასავლეთი მხრიდან ჰქონდა. ვაჰ კლდის მასივში იყო გაჭრილი. ციხე აგებულია კარგად დამუშავებული მოკრილი კლდის ქვით.

ციხის აგების თარიღის დადგენა ჰირს. ყოველ შემთხვევაში გვიანფეოდალური ხანის დასაწყისიდან (თუ უფრო ადრე არა) ეს ციხე უკვე აღმოჩნდა მოქმედი. სააიკავოს ციხე წერილობით წყაროებში პირველად 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე გვხვდება „აიკავის ციხის“

სახელწოდებით. ეს ციხე მოხსენებულია გიულდენშტედტთანაც³⁹.

სააიკავოს ციხე XIX საუკუნის დასაწყისში მოქმედი. 1810 წელს, იგი უკანასკნელი ციხისმაგვრე იყო, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას დანებდა იმერეთის აჯანყების დროს⁴⁰.

სააიკავოში, იმავე უბანში, დგას ეკლესია, წმინდა გიორგის სახელობის, რომლის მთავარ დღეობაზე მთელი სააიკავოს მოსახლეობა იყრიდა თავს (ამის გარდა, თითოეულ სოფელს თავისი ეკლესია ჰქონდა).

სააიკავოს წმინდა გიორგის ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა. იგი მოპირკეთებული იყო თლილი ქვით. მოგვიანებით ეკლესია შეუღლებსით და ნიშები ამოუღისათ. ჩვენი აზრით ეს ეკლესია, რომელსაც ვასული საუკუნისათვის განუცლია საფუძვლიანი შეკეთება, განვითარებულ ფეოდალურ ხანას შეიძლება მიეკუთვნოს. 1818 წლისათვის სააიკავოს წმინდა გიორგის ეკლესია მოქმედი არ ყოფილა, რადგან ქვემო იმერეთის ეკლესიების ნუსხაში ამ სოფელში მოხსენიებულია ორი ხის ეკლესია 1810 და 1817 წლებში აგებული⁴¹.

სააიკავოს ციხის დასავლეთით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, არს ადგილი „ნაღარბაზევი“, ტოპონიმი ძალზე საინტერესოა, მით უფრო, რომ ვაღლოცეში, მიწის დამუშავების დროს აქ გათლილ ქვებს პოულობენ.

ყუბურის საბჭოს ერთ სოფელს, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარის ხეობაში ყველაზე მაღლაა განლაგებული, გაილოური ეწოდება. ამოვლიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ზემოთ, ხეობაში, დგას ძალზე დიდი გორა, რომელსაც „ნასაყდრ გორას“ უწოდებენ. მისი საერთო ფართობი ოცდაათ კექტარს აღემატება. ამ გორის ფერდობი კერამიკის ფრაგმენტებითაა მოფენილი. საკუთრივ გორა ზემოთ მცირე ფართობის წყვეტილი ბოლოვდება, რომლის ზედაპირი ბათქაშებითაა მოფენილი.

სააიკავო (ძველი მნიშვნელობით) მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ადრეფეოდალურ ხანაში იგი ალბათ ცალკე ხეებს წარმოადგენდა, შემდეგ კი ერთ

³⁹ გიულდენშტედტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

⁴⁰ Акты, собранные Кавказской археографической комиссией, IV, III, 1870, стр. 242—244, 254.

⁴¹ Дм. Гордеев. დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

თემს, რომლებმაც მცირე ფეოდალებმა—პაიკიებმა დაიმკიდრეს ბატონობა. სასაიკოს ცალკე „ქვეყნობა“ XVIII ს-ის 80-იანი წლების ერთი დოკუმენტით დასტურდება⁴².

სასაიკოს მეზობლად, ხეობაში. მიქელაფონია ვანლაგებულა. იგი ტრბანიერის სასოფლო საბჭოში შედის და დღეს ცალკე სოფელია. XIX საუკუნის 30-იან წლებში მისი ტერიტორია უშუალოდ ტრბანიერში შედიოდა და სახელი მიქელაფონი ვენახს ეწოდებოდა, რომელიც ამ ხანაში აზნაურ დავით შერამზანიძისა და არდემუილის, წულაძისა და ყრუაშვილის საზიარო ყოფილა⁴³.

სახელწოდება მიქელაფონი მეტად საინტერესოა. იქმნება საცდური, რომ იგი მდინარე რიონზე არსებულ ერთ-ერთ ფონს დაეუკუშიროთ, მაგრამ მანძილი მიქელაფონიდან ამ მდინარემდე (არა ნაკლები რვა კილომეტრი) ტოპონიმის ავგარი ახსნის საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენი აზრით, ეს ტოპონიმი ზნასთანა დაკავშირებული, რომელიც ყუშურის ხეობის გავლით სამცხედან შუამთისკენ მიემართებოდა (იხ. ქვემოთ).

დღევანდელ მიქელაფონში არის ადგილი „ნაიციხარი“, სადაც ციხის უსახო ნანგრევებია შემორჩენილი. ამავე სოფელში დგას დარბაზული ტიპის სამების ეკლესია, რომელიც განვითარებულ ფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული, მას მოვლიანებით (ალბათ XX ს-ში) საფუძვლიანი გადაკეთება უნდა განეცადა.

ზოგადად ასევე შეიძლება დათარიღდეს ტრბანიერის სამნავიანი ბაზილიკაც.

სოფელ შუამთაში არის ადგილი „ნაიციხარი“, სადაც ციხის ნაშთებია შემორჩენილი. აქ მცირე გორაკის წვერზე შეიქმნევა კედლის ნაშთები, რომელიც დაახლოებით 300 კმ. მ. ფართობს შემოსაზღვრავს. გორაკის ძირში თითქოს გალავნის კვალიც შეიმჩნევა, ასე რომ, აქ მდგარა ციხე, რომელიც კომუკისა და ვალენისაგან შედგებოდა. თვით კოშკი, ასე 50 წლის წინათ, უკეთესად ყოფილა შემონახული და მისი ქვები სკოლის მშენებლობაში გამოუყენებიათ. გორაკის ფერდობი ფეოდალური ხანის კერამიკითა მოფენილი. ციხის დასავლეთით, ნახევარი კილომეტ-

რის დაშორებით, არის ადგილი „კილოფნარი“. ძველად აქ ხის ეკლესია მდგარა, ამჟამად მხოლოდ სასაფლაოა, ხოლო ციხის ჩრდილოეთით, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, არის ადგილი „ნატახტი“. აქ შემორჩენილია დიდი ზომის ქვევრი, რომელიც მიწის დამუშავების დროს უპოვინათ და მიწიდან სანახევროდ გაუწმენდილი. ქვევრის ამოწმენდილი ნაწილში ნახევარ ტონაზე მეტი სითხე ეტევა. აქ ქვევრის ახლოს არის „ნატარაშალი“, რომელიც წარმოადგენს რიყის ქვებით აგებული კედლის ერთ ფრაგმენტს. იგი რატომღაც წმინდა ადგილად ითვლება და მოხუცებული ქალები მასზე დღესაც საწოლებზე აწოებენ. „ნატახტი“ და მისი მიდამოები უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. თვით „ნატახტი“ ოდნავ შემაღლებულ ბორცვს წარმოადგენს და მის ძირში წყობის დროს წყალს გამოაკვს სხვადასხვა ხანის, მათ შორის ადრეანტიკური ხანის, კერამიკის ფრაგმენტები. „ნატახტის“ ახლოს, მოსახლობაში, ხშირად პოვლობენ დიდი ზომის კრამიტის ნატეხებს, ხოლო ერთი კრამიტი მთლიანი სახით ახლაც უღვეს ერთ მოსახლეს ებოძა.

შუამთის „დავარეული ციხე“ და „მეფის ბანაკი“ მოხსენიებული აქვს გიულდენშტედტს⁴⁴. ეს ციხე ზემოთ აღწერილი ციხის ნანგრევები უნდა იყოს, ხოლო მეფის ბანაკი, უნდა ვიფიქროთ, ნატახტზე იყო განლაგებული, უძველეს სამოსახლო გორაკზე.

შუამთაში, ყუშურის მარჯვენა ნაპირზე, არის დიდი ზომის გორა „ნაღარაშვი“, გორაკი ძალზე დამუწყროლია და ჩვენ კერამიკის ერთი ფრაგმენტიც კი ვერ ვიპოვეთ. აქედან სამასიოდ მეტრის დაშორებით, შუამთისა და მეტეფის საზღვარზე, დგას ქედის წმინდა გიორგის ეკლესია. ეკლესია გვიანფეოდალური ხანისაა და გასულ საუკუნეში საფუძვლიანადაა გადაკეთებული თუ ხელახლა აგებული ძველი ქვებით⁴⁵.

საჩინოს ქვეყნის ისტორიის შესახებ ძალზე ცოტა რაბაა შემორჩენილი. გვიანფეოდალურ ხანაში ამ მხარეს ჩიქვაძეებით ფლობდნენ, ამიტომ საჩინოს ხშირად საჩიქვაძისაც უწოდებენ. 1735 წ. ამ მხარეს მამუკა ბატონიშვილი, ალექსანდრე V იმერტა მეფის ძმა დაეუფლა და ჩიქვაძეებს კუთვნილი ყმა-მამული ჩამოართვა⁴⁶. მხოლოდ 1791

⁴² დავით იმერტა მეფის 1785 წლის ერთ სიგელში მეფე ბერი წულუკიძეს ბრალს დებს: „ჩვენი ოჯახის სისხლის მოკვებულს ქვეყანას სასაიკოს უკუთვალა“. შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784—1810), წ. I, თბ., 1953, გვ. 11.

⁴³ ქმრე № 292.

⁴⁴ გიულდენშტედტი. დასახ. ნაშრომი. გვ. 305.
⁴⁵ ექვთ. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრომი.
⁴⁶ ვახუშტი. დას. ნაშრომი, გვ. 889.

წელს დაიბრუნა ამ გვარეულობამ თავისი ძველი საშფოთბლოს ნაწილი. სახელდობრ, ზედა სა-
ჩინო. ისიც არასრულად⁴⁷.

შუაფეოდალური ხანის საჩინოს შესახებ რა-
ინე წერალობითი მასალა არ მოგვეპოვება. აკადე-
მიკოს ნ. ბერძენიშვილმა თავის დროზე ჩაიწერა
ერთი ვაღმოცემა, რომლის თანახმად, ამ მხარეს
ჩიკავაძეთა წინ ქრებულძეები ფლობდნენ. ეს
ვაღმოცემა მას დამატებლად ჩვენება⁴⁸.

შუაფეოდალური ხანიდან დღემდე მოღწეუ-
ლი მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობ-
ენ. რომ საჩინო ამ პერიოდში გარკვეულად და-
წინაურებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ამ პერი-
ოდს მიეკუთვნება ციხე-დარბაზი სოფლების
ბზვანისა და ინაშურის საზღვარზე. სოფელ გა-
დიდში ამ ხანაში ეკლესია მდგარა. ამას მოწმობს
XI ს-ის წარწერაანი ქვა, რომელიც თავის დრო-
ზე ამ საუბრის შესასვლელის თავზე იდგა და ახ-
ლა ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დატუ-
ლი. საკუთრივ ვანის მთავარანგელოზის ეკლესიას
კედელში ჩატანებული ჰქონდა მარმარილოს ქან-
დაცვა (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო ისტორი-
ულ მუზეუმში ინახება). რომლის XII-XIII სა-
უუენის წარწერაში მოხსენიებულა იერისთავი;
ერისთავი ზვიადი⁴⁹, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს
პირი სხვა მხარეებთან ერთად საჩინოსაც განაგებ-
და.

⁴⁷ სოლომონ II ერთ სიგელში ვითხვობდა: „წვალი-
ბის წყნე ვამბოთ... ჩიკავაძე ვახუშტის ერთი, რომ
მამუკა ბატონიშვილს ვაღრამებინებო და ძვენი სამკვიდ-
რებელი თავისთავს დაუყარა... უშოჟარეთი წამხდარი იყა-
ნო... წყაღისა ვიყავით და ვამბოთ იფხვის შერისა სამე-
ფედროს სახსად სხუეკა... ოდილა ღროჭიქანიძის და მის-
ის სახლის კაცისა, პაპუნა აბდისისა და დავით შიქლა-
ძის მამულს გარდა, ახელდაინის, ლხიშვილისა და ამა-
შოდის გარდა... საჩინო თავისის ოდილი მამულით“ იმ. ქმ. № 103. როგორც არკვევა ღროჭიქანიძეებმა ყმა-მამულს
ფლობდნენ სოფლებში: დვალშიც, ვალიდო, იჩორხე-
თი, ისრითი, დხაშუო, ციხისუბანი და ვანი. იმ. ქმ. № 103. საბუთში ჩამოთვლილ სხვა პირთა თუ გვარეულობათა ყმა-
მამულს ვერ დავადგინებთ. ერთი თუ ცხადია, სოლომონ II
ქვემო საჩინო ჩიკავაძეებს არ დაუბრუნა. 1810 წელს გა-
სუქტი ჩიკავაძემ იმერეთის გამგებელ სვიმონის სომხეთ
დაბრუნება ქვემო საჩინოსა, სახელდობრ სოფელთა ტო-
ბანიერი, საპატიოთი, შუაბისი და ქვევისი“. იმ. ქმ. № 292.

⁴⁸ ნ. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის
საბუთები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 551.

⁴⁹ ევეთ, თაყაიშვილი ი. დსაძე. ნარკობი, გვ. 8;
რ. შვიტიანი ნ. შარბაილის ქანდაცვა, სოფ. ვანიდან
საქართველოს სსრ მუნიციპალიტეტის აკადემიის შიშებში, თბ.,
1956, ტ. XV, № 2, გვ. 188.

გვიანფეოდალურ ხანაში საჩინო იმერეთის
სამეფოს საზღვრებშია, ერთიანი საქართველოს
სამეფოს შექმნამდე იგი თანმიმდევრულად დასა-
ვლურ ქართული პოლიტიკური ერთეულების, ჯერ
ეგრისის, შემდეგ აფხაზეთის სამეფოს, შემადგენ-
ლობაშია. მხოლოდ ერთი გამონაკლისით. გვეჩვენე-
ნება, რომ ქართლის სამეფოს წარმოშობის ხანა-
ში (IV-III ს-ის მიჯნა), საჩინო (სახელწოდება პი-
რობითია, რადგან ჩვენ არ ვიცით რა ეწოდებო-
და ამ მხარეს ამ დროისათვის) ქართლის სამეფოს
შემადგენლობაში შედიოდა.

ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი
მროველის ცნობით, ქართლის პირველმა მეფემ
ფარნაოზმა მარგვის ერისთავს სამართავად მისცა
ქვეყანა „მცირით მთითვან, რომელ არს ლიხი
ვიდრე ზღურადმდე ეგრისის „რიონს ზემოთ“⁵⁰.
სამეცნიერო ლიტერატურაში ლეონტი მროველის
ეს ცნობა ითვლება იმის დამამტკიცებლად, რომ
ქართლის სამეფოს დაარსების ხანაში მის შემად-
გენლობაში შევიდა დასავლეთ საქართველოს ერ-
თი ნაწილი — არგვეთი. ამ ქვეყანაში ლეონტი
გულისხმობს დღევანდელი იმერეთის იმ ნაწილს,
რომელიც რიონის მარცხენა ნაპირს მდებარე-
ობს. ასეთ შემთხვევაში გვიანფეოდალური სალო-
მინაო (საერისთო), საჩინო და, შეიძლება, საყა-
ვასოც არგვეთის ტერიტორიაზეა საგულისხმებელი
და IV-III სს-ში ქართლის სამეფოს საზღვ-
რებშია მოქცეული. აქვე უნდა გაითვალისწინოთ
მეორე ვარაუდებაც. ზემოთ შემოხაზული ტერი-
ტორია არც ისე შორს იყო საკუთრივ ქართლის
სამეფოსაგან, როგორც ეს დღეს შეიძლება მოგ-
ვიჩვენოს. იგი უმოკლესი გზებით უკავშირდებო-
და ოძრბეს საერისთავოს, რომელიც ლეონტი
ცნობით, სამცხეს და აჭარას მოიცავდა.

ჩვენი დავაგორებებით, დღევანდელი იმერეთის
ტერიტორიაზე შემორჩენილია მესხი ტომის შე-
მოპრის კვალი, რასაც ადასტურებს ადგილობა სა-
ხელწოდების გამეორება მესხეთის ქედის ორივე მხა-
რეს: ვარხანი და ვახანი, სვირი და სვირი სსგ. აქვე
აღსანიშნავია, რომ ქუთაისთან არის სოფელი მეს-
ხეთი, იგი წერილობით წყაროებში XIII ს-ის უკა-
ნასტყლოდ მეოთხედობდა დამოწმებულს⁵¹ და ამ-
რიგად მისი წარმოშობა არ უკავშირდება მესხთა
იმ ტალასს, რომელიც, გვიანფეოდალურ ხანაში,

⁵⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.
⁵¹ ა. დ. ლ. ო. ძ. ქართული სამართლის ძეგლები, წ.
II, თბ., 1965, გვ. 76.

თურქების მოწოლის გამო იძულებული იყო დასავლეთ საქართველოში გადასულიყო.

ცნობილია, რომ ოძრზე სამცხის უძველესი ცენტრი იყო და მდებარეობდა ამ ქვეყნის უციღურეს ჩრდილოეთ ნაწილში, რომლის შემდეგ მესხეთ-იმერეთის ქედი იწყება. ასეთ ადგილს ქვეყნის ცენტრის მდებარეობა იმ შემთხვევაში ჩანს გაპარებულად, თუ ოძრზე გამგებელს სამცხესთან ერთად გარკვეული უფლება თუ პრეტენზია აქვს „გაღმართზე“⁵² რიონსა და ყვირილს მარცხნივ მდებარე ტერიტორიაზე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი ვანის რაიონი (გვიანფორმალური ნომენკლატურით საჩინო და სალომინაო-საერისთო) პირდაპირი მაგისტრალით იყო დაკავშირებული სამცხესთან. მთავარი გზა ოძრზეში იწყებოდა⁵³. აქედან მეფის წყაროს გადასასვლისაკენ (გადასასვლელი მწვერვალი მეფის წყაროს სამხრეთით მდებარეობს, დაახლოებით ოთხი კილომეტრის დაშორებით) რამდენიმე მიმართულებით შეიძლება იმსვლა. მთავარი გზა ოძრებს ციხესთან იწყებოდა, მდინარეების ოძრებს წყალისა და კერძოხანს შესაყარში. იგი მიუყვებოდა მდ. კურცხანს ხეობას. მეფის წყაროს გადასასვლელთან მთავარ მაგისტრალს რამდენიმე გზა უერთდებოდა, ქვაბლიანს ხეობიდან მომავალი. აქედან ერთი სოფელ ბენარასთან იწყებოდა, მეორე — სოფელ ფხეროსთან. ისინი ოქროს ციხეს ჩრდილო დასავლეთით ერთდებოდნენ ფისოლატის პლატოზე. აქ ქვაბლიანის ხეობის სხვა სოფლებიდანაც მომართება ბილიყმა. მეფის წყაროს გადასასვლელთან ერთი გზა ადიგენიდანაც აპოლონა შამლის მისი გადალახვით.

მეფის წყარო მწვერვალს იმ წყაროს გამო ეწოდება, რომელიც მწვერვალის ფარაო მინდორზე ამოდის. რამდენიმე წლის წინათ წყაროს თავისი ღარიც ჰქონდა, შემდეგ ეს ღარი დაცარდა. ერთ მწყემსს საწულია სახლში და თანაც უძმყოფითიც დარჩენილი, ღარი მას ძელქვისა ჰყოვნება, სინამდვილეში კი ვერცხვის ხის აღმოჩენილია. მეფის წყაროს გადასასვლელის გავლის შემ-

დეგ, მაგისტრალი ჩრდილო-დასავლეთით მიემართება და ზემო ჩაქის ანუ ჰაკიეთის ტბას ჩრდილოეთით უყლის. აქედან ერთი ბილიკი სუფსის ხეობისკენ ეშვება. მთავარი მაგისტრალი კი ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს. იგი ჯერ მდინარეების წაბლარის ხევისა და სუფსის წყალგამყოფ ქედს მიუყვება, შემდეგ კი წაბლარის ხევის, კონისწყალის, კინისწყალისა და სულორის წყალგამყოფ ქედს. იგი გაივლის მთებს: ქვაბლიანზე, ქვაბიშვარი, ლაბორტო, სათაფლია, ულუველა, ლმაზი გორა და გზაბოძლისაკენ ეშვება. გზაბოძლია გზათა შესაყარს ნიშნავს და მდ. სულორის სათავეს ზემოთ მდებარეობს. აქ მთავარი გზა სულორის ხეობაში ეშვება, ხოლო მისი განაყოფი კვლავ ქედის თემს მიუყვება, ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებას იღებს და ტუეთაყის მთამდე აღწევს, საიდანაც ბარის სოფლებისკენ ეშვება.

ზემოთ აღწერილი მაგისტრალი სამცხედან ადგილი დასაქვია, მარტო პრაფილის აღმართის გავლის შემდეგ. გზა გადალახავს რა მეფისწყაროს გადასასვლელს, ოდნავ დაშლა ეშვება. იგი მიუყვება ქედების თემს და წარმოადგენს ბილიკს, რომლითაც უძველესი დროიდან სარგებლობდა ადამიანთა მრავალი თაობა. აქა-იქ გზას ეტყობა გაფართოების კვალი, რაღაც შენობის (უნდა ვიფიქროთ, ეკლესიის) ნანგრევები შესორჩენილია ზემო ჩაქის ტბასთან (აქ ტბის პირას გათლილი ქვების გროვია). ამ ტბასთან დაკავშირებით, სოფელ წითელხევიში (ძველი სადამტრარი) ერთი მეტად საინტერესო გადმოცემა ჩაეაყვინეს: დიდი გვალვების დროს, სოფლის ერთ-ერთი მოსახლე, რომელსაც კაცი უნდა ჰყოლოდა მოკლული, ჰაკიეთის ტბაზე (ე. ი. ჩაქის ტბაზე) უნდა წასულიყო. აქ ტბიდან ხელუღვლამა წყალი უნდა ამოეღო და სოფელში მოეტანა. ამის შემდეგ წვიმა თითქმის აუცილებლად მოვიდოდა.

გზა გზაბოძლიდან ორი მიმართულებით ეშვებოდა სულორის ხეობაში. ამათგან მთავარი გზა გადიოდა შემდეგ ადგილებში: ჩიხნარი — ნალქენები — დათვის საწუმპის წვერი, დათვის საწუმპი — ბეყეი — სახადი — სახადის ძირი — ზედა საყვიარე — საყვიარე — საყვიარის ძირი — დიდარების თავი — დიდლარება — წყარო — სატალახე — ოსის ნაქლაკი და უშუალოდ ამ მდინარის ხეობაში გადმოდიოდა. შემდეგ გზა მდინარეს მიუყვებოდა: გრძელი სე-

⁵² ოძრხედან მომავალი გზა ძირითადად საველე ისტორიულ გეოგრაფიული დაზღვევების დროს შეისწავლეთ. გარდა ამისა, გამოიყენეთ: ნ. ბერძენიშვილი, გზებმატრასელების გამოქის საქართველოში, თბ. 1961; К р а е в и ч, военных обзор Рипонского края, СПб, 1870; В. А л а е в с к и й. Кутаиская губерния военно-статистическое описание, Т. 1898.

რი — ციხია — ნახევლარი — ჩიხური და სოფელ დელიშვილებამდე (დღევანდელი სულორი) აღწევდა.

დელიშვილებიდან გზის მიმართულება დღევანდელი ვანი-სულორის სამაჩხანო გზას ემთხვეოდა და ძველ საჩინომდე აღწევდა.

მეორე გზა გზაბოძალიდან სოფელ გადიდში ემუქობა. შემდეგ გამოივლიდა სოფელ ვანს (დღევანდელი ზედა ვანი) და საჩინოში მთავარ გზას შეუერთდებოდა.

გზაბოძალიდან რამდენიმე ბილიკი ყუმურის ხეობაში ეშვება. ერთი უშუალოდ სოფელ სავაიკოში (დღევანდელი ყუმური) მოდის, ორი ბილიკი კი სოფელ გაილოურში ეშვება. აქ ორივე ერთიანდება, გაივლის სოფელ დღესუნს და საბაიკოში ჩამოდის. ამ სოფლიდან კი, მიქელაფონის ვიწროების გაყლის შემდეგ, შუამთაში ჩაღის.

გზაბოძალიდან ერთი ბილიკი სოფელ რომანეთში ჩაღის. ეს გზა მელოურის ზემოთ აღწერილ ციხეს დასავლეთი მხრიდან ჩაუვლის. რომანეთიდან ერთი ბილიკი ტყეთაის მთისკენაჲ მიემართება: რომანეთი — ზელაძის ქედი — ეკავერჩხოვლის ნამოსახლარები — ნალავიერები და ბოლოს ტყეთაი. ტყეთაი, ისე როგორც გზაბოძალი, გზათა შესაყარს წარმოადგენს. ერთ-ერთი მაგისტრალი სოფელ ქვედა დიშში იწყება. იგი გაივლის სოფლებს ფერასთი — სალხინო, შემდეგ აღის არჩივის სერზე, აქედან კი საბოლოო წერზე. შემდეგ მოდის პატარა გამოყოფილი — დათვი დამპალა — წიფლის წყარო — დიდი გამოყოფილი და ბოლოს ტყეთაი. საბოლოო წერზე ამ მაგისტრალს უერთდებოდა გზები ბალდალიდან (დღევანდელი მაიაკოვსკა), სალხინოდან და სოფლებიდან: ნერგიეთი, შუბანი, საღმეტრაო და სხვ.

ერთი ბილიკი ტყეთაიკენ სოფელ წყალთა-შუღანაჲ ამოდიოდა. ტყეთაიში მიდიოდა აგრეთვე გზები სოფლებიდან: ზაგინეთი, უხუთი და საბასაჲ. ამ უკანასკნელ სოფელში ჩვენ ჩავიწყრეთ ტრაპონში „საბაქოს გორა“. „საბაქო“ ეს იგივე დამახინჩებული საბაკია. სახელწოდებაჲ იმ საბაკოდან უნდა მოდიოდეს, რომელიც აქ ყოფილა თავის დროზე, უნდა ვიფიქროთ, XIX საუკუნის დასაწყისამდე, იმერეთში რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილის სახელწოდებამდ რუსულიდან ნაწარმოები „ტრაპონა“ გვექნებოდა.

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღწერილი მაგისტრალი თავისი განტოლებით დღევანდელ ვანის რაიონს, მთლიანად, და მაიაკოვსკის რაიონის სოფლებს, ნაწილობრივ, ცვათავადლურნი ნომენკლატურით საჩინოს, სალომინოს (საერის-თოს და ნაწილობრივ გაღმართს) უმოკლესი გზით აკავშირებდა სამცხესთან.

დღისათვის ამ მაგისტრალს პრაქტიკული მნიშვნელობა თითქმის არა აქვს. მას ძირითადად მწყემსები იყენებენ და ისიც ნაწილობრივ. ცოტა უფრო ადრე კი უხუთი-ტყეთაის მთის სამაჩხანო გზის გაყვანამდე, ვანის რაიონისა და, საერთოდ, კოლხეთის დაბლობზე გამოზამთრებულნი საქონლის დიდი ნაწილი, სულორის ხეობით, ჩვენ მიერ აღწერილი გზით, მიემართებოდა საზაფხულო საძოვრებისაკენ.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებამდე ახალციხეში მიმავალი ადგილობრივი მოსახლეობა ჩვეულებრივ ამ გზას ირჩევდა.

XIX საუკუნის მიწურულში, ვანის მხრიდან, მეფის წყაროს გადასასვლელით ღვინო დაჰქონდათ გასაყიდათ ახალციხეში, ხოლო 1892 წელს, როდესაც ხოლურის ეპიდემიის გამო ზეარის უღელტეხილზე მიმავალი გზა დროებით დაიკეტა, გასაყიდი რძის პროდუქტები სამცხიდან ქუთაისში გადაჰქონდათ „ფერასთის შარით“ (ასე ჩაგაწერინეს ამ მაგისტრალის სახელწოდება სოფ. წყალთაშუაში). ამავე გზით გადაჰყავდათ საყვავი საქონელიც.

ქუთაისიდან ზეარის უღელტეხილით სამცხისკენ გზის გაყვანამდე „ფერასთის შარას“ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გასულ საუკუნეში⁵³. XIX ს-ის 60-იან წლებამდე, გზა მეფის წყაროს გადასასვლელით (მხედველობაში გვაქვს ძირითადი მაგისტრალი სულორის ხეობის გავლით) იყო ის ძირითადი გზა, რომელიც სამცხეს რაიონის აუზთან აკავშირებდა⁵⁴. ამიტომ იგი 1834

⁵³ В. Маевский. Дахა; ნაწილი.

⁵⁴ «дорога эта... есть кратчайшая между Ахалцихом и Орпирекою пристанью на Рионе, по удобствам движения, обилиям подножного корма, эта дорога составляла прежде, в течение 7 1/2 — 6 1/2 месяцев в году важный в торговом отношении путь, значение которого уменьшилось с продолжением хорошей вьючной тропы через перевал Ркинис-Джлария». Краснов, Дах. ნაწილი, გვ. 117.

წელს შედგენილ კავკასიის რუკაზეცაა დატანილი⁵⁵.

XIX ს-ის აღრინდელი ხანის წერილობით წყაროებში „ფერასთის შარას“ შესახებ რაიმე ცნობას ვერ მივაკვლიეთ. ჩერ კიდევ გასულ საუკუნეში ქვაბლიანი ხეობის მაკმადიანი მესხები ამ გზას „ტრაპილის“ (ე. ი. ქვემეხთა გზას) უწოდებდნენ. სახელწოდება მერღა ნიშანდობლივია. იგი შექმნილია არაუგვიანეს XVIII ს-ისა და მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც მეფის წყაროსთან გამავალ მაგისტრალს ჰქონდა გვიანფორდალურ ხანაში ახალციხის საფაშოს იმერეთის სამეფოსთან დაკავშირებისათვის.

უფრო აღრინდელ ხანაზე კი არავითარი ხელმოსაყიდი ცნობა არ მოგვეპოვება. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ცნობები ფერასთის მონასტრის შესახებ.

ეს მონასტერი პირველად გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია აღმოჩენილი. ვიორტი მერჩულე სულ ორჯერ ასენებს მას⁵⁶.

გვიანფორდალურ ხანაში მონასტერი არსებობას განაგრძობდა. იგი დატანილია 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე და მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის.

ფერასთის მონასტერი XVIII ს-ის მეორე ნახევარში მოიშალა და დღეისათვის ნახლის მესხობრაში აღარ შეიმორჩილა. ამავე დროს ფერასთის მთის ძირის სოფლებში (უხუთი, როხი, წყალბაშუა, ფერასთი, შუბანი და სხვ.) მოხუცებულ ერთხმად ასახელებენ ძველ ეკლესიას ტყეთაღის მთის ძირში. ზოგი მოხუცი მას „ხანტილი“ ეკლესიას უწოდებს, იმ ჩუქურთმის ქვების გამო, რომელიც მათ ეკლესიის წყობაში უნახავთ. 1974 წელს ეპატანჯ ჩაფარმისთვის ერთად (წინა წელს ამ ეკლესიის მონახვა ვერ მოვახერხებთ) სპეციალურად ავედით ტყეთაღის მთაზე მის საძებნელად. მწვემებმა მივაგწავეღეს ძველი ნაეკლესიარი, იგი მდებარეობს ტყეთაღის მთის ჩრდილოეთით, ორი კილომეტრის დაშორებით, შედარებით დაბლა. ამ ნაეკლესიარის ახლოს თავს იყრის ბაგინთიდან და დიმიტრან მომავალი გზები (იხ.

ზემოთ). აღნიშნულ ადგილზე ენახეთ რამდენიმე შენობის ნაეკლესი. მიწის ზემოთ კი, კვლის ეკალი არსად შეიმჩნევა. როგორც აგვიხსენეს, ეკლესიის ქვები, რომელიც ჩერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ ეყარა ამ მიდამოებში, მწვემებს საითათოდ გაუზღობიათ, თავიანთ სადგომებში. ასე რომ, დღეისათვის რაიმეს თქმა აქ მდგარ ეკლესიაზე არ შეიძლება. არც იმის თქმა შეგვიძლია ფერასთის დღვდა მონასტერი აქვდა თუ არა თავის დროზე ამ ადგილას. ყოველ შემთხვევაში ეკლესიის ასეთ ადგილას აგება ჩვენთვის საინტერესო გზის ამ განტოტების მნიშვნელობაზე მივიტოვებთ.

არც ანტიკურ ხანაში მოიპოვება რაიმე პირდაპირი ცნობა ზემოთ აღწერილ მაგისტრალზე. ამავე დროს ერთი გარემოება იქცევა უფრადლებს. აღვანტიკური და ელინისტური ხანაში ვანის გვერდით ისეთი პუნქტების დაწინაურება, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, როგორცაა მიქელაფონი, შუამთა, მთის ძირი, ჩვენ მიერ შესწავლილი გზის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

როგორც ირკვევა, საჩინოს ქვეყანა (ჩენი აზრით, აღვანტიკური და ელინისტური ხანის ვანის ქვეყანა და საჩინო თითქმის ერთ ტერიტორიას მოიცავდა) უმოკლესი გზით იცა დაკავშირებულია გურიათთან. რამდენიმე გზა უფშურის ხეობიდან მიემართებოდა. დღევანდელი ვანი რამდენიმე გზით იყო დაკავშირებული ამ ხეობის ზემო წელის სოფლებთან: I. ვანი — მუქელი — გაილოური; II. ვანი — მუქელი — დუცხელი — და III. ვანი — საპაიჭაო (ყუმური). გაილოურიდან სუფსისა და ყუმურის წყალგამყოფი ქედის გადალახებით ორი ბილიკი მიემართება სოფ. სურგებში. დუცხუნიდანაც ორი ბილიკი მიდის ქვემო და ზემო სურგებში, ხოლო საპაიჭაოდან ერთი გზა პირდაპირ სურგებში გადადის, მეორე კი ხეობის უღელტეხილით მდ. ზვეისწყალის შენაკად ქვაფათას ხეობაში — საყაახოში, ხოლო აქედან გურიაში. საყაახოდან ზემოხეთის უღელტეხილით ერთი გზა შუამთისკენა მიემართებოდა.

აღმოჩენილთ საქართველოდან ზღვისპირეთისაკენ, როგორც ცნობილია, ლიხის ქედით რამდენიმე გზა მიდიოდა. ერთი გზა, რომელიც ფონის უღელტეხილს გადაივლიდა, ჩხერიმელის ხეობაში რამდენიმე განტოტებად იყოფოდა. ისინა დიმიტისთან ერთიანდებოდნენ და შემდეგ ბაღდადამდე აღიოდნენ, აქედან გზა ფერასთის მთის

55 Карта Кавказского края с пограничными землями.

აქ მოცემულია გზა ოძრხედან დღევანდელ ვანამდე და ამ გზის განტოტებით ბაგინთამდე.

56 ცხარბაი გრიგოლ ხანძთელისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ოცრატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 298—299.

ძირის სოფლებს ფერასთა და სადემეტროს ჩა-
უვლიდა, ხოლო ამ სოფლებიდან რამდენიმე მი-
მართულებით სალომინოს (საერისთოს) სოფ-
ლებში: უხუთი, სალომინო გადიოდა და შემდეგ
კი სოფ. ამაღლებაში ეშვებოდა. აქედან კი ინაზა-
ური, ბზენის გავლით დიხაშოსთან სულორის
ხეობაზე გამავალ გზას უერთდებოდა. აღმოსავე-
ლი საქართველოდან მიმავალი ერთი გზა ზეს-
ტაფონის შემდეგ მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირს
მიუყვებოდა. გავილიდა აჯანეთს, ვარციხესა და
კორისწყალის გადალახვის შემდეგ მთისა და ვაკის
გამყოფს მიუყვებოდა (ე. ო. ემთხვეოდა დღევან-
დელ სამანქანო გზას ვარციხე-ვანი) და ეახში
მთავარ გზას უერთდებოდა. აქ მდინარე სულორ-
თან გზა ორად იყოფოდა. ერთი გზა რიონს შე-
დარებით ახლო მიუყვებოდა, გავილიდა სოფ-
ლებს უკვიშურს, ციხეს და მდ. სულორის გა-
დაკვეთიდან 15 კმ-ის შემდეგ უერთდებოდა მთა-
ვარ გზას, რომელიც მთისპირა ზოლს მიუყვებო-
და. ეს უკანასკნელი, როგორც დგინდება, დღე-
ვანდელ სამანქანო გზას ვანი-დაფნარს ემთხვეო-
და და, ისე როგორც დღეს, სოფლებს ციხე სუ-
ლორს, შუამთას და მთის ძირს (ცალკე სოფე-
ლი შედარებით გვიანაა გაჩენილი. ადრე ციხეს
ერთ უბანს წარმოადგენდა)⁵⁷ გაივლიდა. ქვემო

⁵⁷ ამ გზით იარა გულდენშტედტმა 1772 წ. იხ. გულ-
დენშტედტი. დსახ. ნაშრომი, გვ. 38. 1808 წლის სოლო-
მონ II ერთ სიგელში უკითხულობთ „კაბრინის ლეე, რომ
გომის თავში ჩადის, ფენილში. რომ ფონი არის“. აქ იგუ-
ლისხმება ის ადგილი, სადაც დღეს, გომიდან ვანისაკენ მი-
მავალ გზაზე, სამანქანო ხიდაა. ამავე სახელთი მორე ად-
გლის ეკოხეობა „ტობანიის დღეს შერთვის ქვე-
მოთ. ნასულარ დუარქმის ამ დღეს. იქიბა რომ ჩაშლის
შუამთის შრა. რომ ამ დღეს ფონი გაიყოს“. შუამ-


გზასთან შეერთების შემდეგ გზა ბარი-საყავისომ-
დე აღწევდა, საიდანაც რამდენიმე მიმართულე-
ბით მიემართებოდა.

| როგორც დაეინახეთ, ვანი უმნიშვნელოვანეს
გზათა შესაყარზე იდგა. სახმელეთო გზათა გარდა
მას რამდენიმე კილომეტრზე ჩაუვლის მდ. რიო-
ნი, სადაც ვანის სიახლოვეს ზღვიდან შედარებით
ღიდი ზომის ზომბალდებიც ამოდიოდნენ.

ჩვენი აზრით, ადრეანტიკური და განსაკუთ-
რებით ელინისტური ხანის ვანის დაწინაურებაში,
სხვა გარემოებათა გვერდით, ამ ზღლსაყრელმა
მდებარეობამ დიდი როლი ითამაშა. განსაკუთრე-
ბით უნდა აღინიშნოს ის, რომ ამ პერიოდში ვანი
იღგა იმ უმოკლესი გზის დასაწყისში (ვანიდან
იძრხემდე სულ სამოცი კილომეტრია), რომელიც
სამცხეს იმ მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალ-
თან აკავშირებდა, რომელიც ელინისტურ ხანაში
რიონზე გადიოდა. ამ მაგისტრალის მოშლაც უნ-
და ყოფილიყო ვანის დაკემის ერთ-ერთი მიზეზი,
რადგან სამცხესაკენ მიმავალმა ამ გზამ თავისი
წინშენელობა დაკარგა. ამის შემდეგ ზემო ქართ-
ლისა და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირე-
ბელმა მთავარმა გზებმა ხანის წყლის ხეობაში
გადაინაცვლა. შესაბამისად მომდევნო ხანაში ვა-
ნის (საჩინოს) ქვეყანა დასავლეთ საქართველოს
ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა,
მაგრამ მან დაკარგა ის განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობა, რომელიც ადრეანტიკურ და ელინის-
ტურ ხანაში ჰქონდა.

თის შრა. ჩვენი აღწერილი გზის ერთი მონაკვეთია; ნასუ-
ლარის დღეს დღეს ნასულარი ეწოდება. ამ დღეს ფონზე
(სახელი დღემდე შემორჩენილია) სამანქანო ხიდი დგას.
ასე რომ დღევანდელი სამანქანო გზა, რომელიც ვანიდან
დაფნარამდე მიდის, ზუსტად მიუყვება ძველ მაგისტრალს.


3 5 6 0 6 6 3 0 0 0 6 0 XVI - XVIII 635563000



საქართველოს საზღვარი

- სოფელი
- სოფელი
- ⊠ სასაზღვრო პუნტი
- ⊕ სასაზღვრო პუნტი
- ⊙ სასაზღვრო პუნტი
- ⊚ სასაზღვრო პუნტი

1979 թվու. ուժերի դիրք - ժամանակագր. քարտեզ



Նյութերի նշաններ

- Բանակային ջոկատ
- ◻ Մարտիկ
- ✳ Գյու. շտաբ
- ✳ ԿԼ շտաբ
- ★ ՄԿԿ
- Բնակավայրի սահմանի արևմտ. առանցքի ճանապարհ

ბ. მიწიერილი

1973 წელს ციხესულორის ნაციონარის თხრის ანბარები

1973 წელს ეანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი მუშაობას განაგრძობდა ციხესულორის ნაციონარზე. მუშაობა დაიწყო ციხის შიდა ტერიტორიაზე. (სურ. 1) გასათხრელი ფართობი გადაიზომა 1970 წელს ციხეზე გათხრილი საკონტროლო ჰრილის დასავლეთით (ი-10-8-7-6-5-4-3-2, კ-10-8-7-6-5-4-3, ჰ-10-9-8-7-6-5-4, გ-10-9-8-7-6-5-4, მ-7-6-5-4-3-2 კვადრატებში). თხრა მიმდინარეობდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. აღნიშნულ ფართობზე დავედით ქანად.

ციხის სამხრეთ-დასავლეთით, დასახლებული კვადრატების თხრის დროს ერთმანეთს მკვეთრად გაემიჯნა რამდენიმე ფენა:

1. კირხსნარიანი იატაკის ნაშთი (მიწის ზედაპირიდან 5-10 სმ-ზე),
2. დამწვარი ფენა I,
3. დამწვარი ფენა II,
4. კირქვის ანატექციების ფენა,
5. თირი.

აღნიშნულ ფენებში მასალა ძირითადად არეული იყო, მაგრამ თვით თირში აქა-იქ ჩნდებოდა ელინისტური ხანის კერამიკული ნატეხები (ცოლხური ამფორის, კალიპტერისა და სხვ.).

მიწის ზედაპირიდან 5-10 სმ სიღრმეზე თავი იჩინა კირხსნარიანი იატაკის ნაშთმა (კ-5-6-7 კვადრატებში), რომელიც მოიცავდა ფართობს 120×150 სმ; იატაკის სისქე 3-4 სმ-ია. ამავე იატაკის ნაწილი შერჩენილია სამხრეთი კედლის გასწვრივ (ი-8-9-10 კვადრატებში).

აღსანიშნავია, რომ კირხსნარიანი იატაკიდან 20-25 სმ სიღრმეზე სამხრეთი კედლის ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე, კ-7 კვადრატში, აღმოჩნდა ქვევარი (მცირე ზომისა, თხელკედლიანი). იგი ჩადგმული იყო შურდულის ქვების გროვაში

წი.

(სურ. 2); ამავე ღონეზე, თხრილის სამხრეთ-დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით (კ-6-5-4-3, ი-5-4-3, მ-4-3, გ-4, ჰ-4 კვადრატებში), აღმოჩნდა ნაყარი (ბათქაში, რიყის ქვა, დამწვარი ქვა, კირხსნარის ნატეხები, სურ. 3), ამ ფართობის პრეპარატის შემდეგ გამოჩნდა ჩაწოლილი კედლის ნაშთი (კ-6-5, ი-5-4 კვადრატებში, სურ. 4).

როგორც ჩანს, ვალენის (სამხრეთი) კედელი ჩაქცეულა ციხის შიგნით, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ჩაულეწია იატაკიც, რომელიც მშენებლობის ყველაზე გვიან (გვიანფეოდალურ) ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

კირხსნარიანი იატაკი გვიანფეოდალური ხანისაა, ხოლო მის ქვეშ მდებარე ქვევარი, რომელიც ჩადგმულია მასზე უფრო ადრე არსებულ სატურბინო ბირთვების გროვაში, უფრო ადრეული უნდა იყოს.

დამწვარი ფენა I კირხსნარიანი იატაკიდან 10 სმ სიღრმეზე გამოჩნდა. იგი თხრილის მთელ ფართობზე ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა. მიწის ზედაპირიდან 16-20-25 სმ სიღრმეზე ხანძარი როგორც ჩანს სუსტი იყო.

დამწვარი ფენა II გამოჩნდა მიწის ზედაპირიდან 60-68-70 სმ სიღრმეზე. იგი მოიცავდა თითქმის მთელ თხრილს (ჩრდილო-აღმოსავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ ადგილებს და გრძელდებოდა ჩრდილოეთით გაუთხრელ ფართობში). ხანძარი მძლავრი ჩანს. მისი სისქე 25-30 სმ-ია. უმეტეს ადგილას თირი გაწითლებულია (გადამწვარია), ზოგან კი ნახშირადაა ქცეული.

II დამწვარი ფენის ადგენის შემდეგ თავი იჩინა კირქვის ანატექციების ფენამ (მიწის ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე). ხოლო კირხსნარიანი იატაკიდან 50 სმ სიღრმეზე). იგი ჩნდებოდა

თხროლის სხვადასხვა ადგილებში. მაგრამ განსაკუთრებით კარგად იყო დაცული სამხრეთ ნაწილში. აღსანიშნავია, რომ აქა-იქ ჩნდებოდა დიდი ზომის (ან ჭკუფად დაყრილი i—5 კვადრატში) კირქვის ნატეხები, რომელთა შორის გამოირჩევა დამუშავებულბები.

ქანი (თირისა) კირქვის ანატაკეების შემდეგ გამოჩნდა. ზედ ქანზე (თირზე) აღმოჩნდა ქვიშაქვის რუსტიანი კვარცი (58×58 სმ) მიწის ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე, გ—9, h—9 კვადრატებში. კვადრატის ჩამქდარი იყო — თირში (ქანში) ამოკრილ ჩარჩოში. ასეთივე ჩარჩოები შეიძინევა მისგან სამხრეთით, დაახლოებით 7,5 მ სიგრძეზე, h—9, i—9—8, k—8, l—8 კვადრატებში. ჩარჩოებში ჩარჩენილი იყო ქვიშაქვის პაწია ანატაკეები. ე. ი. თხრის შედეგად ქანზე აღმოჩნდა ელინისტური ხანის კედლისა თუ იატაკის ნაშთი (ანაბექლი, სურ. 5, 6).

აღსანიშნავია, რომ 1970 წელს ციხეზე გათხრილ საცდელ კრიოლში, ზედ ქანზე, აღმოჩნდა ქვიშაქვის ორი დამუშავებული ქვა, მშრალი წყობის ნაშთი და მასში ჩაჯვარდნილი სატყორცნი ბირთვი. წყობის ნაწილი და სატყორცნი ბირთვი ცეცხლშია ნაპოვნი (ვადამწვარია). აღნიშნული წყობა ელინისტური ხანისაა.

ამრიგად, ძველი კრიოლისა (1970 წლის) და 1973 წლის განათხარის მიხედვით ჩანს, რომ ამ ბორცვზე ელინისტური ხანის ფენა (ნაგებობანი) ქანზე უნდა ყოფილიყო გამართული.

შესამჩნევი ვახდა, რომ თირი ზოგან მკვრივია, ზოგან ე ფხვიერი. ამიტომ დაეიწყეთ მთელი ფარობის პრეპარაცია. გამოირჩევა, რომ ქანში ამოკრილი იყო სხვადასხვა ფორმის ორმოები, არხი და სხვ.

არხი ვანლაგებულია ციხის დასავლეთ ნაწილში, ამოკრილია ქანში, მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (გ—9, h—3, f—3, i—3, k—2 კვადრატებში). გათხრილი არხის სიგრძეა—6,25 სმ, მიუყვება გალაგვის დასავლეთ კედელს; არხიდან (k—2 კვადრატში) გამოყოფა ტრტი, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთისაკენ (k—2—3—4 კვადრატებში). მისი სიგრძე 6,20 სმ. ბოლოში იგი (k—5 კვადრატში) უერთდება თირში ამოკრილ ორმოს (ორმოს დიამეტრი—38 სმ). არხი შეესებული იყო ყვითელი თიხით (აყა-

ლო მიწით), ხოლო ტრტის ძირზე აღმოჩნდა შავი ნალექი (სურ. 7, 8).

თირში ამოკრილი ორმოების ერთი დიდი ჭკუფი, რომელიც ვანლაგებულია თხროლის შუა ნაწილში, მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. იწყება გალაგვის სამხრეთი კედლის ძირიდან ვიდრე თხროლის ჩრდილოეთ კიდემდე (გრძელდება გაუთხრელ ნაწილში). აღნიშნული ორმოები მოიცავს გ—6, k—6, i—7, h—7, გ—7 კვადრატებს. ორმოები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა (სურ. 9, 10).

№1 ორმო მართკუთხაა, მისი სგრძე 2,5 სმ-ია. სიმაღლე 50 სმ. ვანლაგებულია სამხრეთი კედლის ძირზე, i—6, k—6 კვადრატებში.

№2 ორმო კონუსისებური ფორმისაა, მის შუა ნაწილს ვარშემოუყვება კარნიზი, ფსკერზე კი ამოკრილია ღრმული. მისი პირის დიამეტრი 120 სმ-ია, სიღრმე კი 40 სმ. ვანლაგებულია k—6, j—6 კვადრატებში (სურ. 11).

№3 ორმო მართკუთხაა, მის ჩრდილოეთ ნაწილში ამოკრილია ღრმული. სიგრძე 325 სმ, სიმაღლე 40 სმ. გრძელდება j—7, h—7 კვადრატებში.

№4 ორმო კონუსისებური ფორმისაა, პირის დიამეტრი 70 სმ-ია, სიმაღლე 23 სმ. ვანლაგებულია გ—7 კვადრატში (სურ. 5, 12).

№5 ორმო კონუსისებურია, დიდი ზომისა (გათხრილია ნახევარი). პირის დიამეტრი 350 სმ, სიმაღლე 120 სმ. ფსკერზე ამოკრილია ღრმული. ვანლაგებულია გ—7—8—9 კვადრატებში (სურ. 13, 14).

როგორც დაეინახეთ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, დაახლოებით ათი მეტრის მანძილზე, თირში ამოკრილია ხუთი ორმო (მართკუთხა და კონუსისებური ფორმისა). ყოველი მათგანი მომდევნოსთან დაკავშირებულია საერთო კედლით. ამდენად აღნიშნული ორმოები ერთმანეთზე გადაბმულია ჩაკვისებურად (მავალითად №1 და №2 ორმოების საერთო კედელში ამოკრილია საღერელი). ამავე დროს სამხრეთითა და ჩრდილოეთით ისინი იშლება, იტრეტება სხვა ორმოებში. აღსანიშნავია, რომ ეს განტრეტბანიც ამ ორმოთა ჭკუფის ძირითადი შემადგენელი, მათი ორგანული ნაწილი ჩანს (სურ. 12).

სამხრეთ ნაწილში, №2 და №3 ორმოების დასავლეთით (j—6 კვადრატში), თირში ამოკრილია წყვილი №6 და №7 კონუსისებური ფორმის ორმო (სურ. 15, №6 ორმოს პირის დიამეტრი —

1 ანალოგიური კვარცხი აღმოჩენილია ენის ინტიკუ-ჩა ხანის ნაქალაქარზე, ელინისტური ხანის ფენაში.

1,25 მ, სიღრმე — 85 სმ; № 7 ორბო პირის დია-
მეტრი — 1,25 მ, სიღრმე — 80 სმ). მათ დასავ-
ლეთით, j—5, h—5 კვადრატებში ამოჭრილია კი-
დექ წყვილი № 8 და № 9 ორბო (№ 8 ორბოს პი-
რის დიამეტრი — 80 სმ, სიღრმე — 43 სმ, № 9
ორბოს პირის დიამეტრი — 90 სმ, სიღრმე — 30
სმ (სურ. 16), ასევე ჩრდილოეთ ნაწილში — № 4
ორბო დასავლეთისაკენ (g—5—6 კვადრატებში)
უფრობადა № 10 ორბოს (მის შუა ნაწილში ამოჭ-
რილია ღრმული (სურ. 1), ხოლო აღმოსავლეთი-
საკენ (g—8 კვადრატი) № 11 ორბოს (სურ. 17).

როგორც აღვინახეთ, აღნიშნულ კომპლექსში
ძირითად გამოყენებულია ორი სახის კონუსი-
სებური და მართკუთხა ფორმის ორბოები. მიუხე-
დავდ ამისა ისინი ერთმანეთს მთელი სიხვედრით
არ იმერებები. აღსანიშნავია, რომ მათთვის დამა-
ხასიათებელია ერთი საერთო ნიშანი — ღრმულები,
რომლებიც ყოველთვის ამოჭრილია კონუსისებური
და მართკუთხა ორბოში. მეორე ნიშანი ახასია-
თებს დიდი ზომის კონუსისებურ ორბოებს, ეს
არის კარნიზი, რომელიც გარშემოუყვება მათ
შუა ნაწილს.

აღნიშნული ორბოები ყოველთვის შექსებუ-
ლია ფხვიერი თირით. თირი სუფთაა.

ამრიგად, თხრილის შუა ნაწილში თავმოყრი-
ლია თერამეტი ორბო, მიმართული სამხრეთიდან
ჩრდილოეთისაკენ, რომლებიც ერთმანეთის უშუ-
ალო ვაგრძელებას წარმოადგენენ. ამ ნაგებობათა
ერთობას ალბათ განაპირობებდა მათი დანიშნუ-
ლება. მართალია, ორბოთა დანიშნულება ჩერკე-
რობით გაუგებარია, მაგრამ ერთი ცხადია, ეს
არის ერთი სისტემის, ერთი კომპლექსის ნაწილი
და მათი მშენებლობა (ქანში ამოჭრა), როგორც
ჩანს ვარკვეულ კანონებსა და პროექტს ემყარე-
ბოდა.

აღნიშნულთა გარდა, თხრილის მთელი ფარ-
თობი დასერილია მცირე ზომის (პირის დიამეტრი
— 20, 30, 32 სმ) ცილინდრული ფორმის ორ-
მიგებით, რომლებიც შექსებული იყო ფხვიერი
თირით და ზოგჯერ კირქვის ანატეკეებითაც. 1973
წლის განათხარის მიხედვით ამ ბორცვზე შეიძ-
ლება გამოიყოს რამდენიმე სამშენებლო ჰერცი-
ლი:

1. ქანში ამოჭრილი ორბოები.
2. ქანზე არსებული წყობის ნაშთი (ელინისტუ-
რი ხანისა).
3. ციხის გალავანი (აღრეფეოდალური ხანისა).

4. კირხსნარის იატაკი (გვიანფეოდალური ხანი-
სა).

კირხსნარის იატაკსა და ანატეკეების ფენას
შორის გამოიყო ორი ნახანძრევის კვალი. ერ-
თხელ ხანძარი მომხდარა მის შემდეგ, როცა ცი-
ხისათვის განკუთვნილი ფართობი დეფარეს კირქ-
ვის ანატეკეებით. თუ აღნიშნული ფართობი კირ-
ქვის ანატეკეებით იფარება ადრეფეოდალურ ხა-
ნაში (როცა ამუნდა ციხე), მაშინ უნდა ვივარდო-
სხმოთ, რომ, ადრეფეოდალური ხანიდან ვიდრე
გვიანფეოდალურ ხანამდე ციხეზე ხანძარი ორჯერ
მომხდარა. ერთხელ უფრო ადრე ძლიერი, ხოლო
გვიან შედარებით სუსტი.

როგორც ადრე აღვინახეთ. ელინისტური ხა-
ნაში ბორცვზე არსებული ნაგებობანი (სამოსახ-
ლო) იწყის და ინგრევა ეანის ანტიკური ხანის
ქალაქთან ერთად. მაგრამ ვარკვეული დროის
შემდეგ საზოგადოება, რომელიც აქ ამოღის, რო-
გორც ჩანს, ანადგურებს და ასუფთავებს ბორცვის
ყოველგვარი სიძველისაგან. აღსანიშნავია, რომ
იგი ამ ნანგრევების გარკვეულ ნაწილს იყე-
ნებს საშუაშენებლო მასალად. სახელობრ, კირქ-
ვის არქიტექტურულ დეტალებს ანადგურებს,
აქცევს მცირე ზომის ნატეკებად, ანატეკებად (ამ
მასალით ქენის საამშენებლო მოედანს ციხისათ-
ვის), ხოლო დამუშავებულ რუსტიან ქვებს იყე-
ნებს გალავნის მშენებლობაში.

თხრის შედეგად ვაირკვა, რომ, ელინისტური
ხანიდან ვიდრე გვიან შუასაუფრემდე, ამ ბორც-
ვზე კეთასტროფა (ხანძარი) სამჯერ მომხდარა.
ერთხელ ელინისტური ხანაში და ორჯერ შუა სა-
უუფრემებში.

1973 წელს ციხეზე წარმობული თხრის შე-
დეგად ამოჩნდა მცირე მასალა. მის ძირითად
ნაწილს წარმოადგენს თიხის ჭურჭელი, ნატეხები
ელინისტური, ადრე. შუა-და გვიანფეოდალური
ხანისა. მათ გარდა ამოჩნდა კირქვის არქიტექ-
ტურული დეტალები (ელინისტური ხანისა).

ანტიკური ხანის მახალა

ანტიკური ხანის მასალა წარმოდგენილია
შავლაკიანი ჭურჭლის პირველდისა და კოლხუ-
რი ამფორის ნატეხებით, კალიბტრით, ბათქაშით,
კირქვის დამუშავებული დეტალებით, ქვევრებით
და სხვ.

შესაძლებელია, რომ სწორედ ამიტომ ციხეზე ძალზე
მცირედა წარმოდგენილი ელინისტური ხანის მასალა. სა-
კარაულოა, რომ ეს მცირედლი შემთხვევითაა აქ-იქ შერ-
ჩენილი.

შეაღწიან კურკლის ძირ-გვერდისა და გვერდის აწვია ნატეხი (ლაკის შეტი ნაწილი ა. ენელია). კეცი ნარიჩნისფერია³.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ანალოგიური შევლაკანი კურკლის უმრავლესობა ელინისტურ ხანას მიეკუთვნება.

კოლხური აფორის ძირ-გვერდი და ყური, მუყავე-სვრო თიხისა, აღისებური მოყვანილობის. შრდა მხარზე ხვია აქვს⁴. ანალოგიური აღმოჩენილია ციხესულორზე 1970 წელს. ისინი დიდი რაოდენობით ჩნდება ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე. ელინისტური ხანის ფენაში.

კალატერი, მოყავისფრო თიხისა⁵, ანალოგიური აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე ელინისტური ხანის ფენაში.

ბათქანის ნატეხი, დაღარული, დამწვარი⁶. აღმოჩნდა თირში (გ კვარატში).

ციხესულორის თხრის დრის ზევით დასახელებულ თოქქის ყველა ფენაში სხვადასხვა რაოდენობით ჩნდებოდა კირქვის დამუშავებული ნატეხები⁷. ისინი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კირქვის ანატექების ფენაში. განსაკუთრებით კი თხრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ბეჭითა კირქვის დამუშავებული ფრაგმენტი, უფრო შეტია დაუმუშავებელი; ყველა დიდი ზომისა.

კირქვის დამუშავებული ნატეხები (კარნიზისა, დეტალი შემკული ოვებითა და სხვ.) აღმოჩნდა ციხესულორზე 1970 წელსაც.

ციხესულორზე აღმოჩენილი კირქვის დამუშავებული ნატეხები ელინისტური ხანის არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენენ.

ადრეფეოდალური ხანის მასალა

ციხესულორზე აღმოჩენილი თიხის კურკული ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი. ჩავატარეთ ამ მასალის კლასიფიკაცია, რასაც საფუძვლად დაედო მათ შორის არსებული განსხვავებული ნიშნები — კეცი, ფორმასა და კურკლის ნაწილებს შორის.

ამა თუ იმ კურკლის ფორმის არსებობას განაპირობებს მისი დანიშნულება. კურკლის ნაწი-

ლების — ყელის, პირის, ძირის, ქუსლისა და სხვათა ცალილებების შედეგად კურკულიც სხვა იგრის იღებს და შესაძლებელია მის შესატყვისად ზოგჯერ იცვლებოდეს კურკლის დანიშნულებაც. თითო კურკლოსა და მისი ელემენტების ცვლილებას ალბათ შრავალი მიზეზი განაპირობებს (ეკონომიური, პრაქტიკული, ესთეტიური და სხვ.); მაგრამ ერთი ცხადია, რომ მათი სახეცვლა გარკვეულ დროში ხდება; ამიტომაც, რომ ამა თუ იმ დროში თიხის კურკულს მისთვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები გააჩნია. მაგალითად, ადრეფეოდალური ხანის კერამიკის ყველა სახეცვლა მათი დეტალები ჩერკრობით არ არის დადგენილი, მაგრამ ცნობილია, რომ ადრეფეოდალური ხანის კერამიკას ახასიათებს: 1. კურკლის ზედაპირის არრებით დაფარვა, 2. ვაპრიალება და სხვ. ამიტომ ამ ნიშნების მატარებელი თიხის კურკლის ფრაგმენტები გავაერთიანეთ; მათში კი გამოვყავით ჯგუფები, სადაც გავრთიანდა კურკლის ნაწილები (პირ-გვერდები, ძირ-გვერდები და სხვ.). ყოველ მათგანში კიდევ გამოიყო ქვეჯგუფები, რასაც საფუძვლად დაედო აღნიშნულ ნაწილებს შორის არსებული განსხვავება (მაგალითად, ქუსლები — გამოყვანილი, ბრტყელი და სხვ.).

ამრიგად, გაიყოვალისწინეთ რა ციხესულორზე აღმოჩენილი თიხის კურკულს შორის არსებული განსხვავებანი (ეცეპი, ფორმები და სხვ.), დავყავით ჯგუფებად და ქვეჯგუფებად, ხოლ მათ შორის არსებულადა საერთო დამახასიათებელმა ნიშნებმა საშუალება მოგვცა ისინი ერთ, ზოგად ქრონოლოგიურ ჯგუფში გავაერთიანებინა.

აღსანიშნავია, რომ ციხესულორზე აღმოჩენილი თიხის კურკლის გარკვეული ნაწილი (ქვევრები, ქოთნები, ქილები, დერგები და სხვ.) დაფარულია წერილი ლარებით⁸. მათ შორის ზოგი შემკულია ტალღური ორნამენტით. ტალღები ზოგჯერ გამოიღობა ზოგჯერ მიქროლი⁹. ლარებით დაფარული თიხის კურკული აღმოჩნდა 1968, 1970 წლებშიც. კურკული ანალოგიური (ბიქვინტის, წყებლის, აუტუშინის, უზნისის, მცხეთის, რუსთაურის, ქერსოუნის, მირმეციონის, ფანავორის, სარკლეს, ილურატის, ორენეალას და სხვ.)

³ № 8, № 35, № 18, № 56, № 47, № 57, № 53, № 83, № 29, № 72, № 56, № 57, № 8, № 15, № 23, № 57, № 29, № 29, № 52.
⁹ 07.2.73/161.
¹⁰ 07.2. 73/35.

³ 07.2.73/90.
⁴ 07.2.73/79.
⁵ 07.2.73/1.
⁶ 07.2.73/93. ბათქანს ფართოდ იყენებენ ელინისტური ხანის შენებლობაში.
⁷ 07.2.73/14, 33, 38, 54, 70, 78, 82, 93 და ა. შ.

მასლის საფუძველზე ადრეფეოდალურ ხანას (IV-IX სს.) შეეკუთვნა.

ჩანს, თიხის ჭურჭლის შიგა-და გარეპირის წერილი ღარებით დაფარვა დამახასიათებელი ყოფილა ადრეფეოდალური ხანისათვის, ამიტომ 1973 წელს აღმოჩენილი ღარებით დაფარული თიხის ჭურჭელიც ჭარჭარიობით ზოგადად ადრეფეოდალურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

„მხვებით“ ჭურჭელი

შედარებით უხეში შვად, რუხად და მოწითალო მინარევებიანი თიხის ჭურჭელს შორის აღსანიშნავია ქოთნის პირ-გვერდს, ძირ-გვერდის ნატეხები, ძირები ყველას ბრტყელი აქვს. ქოთნის ყელის, პირისა და ბაჟოს მოყვანილობაში შეინიშნება მცირე ვანსაკვება, ამიტომ მათ შორის გამოყვავით რამდენიმე ჭაფუთი.

I. ქოთნები პირგადმოკეცილი და დაბალყელიანი

ქოთნის პირ-ყელი, შვადგამომწვარი თიხისა, მინარევებიანი პირგადმოკეცილი, დაბალყელიანი, შიდა-და გარეპირი დაფარულია ღარებით, მხარი შემესულია ტალღური ორნამენტით (07.2.73/72).

ქოთნის პირ-ყელი, მოყავისფრო თიხისა, მინარევებიანი, პირგადმოკეცილი, დაბალყელიანი, ზედაპირზე შეიძინვეა ღარები (07.2.73/59).

ქოთნის პირ-ყელი, მოყავისფრო თიხისა, მინარევებიანი, პირგადმოკეცილი; ყელგამოყვანილი, მხარი შემესულია ამოღარული ორნამენტით (07.2.73/51).

ქოთნის პირ-ყელი, არათანაბრად (რუხი-მოყვითალო) გამომწვარი, პირგადმოკეცილი, მაღალყელიანი, მხარზე შერჩენილია ამოკაწვრით გამოყვანილი ჰორიზონტალურად განლაგებული ჭაფუჭაფუჭა ხაზები (07.2.73/41).

II. ქოთნები, რომელთაც ვიწრო ბაჟო გარეთ აქვთ დაქანებული

ქოთნის პირ-გვერდი, შვადგამომწვარი თიხისა, სწორპირიანი, ოდნავ გარეთ დაქანებული ბაჟოთი, ყელი და მხარი გამოყვანილი აქვს (07.2.73/52).

ქოთნის პირ-გვერდი, მოწითალო თიხისა (ოქროსფერი ჰარისით). სწორპირიანი, ოდნავ გარეთენ დაქანებული ბაჟოთი, მაღალყელიანი, ზედაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი ღარებით (07.2.73/47).

III. ქოთნები, რომელთა ვადმოკეცილ პირს გარშემოუყვება ბრტყელი ბაჟო

ქოთნის პირ-გვერდი, მოყვითალო თიხისა; ოდნავ პირგადმოკეცილი, გარშემოუყვება კონტად გამოყვანილი ბაჟო (1 სმ), დაბალყელიანი, მხარი დაფარულია წვრილი ღარებით, შერჩენილია ტალღური ორნამენტი (07.2.73/52).

ქოთნის პირ-გვერდი, მოწითალო თიხისა, მინარევებიანი, ყვითელსარჩულიანი, ოდნავ პირგადმოკეცილი, პირს გარშემოუყვება ვიწრო (5 მმ) ბაჟო, ყელგამოყვანილი, შერჩენილია ტალღური ორნამენტი (07.2.73/52).

ქოთნის პირ-გვერდი, მოწითალო თიხისა, მინარევებიანი, ყვითელსარჩულიანი, ოდნავ პირგადმოკეცილი, პირს გარშემოუყვება ვიწრო (5 მმ) ბაჟო, ყელგამოყვანილი, შერჩენილია ტალღური ორნამენტი.

ქოთნის ძირები ბევრია, მათ აქვთ ბრტყელი მოყვანილობა, ჭუსლი არაა გამოყვანილი. მათ შორის აღსანიშნავია:

ქოთნის ძირ-გვერდი, რუხად გამომწვარი თიხისა, ბრტყელიძირიანი, სკლავდლიანი (უხეში, თითქოს ხელითაა გამოქანწილი); ზედაპირი და ძირიც ხაოიანი (თითქოს ხეული ზალხითაა შესწორებული) და გაპირიალებულია (07.2.73/72).

ქოთნის ძირ-გვერდი, არათანაბრად (მოყვითალო-რუხად) გამომწვარი, ბრტყელიძირიანი. შიგაპირს გარშემოუყვება თანაბარი ღარები. ზედაპირი და ძირი გაპირიალებულია (07.2.73/56).

აღსანიშნავია, რომ ზოგ ძირ-გვერდს ვაპირიალებული აქვს მხოლოდ კედლის ქვედა (ძირის გარშემო) ნაწილი.

ამრიგად, ციხესულორზე აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის ქოთნებიდან გამოიყო სამი ჭაფუთი, მათ შორის განსხვავება ჩანს პირისა და ბაჟოს მოყვანილობაში.

საწურთ

საწურთი ქოთნისებური ფორმისაა (პირ-გვერდისა და ძირ-გვერდის ნატეხებია), არათანაბრად (რუხ-მოწითალოდ) გამომწვარი, მინარევებიანი, პირგადმოკეცილი, დაბალყელიანი, შიგაპირი დაფარულია, გარეპირი შემესულია ტალღური ორნამენტით და წერტილებით. ტანი მრგვალი და ძირი ბრტყელი აქვს. მისი ღიამეტრი დაახლოებით 11—12 სმ-ია. ძირზე შეიგნდნან გამოყვანილია პაწია ნახვრეტები (ისინი გამოშვებულა პაწია ფე-

ჩისებურად). ამ ქუჩებს პირობით საწურს ეწოდებოდა (07.2.73/101).

საწურები, როგორც ჩანს, მრავალნაირია. ერთ-ერთი სახეა ილურატში აღმოჩენილი წამი, სწორკედლებიანი პაწია ფეხებით. მთელი წამი (ძირი და კედლები) დასერილია ნახევრებით. თარიღდება ახ. წ. III საუკუნით. ასეთივე საწურ-ი დაფარულია თეთრი თიხით (ე. ი. თეთრი ან-კობითაა შეღებილი)¹¹.

საწურები აღმოჩენილია შუა აზიის ქალაქ პენჯიკენტში და თარიღდება VII-VIII საუკუნეებში¹².

ქვევრები

ციხესტორზე აღმოჩნდა ქვევრის ბევრი ნატეხი. მოწითალო და მოყვითალო თიხისა, მინარევებიანი. ზედაპირი დაფარულია წერილი ღარებით. მათ შორის აღსანიშნავია ქვევრის პირ-გვერდი, ორნამენტირებული.

ქვევრის პირ-გვერდის ნატეხი, მოყვითალო თიხისა. მინარევებიანი, სქელკედლიანი. გარშემოუყვება ფართო გვირგვინი (3 სმ.). ბაკო შემოქულია მკრთალად ამოკარული წყლისებური ორნამენტით. ქვევრის ნატეხი ცეცხლშია მოხვედრილი და გაღამურავია (07.2.73/28).

ასეთივე პირ-გვერდი აღმოჩნდა ციხესტორზე 1970 წელს და ანალოგიური მასალის საფუძველზე იგი ადრეფეოდალურ ხანას მივაკუთვნეთ. აღნიშნული ქვევრიც ამავე ხანისა უნდა იყოს.

„წვრილი“ ქუჩებელი — ქამები (ფიადლები)

ციხესტორზე აღმოჩენილი ქამების ერთ ჯგუფს შედარებით უხეში (შავი, რუხი), მინარევებიანი კეცი აქვთ. ქამები საშუალო ზომისაა, ღრმა. მათ გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ. გამოიყო ორგვარი ქამები: 1. რამოდენადაც პირი ოღნავ შიგნითაა აქვთ ჩაყეცილი (ჩოთაც ქამს სიღრმე ემატება) და 2. სწორპირიანები (მათი შორკვალზე მათ კალთები აძლიერებენ ქამის სიღრმეს, სურ. 19, 20).

ქამი არათანაბრად (მოშავო-რუხად) გამოშვარი, მინარევებიანი (ოქროსფერი ქარსით),

სწორპირიანი (ოღნავ შიგნითაა აქვს ჩაყეცილი). ქამი ღრმა არის. მას გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვს. შიგა- და გარეპირი დაფარულია წერილი ღარებით. შიგაპირი გამრიალებულია. ქამის ძირის დიამეტრი — 6 სმ, სიმაღლე — 5,5 — 6 სმ (07.2.73/51, სურ. 19).

ქამის ძირ-გვერდი, შავად გამოშვარი თიხისა, შედარებით თხელკედლიანი, ღრმა, შიგაპირი დაუყვება ოღნავ შესამჩნევი ღარები (07.2.73/25).

ქამის ძირ-ქუსლი, არათანაბრად (რუხი-მოწითალო) გამოშვარი, ქსლგამოყვანილი, ბრტყელ-ძირიანი, ფსკერი გაპარალელებული აქვს. ძირის დიამეტრი — 6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე — 1 სმ.

ქამის ძირ-ქუსლი, შავად გამოშვარი თიხისა, ქუსლგამოყვანილი, ბრტყელძირიანი. ძირის დიამეტრი — 5,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 5,5 სმ, ფსკერი გაპარალელებული აქვს.

ამრიგად, ციხესტორზე აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის ქამები საშუალო ზომისაა, მომარგვალელებული, ღრმა; მათ გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ.

ქამები მცირე ზომისა

(მოწითალო და მოყვარდისფრო თიხისა)

ციხესტორზე აღმოჩნდა რამდენიმე პირ-გვერდის (ბუთი ერთეული) თხელკედლიანი ნატეხი. სუფთად ვანლექილი მოწითალო-მოყვარდისფრო თიხისა, უმრავლესობას პირი ოღნავ შიგნით აქვს ჩაყეცილი. ისინი კეცით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ქამის პირ-გვერდი, სუფთად ვანლექილი მოწითალო თიხისა, თხელკედლიანი, სწორპირიანი, პირი ოღნავ შიგნით აქვს ჩაყეცილი, ღრმა, ქიმი მკრთალდაა გამოყვანილი. შიგაპირს გარშემოუყვება ოღნავ შესამჩნევი ღარები (07.2. 73/75).

ქამის პირ-გვერდის ნატეხი, სუფთად ვანლექილი მოწითალო თიხისა, მინარევებიანი, პირი ოღნავ შიგნით აქვს ჩაყეცილი. ორმხრივ შეიმჩნევა წერილი ღარები (07.2.73/56).

ქამის პირ-გვერდის ნატეხი, სუფთად ვანლექილი მოწითალო თიხისა. პირი ოღნავ შიგნით აქვს ჩაყეცილი, შიგაპირს გარშემოუყვება წუნებით გამოყვანილი ხაზები (07.2.73/23).

ქამის პირ-გვერდი, მოყვითალო თიხისა, ოქროსფერი ქარსით, სწორპირიანი, ოღნავ გამოყვანილი დაბალი ქიმი (1, 5 სმ.) (07.2.73/39).

¹¹ В. Ф. Гайдукевич. Восточные города, II, Изурат, МИА, 85, зя. 92, სურ. 64б.

¹² И. Б. Бенгтович, Керамика верхнего слоя Пенджикента (VII—VIII вв.), МИА, 124, б. IV, 1964, зя. 274, სურ. 15.

ჟამის პირ-გვერდი, სუფთად განლექილი მო-
ვარდისფრო თიხისა, სწორპირიანი (პირის ნაწი-
ლი ოდნავ შესქელებულია), მაღალი ქიმი გარე-
დან წიბოთა გამოყოფილი, ორზნებზე წერილი და-
რბობთა დაფარული. აღნიშნული ჟამი ფორმის
თავ და კეცითაჲ ყველასგან განსხვავებულია, ქი-
მის სიმაღლე — 3,5 სმ. (07.2.73/41).

წედამირგაპარიალებული თიხის ჭურჭელი

ამ ჭგუფში გავრთიანებულია სუფთად გან-
ლექილი თიხის ჭურჭელი, რომელთა შიგა-თუ გარე-
პირები დაფარულია წწებებით გამოყვანილი, პრი-
ალა ხაზებით. ასეთებია ჟამისა და ჟამისმავარი
გაშლილი ჭურჭლის ძირ-ყელი, პაწია კოჭების ძირ-
გვერდები, მრგვალშუქლიანი ჭურჭლისა და მო-
თერბი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ჟამობი

ამ ჭგუფში გავრთიანებულ ჟამის ძირ-გვერ-
დებს ერთიანი კეცი აქვს (სუფთად განლექილი,
მოყვითალო თიხის). ქუსლი გამოყვანილია და
ბრტყელი; ჟამის შიგაპირი დაფარულია პრიალა
ხაზებით. მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავ-
დებიან ჭურჭლის ფსკერის (ე. ი. გულის) მოყვა-
ნილობით, რაც იწვევს ჭურჭლის შიგაპირის
ცელი მათ შორის გამოყოფა ჭგუფებს.

წწებებით გამოყვანილი კოხტა და თანაბარი
პრიალა ხაზები ფსკერიდან პირისაკენ სხივისებუ-
რად იშლება. ძირის დიამეტრი — 6 სმ; სიმაღ-
ლე — 5 სმ (07.2.73/12).

ჟამის ძირ-გვერდები ღრმა გუ-
ლითა და მაღალი კალთებით

ჟამის ძირ-გვერდი, სუფთად განლექილი
მოყვითალო თიხისა. ქუსლი გამოყვანილია და
ბრტყელი ძირი აქვს, რომელიც ზეითევენ იშლე-
ბა. შიგაპირი დაფარულია წწებებით გამოყვანილი,
პრიალა ხაზებით (ხაზები ისეთი თანაბარი არ
არის, როგორც №12 ნატეხზე) (07.2.73/43).

ძირ-გვერდი, ღრმა გულითა და
მაღალკალთებიანი

ჟამის ძირ-გვერდი, სუფთად განლექილი
მოყვითალო თიხისა, ქუსლი გამოყვანილია,
ბრტყელი ძირი აქვს. ფსკერი (გულრმბა) ჩაღრ-
მავებულია, დაფარულია წწებებით გამოყვანილი

¹³ ესარგებლობთ ენოგრაფ ლ. ბოკორიშვილის ტერ-
მინით.

პრიალა ხაზებით. ძირის დიამეტრი — 6,5 სმ;
ქუსლის სიმაღლე — 5 მმ (07.2.73/26).

ჟამის ძირ-ქუსლი, სუფთად განლექილი მოყ-
ვითალო თიხისა, ძირბრტყელი და ქუსლამოყვა-
ნილი, შიგაპირი გაპარიალებული აქვს (07.2.72/26).

ჟამის ნატეხი (ცეცხლში მოხვედრილი)
სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, დაფარ-
ულია წწებებით გამოყვანილი პრიალა ხაზებით
(07.2.73/94).

ჟამის ძირ-ქუსლი, სუფთად განლექილი,
მოყვითალო თიხისა, ბრტყელიძირიანი, ქუსლამო-
ყვანილი; შიგაპირი გაპარიალებული აქვს. ძი-
რის დიამეტრი — 6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე —
5 მმ.

ციხესულორზე აღმოჩენილია ძირ-გვერდი,
მისი შიგაპირიც გაპარიალებულია, მაგრამ ზევით
დასახელებულებისგან განსხვავდება კეცის ფერი-
თა და ხარისხით (მოწითალო, მსხვილმარცვლო-
ვანი, მინარევიანი), ქუსლით (ოდნავ გამოყვანი-
ლი), მაღალი და გაშლილი კალთებით.

ძირ-გვერდი მოწითალო თიხისა (ოქროსფე-
რი ქარსით), ოდნავ გამოყვანილ ქუსლიანი და
ბრტყელიძირიანი, ელათში მაღალი და გაშლილი
აქვს. შიგაპირი დაფარულია წწებებით გამოყვანი-
ლი პრიალა, არათანაბარი ხაზებით (07.2.73/51).

კოჭობი

მცირე ზომის ჭურჭელთა რიცხვს მიეკუთნე-
ვნა კოჭები, რომლებიც აღმზადებულია სუფთად
განლექილი მოყვითალო თიხისაგან, კოჭებით ზე-
დაპირგაპარიალებული და თხელკედლიანია. მათ
ოდნავ გამოყვანილი ქუსლი, ბრტყელი ძირი და
მრგვალი ტანი აქვთ. ასეთი კოჭებით გვხვდება
ადრეთეოდანი ჭანაში. აღმოჩენილია ურბნის-
ში, რუსთავეში, მცხეთაში, ნასტაქისში. ეს ჭურ-
ჭელი ჩნდება ახ. წ. I—IV საუკუნეებში და აგარ-
ძელეს არსებობას ახ. წ. IV—VIII საუკუნეებ-
შიც. შესაძლებელია ციხესულორზე აღმოჩენილი
თხელკედლიანი, პაწია კოჭები ახ. წ. IV—VII
საუკუნეებით დაეთარილით.

ციხესულორზე აღმოჩენილია ორი ძირ-გვერ-
დი (07.2.73/75, 56) და რამდენიმე (07.2.73/63,
76, 36) გვერდის ნატეხი სუფთად განლექილი
მოყვითალო-მოვარდისფრო თიხისა, თხელკედ-
ლიანები, მათ მოყვითალო და მოვარდისფერი
სარჩული აქვთ. № 76, № 63 ნატეხების გარეპირი
დაფარულია ნარინჯისფერი ანგობით და გაპარია-
ლებულია, ისე რომ ხაზები ძნელად შეიძინევა.

კოეპები სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, ქუსლგამოყვანილი და ბრტყელქობიანი, მრგვალმუცლიანი, გარე-და შიგამირი დაფარულია თანაბარი ღარებით. ვარგაირი გაბრიალებულია. ნატეხი ცეცხლშია მოხვედრილი (07.2.73/56).

კოეპობი, ძირ-ვეკრი, სუფთად განლექილი, მოყვითალო თიხისა, ქუსლი ოდნავ გამოყვანილია, ბრტყელი ძირი აქვს (ძირის დიამეტრი — 6 სმ). თხელკედლიანია, ვარგაირზე შერჩენილია პრაილა ხაზები. ისინი ვერტიკალურადაა მიმართული (07.2.73/75).

ნატეხი, პაწია, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, თხელკედლიანი, ვარგაირზე შერჩენილია პრაილა ხაზები, ისინი ვერტიკალურადაა მიმართული.

ზედაპირგაბრიალებული მრგვალმუცლიანი ჭურჭელი

სულ ცხრა ერთეული¹⁴. ისინი მოწითალო და მოყვითალო თიხისა, შედარებით სქელკედლიანი. ზედაპირი დაფარულია პრაილა ხაზებით. აღსანიშნავია ჭურჭლის მხრის ნაწილი (07.2.73/52). მოწითალო თიხისა, მინარეგებიანი, შეჩენილია ქვლები და არათანაბარი პრაილა ხაზები. გარდა ამისა. აღსანიშნავია ჭურჭლის ყურები, ფართო, ზედაპირგაბრიალებული.

ყურის ნატეხი, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, ბრტყელგანიკვეთიანი, განიერი (5 სმ), შუა ნაწილი ოდნავ ჩაღრმავებული აქვს. ზურგი დაფარულია პრაილა ხაზებით (07.2.73/52).

ყურის ნატეხი, სუფთად განლექილი მოვარდისფერი თიხისა, სქელკედლიანი, ბრტყელგანიკვეთიანი (5,5 სმ). ზურგი გაბრიალებული აქვს და შუაში ჩაუყვება ღრმა ქვლები (07.2.73/48).

ზედაპირგაბრიალებული ჭურჭლის ნატეხები ციხესელორზე აღმოჩნდა 1970 წელსაც, ისინი აღრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნა.

მოთეთრო თიხის ჭურჭელი

ციხესელორზე სულ ხუთი ერთეულია, მათ შორის 07.273/66 პაწია ჭურჭლის ძირ-ვეკრილია, სუფთად განლექილი მოთეთრო თიხისა. მას გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვს (ძირის დიამეტრი 3,5 სმ), ვარგაირი (ქუსლიანი) დაფარულია მოთეთრო ანგობით და გაბრიალებულია (ძელის შთაბეჭდილებას ახდენს), კალთა

გაშლილია, შიგამირი დაფარულია ღრმა ღარებით.

პაწია ნატეხი, სუფთად განლექილი მოთეთრო თიხისა, ზედაპირი დაფარულია მოყვითალო ანგობით და გაბრიალებულია, შერჩენილია შიგნიდან გამოყვანილი კობი (07.2.73/34).

ნატეხი მოთეთრო თიხისა, ზედაპირზე შეიმჩნევა წნეხვით გამოყვანილი ხაზები.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, თიხის ჭურჭლის გაბრიალება გვიანნატეპურიდან ფეოდალურ ხანაზე გარდამავალ პერიოდისთვისაა (IV—VI სს.) დამახასიათებელი¹⁵. ეს ტექნიკა ადრემეღეს არსებობს ან. წ. VIII საუკუნეშიც¹⁶.

თიხის ჭურჭელი, მოხატული თეთრი ანგობით

ციხესელორზე აღმოჩნდა საინტერესო თიხის ჭურჭელი. მათი ზედაპირი დაფარულია ანგობის თხელი ფენით. წარმოდგენილია ძირ-ვეკრელები, ვეკრელები და ყურის ხატეხები — როგორც ჩანს, ხელადის ნაწილებია. ნეტადები მზადდებოდა სუფთად განლექილი მოყვითალო, მოწითალო, მოყვავისფრო და მონაცრისფრო თიხისაგან, სადაც შეიმჩნევა მინარეგების წვრილი ნამცეცხან; კეცი გამტკიცებულა; ხელადები მაღალი ყელი, სწორი პირი, ზოგს შესქელებული ტურნი აქვთ. ხელადები ბრტყელქობიანია. მრგვალგანიკვეთიანია ყურებით, ზოგი ოდნავ გრძილია, ზოგი კი სადა და შემქულია პაწია დილაკით ან „ზომორფული“ შევარილებით.

ხელადის ზედაპირი იფარება ანგობის თხელი ფენით, ამავე დროს ხელოსანს გამოუყვს ხედასხევა სახის ორნამენტი. ჭურჭლის ზედაპირზე თავს იჩენს ორი ფერი — კეცისა და ანგობისა. მაგალითად, 07.2.73/11 პაწია ნატეხი, სუფთად განლექილი მოწითალო თიხისა; მასზე შერჩენილია თეთრი (ანგობისა) და წითელი (კეცის) რგოლები.

07.2.73/56, პაწია ნატეხი, მონაცრისფრო თიხისა. აქ გამოყენებულია ნარინჯისფერი ანგობი; ერთმანეთს ენაცელება ნარინჯისფერი და ნაცრისფერი რგოლები თუ რკალები.

აღნიშნული ჭურჭელი ციხესელორზე აღმოჩნდა 1968, 1970 წლებში, ისინი ადრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნათ.

როგორც ჩანს, ანგობით ჭურჭლის მომართვის ეს ტექნიკა არსებობს ადრეფეოდალურ (V—VIII)

¹⁵ მ. ს. ნ. ა. უ რ ი ძ ე. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, გვ. 78.

¹⁶ იყვე. გვ. 65.

¹⁴ 07.2.73/104, 72, 62, 45, 16, 56, 71, 52, 30.

სს.) ხანაშიც, ამიტომ ცინსელორზე აღმოჩენილი ანგობის თხელი ფენით დაფარული ან მოხატული კურჭელი, ანალოგიური მასალის მიხედვით, ადრეფეოდალური ხანის ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

ცინსელორზე აღმოჩნდა ქოთნის პირ-გვერდი, მოწითალო თიხისა, თხელკედლიანი, ვარდისფერსარკველიანი, შიგა-და გარეპირის ვარშემოუყვება წერილი ღარები, ვარეპირი დაფარული მოყვითალო ანგობის თხელი ფენით, მხარზე შერჩენილია კოხტად გამოყვანილი ტალღური ორნამენტები (07.2.73/52).

აღნიშნული ნატეხი აღმოჩნდა გ—9—10 კედრატებში, თირზე ვანლაგებულ ქვეხს შორის, მათი კურპარაკის დროს. მასთან ერთად აღმოჩნდა ერთი გრეხილი ყური, და ნატეხი ზღდაპირაკპრიალებული; ყური ბრტყელგანიკვეთიანი და გაპრიალებულია.

ქოთანი (07.2.73/52) ადრეფეოდალური ხანის ქურტლისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს, სახელდობრ, შიგა-და გარეპირი დაფარული თანაბარი წერილი ღარებით, ორნამენტი ტალღურია. ვინაიდან ამ სახის ქურჭელი დაფარულია თხელი ანგობით, საფუქტებელია, რომ ეს ნიშანიც (ანგობით დაფარვა) ადრეფეოდალური ხანისთვისაა დამახასიათებელი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქოთანი (07.2.73/52) აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის (გაპრიალებულ) ქურტლის ნატეხებითან ერთად, მაშინ ზემოთ დასახლებული ყველა მონაცემისა და ანალოგიური მასალის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ადრეფეოდალური ხანის მეთუნეები შესამკობად ანგობს იყენებდნენ.

შუაფეოდალური ხანის მასალა

აღსანიშნავია მცირე რაოდენობის თახის ქურტლის უფორმო ნატეხები და მოჭიქული კრამიძა. მოჭიქული კრამიძის ნიმუში სულ 16 ერთეულია. მათ შორის მწვანედ მოჭიქული ექვსი ერთეულია¹⁷. ერთი — 07.2.73/2 — ქურტლის ყურია, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, მრგვალგანიკვეთიანი, დაფარულია ღია მწვანე (სალათისფერი) ქიქურით, მერტი წაწილი აცენილია; მეორე — 07.2.73/68 — კოტოშის ნატეხია, მოწითალო თიხისა, მუქ მწვანედ მოჭიქული; მესამე — 07.2.73/30 — ჯამის ნატეხია, სუფთად განლექილი მოთეთრო თიხისა, დაფარულია მუქი მწვანე ქიქურით, გულზე შერჩენილია კონცენტ-

რული ხაზები. აღნიშნული ჯამი კეცისა და ქიქურის მიხედვით შემოტანილი — ბიზანტიური უნდა იყოს.

ყვითლად მოჭიქული ოთხი ნატეხია¹⁸. ერთი — 07.2.73/6 — ჯამის პირგვერდია, დაბალქიმიანი, სწორპირიანი; შერჩენილია ამოკაწერილი გამოყვანილი ორნამენტი; მეორე ორმხრივ ყვითელი ქიქურითაა დაფარული, მაღალქუსლიანი და ბრტყელძირიანი. ძირის დიამეტრი — 5,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 1 სმ. შიგაპირი დაფარულია ყვითელი ქიქურით.

ერთი ნატეხი, 07.2.73/89 კოტოშისაა, მოწითალო თიხისა, სქელკედლიანი, დაფარულია ცისფერი ქიქურით, ქიქური არათანაბარია.

ცინსელორზე 1968 და 1970 წლებში შუაფეოდალური ხანის მასალა გაცილებით მეტია აღმოჩენილი.

გვიანფეოდალური ხანის მასალა

წარმოდგენილია ფიანისისა და მოჭიქული კრამიძის მცირე ფრაგმენტებით.

1970 წელს აღმოჩნდა ხელაღები (ძირ-ყელოს, პირ-კედლისა და სხვ. ნატეხები), ძველი ორნამენტი შემკული; თუფის ნატეხები, ჩიბუხები, მოჭიქული კრამიჯა და ფიანისი. ხოლო 1973 წელს გვიანფეოდალური ხანის მასალა გაცილებით მცირე ჩანს. რაც აღმოჩნდა, ისიც ნაყარში და კედლის ნანგრევებს შორის.

მოჭიქული ქურტლის სამი ნატეხი, მათ შორის ერთი — 07.2.73/67 — ჯამის ძირ-გვერდია, სუფთად განლექილი მოვარდისფრო თიხისა, მაღალქუსლიანი და ბრტყელძირიანი, ძირის დიამეტრი — 6,5 სმ, ქუსლის სიმაღლე — 5 მმ, თეთრი ანგობით დაფარულ შიგაპირზე ლურჯე საღებავით გამოყვანილია ორნამენტი, გულზე გვირეილის მსგავსი ყვავილით.

ორი ნატეხი, 07.2.73/76, 76 მოწითალო თიხისაა, ორმხრივ დაფარულია თეთრი ანგობით, შიგაპირი მოხატულია მწვანე და ლურჯი საღებავებით, გარეპირზე კი შერჩენილია მწვანე საღებავით გამოყვანილი ხაზები (ტრტებები), ამ ქურტლის ნატეხები 1968 და 1970 წლებშიც აღმოჩნდა.

ფიანისის სულ შვიდი პაწია ნატეხია, მათ შორის ერთი ჯამის ძირგვერდია 07.2.73/107, დახარჩენი მცირე ზომის ნატეხებია. ისინი ზოგადად XV—XVII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნონ.

¹⁷ 07.2.73/30, 36, 16, 68, 68, 2.

¹⁸ 07.2.73/76, 76.

2. ლიპლი

ახალაღმოჩენილი ნაქალაქარი საყანჩიას ველზე

1974 წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთმა რაზმმა ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები საყანჩიას ველზე. ამის მიზეზი გახდა შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი (მონეტა, ქვის თეფში, კერამიკული ფრაგმენტები), რომელიც ხშირად ჩნდებოდა ამ ადგილებში საბლანტუე სამუშაოების გამო.

საყანჩიას ველი მდებარეობს დაბა ვანში, ახვლედიანების გორის („უანის ნაქალაქარის“) ჩრდილო-აღმოსავლეთით და მისგან 800—1000 მ-ითაა დაშორებული (იხ. სურ. 21). იგი წარმოადგენს „მშვიდობის გორის“ ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის დაეკებას, მოქცეულია მდ. რიონსა და მის მარცხენა შენაკად მდ. სულარს შორის და 1,5—2 მ-ითაა შემალუბებული მდ. რიონის თანამედროვე მარცხენა ნაპირთან შედარებით (ამ ადგილებს მოსახლეობა „სანიასოულსაც“ უწოდებდა).

დაზვერვის შედეგად საყანჩიას ველზე აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი ელინისტური ხანის კრამიტი, კოლხური ამფორების ქუსლების (სავ. № 07: 5—74: 3)¹, თიხის პირამიდული საფუძვლის (სავ. № 07: 5—74: 1), სინოპური (სავ. № 07: 5—74: 5) და როდოსული (სავ. № 07: 5—74: 6) ამფორების, ყვიისფერი და რუხკეციანი სამზარეულო ჭურჭლისა და იმპორტული კერამიკის უსახო ფრაგმენტები.

კერამიკული ფრაგმენტები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩნდებოდა „სოფლტქენაკის“ ვანის რაიონყოფილების ეზოსა და მის მომიჯნავე საცდელ მუერნეობის ნავეთზე. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს ადგილები კარგა ხანს საბლანტუელ ჰქონდათ გამოყენებული და ცხადია, მიწის

სამუშაოებიც ინტენსიურად მიმდინარეობდა 50—60 სმ-ის სიღრმეზე.

ანაკრფი მასალის მიხედვით ნაქალაქარი საყანჩიას ველზე მოიცავს დაახლოებით 20—25 ჰა ფართობს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ნაქალაქარი უშუალოდ არ ებჭინება მდ. რიონს — მისგან ახლა 300 მ-ის სიგანის ველითაა დაშორებული და როგორც აღვნიშნეთ, მკირე შემალუბებაზე მდებარეობს. მაგრამ, როგორც ჩანს, საკვლევ პერიოდში მდ. რიონი უშუალოდ სწორედ ამ შემალუბებასთან მოედინებოდა. ამის მოწმობაა მდ. რიონსა და ნაქალაქარს შორის არსებული ველის ფენების სრული სტრუქტურა და შემადგენლობა — ხრეში და შლამი.

დაზვერვისას აკრეფილ მასალაში გამოიყოფა ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის რამდენიმე ჯგუფი: მასალაში დიდი რაოდენობითაა ყვიისფერკეციანი კრამიტის ნატეხები, რომლებშიც მოუხედავად ძლიერი ფრაგმენტულობისა, ორივე ტიპი შეინიშნება — სოლონიკა და კაობტერიკი. ამის გამო, რომ კრამიტის მთელი ეგზემპლარი არ გვაქვს, მისი სრული განაზომებით შედარება ჩვენთვის ცნობილი ელინისტური ხანის კრამიტებთან არ ხერხდება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ საყანჩიასზე მოპოვებული კრამიტი ტიპოლოგიურად ვანურს იმეორებს, ოღონდ გაცილებით მსუბუქი უნდა ყოფილიყო, რადგან საყანჩიასა გაცილებით თხელია: ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი კრამიტების სისქე 2,5 სმ-დან 3 სმ-დეა, აკცილი გვერდის სიმაღლე 5—4 სმ². ხოლო საყანჩიას ველის კრამიტის სისქე მხოლოდ 2 სმ-ია, აკცილი გვერდის სიმაღლე კი — 4 სმ.

¹ საცდელ ნომერი აღნიშნავს: „07“ — ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას, „5“ — საყანჩიას რაზმი, 74 — მასალის ბოლოების წელი, „3“ — ნაგვის ნომერი.

² ვანი 1, თბ., 1972 გვ. 131; Г. Лордкипანიძე, К истории древней Колхиды, Тб. 1970. გვ. 83.

ნაოპონია რვა ცალი წაკეთილი პირამიდის ფორმის ყავისფერკეციანი საწაფი (სავ. № 07 5—74 1).

როგორც ცნობილია, ასეთი საწაფების ფუნქციის შესახებ ერთმხედ მიღებული აზრი არ არსებობს: ზოგიერთი მეკლევარი მას ძირითადად საქსოვ დაზვას უყავშირებ³, ზოგი კი — მეთუზუ-ზეობას⁴. ერთ ნაწილს მეცნიერების მთაინა რომ მათ ორივე დანაშნულებით იყენებდნენ. მსგავსი საწაფები (კვადრატული ფუძის მქონე) აღმოჩენილია კოლხეთის როგორც ზღვისპირა ხალხში (ფიგენარი, ბათუმის ციხე, სოხუმის მთა, ეშერა)⁵ ისე შიდა რაიონებში (ვანი, ზუგდიდი, ქუთაისი, ცხაკაია)⁷.

ყავისფერკეციანი (კოლხური) ამფორების ქუსლები წარმოდგენილია ი. ზეესტის მიერ გამოკვლილი ორივე სახეობით — ძე. წ. III—II და ძე. წ. I სს-ისა⁸ (იხ. სურ. 22). პირველი სახეობის 13 ქუსლი, (სავ. № 07 : 6—75 : 160), ხოლო მეორესი — 3 ცალი (სავ. № 07 : 5—75 : 161). ჩემი ყურადღება მიიქცია კოლხური ამფორების იმ უსახო ფრაგმენტებმა, რომელთაც შიდა ზედაპირი შავი ქონდათ. იქმნებოდა ისეთი ზედაპირი-ლება, თითქმის ეს სიშავე რაიმე ორგანული ნივთიერების დაწვის შედეგად მიღებული დანალექი იყო. მაგარმ ელემენტარული ლაბორატორიაში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა⁹, ფრიად საყურადღებო შედეგი მოგვცა: აღმოჩნდა, რომ სიშავე ფრაგმენტის შიდა ზედაპირზე ტემპერატურის არასრული რეჟიმის დაცვის შედეგი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეთუნე უკვე იმდენად დახელოვნებულია ამფორების დამზადებაში, რომ ქურქლის გამოწვის სრულ რეჟიმზე დროს აღარ კარგავს და ღებულობს იგივე სიმკერვის ნაკეთობას, როგორსაც ტემპერატურის რეჟიმის სრუ-

ლი დაცვის დროს, რაც, თავისთავად, ადგილობრივ მწარმოებელთა სამეთუნეო ხელობის განვითარების მაღალი დონის მანკენებელია.

მომდევნო ჯგუფი ანაკრუფი კერამიკული მასალისა ადგილობრივი წარმოების მცირე მოცულობის ქურქლის ფრაგმენტებთანაა წარმოდგენილი, რომელთაგან პროფილი მხოლოდ რამდენიმეს გაჩნია და, ისიც, არასრულად. ასეთია, მაგალითად, ყავისფერკეციანი ქოთნის ძირ-გვერდის ნატები (სავ. № 07 : 5—75 : 165) და ყავისფერკეციანი და რუხ ლაგებინა ხუფის ფრაგმენტი (სავ. № 07 : 5—75 : 183).

შეგროვილ იმპორტულ კერამიკაში (მხედველობაში მაქვს პროფილირებული ნატებები) უძველესობას როდისღელი ამფორების ფრაგმენტები შეადგენენ: ოვალური და მრგვალგანვიკეთიანი ყურები (19 ფრაგმენტი), პირის ორი ნატები (სხე. № 07 : 5—75 : 130) და ქუსლი (სავ. № 07 : 5—75 173). ასეთი ტიპის ყურები, პირი და ძირი დამახასიათებელია როდისღელი ამფორების სტანდარტული ტიპისათვის, რომელიც ზოგადდ ძე. წ. IV—III სს-ით თარიღდება¹⁰. აქვე უნდა მოვიხილოთ ორღულიანი ყურის მცირე ფრაგმენტი (სავ. № 07 : 5—75 : 179), რომელიც თითოთ როდისღულსა ჰგავს და შესაძლოა ამ ცენტრის მინიატურაში ამფორისაა, რომელიც ძე. წ. III—II სს-ით თარიღდება¹¹. მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთში, ვანში.

სინოპური ამფორების სულ შეიღი ფრაგმენტი — ოვალურგანვიკეთიანი ყურის ხუთი და კონუსისებური ძირის ორი ნატები. მსგავსი ქუსლები აქვე გვიანდელ სინოპურ ამფორებს, რომელთაც კურკისებური ფორმა, დაქანებული მხრები აქვთ და ძე. წ. III—II სს-ით თარიღდება¹².

ამფორებთან ერთად აღმოჩნდა რამდენიმე სუფრის ქურქლის ფრაგმენტიც: შავლაკიანი თეფშის პირის (სავ. № 07 : 5—75 : 184), ჩალისფერკეციანი ქუსლიანი ლაგრის (სავ. № 07 : 5—75 : 4), სინოპური ქუსლიანი ლაგრის (სავ. 07 : 75—169). წარმოებული დაზვერვების პარალელურად გაკეთდა ოთხი სალაზვერეო თხრილი (ორი მათგანი ზომით 3X6, ორი კი — 2X4).

¹⁰ ი. ბ. ზეესტ. დასახ. ნაშრ. გვ. 102—104; იო. ლორთქიფანიძე. ანტიკური არქეოლოგია, თბ., 1971, გვ. 341.

¹¹ ი. ბ. ზეესტ. დასახ. ნაშრ., გვ. 102—104, ტაბ. XIX IV.

¹² ივე, გვ. 90, ტაბ. XIII.

³ В. Ф. Гайдукевич. К вопросу о тшакмом ремесле в Боспорских поселениях. МИА. № 25, 1952 г. стр. 395. იო. ლორთქიფანიძე. ანტიკური საქარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966, გვ. 141.

⁴ Н. А. Онявляко. О фангорийских грузилах. МИА. № 57, 1956 г. стр. 155—160.

⁵ Г. Лорткипанидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 86.

⁶ საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959 წ. გვ. 248—249.

⁷ ივე, გვ. 249. ვანი I. ლორთკიპანიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 86.

⁸ ი. ბ. ზეესტ. Керамическая тара Боспора. МИА. № 83, გვ. 108, ტაბ. IX VI.

⁹ ექსპერიმენტი ჩატარდა სპს-ის ელემენტარული ლაბორატორიაში კ. ვანძის მიერ.

სტრატეგიათა დეპარტამენტი დადასტურდა ფენების შემდეგი მონაცემებით: 1. კორდოვანი (სამკლავო 10—15 სმ). 2. რუხი — მინარისფერი (ცულტურული) — 50 — 60 სმ. 3. წვრილ რიყის ქვიანი (საინტერესოა ეს ფაქტი — კულტურული ფენა უშუალოდ ადგილს იკავებდა ხრეშის ფენას, როგორც ამჟამად მდ. რიონსა და ნაქალაქარს შორის არსებულ ველს ქვინს. ხომ არ ნიშნავს ფენების ეს მონაცემთა იმას, რომ დაახლ. ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე რიონი კიდევ უფრო სამხრეთით — ახლანდელი ნაქალაქარის ტერიტორიაზე — მიედინებოდა, ვიდრე ძვ. წ. III—I სს-ში — ელინისტური ქალაქის არსებობის დროს? მაშინ გამოდის, რომ 2500—3000 წლის განმავლობაში მდ. რიონს დაახლოებით 1000 მ-ით „გადაუნაცვლია“ ჩრდილოეთისაკენ).

პირველივე სადაზვერვო თხრილში აღმოჩნდა მსხვილი რიყის ქვის ძლიერ დაზიანებული წყობის ნაშთი (სიგრძე 5 მ), რომელსაც ზემოდან დამსხვრეული კრამიტების სუსტი ფენა ელო (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ადგილები სისტემატურად მუშავდებოდა საპლანტაციო და ამის გამო კულტურული ფენა მთელს შეწყველილ ფართობზე ძლიერ დაზიანებულია) ამავე თხრილში, „წყობის“ აღმოსავლეთით 1,5 მ-ის დაშორებით ხის დანაშირებელი წულვის ნაშთი აღმოჩნდა.

კულტურული ფენა საკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული კერამიკული ფრაგმენტებით.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დარჩენილი არივ ტიპის ელინისტური კრამიტის ნატეხები, რომლებიც ზომებით ანაკრე ფრამიტის ფრაგმენტებს მფორებენ.

ყავისფერკეციანი ქვერის გვერდის რამდენიმე ნატეხთან ერთად ნაპოვნია ადგილობრივი ამფორის ფრაგმენტები: ძვ. წ. III—II სს-ით დათარიღებული კონუსური (სავ. №№ 07 : 5—74; 16,07 : 5—74—19) და ძვ. წ. I ს-ით დათარიღებული¹⁴ ლლისებური (სავ. № 07 : 5—74 : 21) ქუსლები (იხ. სურ. 22); ყელგამობრილი ფრაგმენტი (სავ. № 07 : 5—74 : 55); ოვალურფანიკვეთიანი ყურები;

ერთადერთი ჭურჭელი, რომელიც უიოქმის მთლიანად გადარჩა, არის ადგილობრივ დამზადებული ყავისფერკეციანი თასი (სავ. №07 : 5—74 : 107), რომელიც ზუსტად მფორებს ელინისტურ

სამყაროში ფართოდ გავრცელებული შავლავიანი ნახევარსფერული თასის ფორმას იმ განსხვავებით, რომ ამას ქუსლი არა აქვს.

ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე: რამდენიმე თიხის პირამიდული საწაფი (სავ. № 07 : 5—74 : 66), შაკეციანი და ყავისფერზედაპირიანი ხუფის ნაწილი (სავ. № 07 : 5—74 : 25) და ადგილობრივი სამზარეულო და სუფრის კერამიკის მრავალი ფრაგმენტი, რომელთაგან პრეფორირებული ნატეხები შემდეგ სახეობებს ქვნიან: ყავისფერკეციანი კოჭები (ქოთნები?), რომელთა მხოლოდ პირ-გვერდის ან ძირ-გვერდის მცირე ფრაგმენტებიღა შემორჩა (სავ. №№ 07 : 5—74 : 53, 07 : 5—74 57, 07 : 5—74 72, 07 : 5—74 : 5); ჯამები — პირგადამოლი (№№ 07 : 5—74 : 24; 07 : 5—74 : 61, 07 : 5—74 : 85) და შეველ-გვერდიანი (№№ 07 : 5—74 : 54; 07 : 5—74 : 68); ქუსლიანი ლანგებთა თუ თევზების ფრაგმენტები (№№ 07 : 5—74 : 15; 07 : 5—74 : 26; 07 : 5—74 : 27; 07 : 5—74 : 49; 07 : 5—74 : 64; 07 : 5—74 : 76)¹⁴.

სავაგებოდ უნდა აღინიშნოს № 4 თხრილში მიწის ზედაპირიდან 35 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული დეკორატიული ფრაგმენტი, რომლის სისქე 1—1,3 სმ-ია. იგი ვერტიკალზე ოღნავ გამობერილია და უქანა მხარეს თითქოს ჩარჩბე კეთების კვალს ეტყობა. წინა მხარეს, ფრაგმენტის ზედა ნაწილში ოღნავ დამკნებული რელიეფური სარტყელია, ხოლო მის ქვემოთ შემორჩენილია რელიეფურადვე გამკყეანილი ნასკვის ერთი ნაწილი, რომლის მარჯვნივ პატარა ღარებითა და ჩანდელი წერტილებითაა შემკული, ხოლო ნასკვის ბოლო — თევზის ქერცლისებური რელიეფის ორი რკივით (იხ. ტაბ. 24).

თანმხლები მასალის მიხედვით ეს ფრაგმენტი ძვ. წ. III—I სს-შით თარიღდება. ადგილობრივი კერამიკული ფრაგმენტების კეცი, როგორც წესი, შეიცავს სილას, პიროქსენის, ქარსისა და კირქვის წვრილ მინარეებს.

თხრილებში აღმოჩნდა რამდენიმე რკინის ლურსმანი (სიგრძე—6—11 სმ).

იმპორტული ნაწარმი ძირითადად ამფორებითა და სუფრის კერამიკითაა წარმოდგენილი.

¹⁴ ადგილობრივი წარმოების ლანგებები აღმოჩენილია კობულეთ-ფოქვანში იხ. ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, IV, თბ., 1965.

სინოპური ამფორების ორი კონუსური (იხ. ტაბ. 23) ძვ. წ. III—II სს-ბით დათარიღებული ქუსლი (სავ. № 07: 5—74: 29) და ყელაპირის ფრაგმენტი (სავ. № 07: 5—74: 52).

კოსის ამფორის ქუსლის (სავ. № 07: 5—74: 30) თიხა მოვარდისფრო-ყავისფერია და ზედაპირი ღია ფერის თიხის ფენითა აქვს დაფარული. ამ საწარმოო ცენტრის ამფორები ნაპოვნია ემერში (მთლიანად გადარჩენილი), სოხუმში, ვანში და დათარიღებულია ძვ. წ. III—II სს-ბით¹⁵.

როდოსული ამფორების ყურები საკმაო რაოდენობით გვხვდება ფენაში, მაგრამ იმდენად ფრაგმენტურული არიან, რომ ამფორების ტიპის ან თარიღების განსაზღვრა ძნელდება, მიუხედავად იმისა, რომ ორ მათგანზე დამბების კვალიც შეინიშნება, თუმც არც სწორკუთხა (სავ. № 07: 5—74: 46) და არც მრგვალი (სავ. № 07: 5—74: 47) დამაზე არაა შემორჩენილი რაიმე გამოსახულება ან წარწერა, მაგრამ ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მსგავსი ყურების მიხედვით, ესენიც ძვ. წ. III—II სს-ბით უნდა დათარიღდეს¹⁶. ერთი მცირე ზომის ორლულიანი ყურები აღმოჩნდა. ძნელია თქმა რომელ საწარმოო ცენტრს — როდოსსა თუ კოსს — მიეკუთვნება იგი, მაგრამ თარიღის აღნიშვნა შესაძლებელია, რადგან ორივე ცენტრის მსგავსი ყურები ძვ. წ. III—II სს-ბით თარიღდება¹⁷.

შველაციანი კერამიკის ოთხი სახეობა გვხვდება:

1. კანთაროსები (სავ. №№ 07: 5—74: 13; 07: 5—74: 35; 07: 5—74: 36; 07: 5—74—79);

ძირითადად ქუსლების სახითაა შემონახული, მხოლოდ ერთ მათგანს შემორჩა კანელურებიანი გვერდის ნაწილი, რაც მათი მებნაყლებად ზუსტად დათარიღების საშუალებას იძლევა. როგორც ცნობილია, კანთაროსების ქრონოლოგიურ ევოლუციამი კანელურებიანებზე ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს მიაკუთვნებენ ან ძვ. წ. IV—III სს-ის მიჯნით ათარიღდებიან¹⁸. საყანჩაის კანთაროსიც (იხ. სურ. 24) სწორედ ძვ. წ. III ს-ით უნდა დათარიღდეს, რადგან ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყველა

¹⁵ И. Б. Зеест. Керамическая тарра... г. 104. ტაბ. XXIV.

¹⁶ ვანი I, გვ. 126—127.

¹⁷ ით. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 342; И. Б. Зеест. დასახ. ნაშრ., გვ. 104, ტაბ. XXIV.

¹⁸ The Athenian Agora Vol. XII By Brian A. Sperkes and Lucy Tallcott. Princeton, New Jersey 1970. p. 122 ტაბ. 7 № 704 სურ. 29; Apollonien. София. 1964. ტაბ. 130, № 472 გვ. 196.

დანარჩენი ფრაგმენტისათვის ეს ყველაზე დაბალი ქრონოლოგიური ზღვარია. კეციის მიხედვით ატიკურ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს.

2. თასების ორი ვარიანტი (იხ. ტაბ. 25). ნახევარსფერული (სავ. № 07: 5—74: 78), რომელსაც შავი ლაქი მხოლოდ ქუსლთანაა შემორჩა და პირგადაშლილი (სავ. № 07: 5—74: 36), რომლის მხოლოდ პირკედლის ნაწილი გადარჩა. ნახევარსფერული თასების ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ სამყაროში (ათენის აგორა¹⁹, აპოლონია²⁰, ფანაგორია²¹, ვანში²²) და ძვ. წ. III ს-ის ბოლო—II ს შუახანებით თარიღდება²³. ხოლო პირგადაშლილი თასი, რომელსაც მოყვითალო-წაბლისფერი კეცი აქვს ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (ნაპოვნია ათენის აგორაზე, ვანში²⁴).

საყანჩაზე აღმოჩნდა კიდევ ერთი მცირე ზომის თასის მოყვითალო კეციანი ფრაგმენტი, რომელსაც პირთან პატარა პორფირონტალური ყურა აქვს მიბრუნული. ნატეხი ყვივისფერულიანია მსგავსი ფორმის თასის ფრაგმენტები აღმოჩენილია ვანში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ტანაისში „მეგაროე“ თასებთან ერთად ძვ. წ. II ს-ითა დათარიღებულია²⁵ (იხ. სურ. 24—3).

3. სათევზე ლანგრები (იხთიები), რომლებიც საყანჩაის ველზე აღმოჩნდა ორი სახის განსხვავებული თიხისფერია ნაკეთები და შესაბამისად, სხვადასხვა საწარმოო ცენტრებს უკავშირდებიან. ერთი მათგანი (სავ. № 07: 5—74: 23) ყვითელ-მოყვითალო კეციანია და ალაგ-ალაგ აქვს შემორჩენილი შავი ლაქი. ვანში აღმოჩენილი მარალელების მიხედვით იხთია ძვ. წ. II ს-ით თარიღდება. ხოლო რაც შეეხება საწარმოთა ცენტრს, შევინიშნავთ, რომ ფ. ვააგეს ცნობით,

¹⁹ Homer A. Tompson. Two centuries of Hellenistic pottery. Hesperia III. p. 317.

²⁰ Apollonia, გვ. 230. № 618.

²¹ В. Д. Блаватский. Раскопки некрополя Фанагория в 1938—1940 гг. МИА, № 19. გვ. 208.

²² დ. მათიაშვილი. ძვ. წ. III—I სს კოლხეთის ქალაქების ისტორიიდან. თბ., 1974 (ავტორგუფრტი) გვ. 27.

²³ F. O. Waage. Hellenistic and Roman tableware of North Syria. p. 15. ტაბ. II. № 75.

²⁴ აქვე, გვ. 15. ტაბ. II. 43.

²⁵ А. И. Болтунова, Н. С. Каменецкий, Л. В. Деопик. Раскопки западного района Танайса (1937—1960 г.г.). Крбу-ში «Античные древности подолья — приазовья». М., 1969, გვ. 14.

ასეთი ფერის თიხა (იგი მას „Warm Buff color“-ს უწოდებს) ელნისტური ხანის ადენის ნაწარმისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა მსგავსი კე-ვი აქვს აბტიოქის ელნისტური და ადრერომბული ხანის კერამიკასა²⁶. ნაცრისფერკეციანი იხთისის (სავ. № 07 : 5—74 : 40) მხოლოდ კიდეა შემორჩენილი და ლაკი მთლიანად გაცილილი აქვს. ამ იხთისის ნაწარმოი ცენტრი ზუსტად არ დგინდება და ვანის ანალოგიური მასალების მიხედვით²⁷, იგი ძვ. წ. II ს-ის მცირეაზიულ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს.

4. შავლაკიანი თეფშის ერთი სრულპროფილიანი (სავ. № 07 : 5—74 : 31) და ორი კიდის ფრაგმენტია (სავ. №№ 07 : 5—74 : 41, 07 : 74 : 56), თეფშს აქვს შიგნით გადაკეცილი პირის კიდე, რომლის ქვეშ ვიწრო ღარი შემოუყვება, პროფილირებული ქუსლი და ზემოდან შემკულია „ფრანზილიანი“ ორნამენტითა და ნატიფი პალმეტებით (იხ. სურ. 231 და 242). ეს შავლაკიანი თეფშების კარგად ცნობილი და გავრცელებული ტიპია (ნაპოლეონ ვანში, ადენის აგორაზე, ოლიბაში და სხვ.). თარიღდება ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით²⁸. სამოვე ფრაგმენტი აბტიოქური ნაწარმია განსხვავებით ნაცრისფერკეციანი თეფშის (სავ. № 07 : 5—74 : 71) პირის ნატიხისაგან, რომელსაც მხოლოდ ზემოდან შევეულად აკეცილი კიდეა შემორჩა. თიხა კარგადაა განლექილი, უმინარეოა. იგი დეფარული უნდა ყოფილიყო მქრქალი ლაკით, მაგრამ მისი არამდგრადობის გამო მთლიანად გადაცილია. მსგავსი ფორმისა და კეცის თეფშების წარმოების ადგილად ზოგადად მცირე აზიაა მიჩნეული და დათარიღებულია ძვ. წ. II ს-ით²⁹.

ამით ამოიწურება საყანჩიას ველზე აღმოჩენილი შავლაკიანი კერამიკის სახეობები. აქვე უნდა შეენიშნოს, რომ აღნიშნულის გარდა მოპოვებულია შავლაკიანი კურკის მრავალი ნატიხი, რომელთა ფორმების აღდგენა ძლიერი ფრაგმენტულობის გამო, შეუძლებელია.

²⁶ F. O. Waage. დასახ. ნაშრ. გვ. 18. იქვეა სინტეტისი ვარადი თიხის ამპორტრების შესაძლებლობის შესახებ.

²⁷ F. O. Waage. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

²⁸ F. O. Waage. Hellenistic and Roman... გვ. 15.

²⁹ F. O. Waage. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

³⁰ М. П. Паровик-Петухин. Некрополь ольвини эллинистического времени. Изд. «Наукова думка». Киев, 1974 год.

ფენაში აღმოჩნდა მცირე ზომის კერამიკის სინოპური და ჩალისფერკეციანი ფრაგმენტები, აგრეთვე უაღრესად კაიანი ამფორისის ქუსლი (სავ. № 07 : 5—74 : 32), რომელიც სარალელური მასალების მიხედვით (ვანი, ოლიბის ნეკროპოლი)³⁰ გვიანელისტური ხანით თარიღდება.

ცალკე უნდა აღენიშნოს ორი შემთხვევითი მონათავი: 1. ზახატის ქოშის ქეცისგან გამოთლილი, „თეფში“, რომელსაც ერთმანეთისაგან თანაბრად დამორბეული ოთხი შევილი აქვს გვერდებზე, ხოლო ერთი — ვერტიკალური კი — შუაში. პირის კიდის ზედა მხარე და ძირი სუფთადაა აქვს დამუშავებული, ხოლო გვერდების შიდა და გარე მხარე ქვეტიანი იარალითაა დაკეცილი. ამ თეფშის უტილიტარული გამოყენება გამორიცხულია მისი ვერტიკალური შევილის გამო. იგი, ალბათ, რაიმე საკულტო რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს.

2. ლისიმაქეს ოქროს სტატერი, რომელიც 1966 წელსაა ნაპოვნი, საყანჩიას ველზე მიწის დამუშავების დროს № 1 სადაზვერეო თბილიდან 30 მ-ის დაშორებით, დასავლეთით. ეს სტატერი, რომელიც ამჟამად ქუთაისის მუზეუმში ინახება (სავ. № 627), გამოკვეყნებული აქვს გ. დუნდუას და დათარიღებულია ძვ. წ. 306—282 წწ.³¹. მონეტის შებლზე გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის თავი დიადემაში (ამონის კეით), ხოლო ზურგზე — ცხენზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც შუბი უჭირავს და მარცხენა ხელის იდაყვით ფარს ეყრდნობა. წინ გაწვილი მარჯვენა ხელზე ნიკე დგას, ხოლო ნიკეს ქვეშით ფრინველის გამოსახულებაა. აქვს წარწერა — ΒΑΣΙΛΕΥΣ (ათენას უკან) ΛΙΣΙΜΑΧΟΥ (ათენას წინ).

საქართველოს ტერიტორიაზე ექვსი ასეთი მონეტა ყოფილა ნაპოვნი³².

ამ არქეოლოგიური მასალით ამოიწურება საყანჩიას ველზე დაზვერვებითა თუ შემთხვევით დღემდე მოპოვებული მასალა, რომელიც სრულ საფუძველს გვაძლევს ამ ადგილას ვივარაუდოთ

³¹ გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სტატერი მონეტები. „ნიკე“, 1973 წ. № 1, გვ. 58. ტაბულაზე № 11.

³² გ. დუნდუა. საქართველოში გავრცელებული მონეტები, გვ. 59. ლისიმაქეს სტატერი გამოკვეყნებული აქვს პაპომოსკა. იხ. E. A. Пахомов. Монеты Грузии. № 16. 1970. ტბ. А—11.

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები

„ვანის ქვეყნის“ გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს სოფელი მთისძირი, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა მხარეს, ვანის ნაქალაქარის დასავლეთით, რვა კმ-ის დაშორებით. დღევანდელი სოფელი განლაგებულია გორების ძირში. თვით ტოპონიმი „მთისძირი“ ახალია და, ალბათ, დაკავშირებულია მის მდებარეობასთან. ამ 40—50 წლის წინ სოფ. მთისძირის ახლანდელი მოსახლეობა სხენებულ გორებს გადალამცხოვრობდა. ამ ტერიტორიას ამჟამად მთისძირელები საოჯაროდ და საეკნახედაც იყენებენ. იგი მოიცავს რამდენიმე გორას და მათ შორის მდებარე დაბლობს. მთისძირის მოსახლეობა ამ გორებს შემდგენიად იხსენიებს: „ნაქეკვი გორა“ (სადაც ამჟამად თანამედროვე სასაფლაოა), „აღიეშვილების გორა“ (მდებარეობს „ნაქეკვი გორის“ ჩრდილოეთით), „მთისძირის გორა“ (მდებარეობს „აღიეშვილების გორის“ დასავლეთით), „ნამამბევის გორა“ (მდებარეობს „მთისძირისა“ და „ნაქეკვი გორების“ დასავლეთით); აღიეშვილები და მთისძირის გორებს შორის ჩამოღის გეფერიძეების ღელე, ხოლო მთისძირისა და ნამამბევის გორებს შუა—წაბლა-ღელე. ეს ღელეები წყალშარჩხია და მდინარე რიონისკენ მიედინებიან (სურ. 25).

სხენებული ტერიტორიიდან არქეოლოგიურად ყველაზე უფრო საყურადღებოა ორი ობიექტი. პირითაა ეს პნუქტები A და B-თი აღენიშნეთ. A—აღიეშვილების გორა, სადაც საშუალო საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთებია. ეს ნაშთებია მნიშვნელობის ნაგებობა ვანლაგებული იყო გორაზე და ზემოდან დასკურებდა მთელ ვარგოს. გორას წვერიდან ხელისცულოვით მოჩანს მდინარე რიონის ხეობა. აღიეშვილების გორას სამხრეთიდან ეკვრის გეგერიძეების ნამოსახლარი (სურ. 26). აქ სამარხების ნაშთებია

დადასტურებული. B—წაბლა-ღელე, რომლის შუა წელზეც, ე. წ. ნაშუებში, ჭერ კიდევ 1952 წელს შემთხვევით აღმოჩნდა მდიდარი ნივთები—სამარხეული ინვენტარის ნაშთები!

სოფ. მთისძირის 1973—75 წლების არქეოლოგიური დახვეწების პირველ ეტაპზე ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო იყო ძველი ნასახლარების ფარგლების დადგენა და არქეოლოგიური გათხრებისთვის ანაგლის შეჩვენება. მოპოვებულ იქნა დიდძალი ანაკრეფი მასალა და გაიჭრა თითხმებამდე სადახვეწო თხრილი. დადგინდა, რომ ძველ ნამოსახლართა ნაშთები ვრცელდება მთისძირის, აღიეშვილების, ნაქეკვი, ნამამბევის გორებსა და მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე. ჭერჭერივით ეს ნაშთები ყველაზე უფრო თვალნათლივ ჩანს A და B პუნქტებში. აღნიშნულ ფარგლებში დადასტურდა წინარეანტიკური, ანტიკური და საშუალო საუკუნეების არქეოლოგიური მასალა.

1974 წლის არქეოლოგიური დახვეწების დროს გადაწყდა, რომ 1952 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი ხელახლა გაეკეთებინა, რათა გაეკეთებინა მისი აღნაგობა-ტანი. ვათხრის დაწყებამდე ინფორმაციის მისაღებად მიემართე კოლმეურნე კაკო სტურუას, რომელიც მთისძირის სამარხის ნივთების ერთ-ერთი აღმოჩენია. კ. სტურუას თქმით, ძვირფას ნივთებს წისწყვლომან ღე-

1 Н. В. Хоштарна, Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 году, Мასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1959, გვ. 149—161.

2 დაახლოებით ასევე, გორაკების ფერდობებზე ან მათ ძირში არის დადასტურებული ძველი ნამოსახლარები ცახესლორში, შუამაში, დაბაგოშში, დაფნარსა და თვით ახელდანიანის გორაზეც. მთისძირში აქვ. დახვეწებები 1972 წ. ვანახოციელა ენის აქვ. ექსპედიციამ (ა. რამიშვილი, ო. ლანჩავა), ხოლო 1973 წ. ისტორიულ-გეოგრაფიული დახვეწებები ჩატარა თ. ბერაძემ.

ლესი „ნაშუებთან“ (B პუნქტი), სარების მოკერის ღრის. მათი უფრადღება მოუქცევა ბზნეურებას, რაც ოდნავ გამოსწევიდა ბრტყელი ქვის ქვეშოდან. მთისძირელებს ჟე დაუცურებიათ და დღესუმი გადაუგდათ, ხოლო ნიეთები ამოუღიათ (დასუბებული ჟეა, ალბათ, დაიფშენა, რადგან მისი ძებნა ამაო გამოდის). აქ რომ სამარხის ნაშთებთან გვაქვს საქმე, ამავე მიგავნიშნებს კ. სტურუას ნათქვამი და ვანის მუზეუმში ნიეთების ჩაბარების აქტიც, სადაც აღნიშნულია ნიეთებთან ერთად აღმაინის ძვლების არსებობა. ამის გარდა თვით ვადარჩენილი ნიეთებიც (საყურე, კისრის რკალი, რიტონის ფრაგმენტები) სპეციფიკურია და რამდენადმე სამარხულს ჰგავს. არქეოლოგმა ნინო ხომუტარიამ პირველმა გამოაქვეყნა მთისძირეში ნათენი ნიეთები და ძვ. წ. VI საუკუნით დაათარილა³.

კ. სტურუას მინიშნებით მოცემებით სამარხის აღმოჩენის ადგილი და გვერდით 1,04 მ X 1,30 მ X 2,12 მ ზომის თხრილი. კორდოვანი ფენის აღების შემდეგ, დაახლოებით 0,30 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა ბათქაშის ნაშთები. ჩვენი ცდა — ზუსტად დაგვეზღვა სამარხის ტიპი — უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან, როგორც შემდგომი თხრისას დაერწმუნდით, საქმე გვექონდა არეული კულტურულ ფენასთან. მიუხედავად ამისა, მაინც დავედით დედაქანზე და ზოგიერთი რამ დაეაზუსტეთ.

თხრილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და რკინის პატარა ნატეხი. შედარების შედეგად დადგინდა, რომ თხრილში ნაპოვნი ბრინჯაოს ფრაგმენტები და რკინის ნატეხი ნაწილებია აქვე ჟერ კიდევ 1952 წელს ნანახი ბრინჯაოს ჭურჭლისა და რკინის ნიეთისა. თხრილში აღმოჩნდა აგრეთვე კერამიკის ძალიან პატარა ნატეხები. მათი სიმკირის გამო მხოლოდ ამის თქმა შეიძლება, რომ კეცის (უხეში და კირქვის მინარეგებთან) მიხედვით ეს კერამიკა ადგილობრივი წარმოშობისა უნდა იყოს. აშკარად ჩანს, რომ კერამიკა ცეცხლშია მოხვედრილი. თხრილში ვიპოვეთ რკინის ლურსმანი (სიგრძე 3 სმ)⁴, რომელიც, შესაძლებელია, სამარხში ხის ნაწილების შესაკავშირებლად იყო გამოყენებული. მას ბრტყელი, მომარგალებული თავი აქვს; უანგი-

საგან რუხი-მოყავისფრო ფერისაა. თხრილის გაფართოების ღრის ვიპოვეთ მინის ნატეხი⁵. მინა უფერულია, ეტუობა ხეხვის კვალი და თითქმის არ არის ირიზებული. მინის ეს ნატეხი რაღაც ქამისა უნდა იყოს და, ალბათ, აქ უფრო გვიან არის მოხვედრილი.

სამარხის მახლობელი ტერიტორიის გამოკვლევის მიზნით, თხრილი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გავაგრძელეთ. მასალა თითქმის არ დადასტურდა. აღმოჩნდა მხოლოდ ბათქაშები, რომლებსაც ცეცხლის მოქმედების კვალი ეტუობა. ერთ-ორ ბათქაშზე მომჩნევა ხის წნულის ანაბეჭდი. აღმოჩნდა აგრეთვე დანახშირებული ხის ფრაგმენტები. შესაძლოა ეს მართლაც ერთ-ერთი დადასტურება იყოს სამოსახლოსთან ცალკეული სამარხების არსებობისა.

სოფელ მთისძირთან, ე. წ. ნაშუებში (B პუნქტი). ნათენი სამარხის ინვენტარის ვადარჩენილი ნიეთები და მათი ფრაგმენტები: 1. ოქროს ე. წ. სხივანა საყურე, 2. ოქროსავე კისრის რკალი, 3. რკინის მოღუნული, ჟხონსმავარი ნიეთი, 4. ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, 5. ვერცხლის ყაწრ-რიტონის ფრაგმენტები. როგორც უხედავთ, ნიეთების ძალიან მკირე ნაწილია შემორჩენილი. ნაშუების სამარხი დაზიანებული და თითქმის განადგურებული გამოდგა. თვით სამარხეული ნიეთები ყველა მეტ-ნაკლებად დაზიანებულია. ამის გარდა, ჩვენივეს უცნობია სამარხში ნიეთების თვდაპირველი განლაგება. იძულებული ვართ მხოლოდ აღმოჩენის, კ. სტურუას ნათქვამს დავეყრდნოთ. ყველაფერი ეს ართულებს მასალაზე მუშაობას და მის სწორად ვააზრება-გაგებას. ამიტომ მთისძირის სამარხზე ფაქტურად მხოლოდ ვადარჩენილი ნიეთების მიხედვით შეიძლება მსჯელობა.

უდავოა, რომ აქ მდირელი სამარხი უნდა ყოფილიყო. აღმოჩენების თქმით (კ. სტურუა, მისი დედა), ნიეთებთან თითქოს ორი ოქროს სამაჭურეო ყოფილა, რომლებმაც, სამწუხაროდ, მუზეუმამდე ვერ მოაღწია.

1. ოქროს ე. წ. სხივანა საყურე⁶ შედგება რგოლისაგან, რომელზედაც „სხივებია“ დამაგრებული (ჩგოლი დფეოჩირებულია) (სურ. 32). ამ რგოლზე მამაგრებულია გადაჭრილი სამკუთხედი და მსგავსი ფორფიტა, რომელზედაც ცეცხრით პატარა სამკუთხედებია გამოხატული. გადაჭრი-

³ Н. В. Хомштарна. დასაბ. ნაშრ., გვ. 161; საქარ. თველის არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 237.

⁴ ინვ. № 07 : 6 : 74 : 134. 07 ვანის ნაქალაქარის ნო-შერია, ხოლო 6 — მთისძირის.

⁵ № 07 : 6 : 74 : 133.

⁶ ნაბაბე ვანის მშაქთმოღნეობის მუზეუმში.

ლი მხრით ეს სამკუთხედი მიმაგრებულა რგოლზე. ხოლო საწინააღმდეგო მხარეს სხივებისებურად ეშვება ექვსი ღერო. რგოლი წრიული უნდა ყოფილიყო. ის გახსნილია და ბოლოები განუტრიალი აქვს ისე, რომ ფრინველის თავის მოკვავონებს. რგოლს ერთ მხარეს დაუყვება გაფართოებული სარტყელი. სარტყელის ორივე მხარეს მათეოლისაგან ვაკეთებული მარყუევებია თანაბრად ჩაჭყრიებული. სარტყელს შუაში დაკეპნილი ზოლი დაუყვება. იგი უკვე ნახსენებ გადაჭრილ სამკუთხედადმდე მიდის, ხოლო ზემოთ მას ამშვენებს ვარდელი. ვარდული ცამტრი ფურცლისაგან შედგება. ფურცლების შემდეგ რელიეფური რგოლებია მავთულისაგან, ზოგი დაკეპნილი, ხოლო ზოგი სადა, დაუკეპნავი. რგოლების ცენტრში ცვიან ბურთულეობა. „სხივები“ გამოსახულია დაკეპნილი მავთულების საშუალებით, რომლებიც დაუყვება ღეროებს. ღეროები ბოლოვდება ცვიანაგან შემდგარი „პირამიდებით“. საყურის ეს ბოლო ნაწილი ძალიან დაზიანებულია, „პირამიდების“ ერთი ფლანგა თითქმის სულ აკლია. ამ ფლანგებიდან დარჩენილია მხოლოდ ორი ცალი, ხოლო ერთ ღეროს ორივე ფლანგებს „პირამიდები“ აკლია. თუ საყურის თავდაპირველ მდგომარეობაში წარმოვიღებთ, მაშინ „პირამიდები“ ერთმანეთთან გადაბმული იქნება, როგორც ეს არის ვანში აღმოჩენილი სამარხების „სხივიან“ საყურებზე⁷. მთისძირის ოქროს ე. წ. სხივიან საყურის ზომებია: სიგრძე 8 სმ, დამატური რგოლისა, რომელზედაც „სხივებია“ დამაგრებული — 3,5 სმ-მდე.

მთისძირში (B ჰუნტერში) ნაპოენი „სხივიან“ საყურე და ამავე ტიპის სასაფეთქლები ძალიან გავრცელებულია გარკვეულ პერიოდში კოლხეთში. ისინი თითქმის არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამიტომაც აშკვარი სასაფეთქლები და საყურები ტიპობურ კოლხურ სამკაულადაა მიჩნეული⁸. „სხივიან“ საყურეები და სასაფეთქლები ნაპოენია ყაზბეგის⁹, ბორის¹⁰, ფიქ-

ენარის¹¹, სოხუმის მიდამოებში¹², აკოთში¹³, ბოლნისში¹⁴, ბეშთაშენში, რაჭაში და სხვ. ყველა ეს ოქროსა და ვერცხლის საყურე ან სასაფეთქლე ერთმანეთისაგან შემეკლებლის ცალკეული ღებრით და „სხივების“ რაოდენობით განსხვავდება. ვანის რაიონში ნაპოენი „სხივიან“ საყურეები გამოირჩევა დამზადების რთული წესით. ისინი შემკული არიან ვარდელით, გრებილი მავთულისაგან შემდგარი წნულით. მათ დამზადებაში გამოყენებულია დაცვარვა. მთისძირის „სხივიან“ საყურე თავისი გაფორმებით ისე ახლოსა დგას თვით ვანში აღმოჩენილ „სხივიან“ საყურეებთან და სასაფეთქლებთან, რომ შეიძლება ვიფიქროთ: ისინი ერთი ხელოსნის მიერ თუ არა, ერთსა და იმავე სახელოსნოში მიიწეო შეიძლება იყოს დამზადებული. ვანის რაიონში აღმოჩენილი სხივიან საყურეები და სასაფეთქლებები საქართველოში ნაპოენ სხვა ნიმუშებთან შედარებით უფრო მდიდრულადაა გაფორმებული¹⁵. ვანის ნაქალაქარზე ამგვარი საყურეები გვხვდება № 8 და № 11 სამარხებში, რომლებიც დათარიღებულია ძვ. წ. V და IV საუკუნეებით¹⁶. ამრიგად, საფიქრებელია, რომ მთისძირის თითქმის ანალოგიური „სხივიან“ საყურე დამზადებული არა ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში¹⁷, არამედ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში, როდესაც კოლხური ოქრომშეკლობა, ანუ, გარკვეულ ადამიკობას განიცდიდა. მთისძირის „სხივიან“ საყურის გაფორმებაში ჩვენ ვხვდებით ერთგვარ გეომეტრიზაციას, რაც დამახასიათებელია ძვ. წ. V—IV საუკუნეების ვანის ოქრომშეკლობის ნიმუშებისათვის, და აგრეთვე ამ დროსვე გავრცელებულ დამუშავება-შემკულობის ზოგიერთ სახეს — ცვიან, დაკეპნავს, წნულს, ვარდულს¹⁸.

7 ვანი 1 (არქეოლოგიური გათხრები, რედ. ოთ. ლორთქიფანიძე). თბ., 1972. სერ. 40, 41, 190.

8 ვანი 1, გვ. 15.

9 Г. Ф. Филимонов, О доисторической культуре Осетии, ИОЛЕАЭ, т. XXXI, прилож. М., 1878, стр. 28—29.

10 Е. М. Придиш, Новые Кавказские клады, «Мат. по арх. Рос.», т. 34, Петр., 1914, стр. 98; Р. К. Кинжалов, Золотая серьга из Борн, «Сообщения Гос. Эрмитажа», VII, II, 1955, стр. 32—33.

11 ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 63—65. ტაბ. XI.1, 1.

12 Р. К. Кинжалов, Золотая серьга из Борн, «Сообщения Гос. Эрмитажа», VII, II, 1955, стр. 32—33.

13 Б. А. Куптши, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 45.

14 И. А. Гдзелишвили, Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, стр. 37.

15 ა. კვიციანი, კოლხური ოქრომშეკლობის განვითარების ძირითადი საფეხურები ვანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით (თეზისები), ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი (1947—1972), თბ., 1973, გვ. 10—12.

16 ვანი 1, გვ. 114, 230, № 11 სამარხი; 1961 წ. № 6 სამარხის თარიღის შესახებ იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი კოლხური ელტერა, თბ., 1972, გვ. 29.

17 Н. В. Хомташва, Дасаб. ნაწრ., გვ. 157.

18 ა. კვიციანი, დასაბ. ნაწრ., გვ. 10—12.

2. მთისძირის ოქროს კისრის რაკალი (ხატის-ულელი) პრილში მრავალია. მას შუა ნაწილსა და ბოლოებზე ბრველიე შემოუყვება რელიეფური ხაზები. ბოლოებდენ კისრის რაკალი ოღნავ მსხვილდება. ეს გამხვილებები კისრის რაკალის ორივე ბოლოში შედგება ორ წრიულ ხაზს შორის მოქცეული მოგრძო ქვეებისაგან. კისრის რაკალის დამატერი პრილში 0,3 სმ, ხოლო მისი თედაპირ-ველი სიგრძე 35 სმ-მდე იქნებოდა. კისრის რაკალი აღმოჩენის მომენტში გასწორებული და ორ და-ახლოებით ტოლ ნაწილად იყო ვადატეხილი. შე-იძლება იგი ვადატეხეს სარიტუალი ცერემონიის დროს¹⁹, სპეციალური ბლაგვი ინსტრუმენტით, რადგან კისრის რაკალის ერთი ნატეხის ბოლო გაბ-რტეულბუღია. ცნობილია, რომ კისრის რაკალს, ანუ ხატისულელს ვარკვეული რელიეფური ნივთ-სამკაულის მნიშვნელობა ჰქონდა²⁰. ამ ტიპის კის-რის რაკალი და სამაჯურები ხშირად ვხვდებო-ყანჩათვის, ალგეთის, ითხებისს დაბლაგაფისა და ახალგორის არქეოლოგიურ მასალაში. ხოლო ამ ძეგლებს სპეციალისტები ათარიღებენ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში²¹. მთისძირის კისრის რაკალს მსგავსადვე არის ორნამენტირებული ვანის ნაქა-ლაქარზე 1974 წ. გათხრილ № 12 სამარხში ნა-პოვნი კისრის რაკალი. ამ სამარხს ათარიღებენ ძვ. წ. IV საუკუნით²².

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძ-ველზე შეიძლება მთისძირის ოქროს კისრის რაკა-ლი დათარიღდეს დაახლოებით ძვ. წ. V—IV საუ-კუნეებით.

3. რკინის მოღუნული, ჯოხისმავარი ნივთი ვანიე პრილში მრავალია (სურ. 447). მას მოშუა-როს ლაქები აქვს და ძლიერ დაენგულია. რკინის ამავე ნივთის ნატეხი, როგორც ზემოთ უკვე ვახ-სენეთ, ვნახეთ 1974 წ. ორივე ნატეხის სიგრძე 36,3 სმ-მდეა. საფიქრებელია, რომ ეს რაიმე ქურ-ტლის ყურბი იყო.

4. ბრინჯაოს ქურტლის ფრაგმენტები²³, ამავე ქურტლის სხვა ნატეხები აღმოჩნდა 1974 წელს,

რის შედგადაც საშუალება მოგვეცა უფრო სრუ-ლად წარმოვედგინა ამ ქურტლის სახე. რესტავ-რაციის შემდეგ გაირკვა, რომ ქურტლის კედლის სისქე 4 მილიმეტრამდეა. მას კარგა დიდი პირი ჰქონია, ხოლო პირთან დაუყვება ღარი, რომელიც ყველა პირის ნატეხს კარგად ემჩნევა, ერთ-ერთი ნატეხის მიხედვით დაეადგინეთ, რომ ქურტელს ორი რელიეფური ზოლი დაუყვებოდა. შემორჩე-ნილია აგრეთვე ქურტლის ძირის ნატეხები. რო-გორც ჩანს, ქურტლის ძირს ცოტა უფრო ნაკლე-ბი შემორჩელობდა აქვს, ვიდრე პირს. ქურტლის ძირს წრიულად მიკრული ჰქონდა ბრინჯაოს სარ-ტეული, რომლითაც უფრო მყარად იტკა.

5. მთისძირთან აღმოჩენილი ნივთებიდან ძა-ლიან საინტერესოა ვერცხლის ყანწ-რიტონი. ის ტრირეტეტიის საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს და საგანგებო შესწავლის ღირსია. სამწუხაროდ, იგი ძალზე დაზიანებულია — შემორჩენილია ორი ფრაგმენტი. ერთია ვეც-კაის გამოსახულება, რომელიც ჩამატებულია ყანწის მსგავსი ქურტლის ვადანატეხში, ხოლო მეორე — სუროს გამოსახუ-ლებიანი გაბრტელებული ფირფიტა (ზომი 18,4×14,4 სმ), რომელსაც დაკარგული აქვს პირ-ვანდელი ფორმა (სურ. 28, 30, 31). აქამდე მკვლევ-რები მას სხვა ქურტლის ნატეხად მიიჩნეოდნენ²⁴. მე მიზანშეუწონილად მიმაჩნია ეს ორივე ფრაგმენ-ტი ვანიების ერომანეთთან ურთიერთკავშირში და აღწერის მეტი მოხერხებულობისთვის მათ ვიგუ-რითადად სამ ნაწილად ვყოფ: პირველი — ფიგუ-რა ვეც-კაის გამოსახულებით; მეორე — ორნა-მენტირებული ნაწილი, რომელშიც ჩამატებულია ფიგურა; მესამე (ცალკე) ნაწილი — სუროს გამო-სახულებიანი დეფორმირებული ფირფიტა²⁵.

I) ამავე ორნამანის თავი, თხის რქები, ყურები და ქვედა კიდეები აქვს. მარცხენა რქა უკან არის გადაზნეული და ნაკლებ მოზრდილია (ეს რქა მორყეულია და, ალბათ, შეცვლილ მდგომარე-ობაშია). მარჯვენა რქა უფრო მოღუნულია და წვერი მარცხენა რქისკენაა მიქცეული. რქები, რომლებიც წრიულადაა დაღარული, ალბათ, ცალ-კეა დაშლადებული და შემდეგაა დამატებული ოთხეუ. გამოსახულება წარმოდგენილია დაცქე-ტილი ყურებით, რაც დამახასიათებელია ვარკუე-თის თხისათვის. მარცხენა ყურის ბოლო მარჯვე-ლისკენაა გადაბრლი. უშავზე გაყოფილი თმა გა-

¹⁹ H. B. Хоштариа. დასახ. ნმრ., გვ. 154; სამწუ-ხაროდ, კისრის რაკალი დაკარგულია და ვეკარდნობით ნ. ხომარაძის მიერ მოკვნილ აღწერილობას.

²⁰ პრ.ფ. ვ. ბარდაველიძის მოსახრებით.

²¹ ი. ვაკოშვიძე. ელინისტური ხანის მასალები სა-ბოლოდან, საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, XXVII—B, თბ., 1967; გვ. 53—93, ტბ. III.

²² იხ. 1974 წელს გათხრების შესახებ ანგარიში (ვანი).

²³ რკინის ყური და ბრინჯაოს ქურტლის ფრაგმენტები ინახება ვანის აქვ. ექსპლდიაში.

²⁴ H. B. Хоштариа. დასახ. ნმრ., გვ. 154—161.

²⁵ ვერცხლის ყანწ-რიტონი ინახება ვანის მხარეთმცოდ-ნეობის მუზეუმში.

მოსახლეობა ვერტიკალური ხაზებით და პორიზონტალური რელიეფური ტალღებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავის გარშემო ნაწნავთა შემოვლებული, ხოლო თმის გაგრძელება ქვედა და ციხერზე წარმოდგენილია ე. წ. ქერტლისებური ორნამენტები. კისერი მასობრივ და სქელია. ფიგურას მკერდამდე დაფენილი აქვს ვერტიკალური ხაზებითა და პორიზონტალური რელიეფური ტალღებით გადმოცემული წვერ-ულვაში. პირის ქილის ბოლოები დაბლაა დაღუნული. თვალები მოცემულა მალაღ რელიეფით; ქრილი ოვალურია; მარცხენა თაღის ქრილი ოვალზე ზემოთ არის მარჯვენასთან შედარებით; თვალები ერთმანეთთან ახლოს არის ჩაქცადრი. მალაღ რელიეფითვე წარმოსახული წარბები გადამბულია. ყვრიმალის ძვლები ამოხეჩილია; პროფილი მკვეთრია და კარგადაა გადმოცემული; ცხვირი სწორი და მასიურია. ფიგურის მკერდზე შემინჯევა გამოსახულება დიდი (ფორმისებური) ყურებით, თავზე ზაღით და ძირს დაშვებული ფეხებით.

I ბ) ვაი-კაისი ფიგურას აქვს წყვილჩლიქონისთვის (თხისთვის) დამახასიათებელი ფეხები (ჩლიქები). წინა ფეხებზე, მუხლის ზემოთ, მარაოს მსგავსი ორნამენტი აქვს; მარცხენა შედარებით პატარა ზომისაა. უკანა ფეხებზე ეტეობა ქლებით ერთი რიგი. ვანსაკუთრებით კარგად ჩანს მარჯვენა უკანა ფეხის გაყოფილი ჩლიქი. ქლები დაუკვება გამოსახულების ზურგსაც და კისერთან უერთდება უკვე ნახსენებ ქერტლისნაირ ორნამენტს (ამას).

გულმოდგინე დაკვირვების შედეგად შეიმჩნევა ირბი ქლებით შემკული ტანსაცმლის მსგავსი რამ. ასეთივე ქლებია მუცლებე.

II. ვაი-კაისი ფიგურა ჩამაგრებულია წაკვეთილი კონუსის მსგავს გადანატეხში, რომელიც, ალბათ, ქურტლის (ყანწ-რიტონის) დაბოლოების წარმოდგენაა (როგორც ჩანს, ორივე ნაწილი ცალ-ცალკეა დამზადებული და შემდეგ შეერთებული). ეს გადანატეხი შემკულია დაბალი რელიეფით გამოსახული წრიული გეომეტრიული ორნამენტით, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად.

III ა) პირველი და მეორე ნაწილებს გადაბმის ადგილს მოსდევს გეომეტრიული ორნამენტი, შემდგარი ორბეგი ხაზებით გამოსახული 6 სამკუთხედისაგან. ამ სამკუთხედების შიგნით მოთავსებული პორიზონტალური ხაზები გადმოცემულია

მაწაწინა ქლებით; ხაზების რაოდენობა სამკუთხედში სხვადასხვაა.

II ბ) მომღვენო გეომეტრიული ორნამენტი ცხრა რომბითაა წარმოდგენილი. აქაც, ისევე როგორც სამკუთხედებში, ხაზები გადმოცემულია მაწაწინა ქლებით.

II გ) რომბულ ორნამენტს მოსდევს მსხვილი რელიეფური ხაზები, რომლებიც ჩამოკავანან ე. წ. წროვანების წრეებს. ასეთივე დაბალი რელიეფური წრეებია ყანწ-რიტონის მესამე ნაწილზეც. ეტეობა, ამ წრიულ ხაზებს ქურტლის უმეტესი ნაწილი ეკავა.

III. მესამე ნაწილი ძალიან დაზიანებულია (გაბრტყელებულია) (სურ. 31). თუ შევეცდებით მისთვის პირველივე ფორმის დაბრუნებას და მოვლენაო, ცხადი გახდება, რომ ეს არის რალაქ ქურტლის პირ-გვერდის ნატეხი. მისი ორნამენტების (რაც მიუხედავად დაზიანებისა, კარგად არის შემორჩენილი) პირველი ორი ნაწილის ორნამენტებთან შედარებისას ჩანს, რომ ორნამენტის გადმოცემის ხერხები სმივე ნაწილზე ერთი და იგივეა. წრიული ხაზები მესამე ნაწილზე ისეთივეა, როგორც მეორის ბოლოზე (ე. წ. წროვანების წრეები). ისინი გადმოცემულია რელიეფური ხერხით და დიდი ადგილი უჭირავს მესამე ნაწილზე. ამ წრიული ხაზების ზედა და ქვევით, ორ-ორ ხაზს შუა (რომლებიც აგრეთვე რელიეფურადაა გადმოცემული და აქვს ვერტიკალური ქლები) მოქცეულია ოთხი მათისგან შემდგარი ოთხის მსგავსი ორი ე. წ. გრეხილი ორნამენტი, რომლებიც ერთმანეთისაგან ძაღვებით ვანლაგებით განსხვავდებიან.

ორნამენტის გადმოცემის ერთგვარობა, მასალის იდენტურობა და ადგილი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ მესამე ნაწილი წარმოდგენს იმ ქურტლის — ყანწ-რიტონის პირ-გვერდს, რომლის ბოლოს გადანატეხი შემორჩენილია ცალკე, პირველ-მეორე ნაწილებს საბით (სურ. 29).

ყანწ-რიტონის პირ-გვერდის ზედა ნაწილს წრიულად დაუკვება მცენარეული ორნამენტი, რომელიც სუროს გამოსატეხს (ორნამენტის სიგანე 4 სმ-მდე). საფიქრებელია, რომ აქ გამოსახულია კოლხური სურო (ე. კობის მიხედვით, *Hedera colchica*), რომელიც კოლხეთის ვარსა გავრცელებულია ქინეთში, ართვინის მხარეს და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე²⁶. ცნობილია, რომ სუ-

²⁶ ა. მ. ყაყაიძის ი. ჩევი ხეები და ბუჩქები, თბ., 1960, გვ. 38, სურ. 16.

რო დაეკარგებულა დიონისეს კულტა და ხშირად ვეხვდება ხოლმე დიონისესა და განსაკუთრებით მისი თანმხლები სილენის, მენადები-სა და სატირების გამოსახულებებზე²⁷. მთისძირის ზემოთ განხილული ყანწ-რიტონის გარდა სუროს გამოსახულება ვეხვდება სხვა რიტონებზეც. მაგ.: ბულგარეთში ი. ვ. „როზოვეციის განძეულობის“ რიტონზე²⁸ ან ერმიტაჟში დაკულ ცხენის გამოსახულებიან რიტონზე²⁹.

ვაი-კაის ფიგურისა და მთლიანად ყანწ-რიტონის შემკულობაში უხვადაა გამოყენებული ჩელიეფურის ორნამენტი. ოსტატი ეცადა ქერცლისებური, მარაოსებური და ირიბი ქლებიდან შემდგარი ორნამენტებით გადმოეცა ფიგურის კუნთები და ცალკეული ნაკეთები. შემკულობის ტექნიკა წარმოადგენილია ამოკაწვრისა და დაქლების ხერხებით. ალბათ, ნახშირია წამახულ წვერიანი სპეციალური ინსტრუმენტები.

რიტონი ძირითადად იხმარებოდა ღვინის სასმელად. მას ჰქონდა ცხოველის რქისებური მოყვანილობა, ხოლო ქვედა ნაწილი სხვადასხვა არსებობა სულტურულ გამოსახულებას წარმოადგენდა. რიტონები ძირითადად ორგვარია: I. მოკლე ყელიანი რიტონები, რომლებიც ცხოველის დიდი თავის გამოსახულებას წარმოადგენენ და II. რიტონები ყანწისმაგვარი ფორმისა, რომელთა ბოლოზეც გამოსახულია პატარა ფიგურები³⁰. სწორედ ამ უკანასკნელის ტიპისაა მთისძირის რიტონი.

ცხოველის რქას ადამიანი დიდი ხანია იყენებს სასმელად. საქართველოში ამგვარ სასმელს დღემდე ასამსლავდენ იყენებენ და ყანწს ეძახიან. საქართველოში მედიცინის ძალიან ძველი ფესვები გვაფიქრებინებს, რომ ყანწ-რიტონი აქ სასმისების ერთ-ერთი უძველესი ფორმა არის.

საერთოდ, რიტონის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს³¹. მეცნიერთა

²⁷ იბ. ნ. ა. კუნა. ძველი საბერძნეთის ლეგანდები და მითები, თბ., 1965, გვ. 75; Горбунова К. С.: Передоявская А. А., Мастера греческих расписных ваз. Изд. Эрмитаж., Л., 1961, рис. 20.; Фракийское искусство II культура Болгарских земель, М., 1974, табл. 277.

²⁸ იბ. Фракийское искусство..., табл. 277.

²⁹ იბ. К. В. Тревэр. Памятники греко-бактрийского искусства, М.-Л., 1940, табл. 33.

³⁰ Е. Н. Аракелян. Клад серебряных изделий из Эрзруми, СА, 1971, № 1, გვ. 144 და იქ მოხსენიებული რიტონები.

³¹ იბ. რიშბი, В. Svoboda, D. Conzev. Neue denkmalier antiker toreutik. Praha, 1956; H. Hoffmann, Tarentine Rhyta, Mainz, 1966.

ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რიტონი დაამზადეს მცირე აზიაში³². მეორე ნაწილის აზრით, რიტონის სამშობლო საქმენელია ირანისკენ³³, საიდანაც შემდგომ გავერცელდა სხვაგან, ხოლო ქ. ტრევერის³⁴ და მ. მაქსიმოვას³⁵ აზრით, გამოირი-ცხულია, რომ რიტონები გაჩენილიყო მაინცდამაინც ერთ რომელიმე ცენტრში და იქიდან გავერცელებულიყო შემდგომ სხვაგან. მეც ვიზრებდ ამ მოსაზრებას, რომ რიტონი შეიძლება სრულიად დამოუკიდებლად გაჩენილიყო მეცხოველობის მიმდევარ (რქოსანი პირუტყვის მომშენებელ) ამა თუ იმ ტომში მათი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. გამოთვებით ვასწავებელი არა თავის ფორმით ყველაზე უფრო ბუნებრივი, ჩვეულებრივი და მარტივი სასმისია. მისი წერტილები დიდი ხნის წინათ სასმისად გამოყენების ერთ-ერთი საბუთია ქვის ხანის გამოსახულება — ქალი რქის ყანწით ხელში (მარალეფი ლოსელი-დან, საფრანგეთი)³⁶, რომელსაც ასევე ვწოდებ-ბა — „ვეენია რქით“³⁷. თავისი ფორმის მიხედვით ყანწ-რიტონს ნათლად ეტყობა, რომ თავდაპირველად ის მზადდებოდა ცხოველის რქისაგან, ხოლო დროთა განმავლობაში დაიწყო მისი სხვა-დასხვა მასალისაგან და სხვადასხვანაირად (ფორ-მები) დამზადება. ეს სხვადასხვაობა აშკარად შე-იმჩნევა და შეიძლება მათი დანაწილება დამახ-სიათებელი ნიშნებით გეოგრაფიული მხარეების მიხედვით.

ყანწ-რიტონის დამზადებაში უფრო განვითარებული საფეხური უნდა იყოს მთლიანად ლითონისაგან მისი გაკეთება, როგორცაა მთისძირის ყანწ-რიტონი. როგორც ჩანს, ამ დროისთვის რიტონი უკვე საირტუალო ჰუმტრის დანიშნულუ-ნას იძენს. მას ჩვეულებრივი რქის მიბაძვით ამ-ზადებენ ლითონისაგან, თხისისაგან³⁷ ან სპილოს ეშვისაგან³⁸ საგანგებო რელიგიური ცერემონია-

³² შ. ა. მირიანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 51.

³³ M. Roslovtzeff. The animal style in South Russia and China. London, 1929, გვ. 7—14.

³⁴ К. В. Тревэр. асаб. ნაშრ., გვ. 107—108.

³⁵ М. И. Максимова. Ритон из Келермеса, СА, XXV, 1956, стр. 215—235.

³⁶ იბ. А. А. Монгайт. Археология Западной Европы, т. I, М., 1973, стр. 153, рис. 2.

³⁷ იბ. შობა Н. Hoffmann. Tarentine Rhyta.

³⁸ იბ. რიტონები ნოსტრ., М. Е. Массон, Г. А. Пугаченкова. Парфийские ритоны Нисы, Ашхабад, 1959, Труды «ЮТАКЭ», т. IV (აბრეჟი).

ლებსათვის. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გამოსახულებები, სადაც მიითლავი გურ პერსონაჟებს ხელში ყანწ-რიტონი უჭირავთ. მაგალითად, გუდალეთის რაიონში აღმოჩენილი მავლობარე ადამიანის გამოსახულება. მას ხელში ყანწ-რიტონი აქვს³⁹. მკვთაში არმაზის ხევის № 6 სამარხში ნაპოვნი ქალღმერთ ფორტუნას გამოსახულებამ „სიუხვის ყანწით“ ხელში⁴⁰. ან კიდევ ამავე ქალღმერთის გამოსახულება „სიუხვის ყანწით“ ვერცხლის ლანგარზე ციხისძირად⁴¹. 1973 წ. ვანშიც აღმოჩნდა მკირე ვიგურა „სიუხვის ყანწით“ ხელში⁴² და ა. შ. გამოსახულება-ფიგურები ყანწ-რიტონით ხელში საქართველოს გარეთ ბევრგანაა დადასტურებული. ყანწ-რიტონის საერაღვრელო ფიგურები და იმუნულუბაზე მიგვიანიშნებს აგრეთვე მისი „სიუხვის რქად, ყანწად“ წარმოდგენა. „სიუხვის ყანწი“ არის სიმბოლოა და დოვლათის ფრად ვარკველებული სიმბოლო. ამგვარი ყანწ-რიტონი — „სიუხვის რქა“ ერთ-ერთი ატრიბუტი იყო ვეას, ეიურენეს, პლუტოსის, ფორტუნას, ტიბეს, ხანდახან კიბელას, დიონისეს, დიხმანას⁴³ და კიდევ ზოგიერთი სხვა ღმერთის თუ ქალღმერთის სიმბოლო რქაში, რაც ხშირად გვხვდება მათ გამოსახულებებზე⁴⁴.

ყანწ-რიტონის სამარხებულ ნივთებში შეხვედრის სიხშირე და ზოგიერთი ყანწის სასმისად ხმარების უეარგისობა-მოუხერხებლობა გეგვარაუდებინებს, რომ ყანწ-რიტონის ერთ-ერთი საკრალური ფუნქცია იყო მისი გამოყენება მიცევალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში (სამარხში ჩაბანება, ან სულის შესახსენებელ დღეებში განსვენებულის საფლავზე ყანწ-რიტონით მოსახსენებლის შესმა და ა. შ.). მაგალითად, ერმიტაჟის ტენის გამოსახულებიანი რიტონი,

რომელსაც ძალიან მოუხერხებელი პირი აქვს სასმელად⁴⁵, ან ყანწ-რიტონები პანაგურიშტიდან (ბულგარეთი)⁴⁶, რომლებიც აგრეთვე ფრად მოუხერხებლები არიან სასმელად. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ დასტურებს ყანწ-რიტონის სარიტუალო-დემორატიულ დანიშნულებასაც. მთისძირის ყანწ-რიტონს კი, ალბათ, უფრო პრაქტიკულ-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

სოფ. მთისძირში აღმოჩენილ ყანწ-რიტონს ჭრჭერობით ზუსტი და პირდაპირი ანალოგია არ ექებება⁴⁷. შატერულში სტილის თვალსაზრისით იგი რამდენადაც უკავშირდება აღმოსავლურ ე. წ. აქემენიდურ სტილს. რქების გადმოცემა დაღარული წრიული ხაზებით დამახასიათებელია „აქემენიდური“ ხელოვნებისათვის⁴⁸. პორბოზრტალურ რელიეფურ ზოლებიანი და კანელურებიანი რიტონები ხშირია⁴⁹ და მათი უმრავლესობა ამოსავლური წარმოშობისაა. აღმოსავლური სტილის დამახასიათებელია აგრეთვე ვაი-კაის მკერდზე გამოსახული ცხოველის ყურების ფოთლისებური მოყვანილობა⁵⁰.

საუკრალდებოა, რომ ვაი-კაის ფიგურის გადმოცემაში გამოყენებულია წიწვისებური ორნამენტი, რომელიც გარკვეული პერიოდის კოლტურ კერამიკას ახასიათებს, და გეომეტრიული ორნამენტი, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო ძე. წ. V—IV საუკუნეების ოქროს იმ სამკაულეების სტილთან, რომელთა კოლტური წარმოშობაც აქმავდა უდავოა (ოქროს დიდებმა, „სხივანა“ და

⁴⁵ იხ. კ. ვ. ტრევერ. დასხ. ნაშრ., ტომ. 33.

⁴⁶ Bulgaria's treasures from the past, the gold treasure of Panagurishite, Sofia, 1965; В е н е д и к о в И. Панагориштенский клад. София, 1961.

⁴⁷ თხის გამოსახულებიანი რიტონი ხშირად გვხვდება, რიტონი „სემბრანტი“ ყორღანად, იხ. Goldschlitz ker skythen in der Eremlage. Len., 1970, ტომ. 117, 119; რიტონი პანაგურიშტიდან, И. В е н е д и к о в. Панагориштенский клад. София, 1961, ტომ. 12. მაგარ თხა-ადამიანის გამოსახულებიანი რიტონი ჭრჭერობით მარტო მთისძირშია დადასტურებული.

⁴⁸ შტრ. შაგ., H. Kantor, Achaemenid Jewellery in the Oriental Institute, Journal of Near Eastern Studies. XIV, № 1, 1957, ტომ. IV, V; აგრეთვე იხ. ო. ლორთქიფანიძე, ველს კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 32.

⁴⁹ იხ., Goldschlitz der..., დასხ. ნაშრ., 117, 119; К. В. Тр е в е р. დასხ. ნაშრ., ტომ. 33; Б. Н. Арка х л и я. Иран. М., 1972, სურ. 121, 122, 123.

⁵⁰ ოთ. ლორთქიფანიძე. დასხ. ნაშრ., გვ. 33.

³⁹ Ю. Н. Воронов. Археологическая карта Абхазии, Сухум, 1969, ტომ. XVIII, სურ. № 11.

⁴⁰ მკვთა I, თბ., 1955, ტომ. XVIII, VIII.

⁴¹ Е. ზ. ბ. ტ. ა. ო. ციხისძირი, თბ., 1962, ტომ.

⁴² იხ. № 07: 1: 73: 648.

⁴³ იხ. კ. ვ. ტრევერ. დასხ. ნაშრ., ტომ. 15, 17.

⁴⁴ ცნობილია აგრეთვე ზერმულე მითი — თითქოს თხა ამალოე კრძალვ კრტბზე ძუძუს აწუვდება პატარა ზეეს. ზეესმა ამალოეს სკოთე გადაუხდა და წაიყვანა ცაში. მითის მიხედვით ამალოას ჩქან ჰქონდა ქალისთვის ძალა — ყველაფერი აესრულებინა მისი ჭიჭილბუნისიერი. *Первобытная культура*. წიგნი 111, თავი XI — დადელი ცნობა იხედოთი ცალკეიანი ცხენებისა და ვიების არსებობის შესახებ. რომელთა რქისაგან გათქობული ყანწები ადამიანს იცავენ ყოველგვარი საწაფაულისაგან.

ქვერულებურთელიანი საყურეები, ხასაფეთქლე რეკლები⁵¹). მათი ზოგიერთი ორნამენტი შეორდება აგრეთვე ამავე დროის ვერცხლის ნაყეთობებზე⁵². ორნამენტის ეს მსგავსება ვეაფიქრებინებს, რომ მთისძირში ნაპოვნი ყანწრიტონი ძვ. წ. V—IV საუკუნეებშია დამზადებული. ამის საფუძველს გვაძლევს მასთან ერთად აღმოჩენილი ნივთებიც.

მთისძირის ყანწრიტონი უნდა იყოს ადგილობრივი ხელოსნის ნახელავი, რომელიც განიცდიდა მაშინდელი აღმოსავლური (ე. წ. აქემენიდური) ხელოვნების გავლენას; ხოლო სიუეტრი (ფიგურის სახე), ჩემი აზრით, ადგილობრივი რელიგიური წარმოდგენების ნაყოფია.

ყანწრიტონის ბოლოზე, როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული, ნახევრად აღმართი და ნახევრად თხა ანუ ვაც-კაცია გამოსახული, რომელიც ვეაფიქრებ ნადირამფარველ ღვთაება ოროპინტრე — ოროპინტე — ოროკოთან⁵³ (ვაც-კაცი), რომლის სხეულის ზოგადი ნაწილი მამალა თხისაა, ხოლო ზოგიც — ადამიანისა, ისევე როგორც ის მთისძირის ყანწრიტონზეა გამოსახული. ნადირამფარველ ღვთაება — ოროპინტრე გავრცელებული მითოლოგიური სახე უნდა ყოფილიყო მთელ საქართველოში⁵⁴. საინტერესოა ეფთობე მთაწმინდელის ცნობა ქართველთა წარმართების დროინდელი ღვთაების (ბორი) სახელის შესახებ, რომელიც აკად. ი. ჭავჭავაძის გაიგივებული აქვს ოროპინტრესთან: „სახეების დეიანი იგი საწარმართოთა ქეზიანთა, რწლნი მთლთდ შერაცხნეს რწლნიმე მამათა და რწლნიმე დედათა სრულიად მრისხენ დიოს, ანუ აპოლოს, ანუ არტემის ანუ ბოჩი და ვაცი ეუბადავონ და არაბო ანუ რომელ იგი წვეხასაა აუქრისისათა ბილწისა მის დიონისეს სახელს იტყვიან...“⁵⁵ საკულისისებრია, რომ ღვთაება ბორი ნახსენებია დიონისეს სახელთან ერთად. საფიქრებელია, რომ ვაც-კაცი რამდენადმე დეკავშირებული იყო დიონისეს მსგავს მისტერიებთან. ამაზე მიგვანიშ-

ნებს სურის გამოსახულება მთისძირის ყანწრიტონზე, რომელიც დიონისეს წრის ღვთაებებისა და მამასიათებელი და თვით ყანწრიტონის, დიონის შესასმელი კუბულის დანიშნულება. ოროპინტრის (ვაც-კაცი) თავისი ფუნქციონა და გამოსახულებით საერთო რწწნივს აქვს ბერძნულ ღვთაება პანთან, რომელიც ზნირად აგრეთვე თხა-კადარის გამოსახულება. ბერძნების წარმოდგენით პანი მზიარული ტყის ღმერთია. პანის გამოსახულება საქართველოში რამდენიმე ადგილასაა დადასტურებული. საერთო ბერძნული რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ პანი დიონისეს ერთ-ერთ თანმხლებ ღვთაებად იქცა⁵⁶.

სრულიად არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ყოფილი კულტურისა დღეი ხნის ისტორია აქვს, ეწოდებოდა დიონისეს მსგავსი ადგილობრივი ღვთაება⁵⁷ თავისი თანმხლები ღვთაებითურთ (ოროპინტრე), რომელთანაც სიმბოლურად საბერძნეთიდან გავრცელებული დიონისეს კულტი⁵⁸.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი დღესასწაულების ზოგიერთი რიტუალური მომენტი — თხის ცუკებში გახვევა, წილებების გაკეთება და სხვ. (მაგ. ბერეკობა) ვეაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, მთისძირის რიტონზე სწორედ ამ ღვთაებებთან დეკავშირებული მისტერიების დროს თხად გადაცემული მამაკაცია გამოსახული, რომელიც ღვთაება ოროპინტრეს (ვაც-კაცი) განასახიერებდა.

რაც შეეხება სამარხის აღნაგობას, საფიქრებელია, რომ მთისძირის ე. წ. ნაშუების (B პუნქტის) სამარხი კლდოვან დედაქანში იყო ამოკვეთილი⁵⁹. მიცვალებული დედაქანული უნდა ყოფილიყო ბის სარეცელზე⁶⁰. სამარხი თხისამოვით და ქვეყრილით იყო ამოვსებული, ხოლო ზემოდან ქვა ელო⁶¹. აქ იყო აწმში (ახლუდინების გორაზე) აღმოჩენილი სამარხების მსგავსი ოროპ-

⁵¹ Dictionnaire de la Mythologie. Paris. 1969. გვ. 342.

6. გაფრინდარევილი. მთოლოგიური... გვ. 234.

⁵⁷ განი I, თბ., 1972, გვ. 19.

⁵⁸ В. Тарн. Эллинистическая цивилизация, М., 1949, стр. 307.

⁵⁹ „ნაშუების“ სამარხის თითქმის მთლიან განადგურების გამო ჩვეულებრივ უცნობაა სამარხში ნივთების განლაგება. ამიტომ სამარხზე მხოლოდ გულარჩენალი ნივთების მიხედვით, კ. სტურუას გადმოცემით და 1974 წ. არქ. დაზვერების შედეგებით შეიძლება მსჯელობა.

⁶⁰ გაიხსენათ რკინის ღურსმანი, იხვ. № 07 : 6 : 74 : 134.

⁶¹ კ. სტურუას ნაოქვამის მიხედვით.

⁵¹ თ. ლორთქიფანიძე. მასლები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხარეთა კულტურის ისტორიისათვის, თსუ შრომები, თბ., 1971, B I (138), გვ. 51—63.

⁵² განი I, თბ., 1972, გვ. 19.

⁵³ ამ სიტყვების ეტიმოლოგიისთვის იხ. ი. ჭავჭავაძის შუილი კ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960, გვ. 82—88; 6. გაფრინდარევილი. მთოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 234.

⁵⁴ იხ. ი. ჭავჭავაძის დასახ. ნაშრ., გვ. 85.

⁵⁵ იქვე, გვ. 86—87.

სამარხი. ამაზე მიკვანიშნებს როგორც სამარხის ტიპი, ასევე გადარჩენილი ინვენტარი. ამ ინვენტარის შესწავლის საფუძველზე აშკარაა, რომ მთისძირის სამარხი ეკუთვნის ადგილობრივ წარჩინებულ პირს. საფიქრებელია, რომ ეს დიდებული ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი გარკვეულ როლს ასრულებდა ე. წ. „პანის ქვეყნის“ სასოფლო რაიონების („მთისძირის“) მართვა-გამგეობაში.

მთისძირის ამ წარჩინებული კოლხის სამარხში ჩანს ძვ. წ. V—IV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი (იხ. ზემოთ) ტრადიციული ელემენტები. რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს სამარხი ძვ. წ. V—IV საუკუნეებში უნდა თარიღდებოდეს.

ზემო ხსენებულ B პუნქტშივე გვაკეთებ მცირე თხრილი. ეს თხრალი დაახლოებით 300 ნაბიჯით არის დამორებული 1952 წელს შეთხვევით აღმოჩენილი სამარხიდან. იგი გაჭრილია თითქმის ვრცის ძირში. ტერასაზე. ამ თხრილში სტრატეგიაფის დადგენა არ მოხერხდა, რადგან მიწა ჩამოწევიებული აღმოჩნდა. სამაგიეროდ აქ დაღასტურდა ეგრამიის ნატეხები.

საერთოდ, აღრინდელი მთისძირის მთელი ტერიტორია, რომელიც მოქცეულია გორებზე და მათ შორის, ძალიან დაზიანებულია ეროზიით. აღვიშვილების გორა (A პუნქტში) იმდენად არის ჩამოწევიებული და დაშლილი, რომ ზოგიერთ ადგილებზე კორდოვანი ფენა გადაცლილი აქვს და მოჩანს შიშველი დედაქანი. დედაქანი მთისძირში მოყვითალო-მონაცრისფერი ფერისა და უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს წვრილი რიყის ქვების კონგლომერატს. ამგვარი ადგილობრივი კონგლომერატი შეიძინება მთისძირში აღმოჩენილ სამშენებლო მასალაში და ზოგჯერ თვით სამშენებლო ეგრამიის, ან სხვა ეგრამიის კუთვით.

თითქმის მთელი მთისძირის ტერიტორია მოფენილია ბათქაშებით. რომელიც შემადგენლობაშიც აშკარად ჩანს ადგილობრივი კონგლომერატი. ბათქაშის ნატეხებს ეტეობა ძლიერი ხანძრის კვალს. სამშენებლო მიზნებისთვის გამოიყენებოდა აგრეთვე ადგილობრივი კონგლომერატის ქანებიდან მოჭრილი ქვები.

A. პუნქტში, აღვიშვილების გორის (სურ. 27) თავზე დაღასტურებული საშუალო საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთები დაფარულია კორდოვანი ფენით. ზედ ადგილადღილ ბუნქები და ხეებია ამოსული. საფორტიფი-

კაციო ნაგებობის კედლის გადარჩენილი ნაწილის აგებულება გვიჩვენებს, რომ კედლის ზენების დროს გამოყენებულია ადგილობრივი კონგლომერატის და რიყის ქვები, რომლებიც რიყის ქალიდან არის მოტანილი. ეს ყველაფერი კრ-ხსნარით არის შედუღებული. გორის ფერდობებზე და ძირში მიმოფანტულია კრამიტის და აგურის ნატეხები. აღვიშვილების გორის წვერის სამხრეთ მხარეს, სადაც კედლის ნაშთები მოჩანს, წემისაგან მიწა ჩამოიარება და გამოჩნდა საშუალო საუკუნეების ქვეყრის კარგა მოზრდილი ნაწილი.

1973 წელს A პუნქტში, გეფერიძეების ნამოსახლარზე გაიჭრა ათი თხრილი. ამთვან ყველაზე ღრმა გამოიდა №1 თხრილი, სადაც დედაქანი მოჩანს ზედაპირიდან 1,53 მ-ის სიღრმეზე იყო, ხოლო მიწის ზედაპირიდან ყველაზე ახლოს დედაქანი გამოჩნდა №3 თხრილში (0,32 მ). ამ თხრილში კრამიტული მასალა თითქმის სულ არ დაღასტურებულა, ხოლო დანარჩენ თხრილებში ეგრამიკა და ლითონის ნივთების ნაშთები აღმოჩნდა. აქაც, ისევე როგორც B პუნქტში, სტრატეგიაფის დადგენა არ მოხერხდა. მიწა დამეწყრილი და გადაადგილებული იყო. A პუნქტში ათი თხრილიდან ორი გავკერით იმ ადგილზე, სადაც ანაკრფის (ეგრამიის) მიხედვით წინარეანტიკური ხანის მასალა გვევლენებოდა. ეს ადგილი გეფერიძეების ნამოსახლარიდან გეფერიძეების ლელისკენ მიმავალ გზაზეა. ოთხი თხრილი თვით გეფერიძეების ნამოსახლარზე გაეჭრით. ეს ადგილი მოპოვებული მასალის მიხედვით ძველ სამაროვანს უნდა წარმოადგენდეს. აქ დაღასტურდა ქვესამარხებისთვის დამახასიათებელი ქვეყრის ნატეხები, ბრინჯაოს ორფენოვანი ისრისპირი⁶² და ბრინჯაოს მრგვალგანივრეოვანი, ბოლოში დაკეპნილი⁶³ და გრეხილუროვანი ისრის რაკლემის⁶⁴ ნატეხები. გრეხილუროვანი ისრის რაკლემი და დაიდუმები საქაოვან ხშირია საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებში. ისინი გვხვდება ვანის⁶⁵, ოთხების⁶⁶, ახალგორის⁶⁷, სამბალოს⁶⁸, გუდა-იხუსა და „წითელი

⁶² იხ. № 07 : 6 : 75 : 3.

⁶³ იხ. № 07 : 6 : 75 : 1.

⁶⁴ იხ. № 07 : 6 : 75 : 2.

⁶⁵ ვანს I, სურ. 37 და 204.

⁶⁶ ი. ვ. აკოპიძე. ოთხების სამარხი, სსშ, XXV-B, 1968, გვ. 32—34.

⁶⁷ Я. Н. Смирнов. Ахалгоринский Тб., 1934, ტბ. I.

⁶⁸ ი. ვ. აკოპიძე. დასა. ნაშრ., ტბ. III, გვ. 90.

შუქურას⁴⁹ არქეოლოგიურ მასალაში. №2 თხრილის კრილში გამოჩნდა ორი ორმოს კვალი. ეს ორმოები ქვევრისთვის სპეციალურად ჩაქრის გავს. ამასთანავე ამ თხრილშივე ვიპოვეთ ბევრი ისეთი ქვევრის ნატეხი, რომლებიც სამარხებად გამოიყენებოდა. სამწუხაროდ, ძსენებული სამარხიანი დაწვრთვულია, რადგან აქ გვეფრძეების სამოსახლო იყო და სამარხები მიწის დამუშავების დროს განადგურდა. როგორც ჩანს, მიწის დამუშავების დროს ფარცხავენდნ და ანთაი-სუფთვდენდნ ქეებისაგან, კრამიტისა და კერამიკის ნატეხებისაგან; ხლო „შემღევ“ ამ ნატეხებს ერთ ადგილზე აგროვებდნენ. გვეფრძეების ნა-მოსახლარზე დადასტურებულია რამდენიმე ასეთი ნაყარი (გროვა).

სამწუხაროდ, A პუნქტის ათ თხრილში და B პუნქტის შორ თხრილში სტრატოგრაფიის დადგენის საშუალება არ მოგვეცა⁷⁰.

მთისძირის ნიეთიერი კულტურის ძეგლებს შორის ჩერჩერობით ყველაზე მრავალრიცხოვნად წარმოდგენილია კერამიკული ნაწარმი. იგი სხვა სახის მასალასთან ერთად წარმოდგენას გეოქინძის მთისძირის ძველი მოსახლეობის სპერნეო საქმიანობაზე. საშინაო და საგარეო სა-ეაქრო ურთიერთობაზე.

მთისძირში ნაპოვნი კერამიკა დავეაიე შემდგენილია: დანიშნულების მიხედვით—საოჯახო, სამეურნეო, ტარა და სამშენებლო. მათში გამოიყოფა ადგილობრივი და შემოტანილი კერამიკა.

მთისძირის საოჯახო (სუფრის, სამზარეულო) კერამიკა ხასიათდება ფორმათა მრავალგვარობით. 1973—75 წლებში მრავლად დაგროვდა ქოთნების, სასმისების, ჭაების, ყურძლიანი ღოქების და სხვა კერამიკული ჭურჭლის ნატეხები. ამ კერამიკის ნაწილი წინარეანტიკურ ხანას მიეკუთვნება. ასეთია: გაღმობუნეჭიპირიანი და კანულურებიანი პატარა ქოთნები⁷¹ (სურ.

35). შაქარიალა კერამიკა წარმოდგენილია მკვეთრად გამოსახული ზომორფული ყურე-ებით და კოქებიანი ან ამოღარული ორნამენტით. აშკარა ქურქული გვხვდება დასავლეთ საქართ-ველო წინარეანტიკური ხანის ძეგლებზე: ნაოხ-ეამუ, დაბლაგომი, ჭალადიდი, დათეშიძეების გო-რა, ნოსირი, ფიქვანია და სხვ⁷².

მთისძირის წინარეანტიკური ხანის კერამი-კასთან გენეტურადაა დაკავშირებული ადრეან-ტიკური ხანის კერამიკა. მთისძირის მასალაში ეს ყველაზე კარგად შეიმჩნევა ზომორფული ყურე-ზე დაკვირვებისას. აშკარად ჩანს, რომ კარგად გაპრიალებული ზომორფული ყურეები რამდენ-ნამდემ დეგრაირდება. ისინი თანდათან კარგავენ რქისებურ ფორმას, კეცი უხეშდება, ხლო ზე-დაპირი ცულად დამუშავებული ხდება (სურ. 33).

მთისძირში ყველაზე მეტი რაოდენობით ად-რეანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი კერა-მიკა მოპოვებული. მათში მეტწილად სქარბოზს გეომეტრული ორნამენტით შემკული ქურქული (ტალისებური, წრეები, სამკუთხა, წიწისებუ-ლი, გრგობი, თევზოფური (სურ. 36, 37, 40, 42). მთისძირში აღმოჩენილი „ყურძლიანი“ ქურქლის (დოქის) ყური⁷³ ძე. წ. VI—V საუკუ-ნეებით თარიღდება⁷⁴. ანაქრეფ და ვათხრილ მა-სალაში დასტურდება ე. წ. კოლხური სასმისე-ბის რამდენიმე ტიპი⁷⁵. ესენია ჭიქისებური, ცი-ლინდრულტანიანი, კონუსისებურძირიანი, ფეხია-ნი სასმისები (სურ. 44, 4, 5). მათი ნაწილი შეეზე-დაპირიანია, ხლო ნაწილი მორუხო-ყაეისფე-რია; კეცი მოუხეშავია.

მთისძირში აღმოჩენილი იმპორტული შავლა-კიანი კერამიკა სულ რამდენიმე ნატეხიდან წარ-მოდგენილია⁷⁶. ეს ნატეხები ძალიან პატარებია, კეცი (მოწითალო) ატიკური ჰევანან. შავლაკი-ანი კერამიკის ერთ შედარებით დიდ ფრაგმენტზე შემორჩენილია ტანის ქვედა ნაწილი და ქუს-ლი⁷⁷. ტანი ცილინდრულია, ძირის შიდა ზედაპირ-

⁴⁹ M. M. Трапш. Труды, т. II, Сухуми, 1969, т. III, XXXVII.

⁷⁰ სტრატოგრაფიის დადგენა ჩერჩერობით ერთადერთ თხრილში მოხერხდა (A პუნქტის №11 თხრილი) გვიჩილია ადგილშეღების გორის აღმოსავლეთ ფერღზე, წყერდთან და-ახლოებით 50 მ-ის დაშორებით), სადაც ჰქვდა ფენაში წინა-რეანტიკური მასალა აღმოჩნდა, ხლო ზედა ფენაში—ად-რეანტიკური ხანის საფორტიფიკაციო შენობის ნაშთები და კულტურული ფენა. ამ ადგილის ვახობა მომავლისთვის არის ვაუაღლისწინებული.

⁷¹ შაგ. ინგ. № 07 : 6 : 75 : 262.

⁷² ა. რამიშვილი. ფიქვანის ზღვისპირა სადგომე-ბის დოკუმენტისაგან, მაცნე, ისტ... სერია, თბ... 1974, № 2, გვ. 104—111 და იმ მომხსენებელი ლიტ.

⁷³ ინგ. № 07 : 6 : 75 : 210.

⁷⁴ იხ. თ. ლორთქიფანიძე. ძველი კოლხეთის კულტურა, თბ... 1972, გვ. 41.

⁷⁵ შაგ. ინგ. № 07:6:75:57; № 07:6:75:58; № 07:6:74:61; № 07:6:75:209; № 07:6:75:263.

⁷⁶ ინგ. № 07:6:74:64; № 07:6:74:132; № 07:6:75:206.

⁷⁷ ინგ. № 07 : 6 : 74 : 57.

ნი. თიხა შედარებით უხეშია და მოყავისფრო-
ავერისფრად არის გამოშვარი (სურ. 38გ). ეს ამ-
ფორა, რომლის ფრაგმენტები შემორჩა მთისძირ-
ში, შეიძლება იყოს აქ შემოტანილი იმპორტული
კერამიკის ყველაზე ადრეული ნიმუში. მთისძირ-
ში ნაპოვნი ქიოსური ამფორის სხვა ფრაგმენტე-
ბი⁸⁸ განეკუთვნება ძვ. წ. V ს. ამ პერიოდის ქიო-
სური ამფორები განსხვავდება წინა პერიოდის
(ქიოსური) ამფორებისგან: კრახუნა მალღებდა;
ყელი გამობერილია ზედა ნაწილში; ძირს ცილინ-
დრული მოყვანილობა ეძლევა, ხოლო ფოსო უფ-
რო გაფართოებულია (სურ. 38გ). ქიოსური ამფო-
რის ნატეხები კოლხეთის ტერიტორიაზე ბევრგა-
ნაა აღმოჩენილი⁸⁹.

ქიოსურისაგან განსხვავებით, მთისძირში დი-
დი რაოდენობითაა წარმოდგენილი სინაპური
ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს ფრაგმენტები პატარა
ზომისაა და ამიტომ ძნელია ჭურჭლის ფორმის
დადგენა. ძირითადად კი ისინი ამფორის ნატეხებს
წარმოადგენენ. ნაპოვნია სინაპური ამფორის ძი-
რი⁹⁰, რომელიც ძვ. წ. III—II სს. თარიღდება⁹¹
(სურ. 38ი).

მთისძირში ნაპოვნი ელინისტური ხანის ქვე-
რები რუსუციანია და შეეხედაპირიანი. გადნა-
ტებში კეცი ზოგჯერ ორფენოვანია. მასში ჩანს
კირქვის წვრილი მინარეები. ქვერების ყელუბის
ზედაპირი დარღულია. ღარები ზოგან შეიძნევა,
ხოლო ზოგან გადახეხილია. დადასტურდა მოშაეო
ზედაპირიანი ქვერები, რომლებიც (ძვეუთად გა-
მოსახულ) ქველებ შორის აშვარი (მცირე ზომის
ღარები არის შემყული⁹². ეს ქვერები წინარეე-
ლინისტურიდან ელინისტურ ხანაში გარდამავალი
პერიოდის ტიპებს უნდა ეკუთვნოდეს.

სამშენებლო კერამიკა მთისძირში წარმოდგე-
ნილია კრამიტი და ავტური. ისინი განსაკუთრე-
ბით დიდი რაოდენობით გვხვდება A პუნქტში
(ჭერჭერობით მთელი კრამიტი, ან ავტური არ აღ-
მოჩენილია).

სამშენებლო კერამიკაში ძირითადად ორი პე-
რიოდის კრამიტი გვხვდება: 1. ელინისტური ხა-
ნის კრამიტი, რომელიც წარმოდგენილია ე. წ.
გვერდებეაკელი ბრეტელი (სოლეის ტიპის)

კრამიტის ნაშთების სახით⁹³. ამავე ხანის ღარიანი
(კალიბტერის ტიპის) კრამიტი ჯერ არ აღმოჩენი-
ლა. მთისძირის კრამიტი ვანის ნაქალაქარზე ნა-
პოვნ კრამიტებს ჰგავს, მხოლოდ კეცი ზოგჯერ
განსხვავებულია. მთისძირის ელინისტური ხანის
კრამიტში შეიძლება გამოიყოს ცოტა უფრო აღ-
რეული პერიოდის მარტუბო ფერის კრამიტი. ამ
კრამიტებიდან ცნობილია ერთი ნიშნისანი კრამი-
ტი ნატეხი⁹⁴. ზუსტად ამგვარნიშნისანი კრამიტი
აღმოჩენილი დაბლაგომში ქვეერსამარხების გა-
თხრის დროს⁹⁵. იმპორტული კრამიტი მთისძირში
ჭერჭერობით არ აღმოჩენილა.

2. საშუალო საუკუნეების კრამიტი. იგი ელი-
ნისტური ხანის კრამიტისგან იმით განსხვავდება,
რომ ნალეზად მასსურია, გადნაკეცი გაცილებით
თხელი აქვს, და კეცი შედარებით ბაცი ფერისაა.
რადგან საშუალო საუკუნეების კრამიტიც მხო-
ლოდ ნატეხების სახით გვაქვს მოპოვებული, ამი-
ტომ განელებულია მისი უფრო დაწვრილებითი
აღწერა.

საშუალო საუკუნეებისაა ავტრებიც, რომელ-
თა ნაშთები ადგიშვილების გორის ფერდობებზეა
დადასტურებული. ავტრის სისქე 4 სმ-დან 5 სმ-
მდე მერყეობს⁹⁶. მას გაუყვება ურთიერთგადაშ-
ვეთი ორ-ორი ღარი. ამგვარი ავტრები ხშირად იხ-
მარებოდა იატაკის მოსაგებად. საქართველოს ტე-
რიტორიაზე ისინი დადასტურებულია ბიჭვინ-
ტაში, ინკიტის ტბასთან და ვაშნარში ნაპოვნ ნა-
გებობებში. ასეთი ავტრები გვხვდება უფრო
VI—VII საუკუნეების ნაგებობებში⁹⁷.

1973 წლის დაზვერების დროს ადგიშვილე-
ბის გორაზე (A პუნქტში) ეპოვეთ „ბიჭვინტური“
წითელაკიანი ჯამის (VIII ტიპის) ნატეხი⁹⁸. წი-
თელაკიანი ჯამის ძირის ეს ნატეხი, პროფ. ოთ.
ლორთქიფანიძის განსაზღვრით, IV—V სს. თარიღ-
დება⁹⁹. A პუნქტშივე ეპოვეთ წითელაკიანი
კერამიკის მთვრე ძალიან პატარა ნატეხი. მოჭი-

⁸⁸ შავ. ინვ. № 07 : 6 : 75 : 76; № 07 : 6 : 74 :

⁸⁹ ა. კახიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 34.

⁹⁰ ინვ. № 07 : 6 : 74 : 109.

⁹¹ შ. ნ. ვ. ვ. დასახ. ნაშრ., ტაბ. XIII, სურ.

№ 29ა.

⁹² შავ. ინვ. № 07 : 6 : 74 : 4.

⁹³ შავ. ინვ. № 07 : 6 : 74 : 34; № 07 : 6 : 74 : 98; № 07 : 6 : 75 : 166; № 07 : 6 : 75 : 204.

⁹⁴ ინვ. № 07 : 6 : 74 : 1. (სურ. 44გ).

⁹⁵ ინახება ვანის არქ. ექსპლდიათში.

⁹⁶ შავ. ინვ. № 07 : 6 : 75 : 264; № 07 : 6 : 75 : 265.

⁹⁷ ო. ლორთქიფანიძე. ინკიტის ტბის მიდამოებ-
ში ჩატარებული საღაზვერეო-არქეოლოგიური გათხრების წი-
ნაწარა ანგარიში, მასალები საქართველოს მეცნიერ-
თა აკადემიის განყოფილების III, თბ., 1963, გვ. 97—106.

⁹⁸ ინვ. № 07 : 6 : 74 : 23.

⁹⁹ იმ. მისევი. ბიჭვინტის წითელაკიანი კერამიკა. შო-
აბე, 1962, № 1, გვ. 231—255.

ქული კერამიკის ნაშთები მთისძირში ჯერჯერობით არ დადასტურებულა.

ამგვარად, მთისძირში დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება: წინარეანტიკურ, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში მთისძირში, როგორც ჩანს, ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობს¹⁰⁰, თუმცა ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვანაირი ინტენსივობით ხასიათდება. არქეოლოგიური შესწავლისას შეიმჩნევა, რომ აქ ნგრევა (ელინისტური ხანის ბოლომდე) ვანის ძველი ქალაქის პარალელურად ხდება. მთისძირი რამდენჯერმე განადგურებული იმპორტული და ადგილობრივი

¹⁰⁰ ვანის ნაქალაქარისგან განსხვავებით, რომელიც ელინისტური ხანის ბოლის წყვეტს არსებობას.

(ტარა) კერამიკა მოწმობს, რომ მთისძირი ჩაბმული იყო კოლხეთთან ბერძენთა ვაჭრობის ორბიტაში. არ არის გამორიცხული ის ვარაუდობა, რომ მთისძირი ელინისტურ ხანაში ვანის სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა. საფორტიფიკაციო ნაგებობების (ანტიკური ხანა, საშუალო საუკუნეები) აღმოჩენით სრულიად აშკარა ხდება მთისძირის სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა ე. წ. ვანის ქვეყნისათვის. ჩანს, გვიანანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებშიც მთისძირი არ კარგავს თავის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები მნიშვნელოვან მასალას იძლევა დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის. ამდენად, მომავალში საჭიროა აქ ინტენსიური არქეოლოგიურ-კვლევითი მუშაობები.

3. თოლორდავა

არქეოლოგიური ბათხრები დაბლაბოგში

1973—1974 წლებში

საანგარიშო პერიოდში ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის დაბლაბოგის რაზმი აგრძელებდა მუშაობას ნაიხეარაზე, მან აგრეთვე წამოიწყო გათხრები ნასაყდრეის ბორცვეზე, რომელიც ადრე არ ყოფილა შესწავლილი.

ნაიხეარაზე მუშაობა გაგრძელდა შუა ტერასაზე (თხრილი № 1), იქ სადაც 1970 წელს ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხების საკმაოდ დიდი ბუდე იქნა შესწავლილი¹, ხოლო 1972 წელს კი ძვ. წ. III ს. I ნახევრის კრამიტით გადახურული მდიდრული სამარხი². საჭირო იყო ამ სამარხების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა, მათი ტოპოგრაფიის შესწავლა. ამ მიზნით საჭირო შეიქმნა თხრილების გაერთიანება, ე. ი. ყველა სამარხის ერთ თხრილში ჩასმა.

თხრილის საერთო სიგრძე 25 მ-ია, სიგანე 3—4 მ (ბორცვის რელიეფი არ იძლევა თხრილის სიგანეში გაფართოების საშუალებას). თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც ადრე ქვევრსამარხები იქნა გამოვლენილი, გაითხარა კიდევ ორი სამარხი, ორივე ძლიერ დაზიანებული (ერთ-ერთში აღმოჩნდა ერთი ოქროს მძივი). გაიჩვენა, რომ მანძილი ქვევრსამარხებსა და კრამიტით გადახურულ სამარხს შორის სულ 5—6 მ-ია.

სოციალური თვალსაზრისით ასეთი განსხვავებული საზოგადოების წევრების უშუალო მეზობლობაში დაკრძალვა განმარტებას მოითხოვს; გამოირტყლია, რომ მათ ერთი სამარხიანი ჰქონდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ მამინ, როცა კრამიტით გადახურული სამარხი იმართებოდა, ქვევრ-

სამარხების შემცველი სამაროვანი უკვე გაუქმებული იყო. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ქვევრსამარხებსა და კრამიტით გადახურულ სამარხს შორის არსებული, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც ქრონოლოგიური განსხვავება (ქვევრსამარხები ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თარიღდება, კრამიტით გადახურული სამარხი კი ძვ. წ. III საუკუნის I ნახევრით). ან შეიძლება დაეუშვათ, რომ ამ სამარხების მფლობელებს შორის გარკვეული სოციალური ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა მართალია, ჩვენ მიერ შესწავლილ სამარხებს შორის გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობაა, მაგრამ მთელი რიგი მონაცემები დასაშვებს ხდის ამ ბორცვეზე შედარებით ადრეული მდიდრული სამარხების არსებობასაც. ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ამ მდამოებში აღმოჩენილი მთელი რიგი ნივთებისა: ვერცხლის ფილა კოლხური მონეტების განძით, ოქროს სასაფეთქლე რგოლები, ოქროს, ცვარათი შემკული მძივები, ვერცხლის სამაჭურები და სხვა, რომლებიც ბ. კუფტინის სამარხეული ინვენტარის ნივთებად მიიჩნია³. აგრეთვე გადმოცემა აქ აღმოჩენილი ოქროს ნივთის შესახებ, რომელიც მრავალჯერ გვსმენია ადგილობრივ მცხოვრებთაგან და რომლის შესახებ ბ. კუფტინიც წერს⁴. აღწერილობის მიხედვით ეს ნივთი რამდენადაც მოგვაგონებს ვანში გათხრილ კოლხი ემბოზის სამარხში აღმოჩენილ თესაბურავს — „ჩაკვით გადაბმული მუზარადიანი მხელრები“. აქვე გვჩნდა აღწერი-

¹ ზ. თოლორდავა. არქეოლოგიური გათხრები. დაბლაბოგში 1970—1971 წლებში, ვანი II, 1975, გვ. 38.

² ზ. თოლორდავა. მდიდრული სამარხი დაბლაბოგში, იქვე, გვ. 38.

³ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, II, 1950, გვ. 2.

⁴ იქვე.

ნოთ, რომ კრამიტით გადახურულ სამარხში აღმოჩენილი ნივთების ერთი ჯგუფი ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარს მიეკუთვნება (ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი, ოქროს სამაჯურები, ბრინჯაოს საჩურა, ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნით თარიღდებიან ბრინჯაოს პატერა და ოინოხოია და სხვა). მართალია, ეს ნივთები თვით მანარხის დათარიღებისათვის არ გამოადგება, მაგრამ თითქმის მიუთითებენ ამ ძეგლის ნივთების მფლობელი, სოციალურად დაწინაურებული საზოგადოების არსებობაზე დაბლაგომრის ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან შიშის (საქვივა, რომ ეს ნივთები დაბლაგომრის მათი დანაღების დროიდან ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ მოხვედრილიყვნენ). ხოლო თუ დავეუშვებთ ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში დაბლაგომრის ასეთი საზოგადოების არსებობას, შესაძამისად უნდა დავეუშვათ ამ დროის სამარხების არსებობა. რომელთაც შეიძლება დაუკავშირდეს ჩვენ მიერ აქ შესწავლილი ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხები.

ამ მცირე ვაზბრებთ შემოიფარგლა საანგარიშო პერიოდში ნაციხვარას ბორცვის შესწავლა. ძირითადი ყურადღება საანგარიშო პერიოდში ნასაყდრევის ბორცვის შესწავლას დათმობ, რომელიც დაბლაგომრიდან ორიოდე მეტრის დაცილობით, მისგან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მდებარეობს. იგი ნასაყდრევის ბორცვის ჩრდილოეთ გაგრძელებას წარმოადგენს, მის უმაღლეს წერტილს. ძირითადი ბორცვისაგან იგი თხრილითაა გამოყოფილი, ჩრდილო-დასავლეთით კი მას ღრვა ხეუბი ჩაუდის, რომლებიც ბორცვის ამ მხრიდან თითქმის მიუყვალს ხდის. ბორცვი ყუარდლებას აქყარის თავისი მოზაზულობითა და განლაგებით — იგი წყარბეღებულ, ოვალური ფორმისაა, საკმაოდ დიდი წაყვითლი ფართობით (900 კვ. მ), გარეგნული მონაცემებით იგი საცხოვრებელი გორების იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელთაც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი იდეალურს უწოდებს — „იდეალური იყო, როცა გორის დაქანებული გვერდები ხევის უწყლოს ან წყლიანს ებჯინებოდა. მაშინ თხრილი ერთ ან ორ მხარეს უქედებოდა“ (სურ. 45, 46).

ნასაყდრევის ბორცვი არც ნ. ხოშტარიას და ბ. კუფტინის გამოჩენილი მხედველობიდან, თუმცა მისი საფუძელთან შესწავლა ვერ მოუხერხებიათ. მათ ბორცვის თხემზე გაუქვლიათ პატარა

საიდელი თხრილი (2X1,3X0,4 მ-ზე), რომელიც მცირეოდენი კერამიკული ფრაგმენტები და ხელსაფეკვის ქვა აღმოჩენილა.

საყურადღებოა აგრეთვე ბორცვის სახელწოდება — „ნასაყდრევი“, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს. არც ბორცვზე და არც მის ახლომახლო ეკლესიის ან რამე სხვა ნაგებობის კვალი არაა აღმოჩენილი, რომელიც ასეთი ტომონიმის არსებობას ახსნიდა. საფურე-ბელია ეს „ნასაყდრევი“ კატეგორიის ტომონიმია და ამ ბორცვის ოდესღაც საყოვლოდ დანიშნულ-ბაზე მიუთითებს. ბორცვის არქეოლოგიურმა შესწავლამ საამისო მასალა თითქმის გამოავლინა კიდევ (ამის შესახებ ქვემოთ), მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ტერიტორიაზე მოსახლეობა საკმაოდ გვიანაა მოსული და ეს ტომონიმით ნაყვინავი უნდა იყოს, შესაძლოა სხვა მსგავსი ბორცვების ანალოგიით შექმნილი.

ბორცვის შესწავლის მიზნით გააკეთეთ რამდენიმე საიდელი თხრილი: ბორცვის თავზე, მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფერდებზე.

ბორცვის თხემზე გავლებულმა №1 თხრილმა (6X2 მ) ათავითარი კულტურული ნაშთები არ მოგვცა. თხელ კორდოვან ფენას უშუალოდ მოჰყვა კლდის ანატექციბონი ფენა, რომელიც 0,4 მ-ის სიღრმეზე კლდოვან დედაქანზე დადიოდა (ბორცვის თხემი მუდმივ ეროზიას განიცდის და ბუნებრივია აქ კულტურული ფენები არ შეპოჩნილიყო).

№2 თხრილი გაკეთდა ბორცვის აღმოსავლეთ ფერდეს (5X2 მ), ფერდის ბუნებრივი დაქანების მიმართულებით სულ 0,4—0,5 მ-ის სიღრმეზე აქაც დედაქანზე დავევით. თუმცა კი თხელ კორდოვან ფენას მცირეოდენი კერამიკული ფრაგმენტები და ცხოველის ძვლები ამოყვა.

გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა ბორცვის ჩრდილოეთი ფერდი. მას უფრო მყუდრო განლაგება აქვს, ქარი აქ ნაყვბად აღწევს, ეროზიასაც ნაკლებად განიცდის. ფერდის გამწვანების მიზნით, ამ პატარა ორმოვით იყო ამოღებული წარგვეებისათვის. ორმოვიდან ამოყრილი მიწის კერამიკისა და ბათქაშების ფრაგმენტები მოყვებოდა. მართლაც, აქ გავლებულმა №3 საიდელმა

6 ამის შესახებ იხ. Н. В. Хoштариа, Древнее поселение в Даблаготи, 1941, სადისტრატოი ნაშრომი, გვ. 26. Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, 1950, გვ. 19.

5 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 43.

თხრილმა საქმოდ მრავალფეროვანი მასალა და საინტერესო სტრატეგიაფიული კრილი მოგვცა. კრილში ფენათა მონაცვლეობა ასეთია: 1. 0,2—0,3 მ-ის სისქის კორდოვანი ფენა; 2. 0,4—0,5 მ-ის სისქის ბათქაშების ფენა, რომლებიც შეიცავენ ხანძარალი კერამიკის ნაშთებს; 3. თხელი, ღორღნავე სტერილური ფენა; 4. 0,8—1 მ-ის სისქის შავი ქვანარევი ფენა, მდიდარი მრავალფეროვანი კერამიკული ფრაგმენტებით; 5. 0,2—0,3 მ-ის სისქის ნაცრისფერი ანატექციებიანი ფენა; 6. კლდოვანი დედაქანი (სურ. 47).

კერამიკული მასალა მეტად ფრაგმენტულია და მათი ფორმების შესახებ მსჯელობა ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ მრავალფეროვანია მისი ორნამენტული დეკორი, რომელიც იძლევა გარკვეული დანსკვნების გაკეთების საშუალებას. ვგზვდებთ საეარცხლისებური და პუნქტირიანი შტაპით შესრულებული ტვიფრული ორნამენტები, დაშტრიხული და წერტილოვანი ორნამენტით შესვსებული შვირონები, ამოღარული სპირალი, ქვედული კონცენტრული წრეებით შემკული ჭურჭელი, ნაძივსებურად გრავირებული ჭურჭლის პირები და კედლები, სხვადასხვა ზომის კანელურებით შემკული ჭურჭელი და სხვა (სურ. 57, 58).

ასევე ყურადღებას იპყრობს ჭურჭლის ყურების მრავალფეროვნება: რქისებური შვირილებით შემკული ყურები, ლილვასისებური დანაძივსიანი ყურები, ნახევარსფერული ყურები, პატარა ზომის ზონარგასაყვანი ყურები და სხვა (სურ. 51, 52, 53, 54, 55, 56).

ჭურჭელი ორნარად არის გამომწვარი, რუხად და წითლად, უმრავლესობა ნაპირლებია, ნაეყვანა ჩარხზე (თითქმის ყველა ფრაგმენტს შიდა ზედაპირზე ემჩნევა ჩარხით გამოყვანილი პორიზონტალური ღარები). კეცი უმრავლეს შემთხვევაში თხელია და საერთოდ ჭურჭელი გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიური თავისებურებებით.

რადგან სხვაგან ასე კარგად სტრატეგიური-ბული და იზოლირებული ფენები არ შეგვხვდლრა, საჭიროდ მიგვიჩნია ამ მასალის შედარებით დეტალური აღწერა ფენების მიხედვით.

ბათქაშებიანი ფენა

1. რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხის დერგის (?) გვერდის ნატები, შემკული მერილიანულად განლაგებული დანაძივსი ქედებით. ქედები ზოლოში ღიღისებური კოხებით შთავრდება, რომლებზეც ნაეყვანებია გამოყვანილი.

2. შავად გამომწვარი თიხის დერგის გვერდის ნატები, შემკული ფართო კანელურებით. ანალოგიური ფრაგმენტები მრავლად არის აღმოჩენილი დაბლაგომის შუა ფენაში⁷, ნახებამუს ზედა ფენაში⁸, ნოსირის IV ფენაში⁹ და სხვ.

3. მოწითალოდ გამომწვარი თიხის სწორპირა ტოლის გვერდის ნატები, შემკული ეიწრო კანელურებით. ასეთი ხერხით შემკული ჭურჭელი მეტად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს გვიანბრძნაო-ადრეკრინის ხანის ძეგლებში: დაბლაგომის შუა ფენა¹⁰, ნახებამუს ზედა და ნაწილობრივ შუა ფენა¹¹, ნოსირის ტუხურის ნაპირთან გათხრულ ნაშთსალარზე, რომელიც ქრონოლოგიურად ნოსირის III და IV ფენებს შუა ექცევა¹², ფოთის¹³ და სხვ. თ. მიქელაძემ ამ კერამიკის ძველი კოლხური კერამიკის II ეტაპს აუთოენებს და მას ამ ეპოქის განმსაზღვრელ ტიპად მიიჩნევს¹⁴.

4.5. მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი კანელურებით, რომელიც რქისებური შვირილებით ბოლოებშეკეთებულია და შუაში ჩარჩაბებული, თ. მიქელაძის აღწერით, ვადაბული ხის ორკანი ტოლის მსგავსად¹⁵. ერთი ყური სადაა, ხოლო მეორე დაწინაბებულია (სურ. 53ა, ბ). ასეთი ყურები, თ. მიქელაძის დაკვირვებით, მის მიერ გამოყოფილი ძველი კოლხური კერამიკის მეორე ეტაპის სპეციფიკას შეადგენს¹⁶.

ანალოგიური ყურები აღმოჩენილია დაბლაგომის შუა ფენაში¹⁷, ნახებამუს ზედა ფენაში¹⁸,

7 Б. А. К у ф т и н. Материалы к археологии Колхиды II, 1950, ტაბ. 40ა-21.

8 იქვე, სურ. 48ა, ა.

9 დ. ქო რ ი ძ ე, ე. გო ვ ა ძ ე, გ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლების მუშაობის შედეგები. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის, III, 1974, სურ. 715-17.

10 Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრობი, ტაბ. 361, 401ა, 19.

11 Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრობი, სურ. 483ა, 419, 52.

12 დ. ქო რ ი ძ ე, ე. გო ვ ა ძ ე, გ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრობი, გვ. 63.

13 თ. მიქელაძე. ძეგანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974, ტაბ. VI.

14 იქვე, გვ. 56, 57.

15 იქვე, გვ. 56.

16 იქვე.

17 Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრობი, ტაბ. 351-5.

18 იქვე, სურ. 48ა, თ.

ნოსირში (ტუბურის ფლატე)¹⁹, სოფ. ნავაზაოს „ზურგაზე“. მრავლად იქნა ასეთი ყურები მოპოვებული დასავლეთ საქართველოს დაზვერებით ექსპედიციის მიერ გვიანბრინჯო-ადრერკინის ხანის ნაოსახლარ ვიკრეებზე: აბღაათის იხნავუ-ქუბა, ბანძის დიხავეუძება²⁰ და სხვა.

6. რუხ-მოწითალოდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის ნატეხი შემკული ორ პორიზონტალურად განლაგებულ ქედებს შუა მოქცეული რომბული სარტყლით. (სურ. 58ა). ანალოგიური პრინციპით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია ბორცვ სიმაგრეზე²¹ ჭალადრიდან (ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი)²¹.

ამით ამოიწურება №3 თხრილში ბათქაშებთან ფენაში აღმოჩენილი კერამიკული მონაპოვარი (არის კიდევ რამდენიმე უსახური ფრაგმენტი, რომელთა შესახებ არაფერს თქმა არ შეიძლება).

გაცილებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტები №3 თხრილის IV, შავ ქანაზე ფენიდან. ვიძლევიტ ორნამენტირებული ფრაგმენტების აღწერას:

1. ქოთნის პირის ნატეხი შემკული ირიბი ნაქდევის სარტყლით, რუხად გამოშვარი თიხისა (სურ. 59გ).

2. რუხად გამოშვარი ქოთნის პირგვერდის ნატეხი, შემკული ერთმანეთის მიმართ წვერებით შებრუნებული სამკუთხედების სარტყლებით. სამკუთხედების შიდა სივრცე წერტილოვანი ორნამენტითაა დაფარული (სურ. 60ა).

3. რუხად გამოშვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკული ჩაქდული კონცენტრული წრეებისაგან შემდგარი სარტყლით (სურ. 57ა).

4. მონაცრისფროდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შემკული საყარცხლისებური შტაპით შესრულებული ღარებით (სურ. 58ბ).

5. რუხად გამოშვარი თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შემკული ირიბნაქდევის ვერტიკალური ზოლებით (სურ. 57რ).

6. მოწითალოდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის პატარა ფრაგმენტი, შემკული პორიზონტალურად განლაგებული ირიბი ნაკაწრების სარტყლით, რომელიც ორივე მხრიდან მოკლე, აგრეთვე ირიბად

განლაგებული ზოლებითაა შემოზღუდული (სურ. 58გ).

7. შავად გამოშვარი და გაპრიალებული ჭურჭლის მთავრად ფრაგმენტი, რომელიც შემკულია ვერტიკალურად განლაგებული წიწვისებური ორნამენტით (სურ. 57ა).

8. მონაცრისფროდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შემკული ირიბად განლაგებული, მოზრდილი ხორბლის მარცვლისებური ქვებით, რომელთა შიდა სივრცე დაშტრახულია.

9. შავად გამოშვარი თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შემკული საკმაოდ ღრმა, მრგვალი ფოსოებით (სურ. 57გ).

10. შავად გამოშვარი და გაპრიალებული ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკული ე. წ. „პარკეტული“ ორნამენტით.

11. რუხად გამოშვარი თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი შემკული პუნქტირიანი შტაპით შესრულებული, წიწვისებურად განლაგებული ორნამენტული სარტყლით (სურ. 60ბ).

12. მოწითალოდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი. პირი სწორია და დაკბილული (სურ. 59გ).

13. შავად გამოშვარი და გაპრიალებული თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შემკული შევარნული ორნამენტით — სადა და დაშტრახული შევარონების მონაცვლებით (სურ. 58ა).

14. რუხად გამოშვარი თიხის ქვევრის (?) პირის მასიური ნატეხი, მთლიანად დაფარული ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განლაგებული ირიბი ნაქდევებით (სურ. 60ი).

15. შავად გამოშვარი თიხის ქოთნის პირის ნატეხი, შემკული წვერებით ქვემოთ განლაგებული, დაშტრახული სამკუთხედებით (სურ. 60ა).

16. რუხად გამოშვარი თიხის ქვევრის (?) პირის ნატეხი, პროფილირებული და შემკული ირიბად განლაგებული ღრმა ნაქდევებით (სურ. 59ი).

17. შავად გამოშვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, შემკული პუნქტირიანი შტაპით შესრულებული ხაზებით (სურ. 57რ).

18—19. რუხ-მოვარდისფროდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხები, შემკული ძალიან ფაჩხად შესრულებული, რომელიც ბადისაგან შედგენილი სარტყლით (სურ. 57გ).

20. მონაცრისფრო-მოვარდისფროდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი, შემკული ამოღარული სპირალით და კანელურებით.

¹⁹ დ. ქორაძე, ე. გოგაძე, გ. ჩაბახიშვილი. დას. ა. მხრობე, გვ. 63.
²⁰ იქვე, V, 1973, ტაბ. X1—X2, X11, და სხვ.
²¹ თ. შიქელიძე, დას. ა. მხრობე, ტაბ. X17.

21. შავად გამომწვარი თიხის კურკლის გვერდის ნატები, შემუშული ირიბად განლაგებული ნაკაწრებით.

22. შავად გამომწვარი და გაპირალბული თიხის კურკლის ნატები, შემუშული სხვადასხვა მხრით განლაგებული პარალელური ღარებით (სურ. 57ა).

23. შავად გამომწვარი და გაპირალბული თიხის კურკლის ნატები, შემუშული დაშრახული სამკუთხედებისა და სადაშრელო ლურსმულის მსგავსი სოლებით (სურ. 57ა, ბ).

ბათქაშებიანი ფენის გამოკლების, მისი გავრცელების საზღვრების დადგენის მიზნით, № 3 თხრილის ჩრდილოეთით გადაზომვით ფართობი (20X12 მ), რომელიც კვადრატებად იქნა დაყოფილი (2X2 მ). ფართობი ფენების მიხედვით იქნა აღებული. ფენების მონაცვლეობა მთელ ფართობზე ისეთივეა როგორც № 3 თხრილში, მხოლოდ მეოთხედ (შავი, ქვანარები) ფენა შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი. ეს ფენა, როგორც № 3 თხრილის კედლების კრივებიდანაც კარგად ჩანს, სამხრეთისაკენ ვრცელდება. ჩვენ ამჟერად ბათქაშის ფენის შესწავლა გვიპირებრებსება და ამიტომ თხრილის სამხრეთით გათხრები არ გვიწარმოებია.

ბათქაშების ფენის გაუკეთდა პრეპარაცია. გაირკვა, რომ მას საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა (130 კვ მ-მდე). ფენა თხრილის მთელ ფართობზე ერთნაირი ინტენსივობის არ იყო. იგი თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კიდისკენ, ე. ი. ფარის ბუნებრივი დაქანებისკენ თანდათან თხელდებოდა, ხოლო თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი მისი სისქე ხშირად 05—0,6 მ-მდე აღწევდა. თხრილის ამ ნაწილში ბათქაშები in situ მდგომარეობაში უნდა იყოს შემონახული, ე. ი. ნაგებობა აქვეა ჩაქცეული (სურ. 49, 50).

ბათქაშების მძლავრი ფენა, ცხადია, იმის მაჩვენებელია, რომ ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციები ხის იყო (ბათქაშებზე შემორჩენილია ხის ძელების, ფიკრების, წნელების ანაბეჭდები. ბევრია დაკუთხული ბათქაში, რომლებითაც ნაგებობის შიდა კუთხეები იყო მოპირკეთებული), მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული ფუნქცია კლდეად ენიჭებოდა, რომელიც ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდესთან თითქმის ვერტიკალურად არის ჩამოჭრილი და ნაგებობის ბუნებრივ კედელს ქმნის (სურ. 48). არ არის გამორიცხული რომ კლდე იატაკადც ყოფილიყო

გამოყენებული, რომელიც ასევე ნიველირებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლოა იგი თხიბატკანილით იყო მოღესილი: ერთ მონაკვეთზე ჩვენ მიერ ფიქსირებულია ბათქაშების თხელი ფენა, რომელიც უშუალოდ კლდეზე დევს.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც ბათქაშების ფენა განსაკუთრებით ინტენსიურად არის წარმოდგენილი და სადაც იგი in situ მდგომარეობაში ჩანს, მასალა ასევე იზოლირებულად არის შემონახული და ფენის დათარიღებისათვის საკმაოდ საიმედო დასაყრდენს გვაძლევს. თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კი მასალა შერეული ჩანს.

რადგან კერამიკის ძირითად ტიპების აღწერილობა მოცემული გვაქვს № 3 თხრილის მასალის განხილვისას, ხოლო მთელი განთხარა ფართობიდან მომდინარე მასალა ზემოაღწერილის ანალიზურია მის დახასიათების ვიძლეული ჩგუფების მიხედვით: 1. კურკლის ყურები; 2. პირები და ძირები, 3. ორნამენტული დაკორი.

განთხარაი ფართობიდან მომდინარე, ყურების დიდი უმრავლესობა ე. წ. ზომორთულ ყურებს მიეკუთვნება და სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი. ყურების ერთი ჩგუფის რქისებური შვერილები ბოლოდწაყვეთილია და შეუნი ჩაღრმავებული, გადბეჭდილი ხის ორკაბა ტრატის მსგავსად (სურ. 51—ა). სტრატეგიკოციტირებულ ძეგლებზე ასეთ ყურებს ვხვდებით ნაონებზე ზედა ფენაში²², ნოსირ III-ში ტეხურის ფლატეზე²³ და დაბლაგომის კუფტინისეულ შუა ფენაში²⁴.

თ. მიქელაძის დაკვირვებით, ამ ყურების ბოლოწაყვეთილ შვერილებს აშკარად ეტყობათ ტენდენცია შვერილების სტილიზაციის ახალი ვარიანტისაკენ, როდესაც კურკლის ყურის ზედა ნაწილები ჩნდება არა შვერილები, არამედ ლივიციური ფორმის შუაში ჩაღრმავებული დანაშტრები. ასეთი ყურები, მისივე სიტყვით, ძველი კოლხური კერამიკის მეორე ეტაპის სპეციფიკას შეადგენს²⁵. ასეთი ლივიციური დანაშტრებიანი ყურები ნასაყდრების ბორცვზე გა-

²² Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, გვ. 186—187. სურ. 48¹, 7¹, ტაბ. 35¹, 2¹.

²³ დ. ქო რ ძ ე, ე. გო გ ა ძ ე. ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითად შედეგები. სსსრ. II. 1971. ტაბ. VII.5, 8-9, 13.

²⁴ Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, ტაბ. 36².

²⁵ თ. მი ქ ე ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

მოკლენილ ბათქაშაინი ნაგებობის ნანგრევებშიც უხვად გვხვდება (სურ. 521, 2). მსგავსი ყურები დასავლეთ საქართველოს ბევრ ანაოსახლარსეა აღმოჩენილი, მაგრამ სტრატეგიტივირებულ მოკლენილ დაბლაგომში იყო (ბრინჯაოს ისრისპირის მეშვეობით)²⁶. ახლა ასეთი ყურები ნასაყდრევის ბორცვზეც კარვად თარიღდება აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს მინიატურული შუბისპირის მეშვეობით. რომელიც ნაოხვამუს ზედა ფენაში აღმოჩენილი. შუბისპირების ანალოგიურად²⁷. ამ ლილვაკისებურ დანაძერწებს ბ. კუფტინი პრაქტიკულ დანიშნულებას ანიჭებს. მისი აზრით ეს შვირისებრი ამ ყურებს უფრო მარჯვედ მოსახმარად ზღის. თუც არ გამოირჩევა მათ სხვაგვარ წარმოქმნილობასა²⁸.

ასეთი ყურები უმრავლეს შემთხვევაში ტოლჩისუღია, მაგრამ ხშირად სხვა ჭურჭლებზეც გვხვდება. ისინი გენეტიკურად უკავშირდებიან ნაოხვამუს და ნოსირის ანაოსახლარების ქვედა ფენების მოპოვებულ მასალას, სადაც ყურების სხვა სახეობა ბატონობს ე. წ. „ოქუბიანი“ ყურები. ასეთი ტიპი ნასაყდრეზე აღმოჩენილი არაა.

აღსანიშნავია აგრეთვე აქ აღმოჩენილი ნახევარსფერული ყურები, რომელიც მრგვალი ნახვრეტი ჭურჭლის ყელში თაღისებურ შედრმაკეებს ქმნის (სურ. 541, 3, 4) ეს ყურები ანალოგიურად შედრებით არქაულ მასალასთან პოულობენ — ნაოხვამუს შუა ფენა²⁹, ნოსირის II ფენა³⁰. ერთერთი ასეთი ყური კანელურებით შემკული პრეტულისაა, რაც მის შედარებით გვიანდლობაზე მიუთითებს, მაგრამ საერთოდ კი ამ ტიპის ყურები ნასაყდრევის ბორცვზე დაბლაგომის შუა ფენის წინაზე ხანის ფენების არსებობის მაჩვენებელია.

ჭურჭლის პირებში გამოირჩევა კარვად პირგადამოვლი ყელგამოყოფილი ჭურჭლები (სურ. 604, 2), ან ოდნავ ყელგამოყოფილი (სურ. 602) სწორპირა, თითქმის შევლელლიანი ქონები (სურ. 606). ქობაშესკვეული პირგადამოვლი ჭურჭლები (სურ. 601-12), ლილვაკისებური გვირგინიანი მოზრდილი ჭურჭლის პირები (სურ.

591, 60), რომლებიც ხშირად ნაძვისებური ჭლებითაა შემკული (სურ. 596, 60), და სხვ.

ძირები უმრავლეს შემთხვევაში ბრტყელია, სხვადასხვა ზომის (სურ. 612, 3, 4) რამდენიმე კონუსური ძირია, როგორც ჩანს კანელირებული ტოლჩისა (სურ. 615).

ნასაყდრევის ბორცვიდან მომდინარე კერამიკაში დიდი ადგილი უკავია კანელურებიან კერამიკას (ვერტიკალური ღარებით შემკული ჭურჭელი). კანელურების სიგანე მეტწილად რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე როგორც ჩანს, ღარების სიგანე ჭურჭლის ზომამდე დამოკიდებული. რაც უფრო დიდია ჭურჭელი, მით უფრო ფართოა კანელურები. კანელურები ჩვეულებრივ ჭურჭლის მხრებთან იწყება და თითქმის ძირამდე ჩადის. ღარები არაჩვეულებრივი სიხუსტით არის გამოყვანილი, მისი შესრულება გარკვეულ სპეციალიზაციას მოითხოვს. ჭურჭლის ზედაპირი თითქმის ყოველთვის გაპრიალებულია. კანელურებით იმპობოდა, როგორც პატარა ქონის ტიპის ჭურჭელი ასევე დიდი ზომის დეკორატიული ჭურჭელი. ფორმითა მრავალფეროვნებაზე მსჯელობა ჭირს, რადგან მასალა ძირითადად ფრაგმენტულია. ბევრია ეიწორი კანელურებით შემკული ცალკეა ტოლჩისებური ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელთაც ბ. კუფტინი კოლხურ-ყოხანური ტიპის ბრინჯაოს სიტულებს ამსგავსებს. მისი აზრით ისინი სწორედ ამ ბრინჯაოს სიტულების მიზაძვითაა დამზადებული. ამის დასადასტურებლად იგი მიუთითებს ჭურჭლის პირებზე, რომლებიც, მისი აზრით, შეუფერებელია თიხის ფაქტურისათვის და ლითონის გავლენით უნდა იყოს გაკეთებული³¹.

საყურადღებოა №3 თხრილში აღმოჩენილი საკმაოდ სქელკედლიანი ჭურჭლის ორი ფრაგმენტი, შემკული დამტრიახული სამკეთებელობით და სოლისებური ნაჭრეკებით (სამწერლო ლურისმნების ფორმის) შედგენილი ორნამენტით (სურ. 573, 4). ორნამენტული დეკორის ეს სახეობა უცხოა კოლხურ კერამიკისათვის, მას ანალოგიები აღმოსავლეთ საქართველოში ეძებნება.

მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭელი, როგორც ცნობილია, მრავალადა აღმოჩენილი ცხინვალის ნაეარგორის III ფენაში³², რომელსაც ე. გობეჯიშვილი აღდევ. წ. II ათასწლეულ-

²⁶ Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

²⁷ ი ქ ვ ე. გვ. 175, ტაბ. 542.

²⁸ ი ქ ვ ე. გვ. 125.

²⁹ ი ქ ვ ე. გვ. 228, სურ. 4832.

³⁰ ი ქ ვ ე. გვ. 2, გ. 2 ო გ ი ქ ვ ე. დასახ. ნაშრომი, სურ.

4, 18, 19.

³¹ Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრომი, გვ. 123, 124.

³² ე. გ. გ. ბ. ე. შ. ვ. ი. სტალინის ნაეარგორა, „მომოზილველი“, II, გვ. 248, ტაბ. V.

ლის მიწურულით და I-ის დასაწყისით ათარი-
ლებდა³³, ხოლო შემდეგ თარიღი დაახუსტა და ძვ.
წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით შემოი-
ფარგა³⁴.

გვიანი ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება ბ. კუფ-
ტინის მიერ ბეშთაშენში აღმოჩენილი ანალოგიუ-
რი დეკორით შემკული სასისები³⁵. გვიანი ბრინ-
ჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს აკუთვნებს დ. ქო-
რიძე დრამლეუს სამაროვანზე აღმოჩენილ მსგავს
დეკორით შემკულ კურკელს³⁶. ასევე გვიანი
ბრინჯაოს ხანით თარიღდება ფლავისმანში აღმო-
ჩენილი მსგავსი კურკელი³⁷. სამთავროს საშარო-
ვანზე აღმოჩენილ ასეთ კურკლებს ალ. კაპანდა-
ძე ძვ. წ. XII—XI სს ათარიღებს³⁸. ხოლევგორა-
ზე ასეთი ორნამენტით შემკული კურკლები ადრე
რკინის ხანის ფენებში გვხვდება³⁹. მრავალადა
აღმოჩენილი ასეთი კურკლები უფლისციხეში ძვ.
წ. XII—VIII სს. ფენებში⁴⁰. ანალოგიური ორნა-
მენტით შემკული კურკელი მრავალადა აღმოჩე-
ნილი კახეთში⁴¹. ე. ფიცხელაური მთელი რი-
გი ფაქტური მონაცემების საფუძველზე თელის,
რომ ე. წ. სოლური შტამებით შესრულებული ორ-
ნამენტები დამახასიათებელია ცენტრალური აზი-
ურაკავკასიისათვის და მოიცავს იმ ტერიტორიას,
სადაც გავრცელებული იყო შუაბრინჯაოს ხანის
ე. წ. თრიალეთური კულტურა. იგი არ იზიარებს
დ. ხახუტაიშვილის მიერ ამ ტრის უფრამიკისათ-
ვის შემოთავაზებულ თარიღებს, მას სურს არქე-
ოლოგიურ მიიჩნევს და ძვ. წ. XII საუკუნის წინარე
ხანებით თარიღებს⁴².

ამ სახის ორნამენტზე⁴³ ყურადღების გამახვი-

ლება საქიროდ ცვანით, რადგან, როგორც ადრეც
აღენიშნავდით, მსგავსი დეკორით შემკული კურ-
კელი დასავლეთ საქართველოში არ ყოფილა აღ-
მოჩენილი. იგი ერთი მხრივ ავლენს გარკვეულ
კავშირებს კოლხეთსა და აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს შორის, მეორე მხრივ კი ადასტურებს ნა-
საუდრევის ბორცვზე გვიანბრინჯაოს ხანის შე-
დარებით ადრეული საფეხურის ფენების არსე-
ბობას, რაც ადრე არ ყოფილა დამოწმებული
დაბლაგომში.

გარდა ზემოაღწერილი ორნამენტული დეკო-
რის მრავალად გვხვდება პუნქტირითი და სავარ-
ცხლისებური შტამებით შესრულებული მრავალ-
ფეროვანი გეომეტრიული ორნამენტი (სურ. 58გ),
ანალოგიური ნახევამუს⁴⁴ და ნოსირის⁴⁵ ნამოსახ-
ლარების ზედა ფენებში აღმოჩენილი ფრაგმენ-
ტებისა, წერტილოვანი ნაწვევებით შესრულებული
შეკრონები (სურ. 60ე), ანალოგიური ნახევამუს
ზედა ფენაში აღმოჩენილი კურკლისა⁴⁶, ნამიყი-

ვაჩევი. შესაბამისად. ურარტუდ სამეფოსთან მჭიდრო
ურთიერთობით ახსნა (გ. გობეჯიშვილი. სტალინის
ნაცარგო, გვ. 251). დ. ქორძიძე არ გამოიარა ეს მოსა-
ზრება და აღნიშნა, რომ შიდა ქართლი ორნამენტული დეკო-
რის ამ სახეობის ურარტუს კანონის წარმოშობად მდელ. ურ-
არტუძე ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში კარგად იყნობდა.
იყენებდა მას კურკლის შესაქომაოდ და ათორავნებდა შემდ-
გომ საუკუნეებში. ლერსმენტს ზომებს და ტიფურის სი-
ღის სტაბილად. დ. ქორძიძე ქრონოლოგიური სტაბილის მარ-
ნევენულად მაჩინა (დ. ქორძიძე. თბილისის არქეოლოგი-
ური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 135—137). დ. ქორძიძის ამ
მოსაზრებას არ ეთანხმება დ. ხახუტაიშვილი. რომლის აზ-
რითაც სოლების სიღრმე და ზომები ქრონოლოგიური მო-
ნაცულების სტაბილად იმ იძლევიან. ფაქტობრივ მასალის მოშ-
ველობის საფუძველზე დ. ხახუტაიშვილი თვლის, რომ სო-
ლების ვარაზებში თანარსებობენ. ღრმა კედლით შესრუ-
ლებული მტკერ ზომის სოლებში შემკული კურკელი, ძი-
რითადად სასისებში, დადასტურებულია, როგორც გვიანი
ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის (სამთავრო, ბეშთაშენ-
ი), ისე ადრე რკინის ხანის მასალებში (ხოვლეგორა). დღეს
ზომის სუსტი ტიფურით შესრულებული სოლებით შემკულ
ე. წ. კურკელს ასევე გვხვდება როგორც გვიანი ბრინჯაოს
ხანის (ფლავისმანე, ღრმადე) სამარხებში, ისე ბრინჯაო-
დან რკინაზე გარდამავალი ხანის სამარხებში (სამთავრო). ამ-
რიგად, დ. ხახუტაიშვილის აზრით, სოლების ეს ორი სახე-
ობა ქრონოლოგიურად ერთმანეთს კი არ ენაცულება, არა-
მედ თანარსებობს (დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე,
I, გვ. 46).

44 B. A. Kyფтнн. Материалы к археологии Кол-
хиды, II, ტბ., 57, გვ. 16, სურ. 48.

45 დ. ქორძიძე, ე. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, სურ. 6e.
46 B. A. Kyფтнн. დასახ. ნაშრომი, სურ. 48g.

33 იქვე, გვ. 209.
34 „საქართველოს არქეოლოგია“, თბ., 1959, გვ. 159.
35 B. A. Kyფтнн. Археологические раскопки в
Триалети, Тб., 1941, გვ. 66, სურ. 66.
36 დ. ქორძიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები,
I, თბ., 1955, გვ. 114.
37 ს. მკვალაძე. ფლავისმანის უძველესი ნეკრო-
პოლი, სსმპ, V, 1930, გვ. 231, ტაბ. V.
38 დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე, I, გვ. 46.
39 იქვე.
40 იქვე, გვ. 44—47.
41 ე. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს
ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973, გვ.
153 და შემდგ.
42 დაწერ. იბ. ე. ფიცხელაური და დასახ. ნაშრომი.
გვ. 153 და შემდგ.
43 გ. გობეჯიშვილი ორნამენტის ეს სახეობა (სოლები)
ლერსმანე დამწერლობის მოტივებს დაუკავშირა და მითი

ბერად გრავირებული ორნამენტი (სურ. 57ა. 10. 11). აგრეთვე ანალოგიური ნაოხვამუს ზედა ფენებში აღმოჩენილი კურკლისა⁴⁷; კონცენტრული ჩაქედილი წრეებში შეღვანილი ორნამენტი (სურ. 57ბ). მსგავსი ნაოხვამუს ზედა ფენის მასალისა⁴⁸; ამოღარული სპირალი (სურ. 57კ), ანალოგიური დებლაკონის შუა ფენაში და აგრეთვე ნაოხვამუს შუა ფენაში აღმოჩენილი ფრაგმენტებისა⁴⁹; გრავირებული რომბული ბადე (სურ. 57გ), ანალოგიური ნაოხვამუს ზედა ფენაში აღმოჩენილისა⁵⁰; ე. წ. „პარაკეტლი“ ორნამენტი, მსგავსი ნოსირის ნამოსახლარის ზედა, მესამე ფენაში აღმოჩენილისა⁵¹; მრგვალი ფოსოებით შემკული კურკელი; სქელკედლიანი კურკლის ვეირავიანი მთლიანად ნაფისებურად გრავირებული, ანალოგიური ნაოხვამუს შუა ფენაში აღმოჩენილისა⁵² და სხვა.

როგორც ვხედავთ, კერამიკის ორნამენტული შემკულობა ზოგადად ანალოგიურია დებლაკონის შუა ფენაში, ნაოხვამუს ზედა და შუა ფენებში, ნოსირის ზედა და ტეხურის ფლავიტზე გათხრილი ნამოსახლარის ქვედა ფენაში გამოვლენილი მასალებიდან. ნოსირის ბორცვის მასალათა რიგში ჩვენი ბორცვის I ფენის მასალები უნდა მოთავსდეს III და IV ფენებს შუა, რომელიც არ ჩანს საკუთრივ ბორცვზე, მაგრამ დამოწმებულია ამავე ექსპლედის მიერ მდ. ტეხურის ნაპირთან გათხრილ ნამოსახლარის ქვედა ფენაში (ზედა ფენა ელონისტური ხანისაა), რომელიც შეიცავს კანელირებულ კერამიკის ფრაგმენტებს, ზომორფულ შვერილებთან ყურებს და სხვა, ხოლო II ფენა ეკისირის III და ნაწილობრივ II ფენის თანდართული უნდა იყოს (ნახევარსფერული ყურები, ზონარგასაყრელი ყურები, ამოღარული სპირალი და სხვ.)⁵³.

ამრიგად, პარალელური მასალების მოშველიებით და ზშირად სტრატოგრაფიული დაკვირვებითაც, ნასაყდრეის გორა-ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე გამოვლენილ მასალებში

ორი ერთმანეთის მომდევნო ქრონოლოგიური ფენა გამოიყოფა. პირველი (ზევიდან) ბათქაშე-ბიან ნაგებობის უკავშირდება და წინარეანტიკურ ხანას განეკუთვნება (დაახლოებით ძვ. წ. VIII—VI სს.). ამ ფენისთვის დამახასიათებელია წავეთილი რქისებური შვერილებით შემკული ყურები, ლილეკიანი ყურები, კანელირებული კურკელი, ბრტყელი ძირები, ქობაშქელებული პირები და სხვ. ამავე ფენაშია აღმოჩენილი მინიატურული ბრინჯაოს შუბისპირი და მინიატურული კოლხური ცულის ყალიბი (ამ ნივთებზე კვეთით გვექნება ლაპარაკი), რომლებიც გვაძლევენ საფუძველს ამ მასალის სინქრონიზაციისათვის — მინიატურული შუბისპირი ანალოგიური, ნაოხვამუს ზედა ფენაში აღმოჩენილისა⁵⁴. ხოლო ყალიბი ეს კალადილში ძველი კოლხური კერამიკის II ეტაპის კურკელთან ერთად აღმოჩენილი ასეთივე დანიშნულების ყალიბისა⁵⁵. მეორე ფენა, რომელიც კოლხური კერამიკის უფრო ადრეულ ნიმუშებს შეიცავს სუფთა სახით მხოლოდ №3 საცდელ თხრილშია წარმოდგენილი და შედარებითი — ტოპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გვიანბრინჯაოს ხანის სასრულ ეტაპებს მიეკუთვნება. ამ ფენისთვის დამახასიათებელია კურკლის რუხად და წითლად გამოწვა, ნახევარსფერული ყურები, რქისებურშვერილიანი ყურები, რომლებიც ჩვენს მიერ გამოყოფილ ფენებს შორის არსებულ გენეტიკურ კავშირებზე მიუთითებენ, უხვი ორნამენტაცია (სოლური ორნამენტი, სავარცხლისებური და პუნქტირირებული შტამპის გამოყენება, ამოღარული, ფოსოები და სხვ.).

კოლხური კერამიკის პერიოდიზაციის პირველი ცდები ბ. კუფტინის ეკუთვნის, რომელიც ძირითადად ნაოხვამუს ბორცვის სტრატოგრაფიულ მონაცემებზე დაფუძნებული⁵⁶. ბ. კუფტინის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური შკალა კოლხური კერამიკის განვითარებისა დღესაც მოქმედი, თუმცა ახალ აღმოჩენათა საფუძველზე მასში ბევრი რამ დაზუსტდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფ. ცხალადთან გათხრილი ბორცვი „ზურგა“ და ებაკაიასთან გათხრილი ნამოსახლარი ნოსირი III.

⁴⁷ B. A. Kyфтин. დასახ. ნაშრომი, სურ.

⁴⁸ იქვე, სურ. 48ა, ბ.

⁴⁹ იქვე, ტაბ. 36, სურ. 48ბ.

⁵⁰ იქვე, სურ. 48კ.

⁵¹ დ. ქობიძე. ვ. გოგაძე, გ. ქავთაძეშვილი. დასახ. ნაშრომი, სურ. 6.

⁵² B. A. Kyфтин. დასახ. ნაშრომი, სურ. 48|01.

⁵³ დ. ქობიძე, ვ. გოგაძე, გ. ქავთაძეშვილი. დასახ. ნაშრომი.

⁵⁴ B. A. Kyфтин. დასახ. ნაშრომი, გვ. 177, ტაბ. 54¹.

⁵⁵ თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 58. ტაბ. XVI.

⁵⁶ B. A. Kyфтин. დასახ. ნაშრომი, გვ. 161 და შემდ.

უკანასკნელ ხანებში კოლხური კერამიკის პერიოდიზაციის საკითხებს შეხვოთ. მიქელაძე, რომელმაც ახალი, კარგად სტრატოგრაფიკული მასალების შესწავლის საფუძველზე კოლხური კერამიკის განვითარების ეტაპების მწყობის სურათი მოგვცა. კოლხური კერამიკის განვითარებაში იგი ოთხ პერიოდს გამოყოფს: I უძველესი ანუ პრიოტიკოლხური პერიოდი (ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარი), II ძველი კოლხური პერიოდი (ძვ. წ. XV—VI საუკუნეები), რომელიც თავის მხრივ ორ ეტაპად იყოფა, III შუა კოლხური პერიოდი (ძვ. წ. VI—IV საუკუნეები) და IV გვიანი პერიოდი⁵⁷.

საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თ. მიქელაძის მიერ გამოყოფილი კოლხური კერამიკის განვითარების მიჯნები დაემთხვა ლითონის ინდუსტრიის განვითარების სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულ მიჯნებს. ეს გარემოება ამ პერიოდიზაციის საფუძველიანობას შატებს.

კოლხური კერამიკის განვითარების ამ ეტაპიდან ჩვენთვის ამჟღავნებს კოლხური კერამიკის ძველი პერიოდი (მოკლედ ძვე) სიანტერესო, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებშიც ექვევად ჩვენ მიერ ნასაყდრევის ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე გამოვლენილი კერამიკა და აგრეთვე ნახევამუს და ნისისის ნაშთსაღარებზე მოპოვებული კერამიკა.

თ. მიქელაძის აზრით, ბ. უფტინისული პერიოდიზაციის ამჟღავნებს ეტაპი ტენდენცია ერთი მხრივ, ნახევამუს ქვედა ასაკის ვარდისა, ხოლო მეორე მხრივ, ზედა ფენის რამდენიმე „გაახალგაზრდავებისა“⁵⁸ და მთელი რიგი მსყე-

⁵⁷ თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 49 და შემდეგ.

⁵⁸ უნდა აღინიშნოს, რომ თ. მიქელაძის ნაშრომში ბ. უფტინისის ტენდენცია ნახევამუს ზედა ფენის „გაახალგაზრდავებისა“ ერთგვარი ვალკანუმიტოთა ვარსადაა. ბ. უფტინის მთელი ნაშრომიდან ამჟღავნებს ჩანს, რომ იგი ნახევამუს ზედა ფენის კოლხურ-უბანურ ეპოქას აკუთვნებს (იხ. Б. А. Купчух. დასახ. ნაშრომი, გვ. 114, 152, 193, 198, 237) და არა ადრეულ ბერძნულ კოლინიზაციის ხასის, როგორც ეს თ. მიქელაძის ბერძენული (თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 50). ბერძნული კოლინიზაციის თანდაყოლილად ბ. უფტინის მიზანია ნახევამუს მასალებზე გამოყოფილი კერამიკის პატარა გჯუვი. რომელიც ძირითადად კოლხური ქვეყნების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი და აღნიშნავს, რომ ეს ნაბეჭები ასახავენ პირველი ცხოვრების სულ უკანასკნელ პერიოდს. რომლის მუსტეის ფენა ბორცვზე ძალიან სუსტადაა გამოვლენილი და რომელსაც

ლობის შედგად ასკენის, რომ ნახევამუს სამივე ფენის მასალა ისტორიის ერთ პერიოდს, გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს განეკუთვნება და ასახავს ბორცვზე ცხოვრების ცალკეულ ეტაპებს⁵⁹. თ. მიქელაძის ამ მოსაზრებას რამდენადმე ნასაყდრევის ბორცვის მონაპოვარიც უჭერს მხარს, რომლის II ფენა შეიცავს ნახევამუს ზედა და შუა, ნისისის III და ნაწილობრივ II ფენის ანალოგიურ მასალებს და ამავე დროს ასახავს ბორცვზე ცხოვრების ერთ გარკვეულ ეტაპს.

აღსანიშნავია ბორცვზე აღმოჩენილი რიგი ნივთებისა, რომლებიც აქ მეტალურგიულ წარმოებაზე მიგვიანიშნებენ. ასეთებია: კოლხური ცულის ქვის ყალიბის ნაბეჭი (სიმაღლე — 10 სმ), რომელიც თხრობის ჩრდილო-დასავლეთ კიდესთან, ნაშალი, ბათქაშების ფენაში აღმოჩნდა და მისი დაკავშირება კონკრეტულ მასალასთან ვერ ხერხდება, ზემოხსენებული მინიატურული კოლხური ცულის ყალიბი (სიმაღლე 4,5 სმ) (სურ. 64), რომელიც აღმოჩენის მიხედვით ბათქაშებთან ნაბეჭობას უკავშირდება (აღმოჩნდა 0.5 მ სისქის ბათქაშთან ფენაში, რომელიც სრულიად უძრავი ჩანს), თიხის პატარა ტიველი, ბრინჯაოს ღეროები და სპლენდის პატარა ზოდი. ყველა ზემოჩამოთვლილი ნივთი ბათქაშებთან ფენაშია ნაპოვნი. აქვე აღმოჩნდა ოვალური მოყვანილობის ქვის ხელსაჭეკავი. ასეთი ხელსაჭეკავი ნასაყდრევეზე ადრეც იყო აღმოჩენილი⁶⁰.

საკულტო-სარიტუალო დანიშნულების უნდა იყოს ბათქაშების ნაშალი ფენაში აღმოჩენილი თიხის ქანდაკებათა ფრაგმენტები. სულ 4 ფრაგმენტია აღმოჩენილი. თიხის ცხოველის ტრასია წითლად გამოქვიანი თიხისაგან ნაყეთები, (სურ. 63), ორი ცი ცხოველის თავის სკულპტურული გამოთხატულება, ერთი ძლიერ დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქანდაკების ცალკეული დეტალი სავაობად რეალისტურად არის შესრულებული (დაკრეპილი კბილები, ყურები, ამოხიდილი თვალები), მინც ძნელდება მისი ატრიბუცია: დრუნჩის მოყვანილობით და სავთობს პროპორციებით იგი ხარის თავს ზემოგვარონებს, მაგრამ არა აქვს ხარის ძირითადი ატრიბუტი — რქები. ცხენის-

იგი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — *самый верхний пласт* (Б. А. Купчух. დასახ. ნაშრომი, გვ. 188) და რომელიც არაა ჩამოღებული მის მიერ გამოყოფილ სამ ძირითად ფენაში რიგში.

⁵⁹ თ. მიქელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 50 და შემდეგ.
⁶⁰ Б. А. Купчух. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

ვის კი მოკლე დრუნჩი აქვს. კისრზე მოკალღ-
რი უღელი (?) ადგას (სურ. 62).

ასევე საკულტო-სარიტუალო დანიშნულე-
ბის უნდა იყოს ბათქაშებთან ფუნის ქვეშ აღმო-
ჩენილი ბრინჯაოს ზინიანტურული შუბისპირი
(სურ. 64). ანალოგიური ნივთია აღმოჩენილი ნა-
ოხვაშუს ზედა ფენაში. ბ. კუფტინი დეტალურად
აღწერს მას და ამტკიცებს, რომ იგი ისრისპირი
კი არ არის, როგორც საერთოდ მიიჩნევენ, არა-
ზედ შუბისპირის მოდელია, რომელიც სრულიად
გამოუსადევარია თავისი პროპორციების გამო
მიზანში სასროლად. ბ. კუფტინის აზრით, ნივთი
საკულტო-სარიტუალო დანიშნულების უნდა
იყოს⁶¹. ასევე საკულტო-სარიტუალო დანიშნუ-
ლება უნდა ჰქონოდათ მინიატურულ კოლხურ
ბრინჯაოს ცულებს, რომელთა ყალიბიც იქნა გა-
მოკლენილი ბათქაშებთან ფენაში. რომ მათ არა-
ვითარი პრაქტიკული დანიშნულება არ შეიძლება
ჰქონოდათ ეს თავისთავად ცხადია. როგორც აღ-
ნიშნული გვქონდა, ანალოგიური ყალიბი,
ოღონდ უფრო დიდი ზომის (7—8 სმ სიგრძისა)
აღმოჩენილია სოფ. ჰალადიდან გათხრილ ერთ-
ერთ ნაშოსანხარზე ძე. კ. II კერამიკისთან ერ-
თად. აქვეა აღმოჩენილი მეტალურგიული ქურის
საქშენი მილი (მეტალურგიული წარმოების უტ-
ყუარი საბუთი)⁶². ამ აღმოჩენასთან დაკავშირე-
ბით თ. მიქელაძე აღნიშნავს: სრულიად აშკარაა,
რომ კოლხური კერამიკა და კოლხური ბრინჯაო

ერთი არქეოლოგიური კულტურის ორი შემად-
გენელი ნაწილია და ეს მოწმდება არა მარტო
მათი გავრცელების არეების თანხვედრით, არა-
მედ ქრონოლოგიური შესაბამისობითაც. თ. მი-
ქელაძის ამ მსჯელობას საყვებთ უკერს მხარს
ნასაყდრევის მონაპოვარიც, სადაც კოლხური
ცულის ყალიბი ასევე ძე კ II კერამიკისთან ერ-
თადაა აღმოჩენილი. აქვე მინდა დავუმატო, რომ
თუ კი მინიატურულ ცულების და შუბისპირე-
ბის საკულტო-სარიტუალო დანიშნულებას გაეი-
ზიარებთ, მაშინ მათი აღმოჩენა კოლხური კულ-
ტურის სხვა კომპონენტების გვერდით ამ კულ-
ტურის მატარებელი საზოგადოების რელიგიურ-
იდეოლოგიური ერთიანობის მაჩვენებლადაც შე-
იძლება მივიჩნიოთ.

ასეთია ძირითადად ის მასალა, რომელიც ნა-
საყდრევის ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერ-
დის შესწავლამ მოგვცა. მსჯელობა ძალიან შეზ-
ღულულ მასალაზეა დაფუძნებული, ბორცვის
შემდგომმა შესწავლამ შეიძლება ბევრი რამ შეც-
ვალოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ბორცვი წარ-
მოადგენს გვიანბრინჯაოს ხანის გორა-ნაშოსან-
ხარს, თავისი სახელოსნო წარმოებით და სა-
კულტო-სარიტუალო ფუნქციით — როგორც აკად.
ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: იყო დრო, როცა სა-
ზოგადოებას საცხოვრისი და კულტი ერთი ჰქონ-
და. კულტი ადამიანისთვის იგივე პრაქტიკა იყო
და იქვე სრულდებოდა, სადაც ადამიანი ბინად-
რობდა⁶³.

⁶¹ Б. А. Куптин. Дас. ნაშრომი, გვ. 177, 176.

⁶² ი. მიქელაძე. დას. ნაშრომი, გვ. 57.

⁶³ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის
საერთო გვ. VIII, გვ. 48.

ა. ბაზონა

ადრეანტიკური ხანის ოპროს საეურვები ვანის ნაქალაქარილას

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ოქრო-მკვდლობის ძეგლები ძველი კოლხეთის კულტურისა და ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან მხარეს აშუქებენ. სხვა არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად, ისინი ადასტურებენ კოლხეთის სახელმწიფოს განვითარების მაღალ დონეს ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში.

ვანის ნაქალაქარის ადრეანტიკური ხანის ოქროს ნივთები მრავალრიცხოვანებითა და ნაირსახეობით გამოირჩევა. მათი აღმოჩენის შემთხვევები, ჩვეულებრივ, წარჩინებულთა სამარხებშია აღმოჩენილი. ამდენად, ძველი კოლხეთის საზოგადოების მაღალი ფენის სამკაულთა რაგვარობის შესახებ ჩვენი წარმოდგენა ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ შესამჩნევად გაფართოვდა. ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV საუკუნეების ზოგიერთი ძეგლი კოლხური ოქრომკვდლობის დამახასიათებელი და განსასაზღვრელ ნიმუშებად გვესახება. ესენია: რომბულფორფიტებიანი დიადემები, საკიდების რამდენიმე სახეობა; ბოლოს, სასაფეთქლები და საყურეები, რომელთა განხილვას ამაჟამლ შევედგებით.

საყურეები ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სამკაულია. ჩვეულებრივ, თავსამკაულში ისინი მრავალრიცხოვანი ჭკუფებითაა წარმოდგენილი. საყურეები სამკაულთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელიც ყოფა-ცხოვრებაშიც ხშირად იხმარებოდა, განსხვავებით საპარადო და სარიტუალო ნივთებისაგან, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კიდევ დიდხანს ტარების ნიშნები.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყურების შემკობის ჩვეულება ძველი აღმოსავლეთიდან 6. განი III

მომდინარეობს¹. საერთოდ, ცნობილია, რომ სამკაულთა ტიპების შექმნასა და მათ ევოლუციაში ძველ აღმოსავლეთს დიდი როლი მიუძღვის. საყურეთა საინტერესო და მრავალფეროვანი ფორმებიც სწორედ ძველ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა.

ანტიკური ხანაში საყურემ, სხვა სამკაულთან ერთად, თავისი განვითარების გზა განვლო. შემუშავდა გარკვეული ტიპები, რომლებიც საყოველთაოდ გავრცელდა. შეიქმნა თავისებური ხასიათის ძეგლებიც. საერთო კულტურული ვითარება, საერთო შოლა და გაბატონებული გემოვნება თავის დაღს ასვამდა საიუველირო ხელოვნების ამ სახეობასაც.

საყურეები და სასაფეთქლები ადრეანტიკური ხანის კოლხური თავსამკაულის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ადრეანტიკური ხანის საყურეთა სამკაულ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშები ვანის ნაქალაქარიდან მომდინარეობს. ვანში აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით ადრეანტიკური ხანის კოლხეთში გავრცელებული ოქროს საყურეთა შემდეგი ჭკუფები გამოიყოფა: 1. სტივებიანი საყურეები; 2. ბურთულიანი საყურეები. აქ რამდენიმე სახეობაა გაერთიანებული: კვირულბურთულიანი, დაღარულბურთულიანი, დაცკარულბურთულიანი. ამ ჭკუფში შედის ბიპირამიდულსაყიდიანი საყურეც, რომელიც თავისი იერით, საერთო ელემენტებითა და აგებულებით პირიქითაა ზეგომართვლად საყურეებს უახლოვდება. 3. ნახევარმთვარისებური საყურეები. 4. ფიგურულსაყიდიანი საყურეები.

უმეტეს შემთხვევაში გაძნელებულია სამკაულების განსაზღვრა როგორც საყურეებიც ყურსა-

¹ E. Pottier. Inaues, DAGR, fasc. 25, Paris, 1898, გვ. 440—441.

კლებად. ისე სასაფეთქლებად². სიპარტივისათვის ჭკვიით ყველგან ვხმარობთ სახელწოდებას „საყურე“.

სხივებანი საყურეები

სხივებანი საყურეების აგებულების პრინციპი ასეთია: რგოლზე სხივისებურად დამაგრებული რამდენიმე ღერო, რომლებიც ცეარასგან შედგენილი პირამიდებით ან მტყენით ბოლოვდება.

სხივებანი საყურეები საკმაოდ ფართოდაა ვაკრცლებული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. გვხვდება ოქროს, ელექტრუმისა და ვერცხლის საყურეები.

საქართველოში ამ ტიპის საყურეთა აღმოჩენება უკვე კარგა ხანი მიიპრო მენციერთა ყურადღება (გ. ფილონოვი. ფ. ბაიერნი, პ. უეაროვა; ე. პრილივი, ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია, ალ. ჭაპხიშვილი, რ. კინეალოვი, გ. გობეჯიშვილი, ა. აფუაძე, ა. კახიძე, თთ. ლორთქიფანიძე და სხვები).

სხივებანი საყურეები პირველად ცნობილი გახდა გ. ფილონოვის მიერ აღმოჩენილ ყაზბეგის განძსა და ფ. ბაიერნის მიერ ყაზბეგშივე გათხრილ სამარხიდან. ამის შემდეგ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა დავაგროვეთ. სხივებანი საყურეების ნაწილი შემთხვევითაა ნაპოვნი (ბორი, სოხუმი, იკოთა). ზოგიერთი მომდინარეობს სამარხული კომპლექსებიდან (ვანი, ფიქვნარი, ბრილი, მოდინახე, ყაზბეგი, ბეშთაშენი) ან აღმოჩენილია განძთან ერთად (ჭითაწყალი, ფიქვნარი, მთისძირი, ყაზბეგი).

სხივებანი საყურეების შესანიშნავი ნიმუშები მოგვცა ვანის ნაქალაქარის გათხრებმა: 2 წყილი ოქროს საყურე აღმოჩნდა 1961 წელს სამარხ № 6-ში, ხოლო 3 წყილი საყურე — 1969 წელს სამარხ № 11-ში. ქვემოთ ეს საყურეები აღწერილია გარკვეული რიგით, მათი შემადგენელი ელემენტების სირთულიდან გამომდინარე.

1. საყურეები, ოქროსი, წყილი (სავ. № 3—69:391. იხ. № 10-975:54. სამარხი № 11, I მიცვალებულის თავის ქალსანი. სურ. 65—68).

ჩველზე სხივისებურად დამაგრებულია ექვსი ღერო, რომლებიც ცეარასგან შედგენილი პირამიდებთა და ფრინველის გამოსახულებებით

ბოლოვდება. საყურე რგოლი წრიულია, გახსნილი, ბოლოებში განხრეტული. წინაპირი გაბრტყელებულია. ღეროს დანარჩენი ნაწილი მრგვალ-განიკვეთიანია, მხოლოდ ხანგრძობთან გაფართოებული. წინაპირი უხვადაა ორნამენტირებული: შუა ნაწილში სიგრძე დარჩილულია ეიწრო ფირფიტა — სარტყელი, რომლის კიდევს დაკვენილი მავთულებია საზღვრავს, ხოლო მის ზედაპირზე ასევე დაკვენილი მავთულით შემოვლებული ბურთულებია დასმული. სულ 17 ბურთულაა. სარტყლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია დაკვენილი მავთულისგან გამოყვანილი მარყუებები; თითოეულ რიგში 24 მარყუეია. სარტყელი ქვემოთ ერთ-ერთ განაპირა სხივის ებჯინება.

სარტყლის ზემოთ, რგოლზე დამაგრებულია ვარდულა. ჩანს ვარდულას თექვსმეტი ფურცელი, რომლებიც სათანადოდ გამოკრილი ფირფიტაზე დარჩილული დაკვენილი მავთულითაა გამოყვანილი. ზედა ნაწილში ვარდულას ორ-ისამ ფურცელი ფრინველის სხეულითაა დაფარული. ვარდულას შუაგულში დაკვენილი და სადა მავთულებსაგან შემდგარი წრეები მონაცვლეობს, აქედან სამი წრე დაკვენილი მავთულისგანაა გამოყვანილი, ორი წრე — სადა მავთულისგან. მცირე წრეში, რომელიც დაკვენილი მავთულისგანაა მიღებული, მოთავსებულია ბურთულა.

ვარდულას ზედა მხარეს და ნაწილობრივ რგოლზე დასმულია ფრინველის გამოსახულება. ფრინველს სადა, ოღნავ მოკაუჭებული ნისკარტი აქვს, სადა მავთულით გამოყვანილი მრგვალი თვალები. თავი ერთიანად დაფარულია ცეარათი. სადა მავთულითაა მოხაზული ფრთებიც, რომლებსაც ირგვლივ ცეარა შემოუყვება. მკვარდზე ორ რიგად მოთავსებულია ცეარასგან შემდგარი სამკუთხედები. ჩვეულებრივ, სამკუთხედი ექვსი ცეარასგანაა შედგენილი, მაგრამ ადგილი აქვს გარკვეულ გადახრებსაც: გვხვდება სამი ცეარასგან შემდგარი სამკუთხედიც ან საერთოდ უწყსარიგოდ დამაგრებული ცეარა. ფრინველის ყელზე სადა მავთულია შემოვლებული. ბოლოზე დამაგრებულია მრგვალი ყუნწი, რომელიც სადა და დაკვენილი მავთულებში შეერთებითაა მიღებული — განაპირა ორ დაკვენილ მავთულს შორის მოჭყეულია სადა მავთული. ერთ საყურეზე ყუნწი ისეა დასმული, რომ ჩანს ფრინველის კული — ცეარასგან გამოყვანილი სამკუთხედი. მეორეზე კი ყუნწთან ცეარას მხოლოდ ერთი რიგი შეიმჩნევა.

² ამავე მუთითებდა ვ. სპირნიოვი. იხ.: Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, Тифлис, 1934, стр. 20.

სხივების მეორე მხარეს, ვიდრე გახერტილ ბოლომდე, საყურე რგოლი შემკულია დაკეპნილი და სადა მავთულების მონაცვლობით (4 დაკეპნილი და 3 სადა მავთულია) აქედან ორი, რომელი საზღვრავს ღეროს, გრძელდება ფრინველის გამოსახულებამდე; თუმცა სარტყლით და დაკეპულათი სრულიად დაფარულია (შეიძლება აქ მხედველობაში იყო მიღებული ღეროს გვერდხედი)?).

სხივები შედგენილია დაკეპნილი და სადა მავთულებისაგან, რომლებიც სივრძივია ერთმანეთთან მიმართული. თითოეული სხივი სწორკუთხაგანივცვეთიანია; დაკეპნილი მავთულები კუთხებშია მოთავსებული. სხივი ქვემოთ შედარებით მსხვილი დაკეპნილი მავთულითა შემოვლებული და ბოლოვდება ცეკასაგან შემდგარი პირამიდით. საყურეზე პირამიდების ოთხი რიგია. აქედან ერთი რიგი უშუალოდ სხივებთანა დაკავშირებული და შიგნითაა მოქცეული. დანარჩენი სამი მის ქვემოთ და გვერდებზეა განლაგებული. პირამიდა ოთხფერდაა; შედგენილია 25 ცეკასაგან; ვერძზე ცეკა ასეა განლაგებული: ოთხი, სამი, ორი, ერთი.

პირამიდები ერთმანეთთან გადაბმულია ერთ დამატებით ცეკრას საშუალებით, რომელიც ზოგჯერ უფრო მსხვილია პირამიდებში შემავალ ცეკრასთან შედარებით, განსაკუთრებით ქვედა რიგში. თითოეულ რიგში ექვსი პირამიდაა. დამატებით თითო პირამიდა მოთავსებულია კიდებზე იმეკარად, რომ უკანასკნელი ოთხივე რიგთანა დაკავშირებული. ამ განაპირა პირამიდებზე ნაწილობრივ სხივებზე ვხედავთ ფრინველის გამოსახულებას, რომელიც ზემოაღწერილის მსგავსია, მხოლოდ არ აქვს კელი და უფრო. ერთ-ერთი ფრინველის თვალი სადა მავთულით შემოვლებული ცეკრათია აღნიშნული. სხვა შემთხვევაში კი თვალი მხოლოდ სადა მავთულითა შემოხაზული.

ერთ საყურეზე რგოლის ქვედა ნაწილი და ორი სხივი გაღუნულია; ხოლო ერთ-ერთ ფრინველს ნისკარტი ჩაქულებილი აქვს.

სიგრძე — 76 მმ; 81 მმ. საყურე რგოლის უდრე — 44 მმ, 42,5 მმ. ვარდულას დმ — 11 მმ. სხივების უდიდესი გაშლა (პირამიდებიანად) — 46 მმ, წონა=33,5 გ და 33,5 გ³.

³ ამ საყურეა აღმოჩენის პირობების ვათაღისწინებ საშუალებას იძლევა ისინი სასაფრთხევად იქნას წარმოდგენილი. სამარხში მათთან ერთად აღმოჩნდა ჰერმულბურ

2. საყურეები (დაიდმის საკედები?), ოქროსი, წყვილი (სავ. № 3 — 61 : 662,37—38. ინვ. № 11—974 : 3. სამარხი № 6. სურ. 69—72).

რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია ექვსი ღერი, რომლებიც ცეკრასგან შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება.

საყურე რგოლი, მსგავსად № 1 საყურეებისა, წრიულია, გახსნილი, ბოლოებში გახერტილი. წინაპირზე ორივე მხარეს ჩამჭრივებულია დაკეპნილი მავთულისაგან გამოყვანილი მარყუევები; თითოეული რიგში 21—21 მარყუეა. შუა ნაწილში სივრძივ დარჩილია დაკეპნილი და სადა მავთულები — ორ სადა მავთული შორის მოქცეული დაკეპნილი მავთული. მარყუეის ბოლოები სადა მავთულის ქვეშაა მოთავსებული. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში მარყუეის ერთი ბოლო პირდაპირ მავთულთანაა მიბჯენილი. ერთ-ერთ საყურეზე შეინიშნება, რომ სადა მავთული სამი ნაწილისაგანაა შედგენილი. რჩილუს ხაზი იკითხება.

ამ ორნამენტული სარტყლის ზემოთ საყურე რგოლზე დამაგრებულია ვარდულა. ის მსგავსია ზემოაღწერილისა, მხოლოდ ნულთმეტყურცილიანია. ვარდულას ზემო ნაწილში, ერთ საყურეზე პირდაპირ ფურცელზე, ხოლო მეორეზე — ორ ფურცელ შორის, დარჩილია სადა მავთული შედგენილი რგოლი. ერთ შემთხვევაში რგოლი და ვარდულა სხვადასხვა სიბრტყეზეა განლაგებული; მეორე შემთხვევაში — ერთ სიბრტყეზე. რგოლში გაყრილია ძეწკვი, რომელიც წარმოადგენს ორად მოკეცილი მარყუეების — „რგოლების“ რიგს. ორად მოკეცილი მარყუეი ერთიანი სადა მავთულისგანაა მიღებული: მავთული რეინისებურადაა მოხარისი (ბოლოები ერთმანეთთან მიმართულია და უმეტეს შემთხვევაში შეერთების ადგილი არ ჩანს) და გადაკეცილია შუაში. გადაკეცვა ხდება, საწყისი რგოლის გამოკლებით, რგოლში გატარების შემდეგ. ამ წესით მიღებული ძეწკვი რთული წუნლის შთაბეჭდილებას ტოვებს — ოთხივე მხრიდან იკითხება. ძეწკვის უკანასკნელი რგოლი შედარებით დიდი მოგნისა, რადგან საყურე რგოლში გასაყურადაა განკუთვნილი. ერთ საყურეზე 34

თულიანი საყურეებზე, რომლებიც in situ შედარებით შევნიშნა და ოდნავ დაზიანებულია. ვარყუეული დროის შემდეგ სამარხში ნივთების ჩაწოლის შედეგად სხივებთან საშუალების ასეთი მდგომარეობის დაკავება ვაფრთხილებს მათ სასაფრთხევად განსაზღვრას.

„არგოლია“ (ანუ ორადმოკეცილი მარყუტი), მეორეზე — 35.

ორნამენტული სარტყელი ქვემოთ ერთ-ერთ განაპირა სივს ებჯინება. საყურე რგოლი მეორე განაპირა სხივიდან ვერცე გახვრტილ ბოლოზე შეკვლია სიგრძივ დარჩილული დაკეპნილი და სავა მათულებს მონაცელებით (4 დაკეპნილი და 3 სავა მათულია). ორი განაპირა დაკეპნილი ზეთული ფრქველდება ვარდულად და ნაწილობრივ ვარდულას ქვეშ ექცევა⁴.

სხივები მსგავსად № 1 საყურებისა, შედგენილია დაკეპნილი და სავა მათულებისაგან; ქვევით შედარებით მსხვილი დაკეპნილი მათულითაა შემოვლებული და ბოლოვდება ცეარასაგან შეზღვარი პირამიდების რიგით. როგორც აღნიშნული იყო, პირამიდები ერთმანეთთან გადაბმულია თითო დამატებითი ცეარას საშუალებით. ერთ-ერთ საყურეზე გადაბმის ადგილი ორ შემთხვევაში გარღვეულია. სხივები საყურე რგოლთან უხეშადაა მიჩილული.

სიგრძე — 68,5 მმ; 68 მმ. საყურე რგოლის დიამ — 37 მმ. ვარდულას დიამ — 10 მმ. სხივების უღრღისი გამწა (პირამიდებიანად) — 37 მმ. ძეწყვის სიგრძე — 124 მმ, 123 მმ. წონა = 26,6 გ და 26,6 გ⁵.

3. საყურეები. ოქროსი, წყვილი (სავ. № 3 — 61: 662, 35—36. ინვ. № 11—974: 4. სამარხი № 6. სურ 76, 73), მსგავსი ზეზოალფერილისა, ზოლოდ უძეწყო და ხუთსხივიანი. განსხვავებაა აგრეთვე ზომებში და ცალკეულ შემადგენელ ელემენტთა რაოდენობაში: ორნამენტული სარტყელზე მარყუტების რიცხვი 17-ია. ვარდულები თორმეტფურცლიანია; ვარდულას შეზავული ასე-

⁴ საფიქრებელია, აქ მხედველობაში იყო მიღებული საყურე რგოლი ვერცხლი. დაკეპნილი მათული ქვევითან განიპყიერა მარყუტებს შორისა. რაც კიდევ უფრო აძლიერებს ორნამენტული სარტყელს მხატვრულ შთაბეჭდილებას. მისხლდალ ამისა, ოქრომწველი მინის აბრეკონობით, რა ნაწილისა სხივთა დაკეპნილი მათულის გამოყენებისას.

⁵ წ. ხომარაის ეს სამკელი განსაზღვრავს აქვს დიამეტრს სიკვდილად, ძეწყვის შეზავული დადგამაზე (H. B. Хоштария. Археологические раскопки в Ваги, Кавказской археологической комиссии, II, т. II, 1962, გვ. 71). ცნობილია აგრეთვე მათულები, როდესაც საყურეზე დადგამილია ძეწყვი უწყვეტად რაღს ასრულდება ნაზიციებოდა უფრო ნიკაზაზე (A. П. Манцевич. серия из станиц Крымск. II. Археологический сборник, вып. 2. Л. 1961, გვ. 157. A de: Castello Aliseda, RLV, 6. I, გვ. 100—101. ტომ. 27—28).

ვე დაკეპნილი და სავა მათულებისაგან შემდგარი წრეების მონაცელებას წარმოადგენს, ცენტრში ცეარათი, მხოლოდ აქ დაკეპნილი მათულის ორი წრეა.

საყურეების სხივები მკერდ დეფორმირებულია. ერთ-ერთი ვარდულას გვერდები მოკეცილია. ერთ საყურეზე ორნამენტული სარტყელი და თითო საყურე რგოლის ღერო შეკეთებულია — გარღვეული ადგილი ერთმანეთთან შეერთებულია (რჩილვა უხეშია).

სიგრძე — 56 მმ, 57 მმ. საყურე რგოლის დიამ — 29 მმ, 30 მმ. ვარდულას დიამ — 7 მმ. სხივების უღრღისი გამწა — 30 მმ. სავ. № 3 — 61 662,35-ის წონა = 12,1 გ. სავ. № 3 — 61: 662,36-ის წონა = 11,7 გ.

4. საყურეები, ოქროსი, წყვილი (სავ. № 3 — 69: 424. ინვ. № 10—975: 86. სამარხი № 11, II მიცელებულს თავის ქალასთან, სურ. 74, ზემოთ).

რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია ხუთი ღერო, რომლებიც ცეარათი შედგენილი მტევენებით ბოლოვდება.

საყურე რგოლი წრიულია, გახსნილი, ბოლოვებახვრტილი; მრგვალგანიკეეთიანი. ნახვრეტებთან ღერო ოდნავ გაფართოებულია. ერთ საყურეზე ბოლოები ერთმანეთზე გადადის; რგოლი დეფორმირებულია. მეორეზე ბოლოები ერთმანეთთანაა მისული.

თითოეული სხივი ოთხი დარგხილი მათულისაგანაა შემდგარი, მათულები ერთმანეთთან მოთავსებულია გრესხის ურთიერისწინააღმდეგო მიმართულებით და მიღებულია წნული. სხივი ბოლოვდება ოთხი შედარებით მსხვილი ბურთულასაგან შემდგარი მტევენით. თითოეულ ბურთულაზე კი ოთხი უფრო პატარა ზომის ბურთულასაგან შემდგარი მტევენია დამაგრებული. ბურთულების დასმავი უზუსტობანი შეიშინება.

ერთ საყურეს დაკარგული აქვს ორი მტევენი; მეორე საყურეზე სამ მტევენს აკლია თითო ცეარა.

საყურეებს ეტყობა ხმარების კვალი — ცეარა ზოგან გაეცეითლია — მოგლეუებულია.

სიგრძე — 46 მმ; 47 მმ. საყურე რგოლის დიამ — 25,5 მმ; 26 მმ. სხივების უღრღისი გამწა — 25,5 მმ; 27 მმ. წონა = 7,0 გ და 6,9 გ.

5. საყურეები, ოქროსი, წყვილი (სავ. № 3 — 69: 426. ინვ. № 10—975: 89. სამარხი № 11, III მიცელებულს თავის ქალასთან. სურ. 74, ქვე-

მთ). მსკავსი № 4 საყურეებისა, მხოლოდ ოთხ-სხივიანი.

ერთი საყურის რგოლს დეფორმირებულია და ბოლოვანი ერთმანეთზე გადაის.

საყურეებზე შეიმჩნევა ხნარების კვალი — ცვარა ოდნავ მოგლუვებულია. ერთი საყურის მტევენებს მოთეთრო ელფერი გადაკარავს (დანალექი?).

სიგრძე — 41 მმ, 45 მმ. საყურე რგოლის დმ — 22 მმ, 24 მმ. რგოლის ღეროს დმ — 1 მმ. სხივების უღიდესი გაშლა — 25 მმ. წონა = 4,0 გ და 4,1 გ.

დასავლეთ საქართველოში ზემოაღწერილი საყურეებისათვის საქმად მრავალი პარალელი მოიპოვება.

ოქროს სხივებიანი საყურის აღმოჩენა და-დასტურებულია სოფ. მთისძირში. ვანის ნიმუშების მსგავსად, ბოლოვებავრეტლო, ვარლუათი და ორანამენტული სარტყლი შემეკლ წრიულ რგოლზე სხივისებურად დამაგრებულია ექვისი ღერო, რომლებიც ცვარათი შედგენილი პირამიდებთ ბოლოვდება. ვანის საყურეებისგან განსხვავებით, აქ ვარლუას ფურცლები გამოყვანილია სადა მათულოთ, ამასთან, თითოეულ ფურცელზე დასმულია თითო ცვარა, ბოლო ცენტრში — რამდენიმე ცვარა. სარტყლზე ვანის საყურეების მსგავს მარჯულებს ვედავთ, მაგრამ სხვაგვარია შუა, სიგრძივი ზოლი, რომელიც სადა და დაეკნილი მათულებს მონაცელოობას წარმოადგენს. ვანის ძეგლებთან შედარებით, შეინიშნება ახალი ელემენტი — სხივებისა და რგოლის შეერთების ადგილას გარკვეული რიგით დასმული ცვარა.

სხივებიანი საყურეები ცნობილია ფიქვენარი-დან⁷. აქაც, ძირითადად, ვანის საყურეებისთვის დამახასიათებელი ელემენტებია — წრიული რგოლი, ოთხი ან ხუთი სხივი, ცვარათი შედგენილი მტევენები. განსხვავება შეინიშნება ცალკეულ დეტალთა დამუშავებაში. მაგალითად, „ვარლულა“ წარმოადგენს დეკარხიბი მათულებით გამოქვანილი სპირალს, ენტრში პატარა ბურთულოთ.

⁶ Н. В. Хостарна. Археологические исследования в Ваши и Ванском районе в 1952 г., Мш., ტ. II, თბ., 1959, გვ. 155, ტაბ. XI, I; XIV, I, 2.

⁷ ა. ანაბიძე. მასალები აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მსკ., ტ. IV, თბ., 1965, გვ. 69, 89, 90. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. № 30—57/1—3.

სოხუმში შემთხვევით აღმოჩენილი სხივებიანი ოქროს საყურე ახლოს დგას ვანის სადარგოლიან საყურეებთან⁸.

დასავლეთ საქართველოში სხივებიანი საყურეები გვხვდება აგრეთვე ბრილის სამაროვანზე (ონის რ.)⁹, მოდინახეს ციხის სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილი ადრეანტიკური ხანის სამარხში (სახჩერეს რ.)¹⁰.

ოქროს ერთი სხივებიანი საყურე მომდინარეობს ბორიდან¹¹. ამ საყურის რგოლზე წამოკმულია მათულოსაგან გამოქვანილი მარჯუევი (შემთხვევითი დეტალი?), რაც ანალოგიურ საყურეებზე არ შეგვხვედრია.

ვანის საყურეებისაგან განსხვავებული ჩანს ჰითაწყლის განძში აღმოჩენილი ვერცხლის ერთი საყურე. მის თაიისებურებას წარმოადგენს რგოლზე დამაგრებული ბრტყელი ფირფიტა, რომლდანაც „გამოსხივებულია“ ხუთი ღერო, დამოლოებული ცვარათი შედგენილი მტევენებით. ამავე განძის მეორე საყურეზე კი, ჩვეულებრივ, ხუთი ღეროა სხივისებურად რგოლთან დამაგრებული¹².

აღმოსავლეთ საქართველოში სხივებიანი საყურეების შესანიშნავი ნიმუში წარმოდგენილია ყაზბეგის განძიდან¹³. ეს საყურე თავისი შემეკულობის ელემენტებით ახლოს დგას ვანში აღმოჩენილ საყურეებთან.

⁸ საყურე ინახება სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში, ინვ. № Z-438.

⁹ გ. ანაბიძე. მშ. ა. არქეოლოგიური ძეგლები საქართველოში, თბ., 1962, ტაბ. XLVII.

¹⁰ ფ. ნ. ა. დ. ი. ა. ძე. სახჩერის რაიონში წარმოებულ გათხრების ანგარიში, სამეცნიერო სესია, შილდენის საქართველოში, 1968 წელს წარმოებულ საყურე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბილისი, 1969, გვ. 22.

¹¹ З. М. Придики. Новые кавказские клады, МПР, вып. 34, Петроград, 1914, стр. 98—99. Р. Книжалоу. Золотая серьга из Борн (Грузин), СГЭ, VII, A., 1955, стр. 32—33.

¹² Б. А. Купчичи. Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, стр. 45; Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, გვ. 4—6. ტაბ. 1, 2. ინახება ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

¹³ Г. Д. Филимонов. О доисторической культуре в Осетии. Приложение к XXXI тому Известий Общества Любителей Естественной, Антропологической и Этнографической, М., 1878, გვ. 31., F. Bayerl. Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien Zeitschrift für Ethnologie, Berlin, 1885, VII, გვ. 343.

სხივებიანი საყურე ცნობილია სოფ. იკოთი-
დან (ქსნის ხეობა, ლენინგრის რაიონი)¹⁴.

ერთი ვერცხლის საყურე მომდინარეობს ბეშ-
თაშენის სამარონიდან (ქვაუთი № 17)¹⁵. აქაც
წრითი ბოლოებგახრტილ რგოლებზე, ქოთა-
წყლის საყურის მსგავსად. დამაგრებულია ბრტყე-
ლი ფირფიტა, რომლიდანაც გამოსხივებულია ხუ-
თი წრილი, მრგვალგანივკეთიანი, დაკბილული
ღერა (რგოლი ნაკლებია).

ამრიგად, ზემოთ აღწერილი ეანის საყურე-
ბისთვის დამახასიათებელია წრითლი მონუანი-
ლონის რგოლი¹⁶, რომელიც აუცილებლად გახს-
ნილია და ბოლოებგახრტილი, ნახვრეტებთან
ოდნავ შესკლებული. ადრეანტიკური ხანის სა-
ქართველოში ასეთი რგოლები არსებობენ რო-
გორც დამოუკიდებელი სამკაული და ისინი სასა-
ფოტლებად და მიხნული. ზოგიერთ შემთხვევაში
არ არის გამოჩენილი, რომ ისინი საკიდდაკარ-
გული სამკაულის ნაწილს წარმოადგენდნენ. ამ
შემთხვევაში ისინი სხივებიანი საყურეების ერთ-
ერთ შემადგენელ ელემენტად წარმოგვიდგება.

გახსნილი ბოლოებგახრტილი ოქროს, ვერ-
ცხლისა და ბრინჯაოს რგოლები ცნობილია ადრე-
ანტიკური ხანის სამარხებსა და ეპლურულ
ფუნდებიდან (ეანი¹⁷, დალაგამი¹⁸, ითხისი¹⁹,
ბრილი²⁰, თბილისი (დიდუბე)²¹, ზემო აეკალა²²,

წყნეთი²³, სამთავრო²⁴, კამარახევი²⁵, თეთრიწყა-
რო²⁶, შავსაღარა²⁷, ბეშთაშენი²⁸, ზემო გოს-
ტიბე²⁹). პროფ. ბ. კუფტინი გახსნილი რგოლები
გახვრტილი ბოლოებში ფრინველის თავის სქემა-
ტურ გადმოცემას ხელდას³⁰. საფორეგულია, ნახ-
ვრეტებში შესაკრავად გაყრილი იყო ძაფი, შეიძ-
ლება თმაც³¹.

ელონის რგოლები ხანაში გახსნილი ბოლოებგახ-
რტილი რგოლები გამკრალია. ამ დროისთვის
დამახასიათებელი ხდება გახსნილი ბოლოებგა-
ხვრეტრევი წრითლი რგოლები, რომლებიც, მარ-
თალია, იშვიათად, უკვე ადრეანტიკურ ხანაში
იჩნენ თავს (ითხისი³², თეთრიწყარო³³).

გახსნილი ბოლოებგახვრტილი რგოლები, სა-
ცილიანი ან საცილის ვარეშე, საქართველოს ვარეთ
კვებულა ანტიკურაქანას (მინგეჩაური)³⁴ და ჩრდი-
ლო კავკასიაში (ზემო რუთხა)³⁵, აღსანიშნავია,
რომ ასეთი რგოლები შემორჩენილია დაღესტნის
ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც (ზოგჯერ რგო-
ლიდან გამოსხივებულია რამდენიმე შვერილი,
რაც სხივებიანი საყურის გამოძახილად მიგვაჩი-
ნია).

²² დ. ქო რ ი ძ ე. ერთი ქვაუთის სამარხული ინვენ-
ტარი ზემო აეკალდან. სსშ. ტ. 19, თბ., 1956, გვ. 215—
226.

²³ რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. კამარახევის სამარხიანი. შსკა.
ტ. 11, თბ., 1958, გვ. 50.

²⁴ ა. ბო ხ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

²⁵ რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 21—22, სურ.
13.

²⁶ ა. ბო ხ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 36, ტაბ. 5, 2.

²⁷ სოფ. შავსაღარასთან ახლოს (თეთრიწყაროს რაიონი)
1953 წელს შემოხვევით აღმოჩნდა 3 სამარხი.

²⁸ ბ. ა. კუფტინი. Арх. раскопки в Триплетти,
გვ. 42, სურ. 40, 4.

²⁹ ტ. ნუ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი. გოსტიბეს ხეობის არქეო-
ლოგიური ძეგლები. სსშ. ტ. XVI, თბ., 1950, გვ. 19—32.

³⁰ ბ. ა. კუფტინი. Материалы к археологии
Колхиды, ტ. II, გვ. 46.

³¹ მსგავსი შემთხვევები დასტურდება დაღესტნის ეთ-
ნოგრაფიულ სინამდვილეში.

³² ე. ვ ა გ რ შ ი ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 59.

³³ ა. ბო ხ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 31, 35.

³⁴ Г. М. Асланов, Т. И. Голубкина, Ш. Г. Садыгадзе. Каталог золотых и серебряных пред-
метов из археологического раскопок Азербайджана,
Баку, 1966, გვ. 11—14, ტაბ. 1, 2, 4, 5, 6, 8.

³⁵ Е. И. Крупнов. Древняя история Северо
Кавказа, М., 1960, 35/16—18.

¹⁴ იხილეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.
¹⁵ Б. А. К у ф т и н. Археологические раскопки в
Триплетти. გვ. 45, სურ. 40; 2. მ. შ ვ ა ნ დ ე ლ ი. დ ა ე ლ ი ა
ნ ი ძ ე. თრიალეთის სამარხები. კატალოგი 1, თბ., 1968,
გვ. 124, № 384, ტაბ. 12. იხილეთ საქართველოს სახელმწი-
ფო მუზეუმში. იხ. № 169—64: 39.
¹⁶ იგივე თქმის სხვა ანალოგიური ძეგლების შესახებ.
გაიხილოს უნდა წარმოდგენილი ოქროს სხივებიანი სა-
ყურე მოდანახდან (სახვრეტის რაიონი), რომელსაც ოეალ-
ური რგოლი აქვს. ეფორობო, წრითლი რგოლი კარგად
ეთანხმება ღეროების სხივისებურად გამოს.
¹⁷ ნ. ხოტბარაია. ზეპური ცნობა. სამწესობარო, ეანის
არქეოლოგიური ექსპედიციის შივრ მოპოვებულ მასალებში
ჩვენთვის საინტერესო რგოლების მიყვება ქერქერობით
ვერ მოხარბდა.
¹⁸ Б. А. К у ф т и н. Материалы и археологии
Колхиды, ტ. II, გვ. 46. ტაბ. 14/3. 6. 9.
¹⁹ ი. ვ ა გ რ შ ი ძ ე. ელანისტური ხანის მასალები სა-
დაღესტანში. სსშ. ტ. 27-В, თბ., 1967, გვ. 59.
²⁰ გ. ვოგოშვილის ვაჭრები, იხ. ა. ბო ხ ა ძ ე.
ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად.
შსკა. ტ. 11, თბ., 1963, გვ. 36—37.
²¹ Б. А. К у ф т и н. დასახ. ნაშრ., გვ. 46.

კავკასიის გარდა, გახსნილი ბოლოვებებზე-ტილი რგოლები ჩვენთვის ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, ეს რგოლები ძვ. წ. I სასწლეულ-ის შუა ხანებში კავკასიაში გავრცელებული სა-ყურთა დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩითვა-ლოს, გარდა ამისა, ვითვალისწინებთ რა საქარ-თველოში ასეთი რგოლების, საკიდით თუ საყი-ლის გარეშე, აღმოჩენის ხშირ შემთხვევებს, და-საშვებად მიგვაჩნია ამ ტიპის რგოლების დამზა-დებებში საქართველოს გავლენა (საქართველოდან მათი გავრცელება თუ არა).

ვანის სხივებიანი საყურეების მეორე დამაზა-სითაველი ნიშანია რგოლის შემკობა ვარდულა-თი და ორნამენტული სარტყლით. ვარდულას ფურცლით გამოყვანილია შესაბამისად გამოქ-რილ ფორფიტაზე დაკვეცილი მათეულების დარ-ჩრეთით; შუაგული კი — დაკვეცილი და სადა მე-თულებით შედგენილი წრეების მონაცვლობით, დაკვეცილი ცვარებით. სარტყელი უხედაა შემკული ორნამენტული მათეულით და ცვარებით. კიდების გასწვრივ მათეულით გამოყვანილი მარჯუებია ჩამწკრივებული, შუაში — მათეულშემკვლეული ცვარა. № 11 სამარხში აღმოჩენილ სხივებიან სა-ყურეებზე ფრინველს მინიატურულ გამოსახულ-ებებსაც ვხედავთ.

საქართველოს გარეთ საიუველირო ხელო-ვნების ძეგლებში რგოლის შემკობის ეს პრინციპი უცნობია. მართალია, ვარდულათი შემკულ საყუ-რეებს ვხვდებით უფრო ადრეულ ხანაშიც (როდო-სტლი ქუთუთის საყურეები)³⁶, მაგრამ ეს უკანას-კნული, სრულიად სხვა ხასიათის ძეგლებია. ასევე განსხვავებულ ნიმუშებს წარმოადგენენ შემდგომი დროის — ძვ. წ. V ს-ის დასასრულისა და განსა-კუთრებით, ძვ. წ. IV—III სს. ბერძნული ვრ-დულიანი საყურეები³⁷. ამ უკანასკნელებთან კლ-ბური ვარდულიანი საყურეების შედარება (აქ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ სხივებიანი საყურეები) ამკლავებებს კოლხური ძეგლების ტი-პოლოგიურ და სტილისტურ თავისებურებებს.

³⁶ G. Beccati. *Oreficerie antiche*, Roma, 1955, ტაბ. XXXI, 178, 181 (ძვ. წ. VIII—VII სს.); ტაბ. XXXIII, 194—195; ტაბ. XXXIV, 198—199. R. A. Hig-gins. *Greek and Roman Jewellery*. London, 1962. სურ. 18, C; 19, B, E და სვ.

³⁷ G. Beccati. დასახ. ნაშრ. №№ 383, 385, 399, 401, 402. BMCJ, №№ 1666—1668; 1845—1846; 1855—1856 და სვ. B. Segall. *Museum Benaki, Katalog der Goldschmiedarbeiten*, Athens, 1938, №№ 37, 52—53.

ამასთან ვთვლით, რომ საყურე რგოლებ-ზე ვარდულას ელემენტი ადგილობრივ ნიდაგებ-უნდა წარმოშობილიყო.

ასანინიშანია, რომ ფრინველის გამოსახუ-ლებებიც, რომლებიც ვანის ერთ წყვილ საყუ-რეზეა მოცემული, გავრცელებული იყო საქარ-თველის ანტიკური ხანის ოქრომძებლობაში³⁸.

სხივებიანი საყურეების ერთ-ერთი დამაზა-სითაველი და ამავე დროს საყურეთა ამ ქვე-ფის განმსაზღვრელი ნიშანია რგოლებზე სხივისე-ბურად გაშლილი ღეროების უძრავად დამაკრე-ბა. საყურეებზე ღეროების — სხივების რიცხვი 4-დან 6-მდე მერყეობს. სხივები შედგენილია სადა, დაკვეცილი ან გრებილი მათეულებისაგან (უფრო ზუსტად, ოთხი გრებილი მათეულის შე-ერთებით მიღებულია სხივი, რომელიც წწლის შთაბეჭდილებას ტოვებს). ნიშანდობლივია ისიც, რომ სხივების გაშლა ვარდულაში კანონზომიერ-რებით ხდება — სხივები თითქმის ტოლფერად სამქუთხობის ჩარჩოებშია მოქცეული.

სხივები ბოლოვდება ცვარათი და მოზრდი-ლი ბურთულით შედგენილი მტევნებით ან მხოლოდ ცვარათი შედგენილი პირამიდებით.

ცვარათი შედგენილი მტევნები ხშირად გუხვდება საერთოდ ანტიკური ხანის სხვადასხვა სამკაულზე. მათ ღრმა ფესვები აქვთ გავრცე-ლი წინანტიკურ საიუველირო ხელოვნებაში³⁹. სა-ქართველოს ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანანტიკური ხანის ძეგლებშიც მათი მრავალი მაგალითი გვხვდება. ვანსაყურეთაგან ხშირად მტევნები სწორედ საყურეების დაბოლოებადაა წარმოდგენილი.

³⁸ საერთოდ. ფრინველთა გამოსახვას ძველ კოლხე-თი უკავშირებენ „დიდი დენის“ კლდის (Г. А. Лор-тиклипаиндэ, К истории древней Колхиды. Тб., 1970, გვ. 118). ზუსტად, წარჩინებულ კოლხი თავსაქაულში ამ ელემენტს შემთხვევით ხასიათს აქვინდა. ფრინველის გა-მოსახულებებს ძველთა კლდეების ბალზებზე (ახ. წ. II ს.), რომლებიც აერთიანებ თავსაქაულს უნდა წარმოადგენდეს (გ. ლ. მთათიძე. *კლდეების სამაროები*, თბ., 1957, გვ. 35, 168, ტაბ. 1, 2; 15, 2. შარ. დ. გ. Капакаძე, Изображение знаков власти на древнегрузинских монетах. КСИИМК. вып. 66, 1956, 83—84, 86).

³⁹ E. Coche de la Ferté. *Les bijoux antiques*, Paris, 1956, გვ. 45, ტაბ. V, 2. (დაახლოებით ძვ. წ. 1500 წ.). G. Beccati. დასახ. ნაშრ., ტაბ. LXX, № 290 a-b (ძვ. წ. X ს.), № 291 (ძვ. წ. IX ს.). R. A. Hig-gins. დასახ. ნაშრ., გვ. 88, ტაბ. 12, F (ძვ. წ. 1400—1100 სს.). იგივე სურ.: BMCJ, № 470. R. A. Higgins. დასახ. ნაშრ., გვ. 117, სურ. 19 (ძვ. წ. VII—VI სს.).

მაეთულის ანაბეჭდები შეიმჩნევა. ერთ საყურეზე 14 ფურცელი ჩანს (ერთი ან ორი ფურცელი დაფარულია ორნამენტული სარტყლით), მეორეზე — 15. ვარდლას შუაგული დაკეპნილი და სადა მათულებისაგან შემდგარი წრეების მონაცელობას წარმოადგენს; დაკეპნილი და სადა მათულებისგან შემდგარი ორ-ორი წრეა. დაკეპნილი მათულისგან შემდგარი მცირე წრეში მოთავსებულია ცეპრა.

ბურთულა ჰვირულია. შედგენილია ექვსი სარტყლისაგან. ღერძის გასწვრივ წაგრძელებულია. სარტყელთაგან ხუთი ერთნაირია. მიღებულია დაკეპნილი და სადა მათულების ერთნაერთთან მონაცელობით (სამი დაკეპნილი და ორი სადა მათულია). მეექვსე, პირიზონტალური და შუა წელზე შემოყოლებული სარტყელი, წარმოადგენს ვიწრო სადა ფირფიტას, რომლის კიდეები დაკეპნილი მათულითაა შემოსაზღვრული, ხოლო ზედაპირი ცეპრათი შედგენილი პირამიდებითაა შემუქლი. ერთ საყურეზე 15 პირამიდა, მეორეზე — 14. პირამიდა საფერდაა. ფერდზე ცეპრა ასეა განლაგებული: სამი, ორი, ერთი. ბურთულას ორივე მხარეს — ზემოთ და ქვემოთ დაკეპნილი და სადა მათულებისგან შემდგარი წრეები. დაკეპნილი მათულებით შედგენილ წრეებს შორის სადა მათულით შემდგარი წრეა მოქცეული. ამასთან, მცირე ზომის წრე შედარებით მსხვილი დაკეპნილი მათულისგანაა მიღებული.

ბურთულას მთელ სიგრძეზე გადადეს ღერძი, რომლის ბოლოები ბურთულას გარეთ გამოდის და, ერთი მხრივ, დაკეპნილია რგოლთან, ხოლო, მეორე მხრივ, ქვემოთ, ცეპრათი შედგენილ პირამიდებთან. ღერძი მიღებულია ფირფიტის წრიულად დაკეცვასა და მისი ბოლოების ერთნაერთთან პირჩლივის საშუალებით. (რჩილის ხაზზე დაკეპნილამ მკვიფრუანა სწორედ იმ დასკვნად, რომ ბურთულას შიგნით მოქცეული ღერძი და მის გარეთ გამოსული ცილინდრები ერთიანია). რჩილის ხაზი, განსაკუთრებით ერთ საყურეზე, ირიბად მიიმართება.

ღერძზე, ზედა ნაწილში, რგოლთან გადაბმის ადგილზე, დაკეპნილი მათულისგან შექრული წრეა. ასეთივე წრეა ქვემოთ, პირამიდებთანაც, მაგრამ აქ ღერძი წრეში გადის და უშუალოდ დაკეპნილია შიგნით მოქცეულ ერთ პირამიდასთან, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს.

ცეპრასგან შედგენილი პირამიდები ისეა ერთნაერთთან დალაგებული, რომ ერთიანი დაფანჯრუ-

ლი პირამიდის შთაბეჭდილება იქნება. სულ 6 პირამიდაა, აქედან ერთი შიგნითაა მოთავსებული. თითოეული პირამიდა შედგენილია 25 ცეპრასგან, ოთხფერდაა, ფერდზე ცეპრა განლაგებულია შემდგენიარად: ოთხი, სამი, ორი, ერთი.

საყურეები ოდნავ დეფორმირებულია: ერთ საყურეზე რგოლი დაქუცვნილია; მეორეზე — ვარდლას ცალი მხარე გადაეცილია.

სიგრძე — 66 მმ; 66 მმ. რგოლის უღ. დმ—30 მმ. ვარდლას დმ — 8 მმ. ბურთულას დმ (პირამიდებიანი სარტყელით) — 16 მმ. ღერძის დმ — 3 მმ. წონა — 12,1 გ და 12,5 გ.

2. საყურე, ოქროსი (საგ. № 3—69:291. ინგ. № 10—975:3. სამარხი № 9. სურ. 75).

საყურე რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ჰვირული ბურთულა, რომელიც ცეპრათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება.

საყურე რგოლი მსგავსია ზემოაღწერილისა. წინაპირზე რვა დაგრეხილი ღეროა სიგრძელ დაჩილული, რომლებიც ერთნაერთთან მოთავსებულია გრეხვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით და წწელის ოთხი რიგია შექმნილი. ზედა ნაწილში დამაგრებულია ვარდულა. მისი ფურცლები სადა მათულებითაა დაფარული, რომელიც სათანადოდ გამოჭრილ ფირფიტაზეა დარჩილული. ფირფიტა დატვირთულია და ფურცლები, მათულის შიგნით, ოდნავ ამოზოტულია. ფირფიტის კიდეები კარგადაა ჩამოსწორებული. ვარდულა თორმეტურცლიანია, შუაგული სადა მათულით გამოყვანილი სპირალს წარმოადგენს; ცენტრში პატარა ბურთულაა დამაგრებული.

ჰვირული ბურთულა შემდგარია შვიდი სარტყლისაგან, რომელთაგან ექვსი შედგენილია დაგრეხილი და სადა მათულებით — ორი დაგრეხილ მათულს შორის მოქცეულია ერთი სადა მათული. ერთ სარტყელზე პატარა ნალექით — მათულის მცირე ფრაგმენტია შერჩენილი. მეშვიდე, პირიზონტალური და შუაწელზე შემოყოლებული სარტყელი, წარმოადგენს ვიწრო სადა ფირფიტას (ბოლოების შეერთების ადგილი კარგად ჩანს), რომლის კიდეები დაგრეხილი მათულითაა შემოსაზღვრული, ხოლო ზედაპირი შემქულია ცეპრათი შედგენილი პირამიდებით. თითოეული პირამიდა ხუთი ცეპრასაგანაა შედგენილი (ოთხი, ერთი), მაგრამ აქვამდე ზედა ნაწილი მოვლუვებულია (დიდხანს ხმარების ცეპრი) და ერთი ცეპრა უშეტეს შემთხვევაში აღარ იკითხება. თავდაპირველად სარტყელზე 32 პი-

რამიდა იქნებოდა დასველი. ბურთულას შემკრავი სარტყლები ჰორიზონტალურთან კუთხეს ქნის (ამიტომ ბურთულა ბიკონუსს ემსგავსება), ხოლო ბოლოებით ორივე მხარეს დაკეცილი მავთულით შედგენილ წრფეებთანაა მირჩილული. ორ ადვილას სარტყელი შედარებით მოკლეა და წრესთან ერთი ბოლოით მისული არ არის.

ბურთულას მთელ სიგრძეზე გასდევს ლერძი, რომლის ბოლოები ბურთულას ვარჯთ გამოდის და ერთი მხრივ, დაკავშირებულია რგოლთან, ხოლო მეორე მხრივ, ქვემოთ, ცვარათი შედგენილ პირამიდებთან. ლერძი მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცივსა და მისი ბოლოების ერთმანეთთან მიჩილივის საშუალებით. ლერძზე, საუბრე რგოლთან და პირამიდებთან გადამბის ადგილას, დაკეცილ მავთულებსგან შეკრული წრეებია შეპოვებული. ქვედა წრე დაფარულია პირამიდებით; ზედა წრესა და ლერძის ნაწილზე შევი ფირფიტა დანადრეა.

ცვარასავან შედგენილი პირამიდების გადაბმის შედეგად ერთიანი დაფარული პირამიდა იცვრება. სულ ხუთი პირამიდაა. თითოეული შედგენილია 13 ცვარასავან, ოთხფერდაა. ფერდზე ცვარა ასეა განლაგებული: სამი, ორი, ერთი. აღსანიშნავია, რომ შიდა მხრიდანაც ცვარა გამოსჭევივს. ცვარა ნაწილობრივ მოკვეთებულია.

საყურის რგოლი ოდნავ დეფორმირებულია. ჰორიზონტალურ სარტყელზე დაკარგულია: ერთი პირამიდა მთლიანად; მეორე პირამიდიდან — სამი ცვარა.

სიგრძე — 79 მმ. რგოლის უდ. დმ — 50 მმ. ვარდულის დმ — 11,5 მმ. ბურთულას დმ (პირამიდებთან სარტყლით) — 22 მმ. ლერძის დმ — 3 მმ. წონა = 11 გ.

ზემოაღწერილის ანალოგიური ოქროს საყურე აღმოჩენილია ითხვისში ძვ. წ. V ს-ით დათარიღებული სმარსხში⁴⁵.

ბ. დაღარუ ლ ბ უ რ თ უ ლ ი ა ნ ი ს ა ყ უ რ ე ე ბ.

1. საყურე, ოქროსი (სავ. № 3—62: 381. ინვ. № 11—974: 69. სამარხი № 8. სურ. 78). რგოლზე უძრავადაა დამკრებელი ბურთულა, რომელიც ცვარათი შედგენილი მტეწებით ბოლოვდება.

საყურე რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოებგაბჯერტილი, სადა, მრგვალგანიკვეთიანი. ნახევრებთან ღერო ოდნავ გაფართოებულია.

⁴⁵ ენაბა მოკეცილია რ. აბრამიშვილი.

ბურთულა სფეროსებური მოყვანილობისაა, ლერძზე, სიმაღლეზე, ოდნავ წვარძელებული. შემკულია 12 ვერტიკალური ღარით და შუა წელზე დარჩილული ჰორიზონტალური სარტყლით, რომელიც მიღებულია ვიწრო ფირფიტისაგან. ნათლად ჩანს მისი ბოლოების შეერთება. სარტყელზე ცვარათი შედგენილი პირამიდებია დამკრებული. თითოეული პირამიდა ხუთი ცვარასავანაა შემდგარი (ოთხი, ერთი). ბურთულა მიღებულია ორი, უკვე დაღარული, ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩილივის შედეგად, მსგავსად ტანდალარული სფეროსებური მიძიებისა. რამდენიმე შემთხვევაში ნახევარსფეროებზე ღარების მიმართულმა აცდენილია. რჩილის ხაზი არ ჩანს — მოქცეულია ჰორიზონტალური სარტყლის ქვეშ.

ბურთულა საყურე რგოლსა და ცვარათი შედგენილ მიღევანს ცილინდრებით უკავშირდება, რომლებიც მტეწულია ფირფიტის წრიულად მოკეცივის შედეგად. შემკულია ჰორიზონტალური ღარებით, ხოლო კიდებზე — დაკეცილი მავთულით.

საყურის დაბოლოება — მტეწანი მიღებულია ცვარათი შედგენილი 5 პირამიდისგან. თითოეული პირამიდაც ხუთი ცვარასავანაა შემდგარი.

სიგრძე — 52 მმ. ბურთულას დმ — 15 მმ. ცილინდრების სიგრძე — 5 მმ. წონა = 4,3 გ.

2. საყურე, ოქროსი (სავ. № 3—69: 431. ინვ. № 10—975: 96. სამარხი № 11, IV მიცეალეზის თავის ქალის ქვეშ. სურ. 79).

მსგავსია ზემოაღწერილისა. რგოლი ასევე ოვალურია, გახსნილი, ბოლოებგაბჯერტილი, მრგვალგანიკვეთიანი, სადა.

ბურთულა შემკულია ვერტიკალური ღარებით (12 ღარი); შუა წელზე ჰორიზონტალური სარტყელია დარჩილული, რომელზეც ცვარათი შედგენილი პირამიდებია (II პირამიდა) დამკრებული. ბურთულა მიღებულია ორი უკვე დაღარული ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩილივის საშუალებით (ნახევარსფეროებზე ღარების მიმართულმა აცდენილი არ არის). რჩილის ხაზი ჰორიზონტალური სარტყლის ქვეშაა მოქცეული, ზოგჯერ მისი გარჩევა მაინც ხერხდება.

ბურთულას ზემოთ და ქვემოთ დაბალი სადა ცილინდრებია, რომლებიც მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეცივის შედეგად (ბოლოები ერთმანეთთანაა მიჩილილული, რჩილის ხაზი კარ-

გად იკითხება). ცილინდრებს კიდევებზე დაგრენილი მავთული შემოუყვება. ცილინდრებით ბურთულა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, რგოლთან, მეორე მხრივ, ცეარათი შედგენილ პირამიდებთან.

ზედა ცილინდრი საყურე რგოლთან დამაგრებულია ვიწრო ფიფიტის საშუალებით, რომელიც რგოლზეა ჩამოცემული და დარჩილული, ხოლო მისი ბოლოები ცილინდრის შიგნითაა მოქცეული. ამის გარკვევა ხერხდება საყურის დაზიანების გამო.

ქვედა ცილინდრი ბოლოვდება მტენით — ხუთ, შედარებით დიდი ზომის ბურთულაზე მოთავსებულია უფრო პატარა ბურთულებისგან შემდგარი პირამიდები.

საყურე ვატეხილია — ცალ-ცალკეა საყურე რგოლი, ცილინდრი და ბურთულა მტენიანად. რგოლი დეფორმირებულია, დაკარგულია პატარა ზომის ბურთულებისგან შემდგარი ერთი პირამიდა. ბურთულას პირამიდულ სარტყელზე ერთ-ერთ პირამიდას აკლია ერთი ცეარა.

საყურეს ეტეხება ზნარების კვალი; ბურთულას სარტყელზე ცეარა ზოგან ვაცეითლია — მოგლეკებულია.

სიგრძე — 50 მმ. ბურთულას დმ (პირამიდებიანი სარტყლით) — 16 მმ. ცილინდრის დმ — 4 მმ. რგოლის დეროს დმ — 1,5 მმ. წონა = 5 გ.

ანალოგიური ოქროს საყურეები მომდინარეობს ფიქვენარიდან⁴⁶. ბრინჯაოს დადრული ბურთულა (საყურის ფრაგმენტი?), მსგავსი ვანის საყურეების დადარული ბურთულებისა, აღმოჩენილია ბ. კუფტინის მიერ დაბლაგომის ერთ-ერთ ქვეერსამარში (სამარის № 25, DT* 503)⁴⁷. ბურთულა შემავალია ვერტიკალური ღარებით; შუაწელზე შემოუყვება სარტყელი, რომელზეც ცეარას იმიტაციაა ვხვდებით. ბურთულას ზემოთ და ქვემოთ დაბალი ცილინდრებია მოთავსებული. ქვედა ცილინდრი პატარა ზომის ბურთულებისგან შემდგარი მტენით ბოლოვდება.

ბ. კუფტინი ამ სამკაულს საზღვრავდა როგორც საყურედ, ისე ყელსაბამის საკიდად.

⁴⁶ ა. ვახიძე, აღმოსავლეთ შვეიცარიისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიქვენარის ბერძნული სამაროვანი). ბათუმი, 1975, გვ. 60. ტაბ. XXI, I. საწყებაროდ, ატორისათვის უცნობია ვანის ნიმუშები და ფიქვენარის საყურეებს უშუალო ანალოგია მოიხსენიო აქ აქვს.

⁴⁷ Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т. II, гл. 50, таб. XV, 14.

გ. და ცეარულ ბურთულიანი საყურე.

საყურე, ოქროსი (ინვ. № 9—52 : 1. შემთხვევით აღმოჩნდა 1952 წელს რადენ ახვლედიანის კარმიდამოში, შიშის ხენის დროს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ შესყიდულია ნინო რადენის ასულ ახვლედიანი-ინჭირველიანს. სურ. 80—81).

რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ბურთულა, რომელიც ცეარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება.

საყურე რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოვებახერტილი. დერო მრგვალგანივკეთიანია, ნახევრებთან გაფართოებული. წინაპირი გაბრტყელებულია, სადაც სიგრძე მავთულდება დარჩილული — სამი დაკეცილი მავთული მონაცელებს ორ სადა მავთულთან.

სარტყლის ზემოთ დამაგრებულია ვარდულა, რომლის ფურცლები სათანადოდ გამოქრილ ფირფიტაზე დარჩილული დაკეცილი მავთულითაა გამოყვანილი. ვარდულა ცხრაფურცლიანია. შუაფელში მოთავსებულია დაკეცილი და სადა მავთულბოძის შემდგარი წრეები, ცენტრში ცეარათი.

ბურთულა სფეროსებური მოყვანილობისაა. მიღებულია ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მიჩრილვის შედეგად. შუა წელზე დარჩილულია პირამიდულური სარტყელი. ნახევარსფეროთა რჩილვის ხაზი მის ქვეშაა მოქცეული. სარტყელზე დამაგრებულია ცეარათი შედგენილი პირამიდები (12 პირამიდა). ერთი ცეარა შემთხვევით ცალკეა დასმული. სარტყლის ორივე მხარეს მოთავსებულია ცეარათი შემდგარი სამკუთხედები ოთხ-ოთხ რივად. ცეარა ფაქიზადაა დასმული, მაგრამ მკირე ციომიღება მიანც შეიძინევა — ზოგჯერ ცეარა არათანაბრადაა განლაგებული, ან ორნავ ადენილია სამკუთხედის მოხაზულობას.

ბურთულა საყურე რგოლთან და ცეარათი შედგენილ პირამიდებთან დაკავშირებულია ცილინდრებით, რომლებიც ფირფიტის წრიულად მოკეციის შედეგადაა მიღებული. ცილინდრებს კიდებებზე, გადაბმის ადგოვას, დაკეცილი მავთული შემოუყვება.

ცვარასგან შედგენილი პირამიდები ისეა ერთპირობითად გადახვეული, რომ ერთიანი დაფა-ჩრული პირამიდა იკვრება⁴⁸.

სიგრძე — 40 მმ, ბურთულას დ — 12 მმ. წონა — 4 გ.

დაცვარულბურთულიანი ოქროს საყურეები ცნობილია აგრეთვე ყაზბეგიდან, რომელთა საყურე რგოლი განსხვავებით ვანის საყურესგან, წრიულია, სადაა და ბოლოები ვახუშტურები. გარდა ამისა, განსხვავებაა ზომებსა და პროპორციებში⁴⁹.

ბ. ბ. პირამიდულსაკიდიანი საყურე

საყურე, ოქროსი (საე. №3—61:662,30. ინე. №11—974:6. სამარხი №6. სურ. 82).

რგოლზე უძრავადაა დამაგრებული ბიპირამიდული საკიდი, რომელიც ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება.

საყურე რგოლი ოვალურია, განსწილი, ბოლოებზეაჩერებული. ბოლოებთან ღერო გაფართოებულია, ღეროს ნაწილი მრგვალგანიკვეთიანია; წინაპირი გაბრტყელებულია, შემკულია დაკეპნილი და სადა მათულებს მონაკლებობით შემდგარი სარტყლით (სამი დაკეპნილი და ორი სადა მათულია). ორნამენტული სარტყლის ზემოთ ჯარდულაა დამაგრებული. ვარდულა რაფურტულიანია. ფურტლებს სათანადოდ გამოკრილ ფირფიტაზე დაკეპნილი მათულითაა გამოყვანილი. მათუთა თხელია, უკანა მხარეს სათლად ჩანს ვივთლის ანაბეჭდები, ხლო რამდენიმე შემთხვევაში ფირფიტა ფურტლებს შიგინი ჩახეულია. ვარდულას შუაგული წარმოადგენს დაკეპნილი და სადა მათულებისგან შემდგარი წრეების მონაკლებობას; ორი სწვ დაკეპნილი მათულისგანაა შედგენილი, ერთი — სადა მათულისგან. ცენტრში ცვარაა მოთავსებული.

საკიდის ბიპირამიდულ განსაზღვრა პირობითია. ის შედგენილია დაკეპნილი მათულების სარტყლებისგან; თითოეულზე ორ-ორი დაკეპნილი მათულია. პირიზონტალური სარტყელი შედარებით განიერია — აქ ორ დაკეპნილ მათულს

შორის სადა მათულია მოქცეული; მის კუთხეებში ცვარასგან შედგენილი პირამიდებია დამაგრებული. თითოეული პირამიდა ოთხფერდაა; შემდგარია 13 ცვარასგან. ცვარა ასეა განლაგებული: სამი, ორი, ერთი.

სარტყლებს შორის შიდა ადგილი სადა ფირფიტებითაა შევსებული. ერთად კუთხე სარტყლებთან ფირფიტით ზუსტად არ არის გამოყვანილი. აღინიშნება აგრეთვე ფირფიტის დაკეპნების (შემდგომი შეკეთების?) შემთხვევა. ბიპირამიდის ვარდ ფურტები ლიაა.

ბიპირამიდა საყურე რგოლთან და ცვარათი შედგენილ პირამიდებთან — საყურეს დაბოლოებასთან — დაკავშირებულია ცილინდრებით, რომლის კიდეებზე, გადაბმის ადგილას, დაკეპნილი მათულია შემოვლებული. საყურე ბოლოვდება ერთიანი დაფაჩრული პირამიდით, რომელიც ცვარასგან შედგენილი პირამიდების შეერთების შედეგადაა მიღებული.

სიგრძე — 58 მმ. რგოლის უღ. დ — 31 მმ, ვარდულას დ — 7 მმ. წონა = 6,5 გ.

საყურეა განსწილი რგოლს უკავშირდება ოქროს საკეპლის ერთი ფრაგმენტი, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება (ინე. № АВМ — 48/91). სამწუხაროდ, მუზეუმის საინვენტარო დათარიღი აღნიშნული არ არის მისი აღმოჩენის ადგილი. ვფიქრობთ, ეს ის ნივთია, რომელიც ბ. კუფტინმა აღმოაჩინა ეშერის რაიონში ე. წ. ვერეშაგინის ბორცვის აღმოსავლეთ ფერზე⁵⁰.

ვიწრო ფირფიტისგან შეკრულ რგოლზე დამაგრებულია ცვარათი შედგენილი პირამიდები (18 პირამიდა), თითოეულ პირამიდაში ხუთი ცვარა (ოთხი, ერთი). ცვარას დასმავი ცთომილება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეინიშნება — პირამიდა ხუთის ნაცვლად ექვსი ცვარასგანაა შემდგარი. რგოლის კიდეებს, ორივე მხარეს, დაკეპნილი მათული შემოუყვება.

რგოლის შიდა მხრიდან შემორჩენილია ფირფიტის ნაწევრები. ერთ ადგილას შესაძლებელია ხდება ორი ვერტიკალური ღარის გარჩევა.

⁴⁸ საყურე გამოკვეთა ნ. ხომარამ. თ. ნ. ვ. ხოშთარია. Археологические исследования в Ване и Ванском районе в 1952 году, т. 4. XIV, с. 30 შტარია. ანტიკურ ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, ტ. 22/4.

⁴⁹ П. С. Уварова, Археология, МС, V, გვ. 17, №18 323—324. ტ. 1V.

⁵⁰ Б. А. Куптнн. Материалы и археологичн Ксхлиды, Т. 1, Тб., 1949, გვ. 18—19, სურ. 3, XIII, 4. ეს ნივთი ბ. კუფტინზე დაყრდნობით მიხსენიებულია აგრეთვე ი. ვორონოვის ნაშრომში: Ю. Н. Воронов. Археологическая карта Абхазии, Сухуми. 1969. გვ. 50. № 87, ტ. XLVII, № 28.

რგოლის სივანე — 2 მმ; დმ — 14 მმ.

რგოლი ზუსტ ანალოგიას პოულობს ბურთულიან საყურეთა სარტყელებთან და, საფეკრბელოა, სწორედ ამ ტიპის საყურის ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, ნივთის ძლიერი დაზიანების და ღარების ფრაგმენტულობა ამის მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

ბ. კუფერინის მიერ ეს ნივთი გააზრებულია სფეროსებრი მძივის სარტყლად და მოცემულია მისი რეკონსტრუქცია¹.

ამრგვად, ზემოაღწერილი საყურეების ერთ ჭკუფში გაერთიანება მოხდა მათი აგებულების მსგავსების მიხედვით — რგოლებზე უძრავად დამაგრებული ბურთულა, ცვარათი შედგენილი პირამიდებით თუ მტკეპნით დაბოლოებული.

მსგავსა აგრეთვე ცალკეული ელემენტები.

1. რგოლი, როგორც წესი, ოვალურია, გახსნილი და ბოლოებზეგაბრტეილი, ნახევრეტეპთან ღერო ოდნავ გაფართოებულია. დაღარებულბურთულიან საყურეზე ღერო სადაა. სხვა შემთხვევაში კი შემკულია კოლხური ოქრომკვედლობისთვის დამახასიათებელი ორნამენტული სარტყლით და ვარდულოთ.

2. საყურის საკილები — ბურთულები — მიუხედავად გარეგნული სხვადასხვაობისა (კვირული, დაღარული, დაცვარული), სფეროს მიზანულობას უნალოვდება (ერთი საყურე ბიპირამიდულსაკილიანია). საყურის შუაწელებზე შემოვლებული სარტყელი წარმოადგენს ვიწრო სადა ფირფიტას, შემკულია ცვარათი შედგენილი პირამიდებით. სარტყლის კიდეები დაკეპნილი მავთულითაა შემოსაზღვრული, გარდა დაღარებულბურთულიანი საყურეებისა, სადაც ერთგვარი ტენდენციაა შემკულობის გამარტკეპვისა.

3. ყველა შემთხვევაში ბურთულა (ან ბიპირამიდული საკილი) რგოლთან და საყურის დაბოლოებასთან — ცვარათი შედგენილი პირამიდებთან ან მტკეპანთან — დაკეპნილია ცილინდრების საშუალებით (კვირულბურთულიან საყურეებზე ცილინდრები წარმოდგენილია ბურთულას ღერძების მონაკვეთებით), რომლებიც მიღებულია ფირფიტის წრიულად მოკეპვის შედეგად. ცილინდრებს კიდეებზე ვადაბმის ადგილას, დაკეპნილი ან დაჯერული მავთულით შემოუსყვება, რითაც ოსტატურადაა დაფარული რჩილის ხაზი. ერთ საყურეზე ხედავთ ღარების რიგსაც (დაღარულბურთულიან საყურეზე № 8 სამარხიდან).

¹ B. A. KyფepиH. დასახ. ნაშრ. სურ. 3.

4. საყურეები ბოლოებზე ცვარათი შედგენილი პირამიდებით, რომლებიც ერთიანი დღეაწერილი პირამიდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ან მტკეპნი.

აღსანიშნავია, რომ საყურე რგოლის შემკობა ვარდულოთ და ორნამენტული სარტყლით მახასიათებელი ჩანს აღრანტიკური ხანის საქართველოში სხვა სახის საყურეებისთვისაც. გარდა ამისა, ფართოდ გავრცელებული იყო ცვარათი შედგენილი მტკეპნები ან პირამიდებიც (ამის შესახებ იხილეთ ზემოთ). მაგამ ამ შემთხვევაში არსებობს ყველა განხილული ელემენტთა ერთიანობა და მათი ურთიერთკავშირი, რაც განსაზღვრავს საყურეთა ამ ტიპს. ამის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მივიჩნით ბიპირამიდულსაკილიანი საყურეც ამ ჭკუფში გაკეპვითააგებინა.

ბურთულიანი საყურეების გაფრტყლება ჭერჭერობით ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით შემოსაზღვრება. უდიდესი ნაწილი საყურეებისა ვანის ნაქალაქარიდან მომდინარეობს. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში დატული რგოლის ბურთულიან საყურის სარტყლად განსაზღვრისას ერთგვარად გაფართოვდება ამ ტიპის საყურეების გავრცელების არე. ნიშანდობლივია, რომ ეს ნივთი მტკად ახლოს დავს (გარდა საერთო აგებულებისა, ასევე ტექნიკური და მხატვრული დამუშავებით) ვანში აღმოჩენილი ოქრის სხვა ნივთებთან, რაც მათ ერთ სახელოსნოდან (მისი სახელოსნოდან?) წარმოშობაზე უნდა ვითვითებდეს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მსგავსი საყურეების აღმოჩენის ფაქტები ჩვენთვის უცნობია. საერთოდ, საყურეთა განხილული ჭკუფი ანტიკური ხანის საეპელოური ხელოვნების ძეგლების ფონზე თავისებური ჩანს². ამ სამკაულებზე ვხედავთ ზოგიერთ ელემენტს, მსგავსად სხივებთან საყურეებისა, რაც დამახასიათებელია აღრანტიკური საქართველოს ან მხოლოდ კავკასიის საეპელოური ხელოვნებისათვის (ბოლოებგახვერტილი რგოლები, შემკული ვარდულოთ და ორნამენტული სარტყლით). საყურეთა ამ ჭკუფს ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნევთ.

² მაგალითად. ბრინჯაოს კვირულბურთულიანი საკილები გავრცელებულია კლასიკური და ელინისტური ხანების სამხრეთში, მაკედონიასა და მცირე აზიაში. მაგამ ისინი სრულად განსხვავებულ ძველთა რიტუსს განეგუთნებათ. P. A. Mandry. Collection H. Stahalos. Strasbourg, 1953, სურ. 35; 3.6. ტაბ. XXVI, 169.

ბურთულიანი საყურეები გვხვდება როგორც ქალის, ისე მამაკაცის სამარხებში. საერთოდ, ცნობილია, რომ საყურე მამაკაცის სამკაულოა. აჩქელოლოგიური მასალების გარდა ამას მუთითუბან წერტილობითი წყაროებიც (ქსენოფონტე, არისტოტელე, სვიდას ლექსიკონი და სხვა)⁵⁴. ანტიკური ხანის სამარხებში ხშირადაა დადასტურებული, რომ ქალები ატარებდნენ ორ საყურეს, მამაკაცები — ერთს⁵⁵. ამის კარგ ილუსტრაციას იძლევა ვანში 1969 წელს გათხრილი № 9 და № 11 სამარხებიც. წარჩინებულ კოლხ ქალს სამარხში ჩატანებული ჰქონდა ჰვირულბურთულიანი წყვილი საყურე, წარჩინებულ კოლხ მემარს კი ამავე ტიპის ერთი საყურე. აღსანიშნავია, რომ № 11 სამარხში IV მიეკვლეულს აღმოაჩნდა ერთი დიდარულბურთულიანი საყურე. ჩონჩხი, თავის ქალის გარდა, არ გადარჩენილა. მიეკვლეულის სქესის განსაზღვრა იქნებ სწორედ ამ ერთი საყურის საშუალებით გახდეს შესაძლებელი.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ბურთულიანი საყურეთა გავრცელება ძვ. წ. V საუკუნეში შემოიფარგლება. სამარხი № 11 დათარიღებულია ძვ. წ. V საუკუნის შუა ხანებით⁵⁶. სამარხი № 8 — ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრით⁵⁸. გამონაკლის წარმოადგენს კოლხი გომორის სამარხი (№ 9), რომელიც ფლიბე II მკედონელის (ძვ. წ. 359—336 წ.წ.) ოქროს სტატერით, შველკიანი კანთაროსით და სინაპურ ამფორაზე შემორჩენილი დამლით საქაობ ზუსტად დათარიღდა ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრის დასაწყისით⁵⁷. მაგრამ ეს არ გამოირჩევა სამარხში ძვ.

წ. V საუკუნის საყურის არსებობას⁵⁸. როგორც საყურის აღწერის დროსაც აღინიშნა, ის აშკარად ამჟღავნებდა დიდიან ტარების კვალს: ჰვირული ბურთულას ჰორიზონტალურ სარტყელზე დასმული პირამიდის ზედა ნაწილი მოგლუვებულია — ზედა ცვარა უმეტეს შემთხვევაში აღარ იკითხება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყურის უქანა მხარეს, ე. ი. იმ ავილაას, რითაც საყურე სხეულს თუ თავსაბურავს ეხებოდა. გარდა ამისა, დაკარგულია — ავარდნილია ერთი პირამიდა, აგრეთვე რამდენიმე ცვარა. საყურის დაბოლოებაზეც ცვარა ნაწილობრივ მოგლუვებულია.

ნახევარმთვარისებური საყურეები

ეს ჩვეუმი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი წყვილი საყურეთი, რომელიც აღმოჩნდა წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში 1961 წელს (სამარხი № 6).

ხშირად ამ ტიპის საყურეებს ნახევარმთვარისებურებს უწოდებენ⁵⁹. ჩვენც ამავე სახელწოდებას ეხმარობთ.

საყურეები, ოქროს, წყვილი (სავ. № 3—61 : 662,31—32. იხ. № 11—974 : 5. სურ. 83—84). განსწილი ბოლოებგახვერტილი ოვალური მოყვანილობის რგოლი ქვემოთ თანდათან ნახევარმთვარისებურ გამსხვილებულში გადადის.

რგოლის ნაწილი სადაა, მრგვალგანიცვეთიანი, ნახვრეტებთან გაფართოებული. წინაპირი გაბრტყელებულია და შემკულია ვარდულათი და ორამბნებული სარტყელით. ვარდულა შეიღფურცლიანია. ფურცლები სთიანადოდ გამოჭრილი ფირფიტაზე დარჩილული დაექნული მავთულითაა გამოყვანილი. ფირფიტა თხელია. უქანა მხარეს შემოწმუნება დაექნული მავთულის ანბებულები. განსხვავებით ზემოაღწერილი საყურებისგან, ფურცლები მეჩხარადაა განლაგებული. ვარდულას შეუაველი წარმოადგენს დაექნული

⁵⁴ ითხილის სამარხი, სადაც აღმოჩნდა ვანის ნიშნის მსგავსი ჰვირულბურთულიანი ოქროს საყურე, ძვ. წ. V საუკუნის განეკუთვნება. რ. აბრამიშვილი. ითხილის აჩქელოლოგიური ექსპედიციის შედეგების ანგარიში. სამსკირო სესია. მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოსწენებაში ანოტაციები, თბ. 1963, გვ. 96.

⁵⁵ კ. ჰალაჯის მიხედვით — Bauchige Halbmondform. K. Hadaczek, დასბ. ნაშრ., გვ. 21 და შდლ. რუსულ სამსკიროს რეტრატურაში გვხვდება — „серьги формы казачки“.

⁵⁶ E. Pottier, Inaures..., გვ. 441 და შდლ.

⁵⁷ ჩრდილო შავზღვისპირეთის მასალებზე დაყრდნობით ამის ვერაღება მოაქცეს: ჯერ კიდევ ტრალსკომო, კონდაკომა და ჩივანკა. Antiq. de la Russie merid., გვ. 57. იხვეუ სურათთა შუა დაწვრილსპირეთის ძვ. წ. IV—III სს. სამარხების მხედვით იხ. В. Г. Петренко. Культура племен правобережья Среднего Приднепровья в IV—III вв. до н. э. МИА, 96, გვ. 77.

⁵⁸ ით. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურძეძე, ვ. თორღორღეაძე, ა. ჰუციანი. აჩქელოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანს I, გვ. 239.

⁵⁹ რ. ფუთურძეძე, ნ. ხოშტარია, ა. ჰუციანი. ვანის ნაქაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი 1961—1974 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხიის შედეგები, ვნ I, გვ. 120.

⁶⁰ ით. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურძეძე, ვ. თორღორღეაძე, ა. ჰუციანი, დასბ. ნაშრ., გვ. 203.

ლი და სადა მავთულებით შედგენილი წრეების მონაცვლეობას (დაკეპნილი მავთულის ორი და სადა მავთულის ერთი წრეა), ცენტრში პატარა ბურთულაოი. ორნამენტული სარტყელი მიღებულია ოთხი გრებიანი მავთულისგან, რომლებიც ერთმანეთთან შოთავებულია გრების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით და ამგვარად წნულის ორი რიგია შექმნილი.

ნახევარმთვარისებური გამსხვილება მიღებულია სათანადოდ გამოტიფრული სადა ფირფიტების — ორი ნახევრის ერთმანეთთან მიჩილიყის შედეგად. რჩლევის ხაზი დაფარულია სადა მავთულებით. გვერდებზე ორივე მხარეს ვიწრო სადა ფირფიტებით გამოყვანილია ნახევარმთვარისებური გამოსახულებები. ამ ფირფიტების ზემოთ და ქვემოთ ცვარათი შედგენილი რომბებია განლაგებული: ზედა ნაწილში სამ-სამი რომბია, თითოეული ოთხი ცვარასგან შედგენილი; ხლო ქვემოთ — ხუთი ან ექვსი რომბია, თითოეული ცხრა ცვარასგან შემდგარი. ერთ რიგად განლაგებული ცვარა და ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედები (თითოეული სამკუთხედი სამი ცვარასგან შედგენილი) მოთავსებულია სადა მავთულთან ორივე მხარეს.

ნახევარმთვარისებური გამსხვილება ბოლოვდება კონუსებით, რომლებიც სადა მავთულის ხეივებს წარმოადგენს. ერთი მხრივ კონუსი დაკეპნიერებულია ორნამენტულ სარტყელთან; მეორე მხარეს — საყურე რგოლის გახვრეტულ ბოლოში გადაის.

სიგრძე — 37 მმ დ 39 მმ. ვარდულას დმ — 8 მმ. წონა = 6 გ და 6 გ.

ნახევარმთვარისებური ფორმის საყურეები ფართოდაა გავრცელებული ძველ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში⁶⁰. მისი ქრონოლოგიური საზღვრებიც საკმაოდ დიდია — ძვ. წ. VIII—IV სს.

კ. პაღაჩევი ამ ტიპის საყურეთა წარმოშობას იონიის უკავშირებდა⁶¹.

ნახევარმთვარისებური საყურეები ცნობილია ურარტუს პლაქა თეიშებიანიდან (ძვ. წ. VII ს.)⁶². ბ. პოტროვისის შესაძლებლად მიჩა-

ნია მათი ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მომდინარეობა⁶³.

ამ ტიპის საყურეებს ხშირად ეხვლებით ჩრდილო შავიზღვისპირეთსა (ტალაევის ყორღანი⁶⁴, დორტობა⁶⁵, ოლბია⁶⁶, ნიმფეა⁶⁷) და დნეპრისპირეთში⁶⁸.

ასანინშაგია, რომ ზოგჯერ სამარხში ერთ მიცვალეულთან დადასტურებულია რადღენიმე წყვილი საყურის ერთად აღმოჩენა (ნიმფის ერთ სამარხში იყო რვა ცალი; ოლბიაში — ექვსი ცალი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში ისინი თავსაბურავის ან დიადემის საყურეებია⁶⁹.

ვანში აღმოჩენილი ნახევარმთვარისებური საყურეები განსხვავდება ჩვენთვის ცნობილ ამ ტიპის სხვა საყურეებისგან. მართალია, ისინი იმეორებენ ასე ფართოდ გავრცელებულ საყურეთა ფორმას, მაგრამ ამავე დროს გარკვეულ თავისებურებებსაც აქვდავენებენ. საყურის ბოლოების გახვრეტა და ნახვრეტებთან დეროს ოღნე გამსხვილება, წინაპირის ვარდულათი და ორნამენტული სარტყელი შემოკლა უცნობია ამ ტიპის სხვა საყურეებისთვის, ხოლო მეტად დაძაბასათებელი ჩანს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადრეანტიკური ხანის საქართველოს საიუველირო ხელოვნებისთვის⁷⁰. სწორედ ამ ნიშნე-ნიხი ნაუკ АН. ССР в Государственного Эрмитажа, 1939—1949, Кармир-Блур, вып. 1, Ереван, 1950, გვ. 83; სურ. 53; მსოჯე, Искусство Урарту, Л., 1962, გვ. 87, სურ. 53; E. Coche de la Ferté, დასახ. ნაშ., გვ. 36, სურ. 4.

60 B. V. Piotrovski, Teichbaini, centre ouravien du VII-e siècle av. n. ère et ses rapports avec les autres pays du monde antique. კრებულები: Le rayonnement des civilisations grecque et romaine sur les cultures périphériques. Paris, 1965, გვ. 415, ტაბ. 97, 2.

61 OAK за 1892 г. გვ. 11, სურ. 6.

62 ССК, გვ. 59, სურ. 135.

63 OAK за 1909—1910 гг. გვ. 94, სურ. 116—117.

OAK за 1913—1915 гг. გვ. 41, სურ. 50.

64 OAK за 1877 г. ტაბ. III/33, K. Hadaczek. დასახ. ნაშ., გვ. 22, სურ. 41; Л. Ф. Силантьева, Некрополь Нимфея, МИА, 69, გვ. 74, სურ. 38/2. ССК, გვ. 35, ტაბ. 98.

65 Н. А. Омаяко. Античные импорт в Приднепровье и Побужье в VII—V ввекah до н. э. САИ, вып. Д1—27. М., 1956, გვ. 32, ტაბ. XXII, 5; XXV, 46.

66 Л. Ф. Силантьева. დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

67 საქართველოში ოქროს ნახევარმთვარისებური საყურეები, ასევე ვარდულათი და ორნამენტული სარტყელი შემკული, აღმოჩენილია შრომისტაბანში (ონის რაიონი) და ფიქვანის სამარხიდან.

⁶⁰ BMCJ, № 943—946. ტაბ. IX. A. de Ridder. Catalogue sommaire de bijoux antiques. Paris, 1924, ტაბ. VII, 270, 274; L. Poliak. დასახ. ნაშ., ტაბ. X და სჯე.

⁶¹ K. Hadaczek. დასახ. ნაშ., გვ. 21.

⁶² Б. В. Пиотровский. Результаты работ археологической экспедиции Института истории Акаде-

ბოთა დაახლოებული ვანის ნახევარმთვარისებური საყურეები ზემოთაწილულ სხივებიან და ბერტულიან საყურეებთან.

ვანის ნახევარმთვარისებური საყურეები შექმნილია უესო ფორმის გავლენით ადგილობრივ ნიადაგზე. ამიტომაც ამ სამკაულებზე კვლევა გამოყენებულია ადგილობრივ ადრეციენებული მხატვრული ხერხები, რომლებსაც ღრმა ტრადიცი აქვს.

ფიგურულხაილიანი საყურეები

ვანის ნაქალაქარზე 1961 წელს გათხრილ № 6 სამარხიდან მომდინარეობს კიდევ ერთი საინტერესო ძეგლი. ესაა ფიგურულსაკიდიანი საყურეები, ოქროსი, წყვილი (ს.ვ. №№ 3—61: 662,33—34. ინვ. № 11—974 : 2. სურ. 85—90).

რგოლზე შეკიდულია ოთხთვალა ბაქანზე მდგარი წყვილი მხედარი, ხოლო ბაქანზე ძეწყვებით— რკოსებრი საკიდები.

საყურე რგოლი ოვალურია, გახსნილი, ბოლოებგახერხებული. ნახერხებთან ბოლოები გაფართოებულია. ღეროს ნაწილი სადაა, მრგვალგანიკვეთიანი. წინაპირი და უკანა მხარე ქვედა ნახერხებზე შედგენილია ერთმანეთთან მიჩინული ორი ფირფიტისგან, რომლებიც ნახერხებისკენ თანდათანობით ეწირილებოდა. წინაპირი შემკულია ორამენტული სარტყლით— დაკეპნილი და სადა მავთულების მონაცვლეობით (ორი დაკეპნილი და სამი სადა მავთულია)?⁷¹ დაკეპნილი მავთული შემოსახურებულია აგრეთვე ქვედა ფირფიტა (რკოვრტა ჩანს, მხედველობაში იესო მიღებული სამკაულის გვერდებიც).

ორამენტული სარტყლის ზემოთ დამაგრებულია ვარდლა. მისი ფურცლები დაკეპნილი მავთულიანაა გამოყვანილი, რომლებიც სათანადოდ გამოკრილ ფირფიტაზეა დარჩილული. ფირფიტა თბილად; უკანა მხრიდან ნათლად ჩანს დაკეპნილი მავთულის ანამეკლები. ფირფიტა ჩამდენივე ადგილას დაზიანებულია— ჩახეულია. ვარდლა ათფურცლიანია. შუაგული წარმოადგენს დაკეპნილი და სადა მავთულებით შედგენი-

⁷¹ შესაძლებელია, სადა მავთულის მოხაზვებულობას ქნის დაკეპნილ მავთულებს შორის დეტოვირებული სადა მინდორი. ჩვეულებრივ, მირჩილასას ზედაპირი ოდნავ აიროლირებულია. მავთულის უკეთ ჩამაგრების მხრით. აღმათ, ასევე იყო დარჩილული დაკეპნილი მავთულები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობდა დაკეპნილ მავთულებს შორის დეტოვირებული სადა მინდორის სადა მავთულად წარმოსახვას.

ლი წრეების მონაცვლეობას (დაკეპნილი და სადა მავთულების ორ-ორი წრეა). დაკეპნილი მავთული შედგენილ მკითე წრეში ჩამაგრებულია ბურთულა. მავთულების ბოლოების შევარტება ნათლად ჩანს. ზოგჯერ ბოლოები ერთმანეთთან მისული არ არის.

მხედრების გამოსახულებები შორის ბაქანზე ვერტიკალურად დამაგრებულია მსხვილი სადა მავთული — ღერბი, რომელიც მარჯუთით ბოლოვდება. საყურე რგოლი გაყრილია მარჯუთუში და ამგვარად საკიდები რგოლზე დაკავშირებულია თვისუფლად — მოძრავად.

ცხენისა და ადამიანის სხეულები ფუყეა; მიღებულია გამოტვიფრული ნახევრების ერთმანეთთან მიჩილვის შედეგად. ადამიანის სხეულზე რჩილვის ხაზი გვერდებზე შეინიშნება; ე. ი. ცალ-ცალკეა გამოტვიფრული მხედრის ზურგი და წინა ნაწილი. ცხენის სხეულზე რჩილვის ხაზი ჩანს ზემოთ ზურგსა და ქვემოთ — მუცელზე, ე. ი. ცალ-ცალკე გამოტვიფრულია ცხენის მარცხენა და მარჯვენა ნაწილები.

ადამიანის სხეული სქემატურადაა წარმოდგენილი. თავი ერთიანად დეფარულია უწყსრივოდ მოხვეული ცვარათი (თმების ან ქუდის გამოსახვაც). ყურები დამზადებულია ფირფიტისაგან ცალკე და შემდგომში ამოჩილული. თვალები აღინიშნება თითო ცვარათი; ცვარას დამაგრების ადგილი ჩაღრმავებულია. ცხვირი და ყბები გამოტვიფრულია. ხელები და ადვირი მსხვილი სადა ერთიანი მავთულისგანაა გამოყვანილი, რომლის ერთი ბოლო ჩამაგრებულია მხედრის მხრებზე გვერდიდან გაყვებულ ნახერხებში, ხოლო მეორე ბოლო — ადვირის ბოლო — ცხენის ღრუნზე გაყვებულ ნახერხებში. მხედარს წელზე შემოკრული აქვს ქამარი, დამზადებული სადა ვიწრო ერთიანი ფირფიტისგან. მხედრის თეძოსთან, ერთზე — მარცხენა, მეორეზე — მარჯვნივ (აქ მხედველობაშია მიღებული სამკაულის აღქმა გარეშე თვალის მიერ), დამაგრებულია საისრე, ზემოთ მოკაუბებული, შუაწელზე სალით შემოკრული. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მხედრის ქამრის უსულო გავრძელებას. საისრე ცალკეა ფირფიტისგან გამოტვიფრული და შემდეგ დარჩილულია მხედრის თეძოზე. მხედრის ფეხებიც ცალკეა ფირფიტისგან გამოკრილ-გამოტვიფრული. რჩილია უხეშია.

ცხენის თვალები მრგვალია — დაკეპნილი მავთულისგან შეკრული წრე, შუაში ცვარათი.

ყურები ცალკეა დამზადებული და შემდეგ და-
ზავებულია ცხენის თავზე. ყურებს შორის დარ-
ჩილულია შეერილი — დაკეცილი მათულის ნაწ-
იკები, ხოლო თვალებს შორის — ცუარასგან შემ-
დგარი სამკუთხედი, ფუძით ზემოთ. სამკუთხედ-
ში 6 ცუარაა, რომელიც ასეა განლაგებული —
ერთი, ორი, სამი. ცხენის ნესტოები 2 ცირე ზო-
მის ჩარჩაველებით (წერტილებით) აღინიშნება,
ღიაში და საებუერები დაკეცილი მათულისთაა
გამოყვანილი.

ცხენის სხეული შემკულია ცუარათ: ზურგ-
ზე, რჩილის ზედა ზაზის დასაფარად დარჩი-
ლულ ეწირო ფირფიტაზე მოთავსებულია პირა-
მიდები (5 ან 6 პირამიდა), თითოეული ხუთხუ-
თი ცუარასგან შედგენილი. ფირფიტა ორგვე მზა-
რეს შემოსაზღვრულია სამკუთხედების თითო რი-
გით (ოთხ-ოთხი სამკუთხედი, თითოეული შემდ-
გარი ექვსი ცუარასგან. ერთგან სამკუთხედები
მოსლევს ცუარას მწკრივს და მათ გამოყვანაში
ზოგიერთი ცდომილება დაშვებული). ცხენის
სხეულის დანარჩენი ადგილი დაფარულია სამ-სა-
მი ცუარათი შედგენილი სამკუთხედებით. ცხენის
მკერდზე სამკუთხედები ოთხ რიგადაა განლაგე-
ბული, ხოლო თემოსა და გავაზე — სამ ან ოთხ
რიგად. ერთ საყურზე სამკუთხედების ნაცვლად
ცხენების გავაზე. მარჯვნივ და ჰარცხნივ (საისრეს
მსგავსად), სეასტიკას გამოსახულებაა სავაითი
გამოყვანილი.

ცხენის კელი და ფეხები მსხვილი სადა მათ-
ულისგანაა დამზადებული. სქემატურად. მათუ-
ლის არაღრმა ჩაჭრით აღინიშნება ტერფები.

ოთხთვალა ბაქანი წარმოადგენს დაკეცილი
მათულებით შემოსაზღვრულ ეწირო ფირფიტე-
ბისგან შედგენილ ჩარჩოს — კვადრატს, რომე-
ლიც შუაში, ცხენების გასწვრივ. ასეთივე ფირ-
ფიტით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ფირფიტა
ანუ ჩარჩოს გვერდი მათულის სახით ბოლოვდე-
ბა, სადაც ბორბალია წამოკმული. ბორბლის და-
სამაგრებლად მათული ჩაჭრილია და გაფართო-
ებული. ბორბალი წარმოადგენს მრგვალ ფირფი-
ტას, შუაში ნახვრეტით, რომელიც ეწირო ფირ-
ფიტისგან მიღებული რგოლისთაა შემოსაზღვრუ-
ლი. ბორბლის კიდზე დაკეცილი მათული
შემოუყვება. დაკეცილი მათულითაა აღნიშნუ-
ლი სოლებიც. თითოეულ ბორბალზე ექვსი სო-
ლია.

ჩარჩოს გვერდებზე ქვემოთ დარჩილულია
სადა მათულით გამოყვანილი ყუნწები. წინა და
7. ან III

უკანა გვერდებზე ხუთ-ხუთი ყუნწია, მარცხნივ
და მარჯვნივ — ოთხ-ოთხი ყუნწი; ე. ო. სულ 18
ყუნწი, რომლებზეც ძეწყვით შეკიდულია რკოსებ-
რი საკიდები.

ძეწყვი მსგავსია ზემოთაღწერილი სხივები-
ანი საყურების ძეწყვისა. თითოეული შედგება
ორი „რგოლისგან“ (ორად მოკეცილი მარჯუენისა-
გან).

რკოსებრი საკიდები ფუყეა. მიღებულია გა-
მოტეფრული ნახევრების ერთმანეთთან მირჩი-
ლის შედეგად. რჩილის ხაზი ნათლად ჩანს. საკი-
ლის თავზე დამაგრებულია სადა მათულისგან
შედგენილი ყუნწი, რომელშიც ძეწყვია გაყრილი.

სავ. № 3—61: 662, 33-ზე საყურე რგოლს მო-
ტეხილი აქვს სადა ლერა. მოვარდნილია ერთი
ბორბალი და ერთი საკიდი ძეწყვის ნაწვეტებით.

სავ. № 3—61: 662, 34-ზე მოვარდნილია ერ-
თი ბორბალი და ორი საკიდი ძეწყვის ნაწვეტე-
ბით. მეორე ბორბალი დაქარგულია; ბაქანზეც ერ-
თი გვერდის დაბოლოება წატეხილია — მათულის
სახით აღარ ბოლოვდება.

ბაქანის გვერდები დაფარობიებულია.

სიმაღლე — 80 მმ. საყურე რგოლის უდ.
ღმ — 33 მმ. ვარდულის ღმ — 9 მმ და 10 მმ.
ცხენის სიგრძე — 20 მმ. ბაქანის გვერდის სიგრძე
20 მმ. ბორბლის ღმ — 9 მმ. რკოსების საკიდის
სიმაღლე, ყუნწიანი — 13 მმ. წინა = 29,5 გ და
27,8 გ.

საყურები დამზადებულია სხვადასხვა ელ-
ფერის ოქროსგან. სავ. № 3—61: 662, 33 — ლია
ყუთილი ფერისაა, სავ. № 3—61: 662, 34-ს მო-
წითლო ელფერი გადაკარავს.

ფიგურულსაკიდიანი საყურები განსხვავ-
დება უწყე განხილული საყურეთა ტიპებისგან,
მაგრამ ზოგიერთი შემადგენელი ელემენტითა და
მსგავსი ტექნიკური ხერხების გამოყენებით მათ-
თან გარკვეულ ნიახლოვეს აშლანებენ. ამ სა-
ყურებზე კვლავ გვხვდება გახსნილი ბოლოებ-
ვახვერტილი რგოლი, შემკული ორნამენტული
სარტყლია და ვარდულის, რაც ერთ-ერთი გან-
მსაზღვრელი ნიშანია საქართველოს აღრანტი-
კური ხანის საყურების თავისებულებისა და
ადგილობრივობის ასახსნელად.

ვანის ფიგურულსაკიდიანი სამაული თავი-
სი რთული შედგენილობით და რამდენადმე გა-
მოსახულებათა შინაარსითაც მოგვაგონებს ახალ-

გორის სასაფეთქელებს⁷². ვანის სამკაულზე ცხე-
ნოსნობა წარმოდგენილი, ახალგორისაზე — ცხე-
ნები. მაგრამ აქ ბევრი საერთო ელემენტის და-
ბეჭენა ხერხდება. ძირითადად ერთიანობა მათი
ავეტულებს პრინციპი. ორივე შემთხვევაში მო-
ცემული ორნამენტული სარტყელი და ვარდუ-
ლა საყურე რგოლებზე, ცენების გამოსახულება,
რკოსებური საკიდები, უხვად გამოყენებული
ცვარა და სხვა. ორივე სამკაულზე გამოიყოფა,
თავისებური, „ბარბაროსული“ ნიშნები⁷³. ამასთან
ერთად, ჩამოთვლილი საერთო ელემენტების შე-
დარებისას კარგად ჩანს განსხვავებანა. ახალგო-
რის სასაფეთქე რგოლებზე დატულია ზოგადი
პრინციპები — ის გახსნილია, ბოლოებზეაგერტი-
ლი. შემულია ორნამენტული სარტყელია და
ვარდულოთ, დეტალები კი სახეშეცვლილია. ორ-
ნამენტული სარტყელი ფართობა და სხვაგვარი გა-
მოსახულებებით წარმოდგენილი; აშკარად განსხ-
ვავებულია ვარდულა — ის გამოიყოფაფრულია,
მაგრამ ვანური საყურეების მსგავსად, მისი ფურ-
ცლები მავთულით შემოსაზღვრული არ არის. აღ-
სანიშნავია აგრეთვე ვარდულას ფურცლების სიმ-
სიმრავლე გამოსახვა, რაც ვანის ძეგლებისთვის
საერთოდ არ არის დამახასიათებელი. განსხვა-
ებულა ახალგორის სასაფეთქე რგოლის მო-
ხაზულობა, ზომები და ა. შ.

ვანისა და ახალგორის გამოსახულებათა შე-
დარების დროს იგრძნობა მათი საერთო განწყო-
ბილების სხვადასხვაგვარობა. ვანის საყურეებზე
ფურცლების მოძრაობაში მეტი თავისუფლება შე-
ინიშნება. ხოლო ახალგორის სასაფეთქელების გა-
მოსახულებები პარადულობით და მოწმენტი-
რობით ხასიათდება. ახალგორული სასაფეთქე-
ლები სამართლიანადაა მიჩნეული ადგილობრივ ნა-
წარმად⁷⁴, მაგრამ ზოგ დეტალები ნათლად ჩანს

⁷² Я. И. Смирнов. *დასა. ნაშ.*, გვ. 23—29, ტბ. III/26.

⁷³ „ბარბაროსულ“ სამკაულადა განსაზღვრულ ახალ-
გორის სასაფეთქელებს რ. ვირშმანს მიერ. R. Ghirshman. *Iran*, გვ. 264.

⁷⁴ ი. ვაკეშვიძე, ადრეანტიკური ხანის ქართული
ოქროშველების ისტორიისათვის. საქართველოს სსრ მეც-
ნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა გან-
ყოფილების ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა
XIII საკონფერენციო კონფერენცია. მოსკოვშია შემოკლე-
ბული ტექსტები, თბ. 1962, გვ. 24. ახალგორის ვანის
საერთო დამახასიათებელია და მისი მნიშვნელობის შეფასების-
ლოის თბ. აღ. ქავთაშვილი, ქართული მხატვრული ხე-
ლოვნობის ისტორიიდან (წერადა მეორე). საბჭოთა ხე-
ხელოვნები, 1956, № 6, გვ. 28.

აქემენიდური და საერთოდ. ძველალმოსავლური
ხელოვნების ვაეუნა (წყვილ-წყვილად მდგარი
ცხენების ფიგურები; მათი ნაკეთების დამუშავე-
ბა — ამობურტული ნუშისებური თვალები; სამ-
ხავეტურიანი კტილანები თუ შევირლები და
ა. შ.)⁷⁵. ვანის სამკაულზე ასეთი აშკარა ვაეუნა
არ შეიმჩნევა. პირიქით, ადამიანისა და ცხენის
გამოსახვის კარგად შეიცნობა კოლხური ოქრო-
შველებისა სხვა ძეგლებისთვისაც დამახასიათ-
ებელი სტილი. მავალითად, თვალების ვადროცემა
მავთულდამოვლებული ცეარათი; ფირფიტისგან
ცალკე დამზადებული ყურების დამაგრება; ადა-
მიანის თავის დამაგრვა უწყესიგოდ ვანებული
ცეარათი. სწორედ კოლხური ოქროშველობაში,
ეგრად, ვანის ძეგლებზე, ვხვდებით ცეარათი
შედგენილ მსგავს სახეებსაც, როგორც ფიგუ-
რულსაკილიან საყურეებზეა მოცემული.

ვანის და ახალგორის სამკაულები სხვადასხვა
სახელოსნოს (სხვადასხვა სკოლის) პროდუქტის
წარმოდგენენ. ვანის ფიგურულსაკილიანი საყურ-
რები ყველა დეტალით ორგანულადაა დაკავში-
რებული ვანზევე აღმოჩენილ სხვა ძეგლებთან,
მუხედვად იმისა, რომ ტიპოლოგიურად ჭარჭე-
რობით ერთადერთია.

ვანის საყურეების ანალოგიური საკიდები
აღმოჩნდა ქვემო ვოლგისპირეთში, ე. წ. საზონ-
კინ ბუგორის სამაროების ერთ-ერთ ყორანში,
რომელიც წარჩინებულ საერომატს უნდა ეკუთ-
ნოდეს⁷⁶. ამ სამკაულებს აქლია ყურსაკილი
რგოლი. სხვა დეტალები კი ისინი მეტად ახლოს
დგანენ ვანის საყურეებთან. საზონკინ ბუგორში
აღმოჩენილი სამარხის შემსწავლელთა მიერ გა-
მოთქმულია მოსაზრება, რომ ვანისა და საზონკინ
ბუგორის საყურეები დამზადებული უნდა იყოს
ერთ ცენტრში, ეგრად. იბერიის ერთ-ერთ
ბერძნულ კოლონიაში (?)⁷⁷. აქ ავტორებმა უხე-
ში შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ამ სამკაულთა
საერთო საწყისები უდავოა და ჩვენ დასაშვებად
ძიგვანია ქვემო ვოლგისპირეთში აღმოჩენილი

⁷⁵ გ. ტრაიციანის აზრით, ახალგორული სასაფეთქე-
ლების ცხენა გამოსახულებები სტილისტურად ახლოს დგას
აქემენიდური ხელოვნების ძეგლებთან. Г. А. Тирациян.
Некоторые черты материальной культуры Армении и
Закавказья V—IV в. до н. э., С. А. 1964, № 3, გვ. 71.

⁷⁶ И. П. Беркин-Засецкая, Л. Я. Моло-
вичкая. Богатое савроматское погребение в Астра-
ханской области, С. А. 1965, № 3, გვ. 147, 151—153.

⁷⁷ დასა. ნაშ., გვ. 153.

საყურეების საქართველოდან (ვანის სახელმწიფო-დან?) წარმოშობა.

ზემოთ განხილული ვანის ფიგურულსაკიდიანი სამკაულები თავისი ფორმით ადრეანტიკური ხანისთვის არ არის დამახასიათებელი.

ცნობილია, რომ რთული შედგენილობის ე. წ. ფიგურულსაკიდიანი საყურეები ფართოდაა გავრცელებული ელნისტურ ხანაში. ელნისტურ ხანის საყურეებზე ვხვდებით ცხოველთა თავების გამოსახულებებს, ფრინველებს (ვანსაყურეების შვირად ვგვსა და მტრებს), მამაკაცთა და ქალთა თავებს, სირენებს, ერთბაშებს, ნიკს, ჰანიმედს, ეტლში შემბმულ ცხენებს და ა. შ. ანტიკურმა მწერლობამ შემოგვინახა ამ საკიდების მიხედვით საყურეთა სხვადასხვა სახელწოდებაც კი (პოლუქსის ონომასტიკონი)⁷⁸.

საყურეთა ამ ტიპს ანტიკურ სამყაროში საფუძველი ეყრება წინააღმდეგ ელნისტურ ხანაში, ეგრძელ, კლასიკური ხანის დასასრულს. ფიგურულსაკიდიანი საყურეების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს ფეოდოსიის საყურეები. აგრეთვე ანალოგიური ძეგლები ჩრდილო შვიზღვისპირეთის სხვა ადგილებიდან, საბერძნეთიდან, მიკრე აზიიდან, კრეტადან და იტალიიდან⁷⁹.

ვანის ფიგურულსაკიდიანი საყურეებში გარკვეულად არეკლილია ახალი ნაყადები. ისინი ელნისტური ხანის საყურეთა ერთ-ერთ წინამორბედებად გვესახება. ამავე დროს აქ ახალ ტენდენციებთან (მოძრავსაკიდიანობა — დინამიურობა) შეერწყმულია ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტები (საყურე რგოლის გაფორმება).

⁷⁸ E. Coche de la Ferté. დასახ. ნაშრ., გვ. 63—64, ტაბ. 21; G. Becatti. დასახ. ნაშრ., ტაბ. CIV—CIX; R. A. Higgins. დასახ. ნაშრ., გვ. 165—168, ტაბ. 48 A—G; E. Pottier. დასახ. ნაშრ., გვ. 445. Pollux, V, 16, 97.

⁷⁹ М. И. Максимова. Миниатюрная группа из Феодосийских сергях, ТГЭ, т. II, Л—М., 1958, გვ. 62—66. A. Mantzevit. Ein Grabfund aus Chersonnes, 1932, გვ. 12, № 7 (ქრსონესი). ДБК, гв. XIX, №№ 4 და 5. ССК, ტაბ. 221—223. ОАК за 1865 г. ტაბ. II, № 3; ОАК за 1869 г. ტაბ. I, № 12, ითყე იხ.: ССК, ტაბ. 304 (ბოლნისა ბიზნისი). ВМСЦ, №№ 1655 (კრეტა), 1672 (კოლხა), 1953 (კრეტა). E. Fontenay. Les bijoux anciens et modernes. Paris, 1887, გვ. 112 (ტრუია).

ფიგურულსაკიდიანი საყურეებს № 6 სამარხის თარიღის დადგენისას ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინშეწოდება ენიჭება⁸⁰.

ამრიგად, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ საყურეთა სტილისტურ-ტიპოლოგიური შედარება ამავე პერიოდის საიუველირო ხელოვნების ძეგლებთან შედრდებულ მითითებას:

სხივებიანი და ბურთულიანი საყურეთა ანალოგიები საქართველოს გარეთ არ გვხვდება და, საერთოდ, ისინი ანტიკური ხანის საიუველირო ხელოვნების ძეგლების ფონზე თავისებურად გამოიყურებიან. საყურეებისთვის დამახასიათებელი ელემენტები — წრთული ან ოვალური მოყვანილობის გახსნილი ბოლოებგანტრეტილი რგოლი, შემკული ვარდულათი და ორნამენტული სარტყელი, უცნობია სხვა ძეგლებისთვის. საყურეთა ამ ტიპებს ადგილობრივ აღმოცენებულ სამკაულებად მივიჩნევთ, როგორც ფორმის, ისე შემკულობის ხასიათის მიხედვით.

დასაშვებად მიგვაჩნია აგრეთვე, რომ ბურთულიანი საყურეებისგან განვითარდა ელნისტურ ხანაში საქართველოში გავრცელებული მოზარებურთულიანი საყურეები.

ვანში აღმოჩენილი ნახევარმთაბრისებური საყურეები იმეორებენ სამკაოდ კარგად ცნობილ საყურეთა ფორმას, მაგრამ ამავე დროს გარკვეულ თავისებურებებსაც აქვდავენებენ. ვანის საყურეები მიგვაჩნია უტხო ფორმის გავლენით ადგილობრივ ნიადაგზე შექმნილ ძეგლად. აქ კვლავ გამოყენებულია ადგილობრივ აღმოცენებული მხატვრული ხერხები.

ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომკვდილობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს ვხვდებით ფიგურულსაკიდიანი საყურეებზეც, რომლებიც ელნისტურ ხანაში ფართოდ გავრცელებულ

⁸⁰ ნ. ბოზარის სამარხული კომპლექსის წინასწარული შესწავლის შედეგად მოცემული აქვს სამარხის ზედათარიღი — ძვ. წ. VI—V სს. (Н. В. Коштарна. Археологические раскопки в Ване, Кавказский-азиатский музейный журнал, II გვ. 74). ამ მონაცემს უყრდნობის ი. ბერხინ-ზასეცკია და ლ. შლოვიცკია, რომლებიც საზოგადოებრივ მარხის დას. კრძალ. ამ სამარხიდან მოძღვრნარე ანალოგიურ საყურეებს ძვ. წ. V ს.ს ნახევრათ თარიღებენ (И. П. Берхин-Засецкая. დასახ. ნაშრ., გვ. 153). დღეს, სამარხული ინვენტარის დაწერილობით შესწავლის შედეგად გარკვეული სურველი არსებობს ვანის ნაქალაქარის № 6 სამარხის „გადასავარდნილობა“.

ფიგურულსაკიდრან საყურეთა წინამორბედებდა წარმოგვიღებდა.

ზემოვანხილული ძეგლების მიხედვით გამოიყოფა ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქრომკედლობის განმსაზღვრელი ნიშნები: მდგრადობა, მყარი ფორმები; შემკულობასა და სამკაულთა აგებულებაში გეომეტრიული სახეების გამოყენება (ვხვდებით წრე, ოვალი, სამკუთხედი, სფერო, პირამიდა, კონუსი, ცილინდრი); შემკულობათა ზოგერთი ხერხი — ცვარა; სადა, დაკეპნილი და გრეხილი ზეთული; წნული, ვარდულის ელემენტი; სამკაულთა თავისებური ფორმები — სხივებიანი და ბურთულიანი საყურეები.

ხშირ შემთხვევაში ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნიმუშები ამდინდებენ კოლხურ ოქრომკედლობას ახალი ფორმებით და შემკულობათა ახალი სახეებით. მაგალითად, ბურთულიანი საყურეებში რამდენიმე სახეობის გამოყოფა მხოლოდ ვანის მონაოქრების მიხედვით მოხერხდა. ხოლო სხივებიანი საყურეების ერთი ნაწილი, საქართველოში გავრცელებულ ანალოგიურ ძეგლებთან შედარებით, მდიდრულადაა გაფორმებული. აქ ვხვდებით ფრინველის მინიატურულ გამოსახულებებს, რომლებიც დამახასიათებელია კოლხური ოქრომკედლობისათვის, საყურეებზე კი პირველად ვხვდებით.

ოქროს საყურეები, ისე როგორც საერთოდ ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ადრეანტიკური ხანის ოქრომკედლობის ძეგლები, ხასიათდება მხატვრულ-სტილისტური და ტექნიკური ერთიანობით. საყურეები ექცევა კოლხური ოქრომკედლობის ერთ საერთო ნაკადში, თუმცა, ზოგ თავისებურ ნიშანს, უფრო ზუსტად, შედარებით მრავალსახოვან ნიშანს ატარებს.



5. მათიასვილი

ლითონის მუხრამი

ვანის ნაქალაქიდან მომდინარე ელინისტურ-რომანოვან არქეოლოგიურ ძეგლების ერთი, მცირე-რიცხოვანი ჯგუფი ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელს აერთიანებს. იგი ათიოდე შედარებით უკეთ დაცული და რამდენიმე ფრაგმენტული ნიმუშითაა წარმოდგენილი. ნიმუშების უმეტესობა სამარხებიდან მომდინარეობს. კერძოდ, ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გათხრილ სამარხებშია აღმოჩენილი ვერცხლისა და ბრინჯაოს ფილები, სიტულები და სხვა ჭურჭელი. კულტურულ ფენებში ამგვარი მასალა უმნიშვნელო რაოდენობით ჩნდება და, როგორც წესი, ან ძლიერაა დეფორმირებული (მგ. ნიმუშები საინვენტარო №№ 3—58/38, 3—58/309, 3—60/157), ან ცალკეული დეტალებითაა წარმოდგენილი. აღანიშნავია, რომ მხოლოდ დეკორატიული ნაწილებია გადარჩენილი ე. წ. მოზაიკურიატიკიან ტაძარში 1967 წ. აღმოჩენილი ბრინჯაოს მდიდრული ჭურჭლისაგან.

აღნიშნული მასალა, გარდა 1967 წ. აღმოჩენილი ჭურჭლის დეტალებისა, დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცნობები მათი აღმოჩენის შესახებ¹.

წარმოდგენილი ნაშრომი ამ მასალის შესწავლას ისახავს მიზნად.

განსაზიარებული მასალა აერთიანებს სიტულებს, ფილებს, თასებსა და სხვა სახეობის და სარიტუალო ჭურჭელს.

სიტულები

სიტულა ბრინჯაოს ფურცლებით შეკერილი დიდი ზომის ყურიანი ჭურჭლის ზოგადი სახელ-

წოდებაა. ამგვარ ჭურჭელს ძირითადად სარიტუალო და საზეიმო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ვანში ელინისტური ხანის სამი სიტულაა აღმოჩენილი. ორი — ქალის (№ 2) სამარხში და ერთი 1975 წ. გათხრილ დარღვეულ (№ 13) სამარხში.

1. ქალის სამარხში აღმოჩენილი ერთი სიტულისაგან (საინვ. № 3—47—456, 457) ქუსლი, ყურები და პირკედლის ნაწილებია გადარჩენილი. აღნიშნული დეტალების მიხედვით, იგი ფუძით ზემოთ მიმართული წაკვეთილი კონუსის ფორმის მოძრავი ყურებიანი საშუალო ზომის ჭურჭელი უნდა იყოს (პირის დმ — 14 სმ, ძირი — 9 სმ), მას აქვს ტრაპეციისებური ჭრისლის მქონე დაბალი ქუსლი, ზემოთ შეუძინებლად გაფართოებული კორპუსი, შემსხვილებული, სამკუთხა ჭრისლის მქონე პირის კიდე და სწორკუთხა კაუქებიანი წყვილი ყური, რომელიც ჭურჭლის პირის კიდეზე დამაგრებული წყვილსაყურებიანი დეკორატიული დეტალების საშუალებითაა მიკავშირებული. ყურების სამაგრი დეტალები შექმნილია სხვადასხვა მხარეს გადახრილი მკვანის სტილიზებული ფოთლებით (სურ. 91).

ცალკეული დეტალები — პირის კიდე, ქუსლი, ყურები ჩამოსხმულია, ხოლო კედლები, როგორც პირის კიდეზე შემორჩენილი კედლის მცირე ნატეხის მიხედვით ირკვევა, ქედურია. შემკულია ამოღარული ორნამენტით. ორნამენტი — ორღარის შორის მოთავსებული „ოვ“-ების ფრიზი, რომელიც უშუალოდ პირის კიდედანაა დატანილი, მხოლოდ მცირე ნაწილზე შემორჩენილი, ნაწილობრივ იგი პატინისაგანაა შექმნილი (სურ. 95). ამჟამად ჭურჭელი პატინისაგან გაფშენილია. ბრინჯაო მოყვითალო ფერისაა.

განხილული დეტალებისა და შემკულობის მიხედვით, ბრინჯაოს ჭურჭლის აღნიშნული ნიმუ-

¹ ვანი, I, თბ., 1972, გვ. 31—33.

² საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 232 და შემდგ.

ში ბერძნულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ სიტულებს უკავშირდება.

ანალოგიური ტურქული აღმოჩენილია საბერძნეთში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, თრაკიაში, სპარს. რუსეთში⁸.

ამგვარი ტურქლის საწარმოო ცენტრად მკვლევრები სანზრ. იტალიას. კერძოდ ტარენტუმს მიიჩნევენ. წარმოების დაწყების თარიღად ძვ. წ. V ს. ვარაუდობენ. სპეციალურ გამოკვლევებში მოცემული ბრინჯაოს სიტულების ქრონოლოგიური დოკუმენტაციის ცდაც. პერნისეს, რომელშიც აღმოჩენილი ტურქლის შესწავლის საფუძველზე, გამოყოფილი აქვს რამდენიმე ქრონოლოგიური ჯგუფი, კერძოდ, ძვ. წ. V—IV სს., ძვ. წ. III ს. და ძვ. წ. III—II სს. ჯგუფები⁹. ქრონოლოგიური განვითარების ანალოგიური სურათი აქვს მოცემული ლემბსაც. ძვ. წ. V—IV სს. სიტულების დამახასიათებელ თავისებურებად იგი მდიდრულ შემკულობას მიიჩნევს, ხოლო ძვ. წ. III ს. ნაწარმი, მისი აზრით, გამოირჩევა ფორმებისა და შემკულობის სისადავით¹⁰.

ფილოციტ ბულგარეთის ყორღანებში აღმოჩენილი სიტულების შესწავლის საფუძველზე ბრინჯაოს სიტულების წარმოების დაწყებას ძვ. წ. V ს. უკავშირებს, ხოლო ფართოდ გავრცელების ხანად ძვ. წ. IV—III სს. მიიჩნევს. ამასთანავე გვიანდელი ცალები მას ავეუსტეს ხანაძე მიიყავს¹¹.

ვანში აღმოჩენილი სიტულა შემკულობით, აგრეთვე პირის, ძირისა და ყურების მოყვანილობით, უახლოვდება პერნისეს მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანებულ სიტულებს. მათგან განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს ბრუნვითი აღმოჩენილი სიტულასთან, რომელსაც მკვლევარი ამ ჯგუფის ყველაზე ადრეულ ნიმუშად მიიჩნევს, ე. ი. ძვ. წ. III ს. დასაწყისით ათარიღებს¹².

იმვე სიტულას ფილოვი, აგრეთვე, ძვ. წ. III ს. ათარიღებს, მაგრამ შედარებით გვიანდელ ვა-

⁸ A. M. Winifred. Lamb. Greek and Roman Bronzes, London, 1929, გვ. 210, E. Pernice, Hellenistische Kunst im Pompeia. Gefäße und Geräte aus Bronze, Berlin-Leipzig, 1925, გვ. 6—8.

⁹ E. Pernice, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—30.

¹⁰ A. M. Winifred. Lamb. დასახ. ნაშრომი, გვ. 187—212.

¹¹ B. Filow. Die Grabhügelnepol bei Duvyanely in Südbulgarien, Sofia, 1924, გვ. 220.

¹² E. Pernice, დასახ. ნაშრომი, სურ. 37.

რიანტად მიიჩნევს. ამგვარი დათარიღების საფუძველად მას გაბრტყელებული ყურები აქვს მინიშნებული¹³.

ვანის სიტულა. აღმოჩენის პირობების მიხედვით (აღმოჩნდა ადრეელისტური ხანის სა-მარხში)¹⁴, ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება. აღწვდა პერნისეს მეორე გამოყოფილ პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში ექვსეა და იტალიურ საწარმოო ცენტრს უკავშირდება.

2. ქალის საძარხიდან მომდინარე მეორე სიტულა (დაცულია საქართველოს სსრ. მუზეუმში სიანც. № 3—47—460) შედარებით უახლოვდა მოღწეული. გადარჩენილია პირი, ძირი და კორპუსის ნახევარზე მეტი.

იგი საშუალო ზომისაა (H—20 სმ, პირის დმ—12 სმ. ქუსლის დმ—14 სმ), აქვს თანაბრად მომრევალებული კორპუსი, სხმული ყურები; ირიბად დახრილი ფართო პირი და ქუსლი. დამზადებულია ბრინჯაოს ორფენიანი ფურცლებით. ქუსლის ზედა მხარე ორწილია, ნაწილები ერთმანეთთან მანქვლებითაა გადაკეტილი. გადაკეტილების ადგილზე, მხრებთან ყურებია დამაგრებული. ყურები შედგება სადა, მასიური ღეროსაგან და სწორკუთხა სამაგრი ფორფიტებისაგან. ფორფიტები მანქვლებითაა მიკეტილი ტურქულზე. ქუსლს გადმობრუნებული ჯამის ფორმა აქვს. ავი ერთ ფურცელშია დამზადებული, ქვემოდასაა ძეგდებული და ძალიან ფართოთაიანი მანქვლებითაა მიკეტილი. ტურქელი დაფარულია მწვანე ფერის შხამიანი პათინით (სურ. 93).

ვანხილული ტურქელი თანხლები მასალის, კერძოდ, ზემოთ წარმოდგენილი იტალიური სიტულის საფუძველზე, ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება. იგი მოყვანილობითაა და დამზადების ტექნიკით წინაეილისტური ხანის კოლხურ სიტულებს ენათესავება¹⁵. ისიც ძვ. წ. VI—IV სს. ნიმუშების მსგავსად თარგზე გამოკრილი ფურცლებითაა შეყვრილი; აქვს ფართო, ვარით გადაშლილი პირი, მაღალი ქუსლი, სხმული ყურები. მაგრამ მათგან განსხვავებით დამზადებულია ორფენიანი ფურცლებით, აქვს სფერული და არა მხრებით განზღული კორპუსი. ყურები,

¹³ B. Filow, დასახ. ნაშრომი, სურ. 225.

¹⁴ საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 238.

¹⁵ სიტულების შესახებ იხ. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 220. ლ. სახარაძე. ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ტურქული საქართველოში. სამკითხველოება, თბ., 1975, № 27, გვ. 4 და შეხედ.

რომლებზედაც გამჭრალია ცხოველის დაცვეტილი ყურების ფორმის შევრღობები, ჭურჭელზე მიკერებულია და არა ჩამოსხმული. აღნიშნული გარემოება ერთსა და იმავე დროს ქალის სამარხში აღმოჩენილი სიტულის კოლხური წარმოშობის მაჩვენებელიცაა და ამ ფორმის ქრონოლოგიური განვითარებისაც. ამდენად, განხილული ჭურჭელი კოლხური სიტულების შემდგომ განვითარებად უნდა იქნეს მიჩნეული.

3. მესამე სიტულა 1975 წ. გათხროლი № 13 სამარხიდან მომდინარეობს (დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში საინვ. № 07.1.75/309). იგი მთლიანადაა მოღწეული, მხოლოდ გვერდები და პირი აქვს დეფორმირებული.

ჭურჭელი ზომორთულურებანიანია, ბრტყელ-ძირიანი, ფართობირიანი, სფერული მოყვანილობის — სიმაღლე და მაქსიმალური დიამეტრი ტონად აქვს (32 სმ). პირის დიამეტრი (18 სმ) ოდნავ აღემატება ძირისას (16 სმ-ია), პირი გამოყოფილი არაა კორპუსისაგან, იგი ჭურჭლის შემკვერული ფურცლების გადაკეცილია შექმნილი. სიტულა სარქველიანია (საინვ. № 0...1.75/309). სარქველია გადმობრუნებული შევეჯილიანი, ძირ-მომარგვალეული თეფშის ფორმა აქვს. შემკულია რელიეფური კონცენტრული ღეირებით. მასზე დაკერებულია ორფურცლოვანი ეფიფიტი შედგენილი სწორკუთხა სახელური (სურ. 92, 97).

ჭურჭელი დამზადებულია თარგზე გამოკრილი ოთხი არათანაბარი ზომის ერთმანეთზე გადაყარებული ფურცლით. ორ, ერთმანეთის მოპირდაპირე ნაყერზე, პირის კიდესთან ყურებია დამაგრებული. ყურები ჭურჭლის კედელზე მიდგმულ ყალიბშია ჩამოსხმული (შიდაპირზე შეჩერებულია ყალიბიდან გამოყოფილი ლითონის სფერული ამობურცულობა). მათი მისიური, ცხოველის დაცვეტილი ყურების ფორმის შევრღობებით შემკულია არათანაბარი ზომის ღეროები (ერთის დიამ — 2 სმ, მეორესი — 1,5 სმ) განსხვავებული მოყვანილობის სამაგრი ფირფიტებით ბოლოვდება — ზედა ფირფიტები სწორკუთხაა, ქვედა — ტრაპეციისებური და ქვედაანა.

განხილული ჭურჭელი კორპუსის მოყვანილობით საგრძნობლად განსხვავდება კოლხეთის ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი სიტულებისაგან. მას, როგორც აღნიშნული იყო, უწყსლო და უპირ-ყლო სფერული მოყვანილობა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ადგილობრივი წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან

მას აქვს კოლხური ნაწარმისათვის დამახასიათებელი ყურები, დამზადებულია ადგილობრივი ტრადიციული წესით — თარგზე გამოკრილი ფურცლებითა შეკერილი, ყურები ჭურჭელზეა ჩამოსხმული.

წარმოდგენილი სიტულა თანხლები მასალა ზოგადად ძვ. წ. III ს. თარიღდება¹¹. მაგრამ მისი შედარება ქალის სამარხში აღმოჩენილი სიტულასთან ამ თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს მისი გარემოება, რომ 1975 წ. აღმოჩენილი სიტულას შედარებით არქაული იყრი აქვს, რასაც მას ყურების მოყვანილობა და მათი ჭურჭელთან დაკავშირების წესი ანიჭებს. აღნიშნული გარემოება პირი რამდენადმე ადრეული ხანის, კერძოდ, ძვ. წ. III ს. დასაწყისით დათარიღების საფუძველს იძლევა.

ფიალები

ფიალა სარიტუალო ჭურჭლის ერთი საყოველთაოდ აღიარებული სახეობაა.

სახელწოდება, ძველი ბერძნული წყაროებიდან მომდინარეობს. იგი აღნიშნავს უწყურო, ფრიალა ჭურჭელს. ამ ფორმის არსებობა უძველესი დროიდან იკვარალებდა. მის პროტოტიპებად სირიიდან და ეგვიპტიდან მომდინარე ძვ. წ. IX—VII სს. ნიმუშებს მიიჩნევენ. ფიალების ფართოდ გავრცელების ხანად ძვ. წ. VI—IV სს. ითვლება. ამ დროს აღნიშნული ჭურჭელი მთელ ბერძნულსა და ირანულ სამეფოში დამკვიდრდა.

ირანულ სამყაროში ომფალოსიანი ფიალები ძვ. წ. IV ს. შემდგომ ხანაში სადა თასებმა შეცვალეს. ბერძნულ სამყაროში კი ამ ფორმამ ელინისტურ ხანაში შემოინახა თავი (იტალიაში მან ძვ. წ. I ს-მდე იარსება), მაგრამ ამ დროს ამგვარმა ჭურჭელმა, ისევე როგორც სხვა სახის ნაწარმმა, მხოლოდ დეკორატიული და რამდენადმე უტილიტარული ხასიათი მიიღო.

ფიალებში გამოპყოფენ ორ ძირითად ტიპს — ბერძნულსა და ირანულს. ირანული ფიალებისათვის დამახასიათებელ თავისებურებად ომფალოსიანი, დაბალი სფერული კორპუსი და ვართვალაშლილი ფართო პირია მიჩნეული. ბერძნული ფიალების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება ვერტიკალურად მიმართული სადა პირი.

¹¹ სამარხის თარიღის შესახებ იხ. აკროთო კოლმბო-ვი. ენაშ 1975 წ. წარმოებული გათხრების ანგარიში, ხელნაწერი, 1975 წ.

მოყვანილობის გარდა, გარკვეული თავისებურებები აღინიშნება შექულობაშიც. ირანული ფიალების შემკულობის ძირითადი და ერთადერთი ელემენტია ლოტოსის გამოსახულება — ყვავილებს, სოკებისა და ფოთლების ნაირნაირი კომბინაცია.

ბერძნულ ფიალებზე მცენარულ ორნამენტს დაკვეთვებარებულ ადგილ უჭირავს. უფრო ხშირია გეომეტრიული ორნამენტები, მითოლოგიური სიუჟეტები ან ფიგურული გამოსახულებები.

ფიალა ირანულ სამყაროში მზის ღვთაების საიტრალიო ქურქულადაა მიჩნეული, ამგვარ დაინიშნულებას უკავშირდება ლოტოსის გამოსახულების (ზის ღვთაების სიმბოლოს) დომინირება.

ფიალებს ძირითადად ძვირფასი ლითონებისაგან — ოქროსა და ვერცხლისაგან ამზადებდნენ, მაგრამ ცნობილია ბრინჯაოსა და თიხის ფიალებიც კი.

ვანში ელენისტური ხანის სამი ფიალა აღმოჩენილი.

პირველი ფიალა 1947 წ. გათხრილი ქალის სამარხიდან მომდინარეობს¹² (ინახება საქ. სახელმწიფო მუზეუმში. საიფ. № 14—57/12) ქურქული მცირე ზომისაა (ღმ. 12,5 სმ ჩ—4 სმ). დამზადებულია თეთრი ფერის ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან. ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია ქურქული დახლოებები ნახევარი. გადმოჩენილი ნაწილის მიხედვით მას ფართო ვარჯთ გადაშლილი პირი და ძალიან დაბალი, მოზრგვალებული ომფალოსიანი ძირი აქვს (ნატეხზე მხოლოდ ომფალოსის კვალია შემორჩენილი), შემკულია ბედური რელიეფით.

რელიეფი მთლიანად ფრავს ქურქლის ძირს. იგი შედგენილია ცენტრალური ვარდულის, მის ირგვლივ განლაგებული ნუშისებური ბურცობებისა და ლოტოსის ყვავილებისაგან.

ცენტრალურ ვარდულს უჭირავს შემკული ადგილის ძირითადი ნაწილი მისი ფურცლები ომფალოსის ირგვლივაა განლაგებული (ომფალოსი, როგორც ჩანს, ფარდულის გულის დანიშნულებასაც ასრულებდა), ისე, რომ ჭრისებურად განლაგებულ წველი მოზრგვალებულთაიანი ფურცელს შორის სამი წაწვეტებულთაიანი ფურცელია მოთავსებული.

ვარდულის ფურცლების წვეროებს შორის ნუშის გულის ფორმის წვრილი ბურცობებია.

ბურცობებს შორის არეში, ვარდულის ფურცლების წვეროებთან ლოტოსის ნახევრად გაშლილი ყვავილებია დატანილი. (სურ. 99).

ლოტოსის ყვავილებზე და ცენტრალური ვარდული დაბალ რელიეფშია შესრულებული. რელიეფი გარედანაა ამოკედილი: ნუშის გულის ფორმის ბურცობები შიდა მხრიდანაა ჩაკედილი. ქურქლის ვარდულზე ნაწილზე 9 ბურცობი და ვარდულის 9 ფურცელია შემორჩენილი. როგორც ჩანს, ფიალა შემკული იყო ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული 18 ბურცობით.

განხილული ფიალა მოყვანილობითა და შემკულობით ირანულ ფიალებს ენათესავება. როგორც ცნობილია, ლოტოსის ყვავილები და ნუშის ფორმის ბურცობები მხოლოდ ირანული ხელოვნების დამახასიათებელ თავისებურებადაა მიჩნეული. მხოლოდ ირანულ ტრევეტიკაშია დამოწმებული გარეთ გადაშლილი პირიანი ფიალებიც¹³.

ამდენად, იგი შეიძლება ზოგადად ირანულ სამყაროს დაუკავშირდეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი ანალოგი მას ირანული წარმოშობის ფიალებში არა ეძიება. ეს გარემოება ართულებს ფიალის წარმოშობისა და თარიღის დაზუსტებას.

ცენტრალური ვარდულის მოყვანილობით იგი რამდენადმე ენათესავება ძვ. წ. V ს. დათარიღებულ ფიალებს, კერძოდ სომხეთში აღმოჩენილ ვერცხლის ფიალას¹⁴ და ბერლინის მუზეუმის ბრინჯაოს ფიალას¹⁵. გარკვეული მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ფიალებს იმ ჯგუფთან, რომელსაც ამაღრი ლოტოსიანი ფიალების მეორე ჯგუფში აერთიანებს და ზოგადად აქემენიდური ხანით ათარიღებს¹⁶. მაგრამ ენიანად აერთიან არ იძლევა ამ ფიალების შიდაპროლოგოგურ კლასიფიკაციას და შესაბამისად გვიანაქემენიდური ხანის ფიალებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, განხილული ფიალის დათარიღება მხოლოდ აღმოჩენის პირობების საფუძველზე ხერხდება. იგი აღმოჩენილია ადრეელენისტური ხანის სამარხში. შესაბამისად ფიალა გვიანაქემენიდური ხანით უნდა დათარიღდეს.

¹² S. Stronsg. Greek Gold and Silver Plates. London, 1968, გვ. 5.
¹³ O. M. Dalton. Trespure of the Oxus. London, 1926.
¹⁴ H. Luschev. Die Plale. Berlin, 1936, სურ. 8, გვ. 48
¹⁵ A Survey of Persian Art. 1, გვ. 521.

2. მეორე ფილაც აღმოჩენილია 1947 წ., ქალის სამარხში, დატულია საქართველოს სახ. მუსეუმში საინფ. № 14—57/11. იგი თითქმის მთლიანადაა მოღწეული, მხოლოდ ძირზე აქვს პატარა ამონატეხები. ჭურჭლის საშუალო ზომისაა (ძირის დმ — 17 სმ, ს — 14 სმ).

დამზადებულია თეთრი ფერის ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან. აქვს მომრგვალებული, ომფალისიანი ძირი და გარეთ დაშლილი მალაღლი პირი. ძირი შემეულია კედური რელიეფით.

ცენტრალურ ნაწილში, ომფალისის ირგვლივ, წრიულად ოთხი სწოველის გამოსახულებაა. გამოსახულებები ერთმანეთის საპირისპიროდ, წერისებურად არიან განლაგებულნი ისე, რომ შემქნილია წყვილები: ლომი — ტახი, ავაზა(?) — ირემი. ყველა სწოველის გამოსახულება მარცხენა პროფილშია, ამიტომ მოპირდაპირე გამოსახულებანი სპინანაღდღვოდ მხარეს არიან მიმართული.

სწოველების გადმოცემის საგანგებოდაა აღნიშნული გარეგნული დამახასიათებელი ნიშნები: კერძოდ, ტახის გამოსახულებაში ხაზგასმულია გრჯევი ბასრეშებიანი ღინჯი, ძლიერი კუნთები და ფეხის, მუცლისა და ყბების არემი, უხეში ბეჭევი, წვეტიანი ყურები. მაგრამ ცალკეული დეტალები სქემატური და სტილიზებულია. მაგალითად, კუნთები მცირე შემადლებებითაა გადმოცემული, ბეჭევი ირიბად დახარული შტრიხებითაა მიანიშნებული, თვალი ამობურცული წრიითაა აღნიშნული.

ანალოგიური მანერა შეინიშნება დანარჩენი სწოველების გადმოცემაშიც. მაგალითად, საკმობდ კარგადაა მოდელირებული ლომის მომრგვალებული კუნთებიანი გლუვი სხეული, დაღებული ყბა, თათები. რამდენიმე ამობურცული სიბრტყით შესანიშნავადაა გადმოცემული ირმის მკერდივი დაკუნთული ტორსი და კიდურები; ასევე ლაკონიურადაა აღნიშნული ავაზის მოქნილი, ფუფუკი თათები და სხეული. მაგრამ ბეჭევი, ფეხარი, თვალები და სხვა დეტალები უეიდურესად სტილიზებული და სქემატურია. შეინიშნება გამოსახულებაში სიგრძეში თავისუფლად მოთავსების ცდა — დარღვევითაა კიდურების პარალელურობა — ტახსა და ირემს უკანა მარცხენა ფეხი აქვთ წინ გადადგმული, ავაზას წინა მარჯვენა თათი აქვს აწეული, მაგრამ გადმოცემულია მოძრაობის ერთი მომენტი, აღბეჭდილია გავიწვლია პოზა, რითაც შექმნილია აბსტრაქტულობისა და ერთგვარი განყენებულობის შთაბეჭდილება.

სწოველების გამოსახულებას გარს უქლის გრებილი რელიეფური სარტყელი. სარტყლის ირგვლივ მოთავსებულია ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული რკალები გადაბმული 18 ნუშისებური ბურცობი და ლოტოსის ყვავილები. ბურცობებს კუთხოვანი მოყვანილობა აქვთ, ლოტოსის ყავილებშია გამოსახულება არამკვეთრია (სურ. 100—101).

რელიეფი, გარდა ბურცობებისა, გარედანაა ამოკედილი. როგორც ჩანს, წინასწარ შემოხაზული კონტრის მიხედვით, მისი კვალი შემორჩენილია სწოველების გამოსახულებებზე. ცალკეული დეტალები შიდა მხრიდანაა საქრისით დატანილი.

განსილული ფილა მოყვანილობით ირანულ ფილებს ენათესავება, მაგრამ შემეულობის ხასიათით რამდენადმე განყენებულად დგას.

ამ ფილასრისით აღსანიშნავია ფილის ცენტრალური ნაწილი შემეულზეა. მიხედვად იმი-სა, რომ ირანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია „სწოველური სტილი“, ფილების შემეულობაში მათი გამოსახულებები არა გვხვდება. ცნობილია მხოლოდ ერთი თქორს ფილა, რომელიც შემეულია ვარდლის ფურცლებს შორის მოთავსებული ლომების ოთხი წყვილით¹⁷. მაგრამ ეს უკანასკნელი მოყვანილობითაც და შემეულობითაც სრულიად განსვავდება ვანში აღმოჩენილი ფილისაგან. საერთოდ კი ირანულ ტორეტიკაში გავრცელებული იყო ლოტოსიანი ფილები. შემეულობის ხასიათი ფილების განსაკუთრებული დანიშნულებით იყო განპირობებული. ფილა მზის დეათების სარიტუალო ჭურჭელი იყო და აზღუნად მას მზის სიმბოლოს — ლოტოსის გამოსახულებით ამკობდნენ.

შემეულობით ვანური ფილა გარკვეულ კავშირს ავლენს სტარობოლსკის ვერცხლის ფილასთან, რომელიც სწოველებია — ხარისა და ლომის, ავაზისა და ტახის შემბოლების სცენებითაა შემეული¹⁸. მსგავსება ძირითადად ფორმალური ხასიათისაა. სტარობოლსკის ფილარზე არსებული გამოსახულებებისათვისაც დამახასიათებელია გადმოცემის რეალისტური და სტილიზირებული მანერის ერთდროული თანაარსებობა. სხვა ნიშნებით, კერძოდ შემეულობის საერთო კომპოზიციით და შესრულების მანერით, იგი უკუ-

¹⁷ A Survey of Persian Art. I.

¹⁸ К. В. Тренер. Памятники греко-бактрийского искусства, М.—Л., т. 78, გვ. 51—55.

ლიდ განსხვავდება ვანში აღმოჩენილი ფიალისაგან.

სტარობოლსკის ფალარზე ცხოველების გამოსახულებები მოთავსებულია ცენტრალური ვარდლის ირგვლივ. ფალარის კედლებზე. გამოსახულებები ორიენტრირებულია ფალარის კედლების მიმართულებით. რელიეფი მკვეთრად, თითქმის სწორი კუთხოვანა გამოყოფილი ფონისაგან. თითონ რელიეფი ბრტყელია და მთლიანობაში აპლიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ვანურ ფიალაზე. როგორც აღნიშნული იყო, გამოსახულებები ომფალარის ირგვლივაა განლაგებული, ორიენტრირებულია ცენტრისკენ. რელიეფი მომრგვალებულია, გადასკლები თანაბარია. თითქმის შეუძნეველი. ცალკეული ნაწილები ძლიერაა დეტალიზებული.

სტარობოლსკის ფალარს ქ. ტრევერი ბერძნულ-ბაქტრიული ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევა, მაგრამ საჭიროდ სთვლის იმის აღნიშვნასაც, რომ სტილისტური ნიშნებით ის სულ სხვა სამყაროსთან ავლენს კავშირს¹⁹. მართალია, მკვლევარი არ აღნიშნავს, ეყრდნობა რომელ სამყაროზეა ლაპარაკი, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ იგი ირანულ სამყაროს ვარაუდობს, ვინაიდან მის მიერ მიჩნეხებული სტილისტური თავისებურებები ამ უკანაქრედიისთვისაა დამახასიათებელი.

ამდენად, სტარობოლსკის ფალარი ვანური ფიალის მხოლოდ შორეულ ანალოგიად უნდა მივიჩნიოთ, მათი დაკავშირება იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც სავარაუდოდ მათი ერთი საერთო წყაროდან, როგორც ჩანს, ირანულიდან მომდინარეობა.

ამდენად, ვანური ფიალა შემკულობის საერთო ხასიათით უნიკალურია, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ კავშირს ავლენს ირანულ ძეგლებთან, ირანულ ფიალებთან დაკავშირების საფუძველს მოყვანილობის გარდა ცხოველების გამოსახულებების ირგვლივ მოთავსებული ნუსხებები ბურცობები და ლორტის ყვავილები იძლევა.

რაც შეეხება ცენტრალურ ნაწილს, როგორც აღნიშნული იყო, ირანული ფიალებისაგან განსხვავებით ვანურ ფიალაზე ვარდლის ნაცვლად ცხოველების გამოსახულებების მოთავსებული.

ვარდლის — ლორტისა გაშლილი ყვავილის სტილიზებული გამოსახულება მზის სიმბო-

ლოდაა მიჩნეული. ვინაიდან ვანურ ფიალაზე მისი ადგილი ცხოველების გამოსახულებებს უჭირავს, ეს ცხოველები მზის ღვთაებასთან კავშირში უნდა წარმოვიდგინოთ. მათი ზეციური ხასიათი მიჩნეხებულია აპანია ჯუფურცილანის ვარდულით, რომელიც პირველ და მეოთხე ცხოველს შორისაა მოთავსებული, აგრეთვე ორად გაყოფილი ზემოთ აწეული კუდითა და საერთოდ მათი განლაგებით — მოთავსებული არიან ნახევარსფერული ომფალარის — ცის თაღის ირგვლივ, ქვერსებულად.

ამგვარად, ირანული ფიალებისაგან განსხვავებით, ვანურ ფიალაზე ცენტრალური ნაწილი დათმობილი აქვს არა მზის, არამედ ზეციურ, შეიძლება მზის კულტთან დაკავშირებული ცხოველების გამოსახულებებს. ეს კარგეობა ახალ, ირანულსაგან რამდენადმე განსხვავებული, რწმენა-წარმოდგენების არსებობის ვარაუდის საფუძველს იძლევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფიალაზე გამოსახულ ცხოველებს კოლხურ პანთეონში წინარეულინისტური ხანიდანვე განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ, დახეილული ფიალის კოლხურ სამყაროსთან განკუთრება გამართლებული ჩანს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შესრულების მანერაც. ამ ნიშნით აღნიშნული გამოსახულებები გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ძვ. წ. V—IV სს. კოლხური ოქროშეკვლობის ძეგლებზე დამოწმებული ცხოველების გამოსახულებებთან²⁰.

კოლხურ სამყაროსთან კავშირზე მივყვანიხვების შემკულობის ცალკეული დეტალებიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია „ჯრებილი“ რელიეფური ქედი, რომლითაც ცხოველების გამოსახულებებია შემოჩარჩობული. აღნიშნული დეტალი შემკულობის აუცილებელ ელემენტად გვევლინება კოლხური წარმომავლობის ლითონის ნაწარმში. იგივე მოტივს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოლხური კერამიკის შემკულობაშიც.

ამდენად, ზემოთქმული გარკვეულ საფუძველს გააძლიერებს ცხოველების გამოსახულებებით შემკული ფიალა კოლხური ხელოვნების ნიმუშად მივიჩნიოთ. რაც შეეხება მის თარიღს, შესაძარტებელი მასალის უქონლობის გამო, აღმოჩენის პირობების საფუძველზე ძვ. წ. III ს. პირ-

¹⁹ ფიალის შესახებ. იხ. Н. В. Хоштарна, Серендрия фиада из Вани, ისტორიის ინსტ., III საუცნებრო სესიის ოქსიტი, თბ. 1950, გვ. 19. ვანი, I, თბ., 1970, ტაბ. 37, 38, 188, 225.

ველი ნახევრით (გვიან აქემენიდური ხანით) უნდა დათარიღდეს.

მესამე ფიალა 1975 წ. გათხრის № 13 სამარხში აღმოჩენილი (დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში, საინვ. № 07.1.75.313).

ფიალა სიტულაში იყო ჩაყარნილი, ამიტომ ვარაუთა კვლდებზე ბრინჯაოს პატინა ჰქონდა გადაკრული. მისგან ძირი და პირის ორ მესამედზე მეტია ვადარჩენილი.

ქურჭელი დაბალი ნახევარსფეროს ფორმისაა (H—0,4 სმ), ომფალოსიანია, პირწიბოიანი, წიბო კედლის გადაკეცილობა მიღებული (პირის დმ—16 სმ-ია); დამზადებულია ბრინჯაოს მთლიანი ფურცლისაგან. კვლდები სადა აქვს, გაპირალებულია (სურ. 103), დაფარულია შავი ფერის კეთილმოზობილი პატინით.

ფიალა თანმზლები სიტულით ძვ. წ. III ს. დასაწყისით თარიღდება. უშუალო პარალელის უქონლობის გამო მისი წარმომავლობის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება. ბერძნული და ირანული ფიალებისაგან განსხვავებული პირის კიდის მოყვანილობა გარკვეულ საფუძველს იძლევა, რომ იგი ადგილობრივ ნაწარმად იქნეს მიჩნეული.

თასები

ლითონის ქურჭლის ქვემოთ წარმოდგენილი ჭგუფი განსაკუთრებით მცირერიცხოვანია. იგი მხოლოდ ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი. მათგან ერთი ფრაგმენტული ნატეხი კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი, მეორე შედარებით უკეთ დაცული ცალი კი ქალის (№ 2) სამარხიდან მომდინარეობს.

ქალის სამარხში აღმოჩენილი თასისაგან პირისა და ძირის ცალკეული ნატეხებია ვადარჩენილი (საინვ. № 3—47/452), ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში. მისი აღდგენა მხოლოდ გრაფიკულად ხერხდება. ქურჭელი დიდი ზომისაა (პირის დმ. 30 სმ-ია, ქუსლისა—10,5 სმ), ქუსლიანია, გვერდებმომრგვალებული. დამზადებულია ბრინჯაოს ორი ორმაგი ფურცლით. ფურცლები ერთმანეთთან მანქვლებითაა გადაკერებული. ფორმა ქედვითა აქვს მიცემული. ღაზგის გამოყენების კვალი არ შეიმჩნევა. მთელი ზედაპირი შხამიანი პატინითაა შექმნილი. სავარაუდოა, რომ იგი ნატეხის გარეშე იყო დამზადებული (სურ. 98, 102).

ელნისტური ხანაში დაზგაზე უმეტესად მცირე ქურჭელს ამზადებდნენ, მხოვრილი ქურჭელს

კი ქედავდნენ და აპირალებდნენ. აღსანიშნავია, მაგალითად, კაიროს მუზეუმში დაცული ელნისტური ხანის ბრინჯაოს დიდი ზომის თასები, რომლებიც ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგანაა გამოქვილილი²¹.

განხილული ქურჭლის წარმომავლობის დადგენა პირს, თუმცა მისი დამზადების ტექნიკა გარკვეულ საფუძველს იძლევა იგი ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ქუსლის დამზადების ხერხი. იგი გამოყვანილია ქურჭლის გარეთა ფურცელში, შიდა ფურცელი მომრგვალებულია და ფსკერის დანიშნულებას ასრულებს. სიმყარის მნიშვნების მიზნით ქუსლის შიდა არეში ბრინჯაოს მომრგვალებული ფურცელია ჩაფარული და გარეთა კიდეა გადმოკეცილი. ამგვარად დამზადებული ქუსლი აქვს სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს სიტულასაც. ვარადა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტობრივ ქურჭელი ნაწილ-ნაწილა გამოკვეთილი, ცალკეული ნაწილები კი ერთმანეთზე სამაგრებითაა გადაკერებული. ქურჭლის დამზადების ამგვარი წესი აგრეთვე კოლხური ხელოსნობისათვისაა დამახასიათებელი.

ქურჭელი სამარხში აღმოჩენილი თანმზლები ნიმუშით ძვ. წ. III ს. თარიღდება.

მეორე თასიდან მცირე ნატეხი ვადარჩენილი (საინვ. № 3—60/157). იგი სკამოდ მოზრდილი, პირგადაშლილი ქურჭლის მიეფუთენება. დამზადებულია ბრინჯაოს ორმაგი ფურცლისაგან: ფურცლები ერთმანეთთან დაკვეთრებული ყოფილა პირის კიდესთან. შემორჩენილია ზედა და ქვედა ფურცლების შედუღების კვალი. ფურცლებს შორის ქურჭლისაგან მასიურობის მიზნების მიზნით სივრცეა დატოვებული. გადაბმის ადგილი მოსწორებულია, კიდე მომრგვალებულია. პირის კიდე პორიზონტალურადაა ვადარჩილი. ვადახრის ადგილას, შიდაპირზე ორი ღარით შექმნილი რელიეფური ქედი შემოუყვება. ღარები და ზღვითაა გამოყვანილი. საერთოდ ქურჭელი, როგორც ჩანს, დაზგაზეა დამზადებული.

ქურჭლის წარმოდგენილი ნიმუში გვიან-ელნისტური ხანის ფენაშია აღმოჩენილი. ამდ-

²¹ F. W. Bissing. Catalogue general der antiques Egyptine du Musée du Caire. Metalgefasse. Wienne, 1901, № 3497. № 3515, 3531, გვ. 40—51.

საყურადღებოა, რომ ენატი ქურჭელი № 3497-თან კავშირს პირის მოყვანილობითაც აქვს. მაგრამ განსხვავდება ძირის მოყვანილობით. ენატი ქურჭელი ქუსლიანია, კაიროს მუზეუმის თასი კი მრგვალია.

ნად იგი აღნიშნული ხანით უნდა დათარიღდეს. სხვა დაშთარებული საბუთები, კერძოდ. ლიტერატურული პარალელები, დღესდღეობით არ მოკვეთილება.

აღნიშნული გარემოების გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქვა განხილული ნიმუშის საწარმოო ცენტრის შესახებ. საერთაშორისო, რომ იგი ბერძნული, კერძოდ აღმოსავლურ ბერძნული სამყაროს რომელიმე ტრადიციული ცენტრადანა მომდინარე. ამგვარი ვარაუდის საფუძვალს იძლევა კერპლის დახვეწილი პროფილი და აგრეთვე დამზადების საქმარი რთული ტექნიკის გამოყენების ფაქტი (დაზგა, შედლები).

ბრინჯაოს სურა

ლითონის კერპლის ეს სახეობაც 1947 წ. გაზარდო ქალის სამაზნობა აღმოჩენილი, ისიც სამარხში აღმოჩენილი სხვა ნივთებთან ერთად ინახება საქართველოს სახ. მუზეუმში, საინვ. № 3—47—458. კერპელი შუაზე გატეხილი. უფრო ნიჟიქრალი აქვს, მაგრამ ქვედა და ზედა ნაწილი თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი, ამიტომ კერპლის აღდგენა თითქმის მთლიანად სერადება. მას აქვს დაგრძელებული, მხრებისკენ შეუქნველად გაფართოებული ბრტყელოძირიანი კორპუსი, ნაღლი ცილინდრული ყელი და პორიზირებულიად გადახრილი ფაროი კიდე, დაფარული მწვენი შხამიანი პატინით. (სურ. 94).

დამზადებულია ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან. ნაწილ-ნაწილ კედვით. შეიქმნევა დაზგის გამოყენების კვლე—ძირზე აქვს პაწია ბურცობი და კონცენტრული წრეხაზები (სურ. 96). ცალკეული ნაწილები, კერძოდ ყელი, პირის კიდე და კორპუსი ერთმანეთთან მრგვალი სამაგრებოთაა გადაკერებული. სამაგრები ერთმანეთისგან თანხარად მანძილიანად დამორჩეული, წრიულადაა განლაგებული და ამიტომ დეკორატიული სარტყლებს შთაბეჭდილებას ქმნის.

ყურა ძალიან დაზიანებულია. გადარჩენილია მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი. დამზადებულია ბრინჯაოს ფურცლებით. ფურცლები შიდა მხარესაა გადაკეცილი და გაბრტყელებულია. კერპელთან დაკავშირებული ყოფილა სამაგრებით — უტრის ქვედა ნაწილზე შემორჩენილია კედლის სამაგრით მიკერებული ნაწილი. (მისი ზომებია: პირის დამ—6.5 სმ, კიდის გარეშე),

პირის კიდის სიგანე—3 სმ, სიმაღლე არ იზომება, ძირის დამ—8 სმ).

განხილული კერპლისათვის უშუალოდ პარალელი არ მოგვეპოვება. დამზადების ტექნიკის თავისებურებების საფუძველზე (ცალკეული ნაწილების სამაგრებით გადაკერება) იგი შეიძლება ადგილობრივ ნაწარმად იქნეს მიჩნეული. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განხილული სურა პირ-ყელის მოყვანილობით ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ ლითონის ნაწარმს ენათესავება. ანალოგიური პირ-ყელის, მაგრამ სფერული კორპუსის შქონე ბრინჯაოს სურა აღმოჩენილია ძვ. წ. II ს. სარკოფაგში²². ამდენად მისი წარმოადგენლობის დადგენა ამჟამად არ ხერხდება. აღმოჩენის პირობების საფუძველზე ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრით თარიღდება.

ვერცხლის კოლქი (სურ. 105—108) აღმოჩენილია 1948 წ. № 4 სამარხში, დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, საინვ. № 14—57/17. მოღწეულია მთლიანად. იგი მაღალქუსლიანია, ზარისებურკორპუსიანი (ი 8,56 პირის დამ—13,5 სმ.), დამზადებულია სპი-ფერი ვერცხლის ორმაგი ფურცლებით. კორპუსის შიდაპირზე, პირისა და ძირის მიერთების ადგილას მაღალი რელიეფური ქედი შემოუკვეება, დსკერი შემკული აქვს „ფრჩხილოვანი“ ორნამენტით შედგენილი სარტყლებით. შემორჩენილი თექვსმეტფურცლიანი ვარდულით და მის ირვკვლე რადიალურად განლაგებული რკალებით გადაბმული რვა პალმებით (სურ. 106). ვარჯა პირი გლუვი და გაპარალელებული აქვს. შიდა და გარეთა ფურცლები ერთმანეთთან ეიწრო ფირფიტოთაა გადაბმული, გადაბმის ადგილზე პირის კიდესთან წვრილი, საკულდაგულოდ მოსწორებული წიბოა დარჩენილი.

ყურები „ყუღფისებურია“, მასიური, მრგვალო-განივეკვითანი. კორპუსთან მირჩილულია ფოთლისებური წვეტიანი დეკორატიული დეტალებით. ქუსლი საფეხურებლად შემადგენლობით კონუსის ფორმისაა. დამზადებულია ორმაგი ფურცლებით, მაგრამ მასიურია. მას შიდა პირზე ორასობიანი გრავიტირ აქვს ამოკაწრული.

კერპლის საბოლოო სახე დაზგაზე აქვს მიკე-მული. დაზგაზე ცენტრალური ვარდულის გულით ყოფილა დაპარგებული. დსკერის შემკულობის დეტალისა დაზგასთან ერთად საკრისი და პუნსონი-

²² H. Walters. Catalogue of the silver plates. London, 1926. ტაბ. IV. გვ. 7.

ცა გამოყენებული. მრავალთაიანი პუნსონითა აპოკრიფილი ცენტრალური ვარდული, სპირისით „ფრჩხილოვანი“ ორნამენტი და შემეარტებელი რკალეობა დატანილი. დაზვა გამოყენებულია პალმეტების დეკორაციასა.

სამაზის, საიდანაც განხილული კილიკი მომდინარეობს, ძვ. წ. IV ს. დასასრულთა დათარიღებული, შესაბამისად, კილიკი აღნიშნულ ხანისადა მიჩნეული²³. მაგრამ ათენში აღმოჩენილი ანალოგიური კილიკები ეოლურის ძვ. წ. III ს-ის პირველი ნახევრით აქვს დათარიღებული²⁴, ამიტომ განხილული კურკელის უფრო ადრეული ხანით დათარიღება არ უნდა იყოს მართებული. ამგვარი დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ფსკერის შემკულობაც, ეგრძოდ „ფრჩხილოვანი“ ორნამენტის გარეგნა, არასრულად აღმუქვდილი პალმეტები (მათ ნაკლები აქვთ მარჯვენა ფურცლები და ფუძეები), რკალეების კეთხოვანი მოყვანილობა.

რაც შეეხება მის წარმოშობას, აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მოყვანილობის კილიკების საწარმოო ცენტრად საყოველთაოდ ატიკაა მიჩნეული. ეს გარემოება ეანში აღმოჩენილი კილიკის ატიკასთან დაკავშირების საფუძველს იძლევა. მისი ატიკიდან მომდინარეობის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე უაღრესად პლასტიკური, დახვეწილი პროფილი, შემკულობის ხასიათი, დამზადების რთული ტექნიკა (როგორც აღნიშნული იყო, დამზადებისას გამოყენებულია კედლა, რჩილა, დაზვა).

ბრინჯაოს კანთაროსი (3—71—134) აღმოჩენილია 1971 წ., გვიანელინისტური ხანის ფენაში. კურკელი დაშლილი იყო, მაგრამ აღდგენა მიხედვით მოხერხდა. იგი დამბლქუსლიანია ცლიონდრულ-კორპუსიანი. დამზადებულია ბრინჯის ორმაგი ფურცლით. საგარადლოა, რომ თავდაპირველი მოყვანილობა ხის ფორმაზე კედლითა აქვს მოცემული. კუთხეები და ზედაპირი კი დაზვის საშუალებით აქვს მოსწორებული. დაზვის გამოყენების ძველი შერჩენილია ძირზე, დაზვაზე დასამაგრებელი ნაჩერტის სახით.

კურკელი გაპირალებული ყოფილა. ამჟამად გაპირალების ყველი შემორჩენილია ქუსლის შიდა არის მცირე ნაწილზე. სხვა ადგილებში შხამიანი პატინითაა შექმნილი.

²³ საქართველოს არქეოლოგია, ობ., 1959, გვ. 235.
²⁴ H. Wallers დასა. ნაწარმი, 1926, გვ. 5 (15).
ტ. III.

ყურები შედგება ცენტრალური „სიგის“ ფორმის რკალისაგან და ორი დეკორატიული სამკარისაგან. ზედა I-ს მოყვანილობის, ეოლურ ტიპით შემკული სამკარე უშუალოდ პირის კიდესთანაა დახვეწილით მიკავებული. ქვედა სამითაა დეტალით უკავშირდება კურკელს (სურ. 104ა).

ლითონის მცირე კურკელის დამზადების ამგვარი წესი უფროდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში²⁵. ეოლის გამოყენება სამუშაოს რამდენადმე ამარტივებდა, თუმცა ფორმის სტანდარტიზაციასა და სიმარტივეს განაპირობებდა, ხოლო კურკელის მთლიანი ფურცლისაგან დამზადება პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა. ნაწილ-ნაწილ დამზადების დროს საჭირო იყო ნაწილების ვადაკება ან შედუღება. ამ პროცესების გამოყენებას კი ერღებოდა, ვინაიდან ვადაკების დროს შეიძლება კურკელი გატეხილიყო, თანაც სთხვს არ აკავებდა, შედუღება კი საკმაოდ რთულ პროცედურასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მის მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მიმართავდნენ.

განხილული კანთაროსი ყურების, აგრეთვე კორპუსის მოყვანილობით დასავლურ ბერძნულ, ეგრძოდ იტალიურ ტრავეტიაში გავრცელებულ გვიანელინისტურ-ადრერომული ხანის ნაწარმს ენათვალავება. მათგან აღსანიშნავია ბოსკოს რკალეში აღმოჩენილი ვერცხლის კანთაროსები²⁶, აგრეთვე ახტანოზესკიასის და ოქტიპარსკიასის ვერცხლის კურკელი²⁷. ეს გარემოება ეანში აღმოჩენილი კანთაროსის აღნიშნულ ცენტრთან დაკავშირების საფუძველს იძლევა.

განხილული კანთაროსი გვიანელინისტური ხანის (ძვ. წ. I ს. დასასრულით) თარიღდება. ამგვარი დათარიღების საფუძველს დასაბუთებულ პარალელების გარდა აღმოჩენის პირობებიც იძლევა — იგი მომდინარეობს ვანის ნაქალაქარის ზედა, ძვ. წ. I ს-ით დათარიღებული ფენიდან²⁸.

დეკორატიული დეტალები

კურკელის შესაკობი დეკორატიული დეტალები უმთავრესად კულტურული ფენებიდან მომდინარეობს.

²⁵ D. K. Hill. The Technologie of Greeks Wases and its bearing on vase forms in Metal and Pottery. AGA. 1947, 3 248—256.
²⁶ A. H. Villalosse. la tresar de Boscoreale. 86—88, 19—21, ტაბ. V₁, 2.
²⁷ CAH, Al., 1970, გვ. 186, სურ. 452, 6.
²⁸ იხ. 186-ე ნაკვეთი 1971 წ. წარმოებულ გათხერხვის ანგარიზი.

1. ამ რიგის ძეგლებიდან აღსანიშნავია 1967 წ. „გოზაიკურიტიკანი“ ტაძარში აღმოჩენილი გარსკრავი, რომელიც, როგორც ჩანს, იქვე აღმოჩენილი რკინის ქლის (?) შესამკობად უნდა ყოფილიყო გახუთდენილი.

გარსკრავი დამზადებულია თხელი ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან. ორნამენტი შესრულებულია ქვიშის. გამოყენებულია სხვადასხვა ზომის პუნსონი, საკრისი, ტყეფი. ორნამენტი მცენარეული და გეომეტრიული მოტივებისგანაა შედგენილი (ვხვდებით პალმები, ასტრავალი, მუანდრი), სახეები ფირზადაა განლაგებული. გამოირჩევა სახეთა მრავალფეროვნებითა და დახვეწილი შესრულებით.

წარმოდგენილ დეტალს უშუალო პარალელი აქვარად არ ეძებნება. ამიტომ წარმომავლობის გარკვევა შემკვლობის სტილისტური ნიშნების მიხედვით ხერხდება — მისი უარესად ცხოვლებათლი, თითქმის ფერადოვანი ხასიათი, მხატვრული მოტივების მრავალფეროვნება ამ ძეგლს აღოსავლურ-ბერძნულ ნაწარმთან აახლოებს და მნიშვნელოვნად განასხვავებს იტალიური ნაწარმისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთსახოვანი ორნამენტაცია. აქცენტი მხოლოდ ერთ რომელიმე გამოსახულებაზე ან მოტივზე.

ჭურჭლის წარმოდგენილი დეტალი აღმოჩენის პირობების მიხედვით ძვ. წ. II ს. თარიღდება²⁹.

2. ჭურჭლის შესამკობი დეტალი უნდა იყოს აგრეთვე არწივის მცირე სკულპტურული გამოსახულება, რომელიც აღიზნდა 1896 წ. ექ. თაყაიშვილის მიერ ვანში წარმოებული გათხრების დროს (საინვ. № 2513)³⁰. ამეგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ არწივის ზურგს, კერძოდ ის ნაწილი, რომლისაც ჭურჭელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ისევე როგორც 1967 წ. აღმოჩენილი ჭურჭლის შესამკობ არწივის გამოსახულებებისა, დაუმუშავებელია³¹.

არწივი ფრთხვმკოეცილია, მკარამ შემარბთისი და დამაბელია. ამჯერა შთაბეჭდილებას ძველს წინადადებული მარჯველი ფეხი, ზეაქვეული და სპივი მკოთხედით მებრუნებული თავი, ფართო გაბელოლი თვალები (გადმოცემულია ნუშის

ფორმის ბუდეში მოთავსებული ამობურცული წერტილით).

არწივს მთელი სხეული, ზურგის მცირე ნაწილის გამოკლებით, დაფარული აქვს ფოთლისებრი შემალღებებით გადმოცემული ბუმბულით. ბუმბული იწყება თავიდან და ეშვება მხრებისაკენ. ზედა ნაწილში დაცულია სიმეტრიულობა, ყელზე, მკერდზე და ფეხებზე შემალღებების რიგები არაუღია.

გამოსახულება ყალიბშია ჩამოსხმული. მეორეოდ დამუშავების ყვალი არ შეიგრძნევა. კარგადაა შემონახული. ოდნავ აქვს დაზიანებული ნიჟაკარტი, ბრჭყალები და ფრთები, პატარაა, მისი მაქსიმალური სიგრძე 6,5 სმ, სიგანე 3,5 სმ. ამის მიუხედავად, გამოსახულება რეალისტრულია და გარკვეული თეალსაზრისით — სტატუირიკი, რაც არწივის ფიგურის სიგრძეში თავისუფალი მოთავსებითაა მიღწეული.

არწივს, როგორც ზევისს კულტთან დაკავშირებული ფირნევის გამოსახულებას, ელინისტური ხანის ბერძნულ პლასტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკია. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ლუხნარის ნაწარმოებები. ამ მოჭინდაკის შემოქმედებაში ხშირად მეორდება პანიმოდის თემა და შესაბამისად არწივის გამოსახულებაც.

განხილული გამოსახულება ისევე, როგორც ელინისტური ხანის მრავალი მცირე ხელოვნების ძეგლი, საერთო ხასიათით გარკვეულ კავშირს აცლენს არწივის იმ გამოსახულებებთან, რომლებიც ამ მოჭინდაკის მიეჭრება და ჩვენამდე ფლავიუსების დინასტიის ხანის ანონიმური მოჭინდაკის მიერ შესრულებული პირებითაა მოღწეული³². კავშირი შეინიშნება კორნუსის დაყენებაში. ბუმბულია და ფრთების დამუშავებშია.

ამსათუავად, ფრთებისა და ბუმბულის დამუშავების მანერით იგი გვიანელინისტური-ადრერომული ხანის ძეგლებთანაც ავლენს გარკვეულ სიახლოვეს. ამ თეალსაზრისით მონუნტური ქანდაკების გარდა ყურადღებას იქცევს კერამიკული რელიეფები, კერძოდ ლუერის მუზეუმის სილენისა და სირენის გამოსახულებიანი კერამიკული ფილა და ეილა ალბანოს დედლოსისა და იკარონის გამოსახულებიანი პორელიეფო³³. ეს გა-

32 P. Waldhauser. Этюды по истории антич. искусства, М., 1954, Колпшинский, Искусство Эгейского мира, М., 1970, გვ. 29, ტბ. X. სურ. 293.

33 Schreiber Th., Hellenistischen Relief bildern, Leipzig, 1894, გვ. 3—5, ტბ. XI.

29 ვანი, I. ობ. 1972, გვ. 179.

30 OAK № 1856. Санктпетербург, 1898, გვ. 109—

110. Коллекция Кавказского Музея, V, 1602, № 2513,

31 ვედა. ვანი, I. ტბ. 135, 136.

რეობება აღნიშნული გამოსახულების ზოგადად გუანელისინსტური — აღერობაული ხანით დათარიღების საფუძველს იძლევა. უფრო კონკრეტული თარიღის დადგენა არ ხერხდება. თუმცა „მოზაიკობრატკიანი“ ტრადიცი აღმოჩენილ არქივის გამოსახულებებთან მისი სტილისტური სიახლოვე, ალბათ, გუანელისინსტური ხანით დათარიღების უპირატესობაზე უნდა მიუთითებდეს. რაც შეეხება განხილული ძეგლის წარმომავლობის საკითხს, მის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ვინაიდან 1967 წ. აღმოჩენილი არქივის გამოსახულებებიანი ჭურჭელი აღმოსავლურ-ბერძნული სამყაროს უკავშირდება, დასაშვებია, რომ განხილული დეტალით შემკული ჭურჭელიც იმავე საწარმოდან მომდინარე მიეჩნეოთ.

3. შემდეგი ნიმუში შემთხვევითაა ნაპოვნი ადგილობრივი მოსახლის მიერ. შეიძინა ექსპედიციამ 1950 წ. ამჟამად ინახება საქართველოს სასახლეშიფიო მუზეუმში. სიანგ. №14—57 15.

განსახილველი დეტალი (H—15,5 სმ) სკულპტურულია. მასზე ქესპერიდების ბილიდან მიმავალი წვეროსანი ჰერაკლეა გამოსახული. გვირის მარჯვენა მკერდთან მიტანილი ხელში ვაშლები უჭირავს, მარცხენაში მხარზე გადებული კეტი. თავი შემკული აქვს გვირგვინით. გვირგვინი, რომელიც ლეორზე ირბად განლაგებული წვეროებით შუბლის ცენტრისაკენ მიმართული ფიფიების ორი რიგითაა შედგენილი, კუთხაზე შეერთებული არაა.

სახე შემოარჩობებული აქვს მოკლედ შეკრეპილი თითა და ხშირი წვერიით. თმა სქემატურადაა შესრულებული, შუბლზე გადმოცემულია სწორხაზოვანი ღარებით. ღარები განლაგებულია პარალელურად. თავის დანარჩენ ნაწილზე უწყსრიგადაა დტანილი.

წვერი გადმოცემულია ოდნავ მოკალული, ღარებით დაფარული შემალლებებით. შემალლებები არაა სიმეტრიული, მაგრამ მათ განლაგებაში გარკვეული რიტმი შეინიშნება. ეს მომენტი საგრძნობლად აძლიერებს სისხრის შთაბეჭდილებას.

სახეზე აღბეჭდილია ღრმა შინაგანი პათეტიკა და ერთგვარი დალილობა. ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის ფართო, ოდნავ შეკუმხული შუბლი, ეხიანი ცხვირი, რელიეფურ ქუთუთოებში ღრმად ჩაქდარი თვალები, ჩაცვენილი, უღარესად პლასტიური, მკვეთრ რელიეფში შესრულებული ღა-

ვები, სქელი უღვაშებით დაფარული, ოდნავ გახსნილი ბაგე.

სახის აღნიშნული ნაწილები საგანგებოდაა გაპრიალებული, რითაც შექმნილია ვეფქტური კონტრასტი სახის წვერით დაფარულ მქრატა ნაწილთან და გაძლიერებულია გამოსახულების ემოციური ხასიათი.

გამოსახულების დანარჩენი ნაწილები, კერძოდ უყუბრი, კუთხა, კისერი გადმოცემულია სქემატურად. განსაკუთრებით სქემატური და არაპროპორციულია მკერდი, მხრები და ხელები. იდაყვებში მოხრილი ხელები ერთ სიბრტყეშია გადმოცემული — მკერდისაგან გამოყოფილია მხოლოდ მალაი რელიეფით. მარჯვენა ხელის მტკეპნი სრულიად დაუნაწევრებელია, მრგვალი ბუერკობით მინიშნებულია მუქშია მოქცეული ვაშლები. მარცხენა, რომელიც მხარზე გადებულ კეტს იმაგრებს, არაპროპორციულად დიდა, მტკეპნისაგან მხოლოდ პირველი თითია გამოყოფილი, დანარჩენი თითები მხოლოდ ღარებით არის აღნიშნული.

მკერდი ბოლოვდება სამწვერა სამაგრი ფიფითი. იგი მკერდისაგან გამოყოფილია ღარებით დაფარული მალაი ქელით. ამ დეტალს ჩაჩრის დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

აღნიშნული სამაგრის არსებობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნივით გამოჩნულია ზემოდან აღსაქმელად და ამის გამო გულდასმით შესრულებულია ის დეტალები, რომლებიც მხედველობის არეში ხდება მისი პორიონტალურთან მიხლავებულ მდგომარეობაში, საფუძველს ვეაძლეეს აღნიშნული სკულპტურა ჭურჭლის ცენტრალურ მედილიონად მივიჩნიოთ.

გამოსახულება დაფარულია მუქი მწვანე ფერის კეთილშობილი პატინით. პატინა ცხვირთან და კუთხაზე ადხეკილია, როგორც ჩანს, მოკენელების მიერ. გარდა ამისა, გამოსახულებას აქვს თავდაპირველი დეფექტი მარჯვენა საფუძველთან და ყურთან, რომელიც ორიგინალის დაზიანებით უნდა აიხსნას (სურ. 109, 110).

მედილიონი ნაწილნაწილ არის დაშაბდებული — თავი ცალკეა ჩამოსხმული, მკერდი, მხრები და ხელები ცალკე. ნაწილები ერთმანეთთან კისრის არეშია დაკავშირებული.

განხილული ძეგლი კომპოზიციურად, სტილისტურად და, საერთოდ, შესრულების მანერით, მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ამ მხრივ უფრადლებას იქცევის ის ფაქტი, რომ ჰერაკ-

ლეს ყველა ცნობილი გამოსახულებისაგან განსხვავებით. ვანის გამოსახულებაზე არსად მიწვენილი არაა ჰერაკლეს ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი — ლომის ტყავი. ვარდა ამისა, კეტი ნაკვალავი მარჯვენა ხელისა. მას მარჯვენა ხელში უჭირავს. ამასთანავე, როგორც აღნიშნული იყო, სახე ვადრეიმელია ცოცხალი რეალისტური მანერისა. ხაზგასმულია ფსიქოლოგიური მომენტით. მანერისა. როდესაც სხვა ნაწარმები შესრულებულია პირობითად და სტემატურად. ეს ვარემოება გარკვეულ საფუძველს იძლევა განხილული მედალიონის ადვილობრივი კოლხი ხელისონის მიერ დამზადებულად იქნეს მიჩნეული. სახის ყალიბი აღებულ იქნა იოს სავაიოდ მალაზხატურული ბერძნული ორიგინალიდან, დანარჩენი დეტალები კი ხელისონის მიერვე ჩანს მოდელირებული. ამავე დროს ამჟღავნებს, რომ მისთვის ცნობილი იყო ჰერაკლეს იმხანად გავრცელებული გამოსახულებები. გამორჩეული არაა, რომ მას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ლისიპეს „წვეროსან ჰერაკლეს“-ზე. აქვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გაგნობა, რომ განხილული გამოსახულება, მიუხედავად აღნიშნული თავისებურებებისა, კომპოზიციურად ახლოს დგას ჰერაკლეს იმ გამოსახულებებთან, რომლებიც ლისიპეს ჰერაკლეს პირებად არიან მიჩნეული.

ცნობილია, რომ დიონისტურ ხანაში განსაკუთრებულ მოწონებაში სწორედ ლისიპეს „წვეროსანი“ ჰერაკლე იყო. ამ მოქანდაკის მიერ შექმნილი ჰერაკლეს ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ძლიერი, მაგრამ ამოღებულმა პათოლოგიური ხასიათი, კარგად შეესატყვისებოდა ელინოზმის. ამ უაღრესად დაძაბული და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის, განწყობილებას.

დღესდღეობით აღრიცხული ლისიპის ჰერაკლეს რამდენიმე ასეული პირიდან შეიძლება დასახელებს რამდენიმე, ვანის გამოსახულებასთან განსაკუთრებით ახლოს მდგომი ნიმუში. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია სტამბოლის მუზეუმში დატული ბრინჯაოს სკულპტურა, რომელიც ჰერაკლეს მეთორმეტე გმირობას ასახავს. ჰერაკლე გამოსახულია წვეროსანი და გვირგვინით. მას მარჯვენა ხელში კეტი უჭირავს, მარცხენაში — ორი ვაწლი. დიეებისთვის მას ძე. წ. IV—III სს ათარიღებს და ლისიპეს წვეროსანი ჰერაკლეს პირად მიიჩნევენ³⁴.

ვანის ჰერაკლე გარკვეულ მსგავსებას აქვს აგრეთვე ბრიტანეთის მუზეუმის კირქვისაგან დამზადებულ მცდომარე ჰერაკლეს გამოსახულებასთან. მსგავსების თვალსაზრისით აღსანიშნავია თანხ ვარცხნილობა, წვეროსა და თვალის გადმოცემის მანერა. ამ ძეგლს, სიუხემის მიუხედავად, მუთერი ლისიპეს ჰერაკლეს პირად მიიჩნევენ³⁵.

სახის მუსკულატურისა და გამომეტყველების თვალსაზრისით გარკვეულ სიახლოვეს აქვს აგრეთვე ბერლინის მუზეუმის ჰერაკლეს ბრინჯაოს გამოსახულებასთან, რომელსაც ლეგში ფარნეზელი, შესაბამისად ლისიპეს ჰერაკლეს ერთ-ერთ პირად მიიჩნევენ³⁶.

სხვა ახლოს მდგომი ძეგლებიდან აღსანიშნავია კაიროს მუზეუმის ჰერაკლეს ბრინჯაოს გამოსახულება³⁷ და კაიროს მუზეუმშივე არსებული ბრინჯაოს კურკლის ყური, რომელიც შემკულია ჰერაკლეს წელზედა გამოსახულებით³⁸.

აღნიშნული ვარემოება საფუძველს გაძილებს განხილული ძეგლი ლისიპეს წვეროსანი ჰერაკლეს ერთ-ერთ რეპლიკად მივიჩნით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სახის ცალკეული დეტალებით იგი დიდ სიახლოვეს აქვს წვეროსანი მამაკაცების იმ გამოსახულებებთან, რომლებსაც ვოლტერსი და ვალდგაუერი ლისიპეს სკოლას უყავს მიჩნევენ³⁹.

წარმოდგენილი ძეგლი ზუსტი დათარიღება ჰქონს, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ აღმოჩენის პირობების შესახებ ცნობების უქონლობითა და აგრეთვე ძეგლის უნიკალური ხასიათით. ეს უყარვისანსეული მომენტი ანებებს მის დათარიღებას სტილისტური მეთოდით. მაგრამ ყურადღებას იქცევს თმის ვარცხნილობა, კერძოდ, მისი მუხლზე სწორხაზოვანად განლაგება. ამ დეტარს მიხედვით იგი რამდენიმე უახლოვდება რომაული ხანის ძეგლებს.

³⁴ A. S. Murray. Greek Bronzes, London, 1898, გვ. 74, სურ. 31.

³⁵ W. L. Amb. Greek and Roman Bronzes, London, 1929, გვ. 172, ტაბ. 63.

³⁶ C. E. Edgar. Greek Bronzes, Catalogue General des Antiquites Egyptiennes du Musée de Caire, 1904, ტაბ. 1 (27637), გვ. 3.

³⁷ F. E. Bissing. Hellenistische Bronzen aus Ägypten.

³⁸ H. Walters. Select Bronzes, London, 1915, ტაბ. XIX, XXX.

³⁹ P. Deceμβis, Grands Bronzes du Musée de Stambul, Paris, 1937, გვ. 71—79, ტაბ. XXI—XXIV.

რომაული ხანის ძეგლებთან სიახლოვეს თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე გამოსახულების მარჯვენა საფეთქელთან არსებული დეფექტი, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, იმ ორიგინალიდან უნდა მომდინარეობდეს, რომლისაგანაც ენში აღმოჩენილი ძეგლის ყალიბია აღებული.

როგორც ცნობილია, ელინისტური ხანის დაზიანებული ნიმუშებიდან პირების აღება განსაკუთრებით გავრცელებული იყო ადრერომულ ხანაში, ე. ი. მაშინ, როდესაც განსაკუთრებით გააძლიერდა ბერძნულისადმი მიბაძვისა და წარსულისადმი ერთგვარი რომანტიული დამოკიდებულების ტენდენცია⁴⁰. გარდა ამისა უზრუნველს იქცევის ის ფაქტიც, რომ ენტრალური მედალიონების ტურქულს, მართალია, ადრეელისტურ ხანაში ამკობდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ამ ხერხს ადრერომულ ხანაში;

განხილული მედალიონის დათარიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1975 წ. ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩენილ თიხის ტიფთერს, რომელზედაც შესვერილების ბაიდან მომავალი ჰერაკლეა გამოსახული (სურ. 112). აღნიშნული ნიმუში, გამოსახულების სქემატიზმიდან და გარკვეული თავისებურებების მიუხედავად (ჰერაკლეს თავზე გვირგვინის ნაცვლად ქუდი ახურავს), საერთო ხასიათით ბრინჯაოს მედალიონს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით ყურადღების იქცევა ის ფაქტი, რომ ორივე ნიმუშზე ჰერაკლეს მხარზე გადებული კეტი მარცხენა ხელში უჭირავს, ვაშლები კი — მარჯვენაში, ამასთანავე, ორივე გამოსახულებას კისრის ირგვლივ რელიეფური სარტყელი შემოუყვება. ამ დეტალის არსებობა ლითონის ნიმუშზე დამზადების თავისებურებითაა გაპირობებული, თიხაში კი, როგორც ჩანს, მექანიკურადაა გაეორებული.

აღნიშნული გარემოება წარმოდგენილი გამოსახულების თანადროულობის დასმების შესაძლებლობას იძლევა. ხოლო ვინაიდან თიხის ტიფთერი თანხლები მასლით ძვ. წ. I ს. დასასრულსა და ახ. წ. II ს. შორის პერიოდით თარიღდება, ბრინჯაოს მედალიონიც შეიძლება, ზოგადად, აღნიშნულ ხანას მიეკუთვნოს.

ძირითადად, განხილულით ამოიწურება ენში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ლითონის

ტურქელი. მისი ერთი ნაწილი, როგორც დაინახეთ, ადგლობრივია დამზადებული. ნაწილი კი ბერძნული და ირანული სამყაროდანაა შემოტანილი.

ადგლობრივი ტურქელი ძირითადად ადრე ელინისტურ ხანას, ეკრძოდ ძვ. წ. III ს. მიეკუთვნება. მომდევნო პერიოდის ნაწარმი კი მხოლოდ ერთი, ისიც გვიანელინისტური ხანის მიწურულით დათარიღებული ნიმუშითაა წარმოდგენილი.

ადრეელინისტური ხანის ნიმუშები დამზადებულია ტრადიციული ხერხებით — ცალკეული ნაწილები გამოკვერილია და ერთმანეთთან მოკლონებითაა დაკავშირებული; ამასთანავე ისინი წინამორბედ ხანაში გავრცელებულ ფორმებს იწირებენ. უმნიშვნელო ცვლილებები, რომლებიც ზოგიერთი ტურქლის მოყვანილობაში შეინიშნება, ქრონოლოგიურ განვითარებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ადრეელინისტური ხანის კოლხური ტრეტიციის დამახასიათებელ თავისებურებად შეიძლება წინამორბედ ხანაში გავრცელებული ტრადიციების სრული გაბატონება იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება გვიანელინისტური ხანას, ამ დროისათვის ლითონის ტურქლის წარმოებაში ისეთი ცვლილებები აღინიშნება, რომელთა გარეშე ქრონოლოგიური განვითარებით აღარ შეიძლება აიხსნას. ამ რიგისაა ეკრძოდ ტურქლის რელიეფური გამოსახულებით შემკობის ტრადიციის დამკვიდრება.

ტურქლის შემკობის ეს უაღრესად რთული და დაბეჭდილი ხერხი მხოლოდ ბერძნული ტრეტიციისათვის იყო დამახასიათებელი.

რელიეფური გამოსახულებებითა და მცირე სკულპტურებით შემკულ ტურქულს საბერძნეთში არქაული ხანიდან აწარმოებდნენ. განსაკუთრებით ფართოდ ეს ელინისტურ ხანაში გავრცელდა. ამ დროს ეს ტრადიცია საბერძნეთის ფარგლებს გარეთაც გავრცელდა.

ენაში ამგვარი ნაწარმის აღმოჩენისა და წარმოების ფაქტი ადგლობრივ წარმოებაში ბერძნულ ტრადიციების დანერგვას გეოგრაფიკული ნიშნებს, ხოლო ზოგიერთი არაპირდაპირი სახით აღნიშნული ტრადიციის საკმაოდ ფართოდ გავრცელებულობა კი მიგვიანიშნებს. ამ თვალსაზრისით უზრუნველს იქცევიან ვინის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე 1972 წ. გათხრილ სტატიო კომპლექსში აღმოჩენილი სილენის გამოსახულებიანი

⁴⁰ G. Richter. Ancient Plaster Casts of Greek Metalwork, A. J. A., 1958, 62 (4) 371.

ყალიბი, რომელიც. როგორც ჩანს, გამოიყენებოდა როგორც ლითონის. ისე ტერაკოტული გამოსახულებების დასამზადებლად (სურ. 111).

რელიეფური გამოსახულებებით შემკული ჭურჭლის წარმოების შესაძლებლობაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე ზემოთ უკვე ნახსენები ჰერაკლეს გამოსახულებიანი ტვიფრის აღმოჩენის ფაქტიც.

მეორე მხრივ, ბერძნული პანთეონის ღვთაების გამოსახულების აღმოჩენის ფაქტი იდეოლოგიასა და აზროვნების სფეროში მომხდარი ძვრების მიჩვენებელიცაა⁴¹. ეს გარემოება კი წარმოებაში მომხდარ გარდატეხას ღრმა სოციალურ პროცესებთან კავშირში წარმოგვიდგენს.

იმპორტული ნაწარმი ძირითადად მცირეაზიური და იტალიური სახელოსნო ცენტრებიდან მომდინარე ნაწარმითაა წარმოდგენილი. შედარებით მცირერიცხოვანია ირანული იმპორტი, ირანულის

⁴¹ ამ თვალსაზრისით საუბრადღებოა აგრეთვე 1966 წ. „კრიბქესთან“ აღმოჩენილი დიონისეს ნიღბისა და ამ ღვთაების კულტის მსახურებთან დაკავშირებული არქეოლოგიურ კომპლექსის აღმოჩენის ფაქტიც. იხ. ქ. რაშიშვილი, დიონისეს გამოსახულებიანი ტერაკოტა ვანიდან, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაობა სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1967, გვ. 34—35, ვაზნ 1, გვ. 159.

ისევე როგორც მცირეაზიური ნაწარმის აღმოჩენის ფაქტი წინამორბედ ხანაში არსებული ურთიერთობის გავრძელებაზე მიგვანიშნებს; იტალიური ნაწარმის გაჩენა კი აღნიშნულ ხანაში ამ ცენტრთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას გვაგვარადულებინებს. ურთიერთობის ხასიათის დადგენა ამგვარად არ ხერხდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი შავიზღვისპირეთის ქალაქების საშუალებით ხორციელდებოდა. საუბრადღებოა, რომ სწორედ აღნიშნულ ხანას უკავშირდება შავიზღვისპირეთისა და ადრიატიკის სანაპიროს შორის უშუალო სავაჭრო ურთიერთობის დამყარება⁴², რაც დუნაის სავაჭრო მაგისტრალის ათვისებამ განაპირობა⁴³.

ასეთია ვაწი აღმოჩენილი მცირერიცხოვანი, მაგამ საკმაოდ მრავალფეროვანი ელინისტური ხანის ლითონის ჭურჭლის შესწავლის შედეგები. როგორც დაეინახეთ, იგი საინტერესოა როგორც აღნიშნული ხანის მხატვრული ხელოსნობის, ისე სავაჭრო ურთიერთობათა კვლევის თვალსაზრისით.

⁴² W. Lamb, დასახ. ნაშრომი, გვ. 187—188.

⁴³ И. Б. Брашинский. Путь из Адриатики в Черное море, Тезисы докладов V съезда Одесского археологического Общества, Одесса, 1972, гв. 230.

ST.-VALENTIN-ის ჯგუფის ქარამიკა პანიდან

1973—1974 წლებში ვანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა მოხატული თიხის ქურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც მიეკუთვნებიან ატიკური მხატვრული კერამიკის იმ სახეობას, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „წმინდა ვალენტინის ჯგუფის“ სახელით რომაა ცნობილი. ჯგუფმა სახელწოდება მიიღო საფრანგეთში წმინდა ვალენტინის მთაზე (სამარხში) ამ ტიპის ვაზის აღმოჩენის მიხედვით¹. პირველი მკვლევარი, რომელმაც გამოყო ჯგუფი და მისი მოკლე დახასიათება მოგვცა, ჯონ ბიზლი იყო². მანვე მისცა სახელი მოხატული თიხის ქურჭლის ამ სახეობას. დღისათვის St.-Valentin-ის კერამიკის ნიმუშები სამაო რაოდენობითაა შესული სამეცნიერო მიმოქცევაში. პუბლიკაციებით ცნობილი ვაზების მეტ-ნაკლებად სრული კატალოგი (96 ერთეული) გამოაქვეყნეს სეიმურ ჰოუარდმა და ფრანკონ პ. ჯონსონმა³. კატალოგს თან ერთვის გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა წარმოების ცენტრი, ქრონოლოგიური ჩარჩოები, ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. კატალოგში გავრთიანებულია ათენის, ბრიტანეთის, ბოლონიის, ვენის, მიუნხენის, ნეაპოლისა და სხვა მუზეუმების დაცული ვაზები, რომელთა უმრავლესობა ეკრძო კოლექციებიდან მომდინარეობს და უმთავრესად უპასპორტოა; არქეოლოგიურ პასპორტიანი ეგზეგმალარები ძირითადად საბერძნეთში, იტალიასა და კვიპროსზეა აღმოჩენილი.

ჩვენთვის საინტერესო კერამიკის ჯგუფის კოლექციას, რომელიც დაცულია სახელმწიფო ერმიტაჟში, სავანებო ნაშრომი უძღვნა ქ. გორ-

¹ J. Déchelette. La collection Millon. Paris, 1913, გვ. 101—151.
² J. Beazley. Etruscan Vase Painting. Oxford, 1947, გვ. 219. შენიშვნა 1.
³ S. Howard. F. P. Jolinson, The Saint-Valentin Vases. A.J.A. vol. 58, № 3, 1954, გვ. 191—207. ტაბ. 32—34.

ბუნოვამ⁴. ამ ნაშრომში მოცემულია ერმიტაჟის კოლექციის სრული კატალოგი (33 ერთეული). კოლექციის შედგება ძირითადად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მსხვილ საქალაქო ცენტრებში (ოლბია, ნიმფეონი, პანტიკაპეონი) აღმოჩენილი და აგრეთვე კერძო კოლექციებში (კამპანას, პიკატის, ჩერტკოვის) დაცული რამდენიმე ნიმუშისაგან. ქ. გორბუნოვას კატალოგი ეყრდნობა ჰოუარდ-ჯონსონისეულ კლასიფიკაციას. St.-Valentin-ის ჯგუფის კერამიკა პონტოს დასავლეთ სანაპიროზე არის ფიქსირებული. გამოკვეყნებულია პისტრიაში აღმოჩენილი მასალა⁵. ჩვენს ხელთ არსებული უბელიკაციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ჯგუფის კერამიკა ჭერჭერობით მხოლოდ ვანშია დადასტურებული.

წმინდა ვალენტინის ჯგუფის კერამიკა თავისებური ნიშნებით ხასიათდება: 1) როგორც წესი, ქურჭლის ორი ფორმაა წარმოდგენილი — სკიფოსები და კანთაროსები⁶. სკიფოსები დაბალი და მუცელგანვირთი; იშვიათია ე. წ. კორინთული ტიპის სკიფოსები. კანთაროსებს ოდნავ გარეთ გადმობრლი პირის კიდე, მაღალი ცილინდრული ყეული, მომრავალბულ ტანი და თბელი, ზედა ნაწილში მკვეთრად მორკალული ყურები აქვთ. სკიფოსებსაც და კანთაროსებსაც დაბალი, წრიული საღვარისებრი ქუსლები აქვთ, რომლებიც,

⁴ K. C. Горбунова. Аттические вазы группы St.-Valentin. ТГЭ. XIII, 1972, გვ. 62—77.
⁵ P. Alexandrescu. Necropola tumulara. Sapturi 1955—1961. Histria. II. Bucuresti, 1966, გვ. 167. ტაბ. 73, 88.
⁶ St.-Valentin-ის ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტი სხვა კერამიკულ ფორმებზედაც არის დადასტურებული, თუმცა ძალიან იშვიათად (იპსიდა ჰავანიდან, აგრიენტის ტოლჩა, ცალურა კანთაროსი პარიზიდან) — შტრ. J. Beazley. Attic Red-figure Painters. 2-nd ed., Oxford, 1963, გვ. 984—985.

ჩვეულებრივ. ტანისგან წერილი ღარიბთა გამოყოფილი. 2) კურჯული იშვიათი გამოჩენისის გარდა სარტულუბად, ზოლებად (3-დან 5-მდე) მონატული, რომლებიც პორიზონტალურადა მონატული და განლაგებულია ყურების შორის კურჯლის ორივე მხარეზე; თანაც ორივე მხარეზე ზუსტად ერთნაირი ხანტაი ხოლმე დატანილი. ორამენტის ზოლები ერთამეთისგან შავი ლაის ორ-ორი წერილი ხაზით გამოიყოფა. როგორც წესი, პირის კიდე შემკულია ვერტიკალური ხაზებისგან შემდგარი ვიწრო ზოლით; ხაზებს ზოგჯერ ნების საზე აქვთ მიღებული. 3) ზოლების შემკულობის ძირითადი ელემენტებია — რომბები, მოკლე სწორი ხაზები, ბუმბულისებრი და მკენარული ორამენტები (სუროს ღერო, დაფნის ფოთლი). 4) თავისებურია მონატების ტექნიკა — პოლიტიომული მონატულობა დატანილია შევლაკან ზედაპირზე. მონატების ეფექტს აძლიერებს თეთრი ზედნადები საღებავის ქარბად გამოყენება. ალაგალაგ თიხის ფონია დატოვებული და ზედ ნახატი გამოყვანილია განზავებული ლაკით. თიხის ფერშია დატოვებული სკიფოსების ყურებზე კვეშ პალეტებით.

პოუარდ-ჯონსონისეული კლასიფიკაცია ერთმანდალად გაზარებული სპეციალისტთა მიერ. მათ St.-Valentin-ის კერამიკა 12 (I—IX და A—C) ჩვენად დაყვეს. აქედან I—IX ჩვენებში გამოყოფილია ორამენტის განლაგების, ხოლო A—C ჩვენებში — ფორმის მიხედვით. I ჩვენებში შემავალ კანთაროსთა პირის კიდე შემკულია ვერტიკალური მოკლე ხაზებით, რასაც მოსდევს რომბული ორამენტისგან შემდგარი ფართო ზოლი, შემდეგ ვიწრო ზოლი სურის ორამენტისა, შემდეგ ფართო ზოლი, ბუმბულის ორამენტისა შევსებული და ბოლოს ისევე ხაზები, რომელთა ქვეშ ზოგჯერ პორიზონტალური ღარბია ამოჭრილი. II ჩვენებშიც მხოლოდ კანთაროსები (და ერთადერთი სკიფოსი) ერთმანდობია. პირის კიდეზე მათ, სხვა ჩვენებების მსგავსად, შვეული ხაზების ზოლი აქვთ, კორპუსზე კი ბუმბულის ორამენტის ფართო ზოლის ქვეშ სურისა და მოკლე ვერტიკალური ხაზების ვიწრო ზოლებია. ზოგ ნიმუშზე აქაც გვხვდება წერილი პორიზონტალური ღარი.

III ჩვენების (აქაც მხოლოდ კანთაროსებია) შემკულობა ასეთია: კიდეზე ხაზები, ფართო რომბებანი ზოლი, ვიწრო სურთან ზოლი, ბოლოს ისევე ხაზები. რამდენიმე ნიმუშს ორამენტის

ქვეშ ღარი გასდევს. IV ჩვენები ყველაზე მრავალრიცხოვანია; მასში კანთაროსებს გარდა უკვე სკიფოსებიც შედიან. ხაზების ზოლს მოსდევს რომბები, თეთრი საღებავით გამოყვანილი დაფნა, ბოლოს კვლავ ხაზები. უმარტივესობას ტანის ქვედა ნაწილში თეთრი საღებავის ზოლი აქვს. V ჩვენები მხოლოდ კანთაროსებია წარმოდგენილი. ორამენტის განლაგება შემდეგნაირია — ხაზები, ბუმბული, დაფნის ფოთლი, მოკლე ხაზები, თეთრი საღებავის პორიზონტალური ხაზი. VI და VII ჩვენებში კურჯლის ორივე ფორმა შესულია — სკიფოსებიცა და კანთაროსებიც. შემკულობის თანმიმდევრობა ამ ჩვენებში ასეთია: VI — ხაზები, დაფნა, ხაზები, დაფნა და ბოლოს კვლავ ხაზები. VII — ხაზები, ურთიერთმანაცვლელ შევლაკიანი და ულაკი ვერტიკალური ზოლებისგან შემდგარი ფართო ზოლი (აქედან შევლაკიან ზოლებზე თეთრი საღებავით გამოყვანილია სურო, დაფნა, ფოთლისმგავარი სახები, ულაკი ზოლები კი განზავებული ლაის ტალღოვანი, მეტწილედ ურთიერთმანაცვლელი ხაზებითაა შემკული), თეთრი საღებავის დაფნა, ხაზები. VIII ჩვენები ძალიან მცირერიცხოვანია — ორი კანთაროსისგან შედგება. პირის კიდეზე და ძირთან ხაზების ორამენტია, ცენტრალური ფართო ზოლი მოქცეულია დაფნისა და სურისაგან შემდგარ ზოლებს შორის. თვით მასზე კი ერთ შემთხვევაში დაფნისაგან, მეორეში კი სურისაგან შემდგარი ორი დახტარი ზოლია, რომელთა შორის არე ბუმბულის ორამენტითაა შევსებული; კიდეებში კი რომბებია დატანილი. IX ჩვენების ორამენტები სირთულით გამოირჩევა — ნების, ცენტრში ბუმბული, მის ორივე მხარეზე VII ჩვენების მსგავსი ორამენტები, ბოლოს სურისა და ხაზებისგან შემდგარი ვიწრო ზოლები.

წმინდა ვალენტინის ჩვენების კერამიკის რამდენიმე ნიმუში, რომელთა შემკულობა არ მთავარა არც ერთი ზემოთ განხილული ჩვენების ორამენტულ სქემას, დაჩვენდა ფორმის მიხედვით. ასე, A ჩვენებში შევიდა 5 კანთაროსი, B-ში — კორინთული ტიპის 7 სკიფოსი, ხოლო C-ში — ცალკე კანთაროსი და ოინოსოია თუ ტოლზა. St.-Valentin-ის ჩვენების კერამიკა ზოგადად ძე. წ. V ს. მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს. იგი თავს იჩენს ძე. წ. V ს. მეორე მეოთხედის და არსებობას განაგრძობს საუკუნის ბოლომდე. ცალკეული ნიმუშები შეიძლება ძე. წ. IV ს-შიც მზადდებოდა. ჩვენების დათარიღებას აძინებს

გარემოება, რომ, როგორც აღინიშნა, ბევრი ნიმუში კერძო კოლექციებიდან მომდინარეობს და არ ახლავს არქეოლოგიური პასპორტი. ნაქალაქარია კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ვაზების უმარაველსობა მოკლებულია დამაბრუნებელ თანხმებდ მასალას, დახურული კომპლექსებიდან კი თითო-ოროლა კურკველი მომდინარეობს. ერთის მხრივ, ამ კომპლექსების თარიღებზე და, მეორე მხრივ, ორნამენტის სახეობების ზოგად განვითარებაზე დაყრდნობით ს. ჰოუარდი და ფ. პ. ჯონსონი უადრესად პირველ ქვეყნს მიიჩნევენ (ძვ. წ. V ს. მეორე მეოთხედის ბოლო, 450 წლების ახლო ხანები); მეორე და მესამე ქვეყნები თანდაროლებია (ძვ. წ. V ს. მესამე მეოთხედი); მეოთხე და მეხუთე ქვეყნები მესამე მეოთხედს მიეკუთვნებიან (მაკრამ ოდნავ სცილდება მის ფარგლებს); მეექვსე ქვეყნი საუკუნის ბოლო მეოთხედით თარიღდება; მეშვიდე ქვეყნი ასევე ძვ. წ. V ს. ბოლო მეოთხედს მოიცავს და IV საუკუნეშიც ვადაობს; მერვე ქვეყნი სცილდება ძვ. წ. V ს. ფარგლებს; მეცხრე ქვეყნი არა მარტო ყველაზე გვიანდელია, არამედ აქულის ნაწარმდია მიჩნეულია მაშინ, როცა დანარჩენი რვა ქვეყნი მეკლევართა ვარაუდით ატიკაში უნდა იყოს დამზადებული.

ს. ჰოუარდი და ფ. პ. ჯონსონი St.-Valentin-ის კანთაროსის ფორმის წინამორბედად ფიგურულ ვაზებს მიიჩნევენ, ხოლო ადრეული ნიმუშების მოხატულობაში ადრეული მხატვარ-კერამიკოსის ბრევოსის გავლენას ხედავენ.

როგორც აღინიშნა, St.-Valentin-ის ქვეყნის კერამიკა ვანის ნაქალაქარზე იჩინა თავი — 1973-1974 წწ. ზედა ტერასზე (ბორცვის თავზე) აღმოჩნდა ამ ქვეყნის 11 ფრაგმენტი, რომლებიც 4 კურკველს მაინც უნდა ეკუთვნოდნენ⁷.

ქვემოთ მოცემულია ვანში ნაპოვნი St.-Valentin-ის ქვეყნის კერამიკის კატალოგი.

1. კანთაროსის პირ-ყელის ფრაგმენტი⁸; პირის კიდე შემკულია ვერტიკალური ხაზებით, რომლებიც შავი ლაკის ორი წერტილი პორიზოტალური ხაზით არის გამოყოფილი ბუმბულისებრი ორნამენტისგან შემდგარი ზოლისგან. შემორჩა ბუმბულის ორი რიგი; ზედა რიგი შავი ლაკითაა გამოყვანილი, ცენტრალური ღერო და გან-

შტობები თეთრი საღებავითაა დღანლიო. ბუმბულის კვედა რიგი თხის ფერშია დატოვებული, ხოლო ღერო და განშტობები, როგორც ჩანს, განზავებული ლაით იყო გამოყვანილი. ამ ტიპის ბუმბულები მეტად დამახასიათებელია წმინდა ვალენტინის ქვეყნის ვაზებისათვის⁹. ქვეცი მოწითალო-ყავისფერია. თხა კარგადაა განლეკილი. ზომები: სიმაღლე 2,5 სმ (სურ. 113გ).

2. კანთაროსის პირ-ყელის ფრაგმენტი¹⁰ ზემოთ აღწერილის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს როგორც ორნამენტისა და მოყვანილობის (პროფილი), ასევე კეცის მიხედვითაც. როგორც ჩანს, რივე ფრაგმენტი ერთსა და იმავე კანთაროსს უნდა ეკუთვნოდეს. ფრაგმენტულობის გამო ძნელა მათი მიკუთვნება პოუარდ-ჯონსონისეული კლასიფიკაციის რომელიმე ქვეყნისადმი (თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ისინი უფრო მეორე და მეხუთე ქვეყნებს უახლოვდებიან). ზომები: სიმაღლე 1,5 სმ.

3. კანთაროსის პირ-ყელის ფრაგმენტები (5 ფრაგმენტიდან 3 შეწყება);¹¹ პირის კიდე შემკულია შველა ხაზების ეწრო ზოლით, რაც ისე დამახასიათებელია კერამიკის ამ ქვეყნისათვის. ხაზების ძირში ლაკის წერტილებია. ეს ასევე ხშირი მოვლენაა St.-Valentin-ის კერამიკისათვის. შემდეგ მოდის ჩვეულებრივი ტიპის ბუმბულებისაგან შემდგარი ზოლი. მის ქვეშ შავი ლაკის ეწრო ზოლები თეთრი საღებავით სუროს ღერო ყოფილა გამოყვანილი (საღებავი ცუდადაა შემორჩენილი). ამ ეწრო ზოლს მოსდევს კვლავ ბუმბულისებრი ორნამენტი (ზოლის ნაწილია მხოლოდ შემორჩენილი). ამგვარ ბუმბულებს უჩვეულო სახე აქვთ, გამოირჩევიან დამუშავების სქემატურობით — არაა დამუშავებული ბუმბულის დეტალები, არც შველკიანი და თხის ფონშენარჩუნებული ბუმბულეების მონაკლებობაა მკაცრად დატული. მოხატვის მიხედვით ჩვენს ნიმუშ უშუალოდ ანალოგი არ მოუპოვება არც ჯონსონ-ჰოუარდისა და არც ქ.

⁸ საველე № 07: 1—73: 550; აღმოჩნდა 192-ე ნაკვეთის კვ. ძვ.წ. სის II-ს მაგვარი ნაკვობის ჩრდილოეთ კედლის წყნისანს.

⁹ S. Howard, E. P. Johnson, The Saint-Valentin Vases, გვ. 201.

¹⁰ საველე № 07: 1—74: 108; აღმოჩნდა 192-ე ნაკვეთის კვ. კვ.წ. თირის თავზე მდებარე შავ ფენაში.

¹¹ საველე № 07: 1—74: 118; 193-ე ნაკვეთის კვ. კვ.წ.; დამწვარი ბაქაშების გრეგავში (თხილი შველსი და ხს ნაკვობის ნაშთები).

⁷ ამ წლებში ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ იხ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973-1974 წლების მუშაობის ანგარიშები.

გორბუნოვას კატალოგში; ორნამენტი არც ერთი ჩვეულების სქემაში არა თავსდება. ჩვეულებრივი ტარის ბუმბულები დამახასიათებელია I, II და V ქვეყნებისათვის (ძვ. წ. V ს. მეორე-მესამე მეოთხედები); სქემატურ ბუმბულებს მხოლოდ ორი ანალოგია მოქმედებით — 1) ოლიზიაში 1968 წელს აღმოჩენილი სკიფოსი, რომელსაც ქ. გორბუნოვა ფორმის მიხედვით ძვ. წ. V ს. ბოლო მეოთხედით ათარიღებს¹². 2) მიუნხენის კანთაროსი, რომელიც პოუარდ-ჯონსონის A ქვეყნში შედის¹³. კეცი მონაქრისფრა (ეცესლში მოხვედრის შედეგი); თიხა კარგადაა განლექილი. ზომები: 1) სიმაღლე 7 სმ; 2) სიმაღლე 1 სმ; 3) სიმაღლე 1 სმ (სურ. 113_{1,2,3}).

4. სკიფოსის პირ-კედლის ორი ფრაგმენტი (შეწებებულია)¹⁴; პირის კიდე შავი ლაკის შეყვანილი ხაზებით არის შექმნილი. მომდევნო რომბული ბაღე ურთიერთობაცვლე ულაკო და ლაკით შევსებული რომბებისგან შედგება. შველაკიან რომბებზე შეიმჩნევა მათში ჩახატული თეთრი საღებავით გამოყვანილი რომბების კვალი. რაც შეეხება ულაკო რომბებს, აქ არა ჩანს განზავებული ლაკით დატანილი რომბები, რაც იშვიათია აღნიშნული ქვეყნისათვის. აღწერილი ნიმუშის მიკუთვნება ამა თუ იმ ქვეყნისადმი ამჟერადაც არ ხერხდება მისი მცირე ზომის გამო, თუმცა უფრო შეიძლება, რომ შეოთხე

ჯგუფს დავუკავშიროთ (ძვ. წ. V ს. მესამე მეოთხედში). კეცი მოწითალო-ყავისფერია; თიხა კარგადაა განლექილი. ზომები: სიმაღლე 4,5 სმ (სურ. 113₄).

5. კედლის ორი ფრაგმენტი (შეწებებულია)¹⁵ რა ფორმის კურკულს ეკუთვნის, ძნელი გასარჩევია. შემორჩენილია ორი ორნამენტული ზოლის ნაწილები. ერთი მათგანი შევსებული ყოფილა დაფნის ფოთლებით, მეორე — რომბული ბაღით (მეოთხე ქვეყნი?). კეცი მოწითალო-ყავისფერია; თიხა კარგადაა განლექილი. ზომები: სიმაღლე 3 სმ (სურ. 113₅).

ამრიგად, ჩვენს ხელთ არის St.-Valentin-ის ქვეყნის ოთხი კურკული მაინც ვანის ნაქალაქარიდან. როგორც აღინიშნა, ეს ატიკური მოხატული ევრაპიკის ამ ქვეყნის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა არა მარტო კოლხეთის, არამედ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი ნიმუშების კეცი, ლაკი უქვეყნის ხდის მათ ატიკურ წარმომავლობას. ისინი ზოგადად ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნონ (დათარიღების მეტ დიუსტეტმას აძნელებს მათი ფრაგმენტულობა, მცირე ზომები). ასეთ თარიღს არ ეწინააღმდეგება არც თანამხლები არქეოლოგიური მასალა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შველაკიანი კილიკის ძირის ფრაგმენტი, შექმნილი ნაკვეთი ოვებითა და ენებით (დაახლ. ძვ. წ. 420 წ.)¹⁶.

¹² K. C. Горбунова. Аттические вазы группы St.-Valentin. გვ. 74, № 28. სურ. 18.

¹³ S. Howard, F. P. Johnson. The Saint-Valentin Vases. გვ. 201.

¹⁴ საველე № 07: 1—74: 20; აღმოჩნდა 193-ე ნაკვეთის კვ. I-ში; დამწვარი ბათქამების გროვები (თხიბთ შელესი ზის ნაგებობის ნაშთები).

¹⁵ საველე № 07: 1—74: 24; აღმოჩნდა 193-ე ნაკვეთის კვ. I-ში; თხიბთ შელესი ზის ნაგებობის ნაშთებში.

¹⁶ საველე № 07: 1—74: 25. უდრ. Brian A. Sparkes, L. Talcott. Black and Plain Pottery of the 6th, 5th and 4th Centuries B. C., The Athenian Agora, vol. XII, Princeton, 1970, № 498, ტაბ. 50, კვ. 270.

მონეტები ვანილად

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკურ მასალისადმი მიძღვნილი ნაშრომების რიცხვი არც თუ ისე ბევრია¹, ხოლო მონოგრაფიული გამოკვლევა საერთოდ არ არსებობს. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ეძღვნება ჩვენი წერილი.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი მიზნად ისახავს ალადგინოს სამონეტო მიმოქცევის სურათი ვანის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV—I სს., დაახლოებით ვანის ნაქალაქარის ისტორიისა და სტრატეგიაფიის ზოგიერთი საკითხი ნუმიზმატიკურ მასალის მიხედვით, ხოლო მეორე ნაწილი ვანში აღმოჩენილი მონეტების კატალოგს წარმოადგენს.

ვიდრე უშუალოდ ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალის ანალიზს შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ ლიტერატურაში დატული ცნობები ვანში აღმოჩენილი მონეტების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ ცნობებში ნაგულისხმები მასალა როგორც გეოგრაფიული წარმომავლობის მხრივ, ასევე ქრონოლოგიურად ძირითადად ემთხვევა ჩვენ ხელთ არსებულ მასალას.

1895 წ. ვანში ნაპოვნი ყოფილა ძვ. წ. VI ს. ეტნულ სამოსის ოქროს სტატერი, რომელიც

¹ დ. კაპანაძე, ბ. ლორთქიფანიძე. ინტიკური ხანის მონეტები ვანის ნაქალაქარდან, „ცისკარი“, 1967, №8, გვ. 142—147. Г. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тб., 1970, გვ. 104—111; ბ. დუნდუა, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კისტოფორის მქსახებ, კრ. „არქეოლოგიური კვლევები საქართველოში 1969 წ.“ თბ., 1971, გვ. 128—131, 228—230; მისვე, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 146—159.

მარკომა განსაზღვრა². სამწუხაროდ, ეს მონეტა თავის დროზე ერმიტაჟს არ შეუქმნია. ამავე დროს დატულია მეორე ცნობა, რომლის თანახმადაც იგი ქიზიყის ელექტრუმის სტატერს წარმოადგენდა, მაგრამ ა. ზოგრაფი ა. მარკოვის ავტორიტეტის მოშველიებით, მის ატრიბუციას აძლევდა უნიკატესობას³. ცხადია, ახლა, როდესაც მონეტა დაკარგულია, ძველია ებრძოლო ა. მარკოვის ავტორიტეტს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი განსაზღვრა ჩვენში ვარკვეულ ეშვს იწვევს. ზაქმე ისაა, რომ სამოსის სტატერები უჩვეულოა არა მარტო ვანისათვის, არამედ მთელი ყოლხეთისათვის, ხოლო ქიზიკური მონეტები არა — ისინი აღმოჩენილია ფიციქნარში⁴. ვასათელოს-წინებელი აგრეთვე ეთიკის ელექტრუმის სტატერების ინტერლოკალური ხასიათი, ის დიდი როლი, რასაც ისინი ასრულებდნენ საერთაშორისო ურთიერთობაში. სინანდლობითა და ვარკვევებაც, რომ ასეთი აღრეული ხანის არქეოლოგიური მასალა საერთოდ სუსტადაა წარმოდგენილი ვანში⁵, ხოლო ძვ. წ. VI ს. მონეტა მას შემ-

² ОАК, 1895, გვ. 67, 188—189, № 1895:91; Е. А. Пяхомов. Монетныеклады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I, Баку, 1926, გვ. 37, № 13. Е. ხოვტარია, არქეოლოგიური გათხრები ს. ვანში. 1947 წ. „მომიზიველეობ“, I, 1949, გვ. 303.

³ А. Н. Зограф. Античные золотые монеты Кавказа, Изв. ГАИМК, вып. 110, 1935, გვ. 178, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ადგილას იგი ამ განსაზღვრას უფრო კითხვის ნიშნით ექვემდებარება. იხ. Зограф, Античные монеты, МИА, № 16, 1951, М.—Л. გვ. 164.

⁴ ა. კახიძე. ფიციქნარის სამარკოვანზე 1967—68 წწ. აღმოჩენილი უცხოური მონეტები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 79—85. მისვე, Привозные монеты из могильника Пичвари, ВДИ, 1974, № 3, გვ. 88—92.

⁵ ლ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გაობრები. ისტორია, ეთნოგრაფიები) ვანი I, თბ., 1972, გვ. 8, სქ. 3.

დრ აქმები აქ ძვ. წ. IV ს. დასასრულით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა¹⁴ (იხ. კატ. №№ 1, 21-22).

ლიდ ინტერესს იწვევს ვანის ტერიტორიაზე ფილიპ II (ძვ. წ. 359—336 წწ.) სტატერის აღმოჩენა (კატ. № 25). მისი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს აღმოჩენა ერთადერთია არამარტო ვანისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც. რა თქმა უნდა, ამ ერთადერთი მონეტის საფუძველზე ძნელია კატეგორიულად ხასიათის დასკვნების გაკეთება, მაგრამ, ემიგრებით, თეთი ფაქტი ყოველშორე იმსახურებს ყურადღებას.

ასევე ერთადერთ ცალდაა წარმოდგენილი ვანის ნუმისმატიკურ მასალაში ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336—327 წწ.) სტატერი (კატ. № 26). მიუხედავად ამისა, მისი ღირს ზედრითი წონა ვანის ეკონომიურ ცხოვრებაში ეკვს არ უნდა იწვევდეს. საქმე ისაა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მონეტები, ექვთ. თაყაიშვილის ცნობების თანახმად, არდრე აღმოჩენილა ვანში (იხ. ზემოთ) და, მეორეც, ისინი უადრესად ინტენსიურად იყენებ ჩართული კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში საერთოდ¹⁵. დაბოლოს ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ ვანში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძემა ნაპოენი (კატ. №№ 27—28).

განსაკუთრებულ მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე სინქრონულად მომოქცევა კოლხური ტრიბოლოები და მაკედონის მეფეთა სტატერები¹⁶.

რაც შეეხება ლტერატურაში გამოთქმულ აზრს ვანში აღმოჩენილ სტატერის სინოპის ზა-

რფხანისადმი მიეუთენების შესახებ¹⁷, ეს არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, დავას არ უნდა იწვევდეს სინოპეს, და საერთოდ მცირე აზრის, როლი კოლხეთის მონეტებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომარაგების საქმეში. ყურძოდ, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ნაწილი სწორედ სინოპეს მეშვეობით უნდა მოხვედრილიყო ჩვენს¹⁸.

აქვე გაკერთ უნდა შეეხებთ ვანის ფარგლებში აღმოჩენილ ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძებს, თუმცა ეს რამდენადმე არღვევს მასალის განხილვის ნაშრომში მიღებულ ქრონოლოგიურ პრინციპებს. სამწუხაროა, რომ ისინი აღმოჩენილია არა კარგად დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსებში, არამედ შემთხვევით. ამდენად, მათი დათარიღების მტკიცე ქრონოლოგიური საყრდენი ჩვენ არ გავგანზიანა. რაც შეეხება მონეტების სტილს, მიუხედავად იმისა, რომ დამახინჯებული გამოსახულებები შედარებით კარგად „იკითხება“ და მათი იდენტიფიკაცია ორიგინალუბის გამოსახულებებთან ღიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაინც არაა შესაძლებელი ისინი ძვ. წ. II ს. ადრეულ ნიმუშებად მივიჩნიოთ.

ძვ. წ. III ს. მონეტები ვანის მასალებში ორ ცალდაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი ბიზანტიონში მოკრილი ლისიმაქეს (ძვ. წ. 306—282 წწ.) სტატერია (კატ. № 29), ხოლო მეორე — ჰიერონ II (ძვ. წ. 275/4—216 წწ.) ნახევარსტატერი (სირაკუზი). ამასთანავე იგი ჰიერონ II მოღვაწეობის დასაწყისში უნდა იყოს მოკრილი. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ჰიერონ II ტირანი იყო და მეფის ტიტულს მხოლოდ ძვ. წ. „მამერტინელების“ („მარსის შვილების“) დამარცხების შემდეგ მიიღო („მამარტინელები“ ეწოდებოდათ დაქირავებულ ჭარისკაცებს კამპანიიდან, რომლებიც ტირან ავთოიკლეს სამსახურში იმყოფებოდნენ და მისი სიცილელის შემდეგ კუნძულ სიცილიაზე საკუთარი ხელისუფლების გავრცე-

¹⁴ ვანო I, გვ. 211.

¹⁵ ამ საკითხის შესახებ იხ. გ. ღუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოკრილი მონეტები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ენოგრაფიისა და ზელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1973, გვ. 51—65.

¹⁶ ამ ვარაუბას ღიდი მნიშვნელობა აქვს კოლხური ნახევარსტატერების ემისიის შეწყვეტის თარიღის დასადგენად, რასაც კოლხეთში ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მასობრივად გავრცელებას უკავშირებენ (იხ. ზგ. კ. В. Голенко, Клад синопских и колхидских монет из Кобулету (1948). ВДИ, 1961, № 1, გვ. 51). ეს საკითხი იღვწად მნიშვნელოვანი და რთული, რომ სპეციალურ განხილვას მოითხოვს, ამიტომ მის გარკვევას აქ ჩვენ შეგნებულად ვერღებთ.

¹⁷ Г. А. Лордкипанидзе. Древняя Колхида в VI—II вв до н. э. (Историко-археологическое исследование). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1975, 23-48.

¹⁸ გ. ღუნდუა. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოკრილი მონეტები, გვ. 63—64.

ლებსათვის იწყეს ბრძოლა¹⁹. ვინაიდან ვანში აღმორჩენილ ოქროს მონეტებზე ჰიერონ II მეფის ტიტულის გარეშეა მოხსენიებული (კატ. № 31), უნდა ვივარაუდოთ, მისი ემისია უფრო ადრე ვანობიკურება.

ლისიმაქეს სტატერების ვანში გავრცელების ფართო ხასიათი სრულებით უდავოა. ვინაიდან ჩვენ ხელთ არსებული მონეტისა, ვანში კარგად აღმოჩენილია ლისიმაქეს სტატერები, რომლებიც 1889 წლის ახლო ხანებში ა. სტრიანოვს შეუძენია და პ. უვაროვასათვის გადაუგზავნია²⁰. ამაზე მუთითების აგრეთვე ისიც, რომ ლისიმაქეს ოქროს მონეტები (თანაც ბიზანტიონის ზარაფხანაში მოჭრილი) ს ა ე რ თ ი დ ინტენსიურად იყო დასაქმებული კოლხების ფულად მეურნეობაში²¹ და ვანში მათი მინაბადია აღმოჩენილი (კატ. № 30). ისიცაა აღსანიშნავი, რომ ექვთ. თაყაიშვილმა 1896 წ. ლისიმაქეს ვერცხლის მონეტასაც მიაკვლია²².

რაც შეეხება ვანში აღმოჩენილი ლისიმაქეს სტატერის მინაბადს, სამწუხაროა, რომ ისიც შემთხვევითაა აღმოჩენილი და მისი უზღუდ ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა შეუძლებელია. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ იგი უფრო ძვ. წ. II ს. უნდა დათარიღდეს, ვიდრე ძვ. წ. III ს. დასასრულით.

სრულებით უპრეცედენტოა საქართველოსათვის სიცილიის ტერიტორიაზე მოჭრილი მონეტის აღმოჩენა. საქმე ეხება არა მარტო ჰიერონ II ნახევრსტატერს, არამედ კუნძულ სიცილიის ზარაფხანებში დროის ნებისმიერ მონაკვეთში მოჭრილ მონეტებს ს ა ე რ თ ი დ. ეს გარემოება კი ვანის აღმოჩენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ ერთაზე ყველაზე ლოგიკურია ვარაუდი ჰიერონ II ოქროს მონეტის ვანში მცირე აზიის გზით მობეჭდვის შესახებ (თუმცა ჩვენ სხვა არხებსაც არ გამოვრიცხებთ).

თუ ვურადღებთ დაავაჭირებშით ვანში აღმოჩენილ მონეტების ცხრილს ადვილად დავრწმუნდებით, რომ ძვ. წ. II ს. I ნახევრით მტყი-

ცედ დათარიღებული ნუმისმატიკური მასალა არ გაგვიჩნია. შესაძლებელია, ამ გარემოებას სპორადული ხასიათი ჰქონდეს. მაგრამ ისიცაა შესაძლებელი, რომ ამ ხანებში უცხოური მონეტების შემოსვლა ვანში კლებულობს (ყოველ შემთხვევაში ოქროს მიმართ თითქოს ეს აშკარაა) და ამ ლაქუნს სწორედ ადგესანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი მინაბადები ავსებენ.

შეიძლება მხოლოდ სინანული გამოითქვას იმის გამო, რომ ჩვენ ვერ შევძელით ელენისტურ ხანის სპილენძის კარდენიმე უღარეხად სინატერესო მონეტის (კატ. №№ 32—34) ზუსტი ატრიბუცია და დათარიღება. ჩვენი ღრმა რწმენით, ამით შეიძლებოდა ვანის ისტორიის ზოგიერთი ბუნდოვანი მხარე სათანადოდ გაშუქებულიყო და პასუხი გაგვეცა კითხვებზე: როდის დაიწყო ნაქალაქარის ფარგლებში ბრუნვა სპილენძის მონეტა? ამის დადგენას კი იდრე მნიშვნელობა აქვს ქალაქის ეკონომიური ისტორიისათვის. საქმე ისაა, რომ ვანში, როგორც ეს უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, ძვ. წ. IV—III სს. მიმოიფიქრა ის უცხოური მონეტები, რომელთაც იდგი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდათ (ფილიპე II, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერები) და მსხვილი საეჭრო ოპერაციებისათვის იყენებდნენ თვინი. მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ველით, რომ ამ რეგიონში ფულადი მეურნეობის განვითარების სისუსტე. ადგილობრივი ბაზარი, მანის, სრულებით არ საქირებეს ზურდა ფულს (სპილენძის მონეტას). თუ, ვთქვათ, ძვ. წ. IV ს-ში კი ფუნქცია შეიძლებოდა კოლხურ ტრიობოლებს შეესრულებინათ, მოვიხილო ხანებში (ძვ. წ. III—II სს.), მათ ამ როლს ვერ დაეკისრებთ, თუნდაც იმიტომ რომ ვანის სერქოპოლის სამარხებიდან და კულტურულ ფენებიდან არც ერთი კოლხური მონეტა არ მომდინარეობს.

გარდატეხა კოლხეთის ეკონომიკაში, ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, იწყება ძვ. წ. II ს. უკანასკნელი მეოთხედიდან. განსაკუთრებული რელიეფურობით ეს გარდატეხა გამოიკვეთა ძვ. წ. II—I სს. მიწნახე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიახლე ვანის ეკონომიკაში დაკავშირებული იყო მის ისტორიაში მომხდარ ცვლილებებთან, იგი გარედან იყო მოტიანილი, უცხო ელემენტისათვის დამახასიათებელი და არ წარმოადგენდა კოლხური ქალაქის განვითარების ორგანულ შედეგს.

¹⁹ H. A. Машкин. История древнего Рима, М., 1956, № 147.

²⁰ E. A. Пахомов, დასახ. ნაშრ., VIII, № 1704.

²¹ ვ. დ. ნ. დ. ა. საქართველოში გავრცელებული ალქსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, გვ. 59.

²² ვ. დ. ნ. დ. ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 58—59, 64.

²³ E. A. Пахомов, დასახ. ნაშრომი, I, № 18; ვ. დ. ნ. დ. ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 59.

ის ისტორიული ტეხილი, რომელმაც მკვეთრად შეცვალა სამონეტო მიმოქცევის სურათი ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. 120—63 წწ.) მიერ კოლხეთის დაპყრობაში მდგომარეობს, რასაც ადგილი, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ძვ. წ. 111—110 წწ. ჰქონდა²³. უტყუარ საბუთს ამ დებულების სასარგებლოდ წარმოადგენს დიოსკურისის სპილენძის ნაქალაქო მონეტები, რომლებიც ზუსტი ასლია ძვ. წ. 120—111 წწ. დათარიღებული ამისის დიხალკებისა²⁴. მაგარამ ამავე საბუთით შეგვიძლია ისიც ვამტკიცოთ, რომ ეს აქცია რამდენიმე წელი უფრო ადრე განხორციელდა და ძვ. წ. 111 წელი მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობის გვიანდელი ზღვარია. ამას თითქოს შემდეგი დავიკრებავთ ადისტურებს. როგორც ცნობილია, ძვ. წ. 111—110 წწ. შორის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ილაშქრა დიოფანტემ. ქერსონესმა და ბლანფორმა სკითების წინააღმდეგ დასამარტობს მითრიდატე ევპატორი მოხმავს. იმითომ ხომ არა, რომ იგი უკვე დამკვიდრებული იყო მეზობელ კოლხეთში?

ამრიგად, მითრიდატეს კოლხეთი ძვ. წ. II ს. 20-იან წლებში უნდა დედაქორ. ამავე დროს სანაპირო ზოლისა და შავი რაიონების ანექსია, როგორც ამას ვანში აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალა მოწმობს, განხორციელდა თითქმის სინქრონულად²⁵ (ყოველმშემთხვევაში უზენიშენელო ქრონოლოგიური განსხვავებით).

კოლხეთის დასაყრდენ პუნქტებში მითრიდატეს, როგორც ჩანს, თავისი გარნიზონები ჩაუყენებია. ერთ-ერთი ასეთი პუნქტი იყო სწორედ ვანი. სამონეტო მიმოქცევის ის ტრედი და რთული სურათი, რომელიც ძვ. წ. II—I სს. შეინიშნება ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, უდავოდ მითრიდატეს ჯარისკაცების „დამსახურებაა“, ეს

მონეტები მათი შემოტანისა ვანში²⁶, ეს მათი ფულადი მეურნეობაა, ეს არის ვანის ჩართვა მითრიდატეს ვრცელი სახელმწიფოს სამონეტო ბაზარში.

სხვათადაც ამ ფაქტს ვერ აეხსნით, რადგან სპილენძის მონეტების ინტენსიური ტრიალი არა დამახასიათებელი კოლხეთის ფულადი მეურნეობისათვის მთელი მისი განვითარების ისტორიის მანძილზე. საქმარისა იოქვას, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა ძვ. წ. VI—აბს. წ. IV სს. სპილენძის მონეტების არც ერთი განძი. უფრო მეტი: არ აღმოჩენილა სპილენძის არც ერთი მონეტა, მოქრილი მითრიდატე ევპატორის ეპოქის წინააღმდეგ ხანებში (აქ არ იგულისხმება სანაპირო ზოლის ქალაქები). საეკვია, რომ ეს შემთხვევითი იყო.

განვიხილოთ მა მონეტები მიმოქცევა ვანში ძვ. წ. II—I სს. (უფრო ზუსტად II ს. 20-იან წლებში და I ს. პირველი ნახევარში ათვლით).

ვერცხლის მონეტებს შორის ყველაზე ადრეულია ე. წ. „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმა, მოქრილი ძვ. წ. 125—124 წწ. დღემასა და ერმოლოვი ერთობლივი მონეტების პირველ თვეს (კატ. № 35). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ერთდღერთი მონეტაა, რომელიც ვანში დამოუკიდებელი არხებით შემოვიდა და არა მითრიდატეს ჯარისკაცების საშუალებით. ჯერ ერთი იმითომ, რომ უფრო ადრეული (ძვ. წ. 130—129 წწ. მოქრილი) ათენური ტეტრადრაქმა აღმოჩენილია სოხუმის მიდამოებში²⁷ და მისი დაკავშირება მითრიდატეს ლაშქრობასთან გაძნელებულია, ხოლო მეორე, ჩვენი მონეტაც ქრონოლოგიურად რამდენადმე უსწრებს ევპატორის მიერ კოლხეთის დაპყრობას და იმდენად ყარავდა დაცული, რომ საფიქრებელია იგი მოქრისთანვე მოხვდა ვანში²⁸.

თუმცა ამ პერიოდის ატიკური კერამიკა განსაზღვრული პერიოდისთვის კვლავ იკვლევს გზას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისაკენ²⁹, მაინც ძნე-

²³ Г. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 17—19.

²⁴ Г. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშ.*, გვ. 18, აგრეთვე К. В. Голенко. К хронологии монет Диоскуриды, *ს. ვანშის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესია მიძღვნილი პალო. დ. კანაანის სიონისადმი, მოხსენებათა თეზისები*, თბ., 1972, გვ. 3.

²⁵ უდრ. Г. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშ.*, გვ. 20—21.

²⁶ Г. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 20, 108—109, К. В. Голенко. Понтийская азиатская медь (Хронология, классификация, характер чекана), ВДИ, 1965, № 1, გვ. 136.

²⁷ Г. Лордкипанидзе, *დასახ. ნაშ.*, გვ. 105.

²⁸ იქვე, გვ. 106.
²⁹ ეს მათი აშუალოდ იმპორტული კერამიკის ერთი ჯგუფი ეხება, „პონტე“ 1964, № 6, გვ. 300.

ლი დანამუშავებია მონეტა ვანში ათენთან უშუალო კონტაქტის გზით რომ მოხვედრილიყო. „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრამები ძვ. წ. 120 წლამდე აღტანსურად მიმოიქცეოდა მცირე აზიის ფარგლებში და აქედანვე უნდა შემოსულიყვნენ ვანში³⁰.

ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნემშიმატრიკური მასალა მოწმობს, რომ აქ ფართოდ მიმოიქცეოდა კაპადოკიის მეფეთა დრამები³¹. სხვადასხვა დროს ვანში ნაპოვნია:

1. არიათ VI (ძვ. წ. 130—116 წწ.) დრამათაობრივი, სამწუხარო, არ იკოთხება, მაგრამ იგი არაერთად შემთხვევაში არაა მოპოვილი მისი მეფობის პირველ ნახევარში (ჯატ. № 36).

2. არიათ VII (116—101) — 1 ც. მოპოვილია მმართველობის მე-8(?) წელს, ე. ი. ძვ. წ. 109 (?) წელს (ჯატ. № 37).

3. არიათ IX (101—87)—2. ერთის თარიღის გარკვევა ვერ ხერხდება (ჯატ. № 38), ხოლო მეორე—მმართველობის მე-13, ე. ი. ძვ. წ. 89 წელსაა მოპოვილი (ჯატ. № 39).

4. არიობარძანე I (96—63)—2. ორივე მათგანი მოპოვილია მმართველობის მე-13, ე. ი. 84 წელს (ჯატ. № 40—41).

როგორც ვხედავთ, კაპადოკიის მეფეთა ექვსი დრამიდან მხოლოდ ერთია, რომელიც ქრონოლოგიურად ოდნე უსწრებს წინ მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობას. მაგრამ არაერთად ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ისიც შემდეგაა შემოტანილი ვანში მითრიდატეს ჭარისკაცების მიერ.

კაპადოკიური დრამების გვერდით ვანში ძვ. წ. 11—1 ს მიმოიქცევა რესპუბლიკური ხანის რომაული მონეტებიც, კერძოდ, აქ აღმოჩენილია რომის რესპუბლიკის ორი დენარი (მოპოვილი ძვ. წ. 119—110 ან 90—80 წწ. და ძვ. წ. 64 წ. ჯატ. № 42, 216) და ერთი კვინარიუსი (ჯატ. № 43). უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ეს ნომინალი საერთოდ არ იყო ცნობილი საქართველოსათვის.

გარდა ამისა, ვანის სამონეტო ბაზარზე, ერთ-ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მითრიდატე ეპატორის ტეტრადრამებსაც. ერთი მათგანი, ძვ. წ. 74/3 წწ. მოპოვილი, შემთხვევითაა ნაპოვნი ქვედა ვანში, ხოლო დანარჩენების შესახებ ცნო-

ბებს გვაწვდის აკად. ექვთ. თაყაიშვილი (იხ. ზე-პით).

ერთგვარად მოულოდნელია ვანში პართული მონეტების ცირკულაცია. პართული მონეტების პოვნის შემთხვევების შესახებ წერდა ჯერ კიდევ ექვთ. თაყაიშვილი (იხ. ზემოთ), ხოლო სინაპრუის დრაქმას (ძვ. წ. 77—70 წწ.) თვით ექსპედიციამ მაკედონა (ჯატ. № 215).

როგორც ცნობილია, კოლხეთში პართული მონეტები იშვიათად ჩნდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მათი პოვნის 129 შემთხვევა აღტანსურად³². უნდა ვივარაუდოთ, რომ ვანში პართული დრამები იბერიის გზით შემოდიოდა³³.

ვანში აღმოჩენილი სპილენძის მონეტები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფში ერთიანდება მითრიდატე ეპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების მონეტები 49 ც. რაოდენობით, ხოლო მეორეში — 122 მონეტა მოპოვილია საკუთრივ ვანში(?).

პირველი ჯგუფის 49 მონეტიდან 13 ამისის ზარაფხანას მიეკუთვნება, 1 — ამასტრიის, ხოლო 35 მონეტა მოპოვის ადგილი, მათი კუდი დაკუთვლობის გამო, ვერ დგინდება (იხ. ცხრილი). შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მათი უმრავლესობა აგრეთვე ამისოს ზარაფხანადანაა გამოსული.

ყველაზე გაერცლებულ ნომინალს ვანის ნაქალაქარზე წარმოადგენს ტეტრახალკი (40 ც.), უფრო იშვიათია — დიხალკი (6) და სულ იშვიათი — ობოლი (1 ც. — იხ. ცხრილი).

ქრონოლოგიურად ეს მონეტები, ფრ. იმპოფ-ბლუმერის კლასიფიკაციის მიხედვით³⁴, ასევე რამდენიმე ჯგუფად იყოფა. მათ შორის ყველაზე აღრეული მოპოვილია ძვ. წ. 111—105 წწ. ტიპი: არესი — ქარქაშში ჩაგებული მესპილი (ჯატ. № 43). უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ტიპის მონეტები ვანში კიდევ თორმეტი ცალია აღმოჩენილი (ჯატ. № 44—54, 91), მაგრამ, სამწუხაროდ, მათი არადაამყაოფილებელი დაკუთვლობის გამო, ისინი ზოგადად ძვ. წ. 111—105 ან 105—90 წწ. თარიღდებიან.

ცნობილია, რომ ფრ. იმპოფ-ბლუმერის III—IV ქრონოლოგიურ ჯგუფებში ერთი ტიპის

³² თაშარა ბარამიშვილი. საქართველოს საზღვრეთი უმრავლესი პართული მონეტების კატალოგი. თბ., 1974, გვ. 16.

³³ Г. Лордкипанидзе. დასახ. ნაშრ., გვ. 107.

³⁴ Fr. Imhoof-Blumer. Die Kupferprägung des miltiradatische Reiches und andere Münzen des Pontos und Paphlagoniens. „Numismatische Zeitschrift“, 1912.

³⁰ Г. Лордкипанидзе. დასახ. ნაშრ., 106.

³¹ იქვე. გვ. 104—105.

მონეტები ერთიანდებიან (არსი—მახვილი), მაგრამ გვიანდელ ცალბეზე (ძვ. წ. 105—90 წწ.) დამატებითი სიმბოლოები და მონოგრაფია გამოჩნდა (ამის შესახებ იხ. კატ. № 44, სქ. 51). საშუქნაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ მოხსენიებული 12 მონეტის ქრონოლოგიური დიფერენციატია ჭირს, მაგრამ უეჭველია, რომ მათ შორის არტაველი ცალბეტი უფრევია. ამიტომაც ვუძებთ ჩვენ მითრიდატეს მერე კოლხეთის სანაპირო ზოლისა და შიდა რაიონების ერთდროულ დაპყრობის შესაძლებლობას. ყოველშემთხვევაში, როგორც აღნიშნული გვეჩნდა, ეს არ უნდა მომხდარიყო დიდი ქრონოლოგიური შორისებით.

განსაკუთრებით გაერტყლებულია ვანში IV ქრონოლოგიური ჭგუფის მონეტები (ძვ. წ. 105—90 წწ.) ეგვიპტისა და ნიკეს გამოსახულებით (კატ. №№ 56—77. ეს ტიპი უნდა ერიოს აგრეთვე გაურტყველ ცალბეზით. №№ 82—87). აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მითრიდატეს სწორედ ძვ. წ. 105 წ. ახლო ხანებში განსაკუთრებით მტკიცედ უნდა მოეკიდა ფეხი კოლხეთის შიდა რაიონებში³⁵.

დამოლოც, ვანის მასალებში მცირე რაოდენობით (4 ც.) წარმოდგენილია პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტების უქანსკენელი, VII ქრონოლოგიური ჭგუფის (ძვ. წ. 80—70 წწ.) ტეტრაბალები (ტიპი: ზევისი—არწივი. კატ. №№ 78—81).

საინტერესო სურათი შეიძლება მოგვცეს ვანისა და ბოსფორის ტერიტორიაზე, რომელიც მითრიდატეს სამეფოს დაახლოებით ძვ. წ. 109 წ. შეუერთდა³⁶, პონტოს საქალაქო მონეტების აღმოჩენათა რაოდენობის შედარებაში³⁷.

	ქრონოლოგიური ჭგუფები	მონეტების რაოდენობა	ქანს	შ ე ნ ი შ ე ა
1	ძვ. წ. 120—111 წწ.	1	—	ამ ჭგუფის მონეტები ვანის მონეტების ტიპისაა და უნდა იყოს ვანში. უპრობლემად მათი გამოყოფა ქირს.
2	" 111—105	13	17	
3	" 105—90	24	227	"
4	" 90—80	9	—	"
5	" 80—70	49	4	"

³⁵ შირ. გ. ლორდკიპანიძე. დასაბ. ნაშრ., გვ. 21.

³⁶ К. В. Голенко. Покитийская монета времени Митридата VI на Боспоре, «KLIQ», Beiträge zur Allen Geschichte, Band 46, 1965, Berlin, გვ. 307.

³⁷ ბოსფორის ტოპოგრაფია აბუბუღა გვაქვს კ. გოლენკოს ზემოთდასახელებული ნაშრომიდან, გვ. 308.

ამრიგად, ბოსფორისა და ვანის ტერიტორიაზე პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტებმა სინქრონულად იწყეს ტრიალი, კერძოდ ძვ. წ. 111—105 წწ. მართალია, ვანში ამ პერიოდის ზუსტად დათარიღებული მხოლოდ ერთი მონეტა გვაქვს, მაგრამ, როგორც თავის ადგილზე გვეჩნდა ხაზგასმული, ვანის მასალებში არის კიდევ 12 ტეტრაბალები, რომელთა ნაწილი უაშკარად 111—105 წწ. მოქროლია.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავის არ იწყებულა, რომ ბოსფორის ტერიტორიაზე ამ მონეტების ცირკულაციის დასაწყისი უკავშირდება ბოსფორის შესვლას მითრიდატე ეგვიპტორის სამეფოს შემადგენლობაში³⁸. არა გვაქვს არაერთიანი საფუძველი იგივე დასკვნა არ გავაკეთოთ კოლხეთის მიმართაც.

ვანში ყველაზე გაერტყლებული მოჩანს ძვ. წ. 105—90 წწ. დათარიღებული მონეტები. ეს ქრონოლოგიური ჭგუფი ასევე მრავალადა წარმოდგენილი ბოსფორში. მაგრამ შემდგომი პერიოდის მასალა, განსხვავებით ბოსფორისაგან, ვანში ან სულ არ არის, ან ძალიან მცირე რაოდენობითაა მიკვლეული. შესაძლებელია, ეს ფაქტი კოლხეთის ისტორიის ზოგიერთ მომენტს უკავშირდებოდეს, რასაც ქვემოთ შევვხებით.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ფარკლებში პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტების როლის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ არც ერთი მათგანი დამაჩვენებელი არაა³⁹. უქანსკენლად კ. გოლენკომ წამოაყენა ძალიან ზოგადი ხასიათის დებულება, რომლის თანახმადაც ბოსფორის ქალაქების გაცხოველებულმა გერონიურმა ცხოვრებამ ამ ხანებში გამოიწვია უცხოური მონეტების მოზღვრება, ვინაიდან საქალაქო მონეტები ვეღარ აკმაყოფილებდნენ შინაგანი ბაზრის გაზრდილ მოთხოვნილებას⁴⁰. მაგრამ ამ დებულების ვანისათვის ატომატიურად მიყენება ყოველდ შემუშავებულია, რადგან თუ კი ბოსფორის ფულადი მეურნეობისათვის სპილენძის მონეტები ორგანული ელემენტი იყო, კოლხეთისათვის — უცხო და მოუღებელი. ამიტომ ვანის ფულად მეურნეობას ძირითადად პოლიტიკური მონეტის განსაზღვრავს.

³⁸ К. В. Голенко. დასაბ. ნაშრ., გვ. 307—308.

³⁹ მათი კრიტიკა და მიმდინარეობა. იხ. К. В. Голенко. დასაბ. ნაშრომი, გვ. 309.

⁴⁰ იქვე, გვ. 309.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად. კოლხეთი თავდაპირველად პონტოს სატრაპიას წარმოადგენდა⁴¹. შემდეგში, როგორც აპიანე გვუწყობს, კოლხეთის მოსახლეობა აქანუგებულა (ძვ. წ. 83 წ. 42) და მითრიდატესათვის წაუყუენებია მოთხოვნა მათთვის შეეღებ მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი მიეცა⁴³. ეს მოთხოვნა მითრიდატემ დააკმაყოფილა. კოლხეთში გამეფდა ევპატორის ვაჟი მითრიდატე-ფილოპატორი ფილადელფი. ამ ხანდან მოცილებული კოლხეთი რომინალურად ვასალური სახელმწიფოა, მაგრამ სულ მალე, ეკროლ ძვ. წ. 60 წ.⁴⁴ მითრიდატე ევპატორმა თავის შვილს ღალატში დასდო ბრალი, „... მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბარაკლები და შეძლებე დიხანს ან გაუეღია, რომ მოჰკლა ციდეცა“⁴⁵.

ლიყო მითრიდატე უმცროსის სეპარატიზმის გამოვლენის ერთ-ერთი კონკრეტული ღონისძიება⁴⁶.

ლტოსის გამოსახულებიანი მონეტები ენაში 122 ც. რადენობითაა ნაპოვნი და მათი უმრავლესობა არ ატარებს მიმოქცევაში ხანგრძლივად ყოფნის ეკლს (კატ. №№ 92—213). გამოიყოფა ორი უჩინესი რომინანა: ხალკი და ჰემიხალკი. მათი აღმოჩენის ადგილი — მოზაიკურ-იატეიანი ტაძრის საკუთხებელის წინ⁴⁷ — აშკარად ხდის იმ ფაქტს, რომ მონეტების ეს განძი წარმოადგენს შეჭირულობას.

მითრიდატე უმცროსის სეპარატიული მოღვაწეობა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მისი სიკვდილით დასჯით დამთავრდა. ამასთან დაკავშირებით უფრადლებას იქცევს აპიანეს სიტყვები: მითრიდატე ევპატორმა „... მოაყვანინა იგი (ე. ი. თავისი ვაჟი — ავტ.) ... და შეძლებე დიდხანს არ გუეღია, რომ მოჰკლა (ციდეცა)“. აპიანეს სიტყვები, ჩვენ ისე გვესმის, რომ ევპატორმა ძალით მოაყვანინა ურჩი შვილი, სამხედრო ძალა გამოიყენა მის წინააღმდეგ. ძნელი წარმადგენია, რომ მრისხანე შამას უბრალო გამოძახებით ზღებოდეს მითრიდატე უმცროსი, რომლისთვისაც, ალბათ, წინასწარვე იყო ცნობილი მამის განაჩენი. ჩვენი აზრით, ენაში მოხდარი ხანძარი, რომლის კვალ ასე გამოკვეთილად შეიმჩნევა ალიზის კედლის ნანგრევების ნაშთებში⁴⁸, სწორედ ძვ. წ. 80-იან წლებში ბოზობრობა და ალანისშენადა, რომ ამ ნახანძრალი თენიდან მომდინარეობს არიობარძანეს ძვ. წ. 84 წ. მოჭრილი ღრამქმეცა⁴⁹ (კატ. № 40), ნახანძრალი თენიდან

სწორედ ამ ხანებში, ძვ. წ. 83—80 წწ. მითრიდატე უმცროსის, რომელიც ყველაზე მეტად მოსალოდნელია ენაში იქნა⁴⁶, უნდა მოეკრა სპილენძის ანონიმური მონეტები სტილიზებული ლტოსისა და რვაქმეიანი ვერსკლავის გამოსახულებით⁴⁷. სამონეტო ემისია უნდა ყოფი-

41 Г. Лордкипанидзе. დასა. ნაშრობი, გვ. 22.
42 იქვე. გვ. 23.
43 აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, თ. ყუბხიშვილის თარგმანი, თბ., 1959, გვ. 135.
44 Г. Лордкипанидзе. დასა. ნაშრობი, გვ. 24.
45 აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, გვ. 135.
46 გ. დუნდუა, იტრეზოლა თუ არა მონეტა ენაში? გვ. 157, სქ. 58.
47 დაწერილობით საკითხს შესახებ იხ. გ. დუნდუა, იტრეზოლა თუ არა მონეტა ენაში? ამ სტატიის ენაში მონეტის პოჭრის სასარგებლოდ მოყვანილია ექვსი არქუ-მენტო. ერთ-ერთი მათგანს მხედვით არ არის აღრიცხული არც ერთი შემთხვევა ამ მონეტების აღმოჩენისა ენის ვარდა სხვაგან, თუთი კოლხეთის ტერიტორიაზედაც კი“ (გვ. 153). ამქვრად ჩვენ შეგვიძლია განვახადოთ, რომ ლტოსისგამოსახულებიანი ერთი მონეტა აღმოჩნდა ემერში 1975 წ. გ. შამას ზღმდინარეობით ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრების დროს (ЗГ—75, №8, 10, 108, 2; № 627, p. 154, 2; № 131/14). მაგრამ ამ აღმოჩენას ოდნავდაც არ შეუძლია შეპყრობის ადრე გამოთქმული თვალსაზრისი. საშეუბნაა, რომ დოსკურნა (და მისი მდამდებები) ყველაზე ადრე შეედა მითრიდატეს სამეფოს შემდეგნაშაბამში და იგი მისი ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი პუნქტი იყო კოლხეთში. ვანში და დოსკურნაში მდგომი ვარინ-ზონების კავშირითობობა თავისთავად ივსებს მგება და სწორედ ამას შედეგად უნდა მოხვედრილიყო ემერში ენაში მოჭრილი ხალკი. და თუ კი ამ აღმოჩენას მანერ ძალურს რამე დააყენოს ექვსი ქვეშ, ეს იქნება საერთოდ მთელი ინონიმური სერაიის (რომელ-

თა ემისია პონტოს სამეფოს მიეწერება მითრიდატეს ევპატორის ეპოქის წინადა ხანებში) გენეზისის საკითხი, ენაიდან ემერში აღმოჩენილი ცალიც ძვ. წ. I ს. თენაშია მიქცეული (მასთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე ძვ. წ. 105—90 წწ. მოჭრილი პონტოს საზღვლის ორი საქალაქო მონეტა) და აშკარად მითრიდატე ევპატორის ხანას მიეკუთვნება. ინონიმური და პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტების ემისია კი სინქრონულად (მითრიდატეს ეპოქაში) გამოიხეხებოდა (გ. დუნდუა, დასა. ნაშრობი, გვ. 149, 154). მათი თანადროულობის დასტუვის შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოთ ინონიმური მონეტების მთელი სერის მიერ მოჭრულუობა პონტოს ტერიტორიაზე და ასეთი ცენტრად სხვაგან ვეძიოთ.

48 გ. დუნდუა, დასა. ნაშრობი, გვ. 155.
49 ენა, I, გვ. 177.
50 ენა, I, გვ. 117.
51 იქვე, გვ. 117—118.

მომდინარეობს აგრეთვე ვაზბრების XXXIV უბანზე მიკვლეული, ასევე ძვ. წ. 84 წ. დათარიღებული არიობარძანეს მეორე მონეტა (კატ. № 41) და ძალიან უღრად დაცული ტეტრაბაქი ეგვიპტისა (?) და ნიკეის (?) გამოსახულებით, რომელიც, ალბათ, ძვ. წ. 105—90 წწ. მიეკუთვნება. ამრიგად, სრულებით აშკარაა, რომ დაახლოებით ძვ. წ. 80-იან წლებში ვანი დასაგრეულია. ვეიქრობთ, ვანის ხანძარი და წარევა შედეგა მამაშვილის მოხრეთა ბრძოლისა.

როგორც ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. ო. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, ვანის ქალაქი ორგონისა ბარბაროსულად დასაგრეული. მისი აზრით, თავდაპირველად ეს უნდა მომხდარიყო ბოსფორის მმართველის ფარნაკის ეპოქაში (ძვ. წ. 50 წლის მომღვეწო ხანებში), ხოლო შემდეგ პერგამონის მეფის მიითრიდატე VII-ის კოლხეთში ლაშქრობის დროს (ძვ. წ. 47 წ.)⁵². ამ მხრივ ნიშნობილია ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. I ს-ის შუახანების ნუმისმატიკური მასალის სიმკორე (მხოლოდ ერთი მონეტა, ძვ. წ. 50—49 წწ. პერგამონში მოჭრილი კისტოფორი, იხ. ცხრილი და კატ. № 217).

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების მიხედვით, ახელდიანების ბორცვზე გვიანანტიკური ხანაში დადასტურებულია დაქარაღვის შემთხვევა⁵³. გარდა ამისა, როგორც ვქვით, თაყაიშვილი წერდა, ვანში „ძველი რომაელების გავლენას გვიმტკიცებენ აგრეთვე ბევრი ევარცხლისა და ოქროს ფულეები, რომაელების დრო-

სა, მეტადრე კეისრების ხანისა“⁵⁴. აქედან დასკვნა: ვანში ინტენსიურად მიმოიქცეოდა იმპერატორების დროის რომაული მონეტები. ვეით. თაყაიშვილის ცნობა, რომ ლიტონი სიტყვები არაა, ამას მოწმობენ ახალი აღმოჩენებიც.

ვანის ნაქალაქარზე ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია: მარკუს ავრელიუსის (161—180 წწ.) რომაული დენარი და იმპერატორ კარაკალას სახელით 197 წ. კესარიში მოჭრილი დრაქმა (კატ. № № 218—219). ამასთანვე ეს უყანასენელი უშუალოდ ფენაშია ნაპოვნი.

იმავე ე. თაყაიშვილის ცნობით, ვანში აღრიცხული ყოფილა ბიზანტიური მონეტების აღმოჩენის შემთხვევებიც⁵⁵. გარდა ამისა, ციხესულორიდან მომდინარეობს XI ს. ბიზანტიური ტიპის ქართული მონეტების ვანში⁵⁶.

ეს ყველაფერი, ჩვენი აზრით, თითქოს არ გამოიტყვას ახელდიანების ბორცვზე გვიანანტიკური და შემდგომი პერიოდის კულტურული ფენების აღმოჩენის შესაძლებლობას.

⁵⁴ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, გვ. 7.

⁵⁵ Е. Такашвили. Церковь в Вани, в Имерлии и ее древности. Известия Кавказского историко-археологического института, т. III, 1917—1925, I, 1927, გვ. 109.

⁵⁶ Р. Кебуладзе. Клад из селения Цихесулори. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარეობს პროფ. დ. კაპანაძის ხსენისადმი. მოხსენებთა ფუნდები, თბ., 1972, გვ. 8. ფოთი ნაქალაქარის აკროპოლისზე, რ. ფუფურიძის ანგარიშების მიხედვით აგებულია ფეოდალური ხანის ნაშთები. ქვევრის და ქონის ნატეხები, აგრეთვე შინის სამაჯურის ნატეხი, რაც შუაფეოდალურ ხანაზე მივითითებს. იხ. ვანი, I, გვ. 118. გარდა ამისა, ახელდიანების გორის თავზე დადასტურებულია შუასაუკუნეების ქურა ქვევრების გამოსაწყვიცი). (იხ. ო. დ. ლორდკიანიძე, რ. ვ. პუტურიძე, Работы Ванской экспедиции. Археологические открытия 1970 года, М. 1971, გვ. 381.)

⁵² ოთ. ლორთქიფანიძე. „ვანის ქალაქი“, „იქს-კარი“, 1966, № 7, გვ. 141; მისივე, ვანის ნაქალაქარი (გა-თხრები. ისტორია. პრობლემები), ვანი, I, გვ. 42; ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა ნ. ლომოურსაძე. იხ. ეგვიპტის სამეფოს ისტორია, თბილისი, 1968, გვ. 49.

⁵³ ვანი, I, გვ. 36, სქ. 137.

№№	სველი №	თბილისი	ლიტონი	წონა	ზომა	შუბლი	ზურგის
	3-471 444	VI ²	ვერტ-ბლი	1,60 გრ.	10/1132	კოლხური ნახევარდარკვა. ძვ. წ. IV—III სს.	
	"			1,40		ადამიანის თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო ხაზოვანი რკალი.	მარჯვნივ მიმართული ხარის თავის გამოსახულება, მოთავსებული ხაზოვანი რკალი.
				1,80	11/12	მარჯვნივ მიმართული ქალის თავის გამოსახულება (თმის ვარცხნილობის მიხედვით, მისი მამაკაცის პროტილად მიჩნევა გამოჩენილად). რკალი წერტილოვანი.	
4				1,62	11/12	მარჯვნივ მიმართული ქალის თავის გამოსახულება რომელსაც თმები მხრებზე აქვს დაყრილი (სახის ნაკეთები შედარებით უხეშო აქვს). რკალი ხაზოვანი? (თუ შედგენილი შეერთებული წერტილებისაგან).	
				1,74	11/12	მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი (გამოსახულება უფრო მცირე ზომისაა). რკალი წერტილოვანი.	
6				1,74	11/13	მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება. რკალი შედგენილი შეერთებული წერტილებისაგან.	
				1,75		მონეტაზე ამოკარა ქალია გამოსახული. "გაძლი" თმები "მხრებამდე" სცემს და წინ აქვს გადაყრილი. რკალი ხაზოვანი? (თუ შეერთებული წერტილებისაგანაა შედგენილი?).	
8				1,75	11	მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება. რკალი წერტილოვანი.	
	3-481 80	შემთხვე.		1,64	10/12	მამაკაცის თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო შეერთებული წერტილებისაგან შედგარი რკალი.	

1 ინახება აკად. ს. ჭანავაძის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განაშენიანების თვალსაზრისით (შემდეგში — გ. ფ.), № 11089.

2 სამარხი № 1 (გეორგიანული დარბაზი). დეგრესიული ნაპოვნის ნაგებობა. ურნაში მოთავსებული იყო შვიდი კოლხური თეთრი, ერთი — სახურავის ზედაპირზე.

3 სამარხი ძვ. წ. III ს. იყო დათარიღებული. იხ. ნ. ბოჭორიძის ანგარიში "საქართველოს არქეოლოგიური გათხრების სიფ. ვანო. 1947 წელს, ამომომხილველი", I, 1949 წ., გვ. 308; საქართველოს არქეოლოგია. ავტორთა კოლექტივი, ა. აფანკიძის საერთო რედაქციით, თბ., 1959, გვ. 234. მაგარამ სამარხში აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი (ცხოველებისთვის) სამარხებზე, გვერდობრივად ცილინდრული ზანა-9. ვანი III

ლაკი. ომფოლისებიანი ვერცხლისა და ბრინჯაოს ლანკრები და ფალები და სხვ.) სმულებას გვაძლევს სამარხი № 1 ადრეელისტიკური ხანით, კერძოდ ძვ. წ. IV ს. დასასრულით დათარიღებით.

4 გ. ფ. № 11090.
5 გ. ფ. № 11091.
6 გ. ფ. № 11092.
7 გ. ფ. № 11093.
8 გ. ფ. № 11094.
9 გ. ფ. № 11095.
10 გ. ფ. № 11096.
11 გ. ფ. № 11098. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის

სველი დათარიღი № 3-48/80 გატარებულია 8 კოლხურ-

№№	საველე №	თხზი- ლი	ლითო- ნი	წონა	ზომა	შუბლი	ზურგის
10	12	მეზობე.		1,64	10/11	მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი. რკალი შედგენილი შეერთებული წერტილებისაგან.	
11				1,71	11/12	"	
12				1,54	11/12	მარჯვნივ მიმართული მამაკაცის თავი. რკალი ხაზოვანი.	
				1,74	10/11	რკალი ხაზოვანი?	
				1,90	10/11		
				2,00	11/12		
	3-481 ^ა 92	12		1,63	11/12	რკალი ხაზოვანი.	რკალი წერტილოვანი.
				1,74		მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავი. ვარშემო ხაზოვანი რკალი.	რკალი ხაზოვანი.
	3-52 ^ა 4	**		0,80		რკალი ხაზოვანი? (გადასულია და იარვად ეერ ირკვევია).	
19	3-57 ^ა 193	1***		1,73		ადამიანის (ჭალის?) თავის გამოსახულება მარჯვნივ. რკალი წერტილოვანი.	
20	3-59 234	****		1,08	10/11	ჭალის თავის გამოსახულება გრძელ თმეში. ვარშემო შეერთებულ წერტილებისაგან შედგენილი ხაზოვანი (?) რკალი.	
სურ. 114	3-69 380	საბარ- ხო № 10 ^ა		1,54	11/12	მარჯვნივ მიმართული ჭალის თავის გამოსახულება. რკალი ხაზოვანი.	
21 ^ა სურ. 114				1,18	10/11		
22 ^ა სურ. 114							

რი მონეტა. სინამდვილეში ერთი მათგანი აღმოჩნდა შუა საუკუნეების (?) სისლენის მონეტა. $p=1,80$, $d=11/12$. იგი უცვლად დაეცულა, მაგრამ მონეტის ერთ მხარეს აშკარად შეიმჩნევა არაბული ზედწერაღის ფრაგმენტი كس
გ. ფ. № 11105.

- 12 გ. ფ. № 11099.
- 13 გ. ფ. № 11100.
- 14 გ. ფ. № 11101.
- 15 გ. ფ. № 11102.
- 16 გ. ფ. № 11103.
- 17 გ. ფ. № 11104.
- 18 გ. ფ. № 11106.
- 19 $\text{HK}-131$, სამხრ. ერთი მეტრი 11 კვლადან. $\text{HK}-131$
- და 131 მორის.
- 20 გ. ფ. № 11107.
- * უცვლად დაეცულა.

21 გ. ფ. № 11116.

** აღმოჩენილია სოფ. ციხესტორში, დანგრეულ ქვეერსამარხში (ციხიდან დაახლოებით 200 მ. დაშორებით).

22 გ. ფ. № 11120.

*** ახელდებიან მისი ჯორის თავზე, შეეკუტურულ ფანაში, თხილის ზედაპირიდან 0,90 მ-ის სიღრმეზე.

**** კაქია ახელდებიან ეენახთან, 193-ე მონაკვეთი, კე. იკ. შეე. ფენაში.

23 ამ მონეტას სამარხის ინვენტარს შორის მიეუთხენბული აქვს № 16.

24 ბეშვის სამარხი (№ 10), სადაც სამი კოლხური ტრიობოლი აღმოჩნდა, თარიღდება ძვ. წ. IV ს. უკანასკნელი მეოთხედით. ან ოღნაე მოგვიანო პერიოდით. ვანი. I, თბ., 1972, გვ. 211.

25 ინვენტარის № 17.

№№	საველე №	თბილისი	ლიტონი	წონა	ზომა	შუბლი	ზურკა
23 ²⁶ სურ. 114		"		1,23	10/11	რკალი შედგენილია შერწყმული წერტილებისაგან, თითქმის ხაზოვანია.	"
24 სურ. 114	$\frac{3-72}{2}$	შემთხვე		1,55		მარჯვნივ მიმართულია ელამიანის თავი (გამოსახულება შესრულებულია უკუშალ თმები ვაღმყოფულია შტრიხებით). რკალი წერტილოვანია.	
25 სურ. 114	3-69/297	სამარხის № 927	ოკრო	8,59		მაკედონია. ფილაზე II (ძვ. წ. 359-336 წწ.) სტატერი.	შეხდარი მაკედონების ორცხენიან ეტლს (ზიგას) მარჯვნივ. ცხენების წინა ფეხებთან სიმბოლო — ლომის თავი an face. ხაზს ქვემოთ ზღწერია: ΦΙΛΙΠΠΟΥ.
26		შემთხვე ²⁸	"	8,44		ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336-327 წწ.) სტატერი	გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის ვამოსახულება კორინთის მუხარადში მარჯვნივ. მუხარადზე გველია ვამოხატული. ქალღმერთის ყელი მწიფებითა აქვს დამწვენიებული და ყურებზე საყურეები კიდია.
		**	ოკრო	5,60	24/15	ალექსანდრე მაკედონელის სტატერების შინაბაჭები	გრძელ ქიტონში ჩაცმული, მარცხნივ შიშვალა ფრთოსანი ნიკეს ცხენით. მარჯვნივ ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში — სტილია. ნიკეს ვაწვდილ ხელს ქვემოთ მონოგრამა — M , მონოგრამის ქვემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ვამოსახულების ფეხებთან სიუხვის ყანწი. ნიკეს უკან ბერძნული ზღწერია: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ ²⁸ .

²⁶ ინვენტარის № 16.

²⁷ კოლხი მეომრის სამარხი, სადაც ფილაზე II სტატერი აღმოჩნდა (მიკვლეუბულის ქვისის არხში), თარიღდება ძვ. წ. IV ს. მესამე მეოთხედით, ენის, I, გვ. 203.

²⁸ აღმოჩნდა 1961 წ. შემთხვევით ეკონარში, სადაც დადასტურებულია ანტიკური ხანის მძლავრი ფენები (ეს ადგილი დასაქვითიდან კვერის ახეუდიანების გორას და წარმოადგენს სოფ. ციხესულორის უბანს). მონეტა ინახება ადგილობრივი მუზეუმებთან. ჩვენს ხელთაა მხოლოდ მისი ანაბეჭდი.

²⁹ გ. დუნდუა. საქართველოში გაერკლებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიპეს სახელით მოჭრილი მონეტები, "მაკედონი", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973 წ., № 1, გვ. 54; მსგავსი სტატერები ცნობილია ანაბოლის უზარმაზარი განძიდან (იხ. E. Придник, Анабольский клад золотых статерей, 1895 года. Изв. Импер. Арх. Ком., вып. 3, 1902, стр. 66,

№№ 59-64, таб. IX, № 59). ლ. მიულერის აზრით, ამ ტიპის მონეტების ემისიას აწარმოებდა ცენტრალური თრასიის უცნობი ჰაპატი (იხ. L. Müller, Numismatique d'Alexandre le Grand, Copenh., 1855, № 381), ხოლო გ. ლორთქიფანიძე E. T. Newell-ზე დაყრდნობით მას სწონივში გამოყვებულად მიიჩნევს და ათარიღებს ძვ. წ. 290-220 წწ. (იხ. Г. А. Лордкипანიძე, Древняя Колхиды в VI-II вв. до н. э. историко-археологическое исследование. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тбилиси, 1975, стр. 48). ზაგრაძე ამ უკანასკნელს თავის სტატიაში იდენტიურ სტატერი გამოკვეთებული აზრს აქვს: E. T. Newell, The Alexandrine Coinage of Sirope, AJN, 1918, გვ. 118-127, ტაბ. I-II.

* გ. ფ. № 5088.

** აღმოჩენილია შემთხვევით 1946 წ. ახეუდიანების გორაზე.

№№	საველე №	თხრო-ლი	ლილო-ნი	წონა	ზომა	შუბლი	ზურგა
		შემ-თხ. ³¹	=	4,8	15/16	შედარებით კარგად შესრულე-ბული მარჯვნივ მიმართული „ათენა“ თავის გამოსახულება.	მარცხენა ხელის გვერდით ამო-ტვიფრული კიდევ ორი წერ-ტილია.
		შემთხ.	ოქრო	8,44		ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემში და ამონის ტიტი მარჯვნივ.	ტახტზე მდომარე ათენა პალა-და მარცხნივ. მარცხენა ხელში მის შუბი უკირავს და ეყრდნობა ფარს. მის გაწვილ მარჯვენა ხელზე დგას ნიკე. გამოსახულების წინ, გაწვილ ხელსა და მუხლს შო-რის მონოგრამა — ΔϚ. ტახტის ქვეშ — ΒΥ. გამოსახულების ქვე-შეთ-სამითაა ³² .
30***		****		5,44		ალექსანდრე მაკედონელის და-მხიზებული პროფილი მარჯვნივ, რომელიც კარგად „იკითხება“. შუბლზე თითქოს ორი ჩიტი უნდა იყოს გამოსახული.	ტახტზე მდომარე დამახინვე-ბული ათენა-პალადის გამოსახე-ლება მარცხნივ ყველა ატრიბუ-ტით (ნიკე, შუბი, სამთთა). ზედ-წერილის იმიტაციას მოკლე ხა-სები ჰქმნიან.
31 სურ. 114	07:1—75—39	*****	ოქრო	4,26	15/16	სირაკუზი. ჰიერონ 11 (ძვ. წ. 275/4—216 წწ) ოქროს მონეტა. პერსეთონის თავის გამოსახუ-ლება მარცხნივ. რაკი წერტი-ლოვანი.	გამარჯვების ქალღმერთი ნიკე მიაგვლებს ორტენიან ეტლს (მივას) მარჯვნივ. მარჯვენა ქვემო კუთხეში, ცხენების წინაფეხებთან ზედწერილი: ΙΕΡΩΝΟ ³³ .
32*****	3—51 27—c	*****	სპი-ლენი	1,81		ელინისტური ხანის ადამიანის (ლეთაბის?) თავის გამოსახულება დიადემში მარჯვნივ. ცხერი ოდნავ მოკრ-ძო აქვს.	გაურკვეველი მონეტები ხარის თავის გამოსახულება მარჯვნივ ³⁴ .

³⁰ Д. Г. Капанадзе. О древнейших золотых монетах Грузии, ВДИ. 1949, № 3, стр. 168, № 23.

* გ. ფ. № 5252.

³¹ აღმოჩენილია შემთხვევით 1948 წ. ახვლედიანების გორაკზე.

³² ანაბეა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (№ 616). აღმოჩენილია ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემთხვევით 1966 წ.

³³ გ. დუნდუა. დასახ. ნაშრ. გვ. 58.

³⁴ გ. ფ. № 11814.

³⁵ აღმოჩენილია შემთხვევით 1967 წ.

³⁶ ნაკვეთი 222, კვ. № კვაკარისის პრეპარაციის დროს.

³³ მონეტის ზოგადი ტიპი იხ. S. W. Grose, M. A. Catalogue of the M^c clean Collection of Greek Coins, vol. 1, 1923, გვ. 345, № 2902, ტიპ. 104, № 11.

***** გ. ფ. № 11113.

***** დავთარში ასეა ვატარებული: „სამი ცალი ანტიკური ეერცლის(?) მონეტა (მონის?) და ერთი პატარა ანტიკური ეერცლის — ნაპოვნი ამონის ნაშალში ოთახის აღმოსავლეთ კედლის გარეთ. ცალცალკე სულ 4 მონეტა. ეანი, ახვლედიანი უბანი, ბორცვის აღმოსავლეთი ნაწილი. აღმოჩენილია ვანში ნაქალაქარის გათხრის დროს კულტურულ ფენაში“.

³⁴ მონეტა უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ცუდადაა დატული, რაც არ იძლევა საშუალებას მისი ზუსტი ატ-

№№ს	საველე №	თბრი-ლი	ლითონი	წონა	ზომა	შუბლი	ზურგა
33* სურ. 114	$\frac{3-72}{1}$	130		1,92	11/12	ადამიანის (დედაების?) თავის პირული ოდნე შერბროცხებით მარჯვენა მხარეზე გაკეთდა, ამიტომ ძველია სულხანი თავსაქელის შესახებ შეიძლება გეგმის ე. წ. ახალი სტილის ათენური ტეტრადაქემებზე გამოსახულ ქალღმერთ ათენას თავსაქელის მსგავსი მუხარადი(?)	ხარის თავი მარჯვენა, შეკეთდა გაღმოსავლით თაღოთა და მარჯვენა ევროპაში გამოსახულების ზემოთ წარწერის ქველა, მაგრამ მისი წყობიდან შეუძლებელია.
34 სურ. 114	$\frac{3-72}{501}$	149**	ვერცხლი	1,10	10/11	რომელიღაც დედაების (ქელონის?) რელიეფი გამოსახულება პარდაში (თითქმის რილისულ ან ე. წ. სავლეთის ერთი ტიპის მონეტის მუხზე ამბიტიფიკური გამოსახულების მსგავსი)ზე.	ხარის თავი მარჯვენა (უდალ ჩანს).
35*** სურ. 114	$\frac{3-51}{51}$	შეშთობ.	ვერცხლი	17,31		წერტილიდან რკალში ჩასული ქალღმერთ ათენას თავის გამოსახულება მუხარადში მარჯვენა.	ამჟორაზე შექმნილი ბუხის მარჯვენა ისიდან თავსაქელის - სტილიზებული ლოტოსი. გამოსახულების ორსვე მხარეს ბერძნული ზღწერილი: ΑΡΘΡΩΝ ΗΜΒΙΑΣΒΡΠΟΙΚΑΗΣ ΚΑΒΙ ΔΑ ამჟორაზე - Α (1 თვე), ამჟორის ქვემოთ - ΑΠ... (სამონეტო საქმის კონტროლიორი). ვერცხლი ზემოთისხილის შტოები შექმნილია.
36**** სურ. 114	3-57/457	130		3,81	17/18	კაპადოკია. არიარათ VI (ე. წ. 130-116 წწ.) პირველი თვე.	მარცხენე მხარეში ათენის ქალღმერთი შეიქმნილია. მარცხენა ხელში მას შუბი და ფაი ექვსკანს. ფარავ გორგონა

რბუტისა. ზოგადად იგი მოგვაგონებს ე. წ. იბერკას, რომელსაც ბ. კუტიცინა სახმით ისეთივე მიაკვლია (იხ. Д. Г. Каналадзе, Греческая нумизматика, М., 1955, გვ. 144, ზენიშ. 26, გვ. 146-7, ზენიშ. 40; მისივე, კართული ნუმისმატიკა, თბ. 1969, გვ. 31-32, გ. უ. № 9347) და საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების განძების ფონდში (№ 11410) დაცულ სილიციუმის მონეტას. განსაკუთრებით ხარის რელიეფური გამოსახულებით, თავის მსხვილი წერტილით (სწამოკარკული) და მოკლე მხარით. სამივე მონეტა ე. წ. nummi incerti-ების ჩვეულებრივებზეა. მართალია, დავითის მიხედვით ზემოთაღწერილი მონეტა ცალკე აღმოჩენილი, მაგრამ იმავე კლასტრულ ფენაში კიდევ სამი მონეტაა ნაპოვნი (№№ 3-51/27-ა-ბ-გ.), რომლებიც პირდაპირ ზარაფხანებშია მოჭრილი და ე. წ. 105-90 წწ. თარიღდებიან (იხი: ეგვალი - ნიკე). ამის საფუძველზე შესაძლებელია, ეს მონეტა ე. წ. II-1 ს დათარიღდეს.

* მონეტა დაფარულია მომწვანო ფერის ყთილმოხილი პატიონით.

35 ზედაპირული. შემთხვეით მოპოვებული ახლადიანების გარის თავზე.

36 ღლე მსგავსიან ამქლანებს საქ. სახ. მუზეუმის ნუმის. ვანე. № 11410 დაცულ მონეტის ზურგზე გამოსახულ ხართან.

** კვ Ks, ნახანარალი მიწის ფენა, თლილი ქვების ნაყარის ქვეშ.

37 ე. გ. ოლენკო, მეფე სავლეთის მონეტის ახალი ტიპი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXV, № 1, 1960, გვ. 124.

*** გ. უ. № 11115.

38 Thompson Margaret. The New Style Coinage of Athens, New York, 1961, გვ. 351. ტ. № 116 105ა. ვანო ამბიტიფიკური ცალი სხვა სილითა ზოქოლი; დ. კანადაძე. ე. ლორთქიფანიძე, ანტიკური ხანის მონეტების ენის ნაკვარძალი, „სიკა“-ი, 1967, № 8, გვ. 144; Г. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. Тб., 1970, стр. 105.

**** გ. უ. № 11123.

39 აღმოსავლეთ ფერდობი, პეტეტი 14 X.

№№	სველე №	თბი- ლი	წითლ- ნი	წონა	ზომა	შუბლი	ზურგის
						გამოსხული. მის ვაჭვილ მარ- ყენა ხელზე ღდას ნაღვ გვირგ- ვენით ხელში ათენას უკან: ΒΑΣΙΛΕΥΣ. წინ—ΑΡΙΑΡΑΘΟΥ. კვეშით—ΕΠΙΦΑΝΟΥΣ. გამო- სახულებს წინ—Τ უკან—Β ⁴⁰ .	
37	07—1: 73—337	ნაგ. 150		3,64	17/18	არიაართ VII (ძვ. წ. 116—101 წწ.) ღრაქმა, მმართველობის მე-8 წელი? არიაართ VII თავის გამო- სახულება დიადემანში მარყე- ნივ.	როგორც № 36 ლეგენდიდან იკითხება მხოლოდ ΒΑΣΙΛΕΥΣ (ან ΒΑΣΙΛΙΕΥΣ). დანარჩენი გადასულა ⁴¹ .
38* სტ. 114	3—59 92	II ⁴²		3,98		არიაართ IX თავის გამო- სახულება დიადემანში მარყენივ.	როგორც № 36. გამოსახუ- ლების უკან: ΒΑΣΙΛΕΥΣ. წინ— ΑΡΙΑΡΑΘΟΥ. კვეშით—ΕΥΣΕΒ- ΟΥΣ. მონოგრაფიის წყობისა არ ხერხდება (ათენას ხელს კვეშით თითქვის Ϟ) ⁴³ .
